

1947/2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

570/2

ვენუზის სახელობის

გეოგრაფიის ინსტიტუტის

შ რ თ მ ე ბ ი

I

59

ვენუზი როგორც გეოგრაფი

1696—1784

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი

1 9 4 7

ვესუფის საელოზის
იკოგრაფიის ინსტიტუტის
შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы
ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ
I

ВАХУШТИ КАК ГЕОГРАФ

1696—1784

B U L L E T I N
of the Geographical Institute
I

WACHUSHTI AS GEOGRAPHER

1696—1784

ვენეციის სახელობის
გეოგრაფიის ინსტიტუტის
შ რ ო მ ე ბ ი
I

ვენეციის რომის გეოგრაფი

1696—1784

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის დადგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი
საქ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი ალ. ჯავახიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, აკაკი წერეთლის ქ. 7

№ 12310

შტავეთა 195

ტირაჟი 1000

შ ი ნ ბ ა რ ს ი

რედაქციისაგან	VII
ა. ჯავახიშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი	1
ი. ჯიბლაძე. ვახუშტის მორფოგრაფიულ ცნებათა საკითხისათვის .	25
მ. კორძაძე და გ. ჭირაქაძე. საქართველოს კლიმატი ვახუშტის შრომის მიხედვით	35
ი. შაქარიშვილი. ჰიდროგრაფიული აღწერალობანი ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“	45
ნ. კეცხოველი. საქართველოს მცენარეული საფარი ვახუშტის მიხედვით	61
ა. ჯანაშვილი. საქართველოს ცხოველთა მოსახლეობა ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით	77
დ. დონდუა. ვახუშტის მატანე და მისი სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობა	87
ნ. ნიქარაძე. საქართველოს მოსახლეობა ვახუშტის შრომის მიხედვით...	115
ს. ცხაკაია ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიული ატლასები	127
გ. გეხტმანი. XVIII საუკუნის გამოჩენილი რუსი და ქართველი გეოგრაფები: მ. ვ. ლომონოსოვი, ვ. ნ. ტატიშჩევი, ვახუშტი ბაგრატიონი და სულხან-საბა ორბელიანი	141

СО Д Е Р Ж А Н И Е

От редакции	VII
А. Н. Джавахишвили. Вахушти Багратиони выдающийся грузинский географ	I
И. Е. Джибладзе. К вопросу морфографических понятий Вахушти	25
М. О. Кордзахиа и Г. И. Чиракадзе. Климат Грузии по трудам Вахушти	35
И. Н. Шакаришвили. Гидрографические описания в трудах Вахушти Багратиони „Описание царства Грузинского“	45
Н. Н. Кецховели. Растительный покров Грузии по Вахушти	61
А. Джанашвили. Животный мир Грузии по Вахушти Багратиони	77
Д. Д. Дондуа. „Описание царства Грузинского“ Вахушти и географичность в его экономических сведениях	87
Н. Е. Нижарадзе. Население Грузии по трудам Вахушти	115
С. Г. Цхакая. Географические атласы Грузии, составленные Вахушти	127
Г. Н. Гехтман. Выдающиеся русские и грузинские географы XVIII столетия: М. В. Ломоносов, В. Н. Татищев, Вахушти Багратиони и Сулхан-Саба Орбелиани	141

რ მ ლ ა ქ ც ი ი ს ა ბ ა ნ

ვახუშტი ბაგრატიონის შრომები თავისი ისტორიული მნიშვნელობით წარმოადგენენ იშვიათ და ძვირფას განძს, რომელიც ნათელჰყოფს საქართველოს კულტურულ და მეცნიერულ მდგომარეობას XVII საუკ. ბოლოსა და XVIII საუკ. დასაწყისში და თავისი მაღალი ხარისხითა და მდიდარი შინაარსით წარმოადგენს ქართველი ერის შესანიშნავ და უძვირფასეს კულტურულ მემკვიდრეობას.

ვახუშტის გეოგრაფიული შრომები აქნობამდე არ ყოფილა სპეციალურად განხილული და შეფასებული არც ქართულსა და არც უცხო სამეცნიერო ლიტერატურაში. ამიტომ გასაგებია, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტმა თავის დაარსებისთანავე სავალდებულოდ სცნო გასცნობოდა ვახუშტის გეოგრაფიულ შრომებს, განეხილა იგი და შეიქცია საზოგადოების ყურადღება ამ კულტურულ და მეცნიერულ მემკვიდრეობაზე.

ვახუშტის გეოგრაფიულ-მეცნიერული მოღვაწეობის გასაშუქებლად მიძღვნილი გეოგრაფიის ინსტიტუტის ეს ნაშრომი შეიცავს მთელ რიგ სტატიებს, რომლებიც მიზნად ისახევენ გამოავლინონ ვახუშტის გეოგრაფიული თვალსაზრისი საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობის მაგალითზე, როგორც მთლიანად, აგრეთვე გეოგრაფიული აღწერილობის ცალკეულ ობიექტებზე, და გაარკვიონ ამასთანავე ვახუშტის გეოგრაფიული შრომების მეცნიერული მნიშვნელობა როგორც საზოგადოდ, აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის საქმეში.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის შრომები წარმოადგენენ მრავალმხრივ სპეციალურ სამეცნიერო კვლევის ობიექტს.

აღნიშნული სტატიების ნაწილი მოხსენებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე, 1945 წლის 18—20 ნოემბერს, რომელიც მიეძღვნა ვახუშტის ისტორიულ და გეოგრაფიულ მეცნიერულ მოღვაწეობას 200 წლის თავზე, ნაწილი კი ამ სტატიებისა წაკითხულ იქნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ ამავე მიზნით მოწყობილ სამეცნიერო სესიაზე, 1945 წლის 2—3 დეკემბერს.

ამავე ისტორიულ 200 წლის თარიღთან დაკავშირებით გეოგრაფიის ინსტიტუტმა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მეშვეობით, აღძრა საქართველოს სსრ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლის ვახუშტის სახელი მინიჭებოდა ამ ინსტიტუტს, რაც დაკმაყოფილებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 6 დეკემბრის ბრძანებულებით.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ალ. ჯაფარიშვილი

ალ. ჯავახიშვილი

ვახუშტი ბაგრატიონი გამოჩენილი ძარტიველი გეოგრაფი

1945 წლის ოქტომბერში შესრულდა 200 წელი მას შემდეგ, რაც ვახუშტი ბაგრატიონმა დაამთავრა ქ. მოსკოვში პრესნაზე თავისი შრომა—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და ამასთან თანდართული გეოგრაფიული ატლასები.

ჯერ რამდენიმე სიტყვა იმ ისტორიული მდგომარეობის შესახებ, რამაც გამოიწვია ვახუშტის ყოფნა მოსკოვში და რომელშიც მიმდინარეობდა ვახუშტის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ტერიტორიით პატარა, მაგრამ ბუნებრივი პირობებითა და საწარმოო რესურსებით მდიდარ საქართველოზე, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მიჯნაზე და რომელმაც შეინარჩუნა ქრისტიანული კულტურა მრავალი საუკუნის მანძილზე წინა აზიაში მაჰმადიანურ გარემოცვაში, —მუდამ მიპყრობილი ჰქონდათ თვალი როგორც მახლობელ ძლიერ აგრესიულ ქვეყნებს, —სპარსეთსა და ოსმალეთს, აგრეთვე შორეულმდებარე, როგორც მაკედონიას, ბიზანტიას, რომს, არაბეთს, მონგოლეთს და სხვათა. საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იბრძოდა თავის არსებობისათვის, თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. არათანასწორი ბრძოლა ხარბ და სასტიკ აგრესორებთან საქართველოს მრავალ ტანჯვას და განსაცდელს აყენებდა, მაგრამ ქართველების მაღალი პოლიტიკური თვითშეგნება არასოდეს არ ურიგდებოდა აგრესორების ძალადობას და, ამ უკანასკნელთა ძალის შეღუტების პერიოდებში ან მათი პოლიტიკური კრიზისების დროს, საქართველო კვლავ უბრუნდებოდა თავისუფალი განვითარების გზას.

XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისი საქართველოსთვის წარმოადგენდა შედარებით პოლიტიკური სიწყნარის პერიოდს, როდესაც ქვეყნის შემოქმედებით ძალებს შეეძლოთ კვლავ გაშლილიყვნენ, როდესაც ქვეყნის მოწინავე ძალებს შეეძლოთ შესდგომოდნენ კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამ პერიოდს ემთხვევა აგრეთვე კათოლიკურ მისიონერთა შემოჭრა საქართველოში, რომელთა ნეოზებით რომი ცდილობდა მოეჭია საქართველო თავისი გავლენის სფეროში. ამისდა მიუხედავად, კათოლიკეთა მისიონერების მოღვაწეობამ მიახლოებდა თავისი დადებითი გავლენა იქონია იმ მხრივ, რომ ზელი შეუწყოა საქართველოში დასავლეთის ცივილიზაციის გავრცელებას.

რამდენად დიდი იყო ეს გავლენა, ეს იქიდან ჩანს, რომ საქართველოს ბევრი შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე კათოლიციზმში ეძებდა მაჰმადიანობის საწინააღმდეგო ძალს და მასთან კავშირში —ხსნას მაჰმადიან აგრესორთაგან, ამიტომ კათოლიკეთა მისიონერების სკოლებში ხალისიანად მიიქწრაფოდა ქართვე-

ლი ახალგაზრდობა და მათ შორის ვახუშტიც, ვახტანგ VI-ის შვილი. მეფე ვახტანგ VI კი თანამორწმუნე ჩრდილო ძლიერ რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირში ხელდავდა უფრო ხელსაყრელ და სწორ გამოსავალს საქართველოს დასაცავად მუდმივი თავდასხმებისა და აწიოკება-დარბევებისაგან სპარსეთისა და ოსმალეთის მხრივ. ვახტანგ VI-ის კავშირი პეტრე I-თან თითქმის უკვე გვარდებოდა კიდევ, რომ პოლიტიკურ სიტუაციებს ამ წინა აზიის ქვეყნების მიმართ არ შეეშალა ხელი, რის გამოც ეს მოგვარების გზაზე მყოფი კავშირი საქართველოსი რუსეთთან უნდა მოდუნებულიყო. აგრესორ ქვეყნებს არ შეეძლოთ ეპატიებიანთ ვახტანგისათვის მისი პოლიტიკური ზრახვები და მისწრაფება რუსეთთან კავშირისადმი, და ამიტომ იგი იძულებული შეიქნა ამ პოლიტიკური მარცხის შემდეგ გახიზნულიყო 1724 წელს მოსკოვს მთელი თავისი ოჯახობით და მეფის კარის მრავალი პირით. ამ ემიგრაციაში იმყოფებოდა აგრეთვე ახალგაზრდა ბატონიშვილი ვახუშტიც.

ამ დროს ვახუშტი 28 წლის იყო და სრულიად მოძვიფებული სახელმწიფო მოღვაწე, რადგან ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას 1717 წლიდან, ე. ი. როცა იგი ჯერ კიდევ 22 წლის იყო, მონაწილეობას იღებდა თავის ძმა ბაქართან ერთად თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში; 1721 წელს იგი სარდალია საქართველოს ერთ-ერთი სადროშოსი (საბარათიანოსა და თრიალეთისა), სადაც ატარებს ამ სადროშოს აღწერას (1); 1721 წელს, როცა მეფე ვახტანგი თავისი შვილით ბაქართ პეტრე I-ის შეხვედრის მოლოდინში დაბანაკებული იდგა განჯაში თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით, ვახუშტის დავალებული ჰქონდა სამეფოს მართველობა.

ვახუშტის ცხოვრება და მოღვაწეობა ემთხვევა ქართული მწერლობისა და საერთოდ საქართველოში კულტურის აღორძინების პერიოდს XVII და XVIII საუკუნეებში. ვახუშტი ყმაწვილობისას იზრდებოდა თავისი მამის, ვახტანგ VI-ის დიდი სახელმწიფო მოღვაწის, დიდად განათლებული ადამიანისა და მრავალი შრომის ავტორის ზედაშედეგობის ქვეშ. ამ პერიოდში პოლიტიკურ, ლიტერატურულ და სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ ვახტანგ VI-ისა და მისი შვილის ბაქარის გარდა, რომელიც განაგებდა სამეფოს მამის ყოფნის დროს რუსეთში და რომელიც შემდეგ რუსეთში არტილერიის სამმართველოს უდგა სათავეში გენერალ-პორუჩიკის ხარისხით, მთელი პლეადა გაპოინენილ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა, მწერლებისა და მეცნიერებისა, როგორც: თეიმურაზი, ცნობილი თავისი ლირიკით, შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სულხან-საბა-თრბელიანი—მწერალი, დიპლომატი, მოგზაური, ქართული ლექსიკონის ავტორი, ანტონ კათალიკოსი—ავტორი გრამატიკისა და მრავალი ისტორიული და ფილოსოფიური შრომისა, აგრეთვე შრომებისა ქართული მწერლობის ისტორიასა და რიტორიკაში, დავით გურამიშვილი—„გურამიანის“ ანუ „დავითიანის“ ავტორი და მთელი რიგი სხვა მოღვაწეთა. XVIII საუკუნის დასაწყისი საქართველოში აღინიშნება მნიშვნელოვანი კულტურული მიღწევით: ვახტანგ VI-ის თაოსნობით 1709 წლიდან თბილისში ამუშავდა პირველი სტამბა.

ვახუშტისა და მთელი ქართული ემიგრაციის ყოფნა მოსკოვში ემთხვევა მეორე მხრით, პეტრე I-ის დიად რეფორმათა ეპოქას.—ეპოქას ახალი კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ჩასახვისას რუსეთში. XVIII საუკ. მეორე მეო-

თხედი, როცა მიმდინარეობს ვახუშტის ყველაზე ინტენსიური სამეცნიერო მოღვაწეობა მოსკოვში, ემთხვევა რუსეთში მთელ რიგ მნიშვნელოვან სამეცნიერო დაწესებულებათა დაფუძნებას: 1725 წ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებას, 1739 წ.—გეოგრაფიული დეპარტამენტის, 1755 წ.—მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისას, რომლის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანად ხდება ვახუშტი.

ვახუშტი ემიგრაციაში ცხოვრებისას, მოწყვეტილი თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობას, მთლიანად დაეწაფა სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. აქ იგი ამუშავებს თავის ძირითად შრომას — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (2, 3, 4, 5, 6, 7) და აღგენს გეოგრაფიული ატლასის რამდენიმე ვარიანტს; ბევრ დროსა და ენერჯიას ანდომებს რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენას (8); ვახტანგ VI-თან და ბაქართან ერთად იგი მონაწილეობას ღებულობს ახალი გაუმჯობესებული რედაქციით ქართული „დაბადების“ გამოსაცემად მომზადებაში (დაიბეჭდა მოსკოვში 1743 წელს); ვახუშტი თარგმნის რუსულიდან „გეოგრაფიის მოკლე სახელმძღვანელოს ახალგაზრდათა გიმნაზიაში მოსწავლეთათვის“, რომელშიც მას შეაქვს დამატებითი ცნობები საქართველოს, სპარსეთისა და ოსმალეთის შესახებ.

ვახუშტის სამეცნიერო-ლიტერატურული მემკვიდრეობა, მისი სიკვდილის შემდეგ მოსკოვში, სადაც იგი დასაფლავეს დონის მონასტრის მთავარი ტაძრის გვერდით სართულში, თავისი ძმის ბაქარის ჰახლობლად, არ იყო დაცული მთლიანად და ერთ ადგილას, და ამიტომ ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ისტორიაში არ არის დადგენილი სრული მოცულობა ვახუშტის შრომათა, რომლებიც შესრულებულ იქნა 1724-1784 წლების მანძილზე. თვით „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მეცნიერებათა აკადემიაში საქარისად მოგვიანებით მოხვდა: 1838 წელს იგი შესწირა აკადემიას იმერეთის დედოფლის ანას შვილმა; ამ დედოფალმაც, რომელიც მოსკოვს გადაიცვალა 1836 წელს, ეს შრომა სხვისგან მიიღო. ცოტა რამ ვიცით აგრეთვე იმის შესახებ, არის თუ არა სადმე დაცული, ან სად იმყოფება ის წყაროები, რითაც უნდა ესარგებლა ვახუშტს თავისი შრომების დამუშავების დროს. ცნობილია კი, რომ საქართველოდან ემიგრაციასთან დაკავშირებით წაღებულ იქნა მოსკოვში საქართველოს სამეფოს კარის მდიდარი წაგნსაცავი, და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო მრავალი ლიტერატურული და კარტიგრაფიული წყარო; ბევრ მათგანზე თვით ავტორი მიგვიითიებებს თავის შრომაში. იმ მრავალ წყაროს შორის, რომელთა ნაწილი უკვე აღმოჩენილია და გამოქვეყნებულიც, ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ არის ის წყაროები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მრავალი რუკის ატლასების შედგენას. ცნობილია მხოლოდ, რომ ადგილთა და აგარაკთა აღწერილობა და მოსახლეობის აღწერა საქართველოში ჰველადვე იყო შემოღებული.

ვახუშტის ძირითადი შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შეიცავს შემდეგს:

მკითხველთათვის სიტყვა რაისათვის არს შრომა ესე
ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი
აღწერა სამეფოსა საქართველოსა
აღწერა აწინდელისა ქართლისა

აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოქ-
თისა

აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინა

აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათბაგოსი

აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა.

ანბანსა ზედა ქმნული ამ წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა და ქვე-
ყანათა და ძეგვთა.

სომხითის სოფლები ქრისტიანეთა და თათრის ობა.

ვახუშტის კარტოგრაფიული შრომებიდან ცნობილია ჯერჯერობით საქარ-
თველოს სამეფოს რუკათა სამი ატლასი:

1. ატლასი, რომელიც შეიცავდა 8 რუკას, ვახუშტის დაუმთავრებია 1735 წელს და ამ უამად 5,5 რუკის რაოდენობით ინახება საქართველოს მუზეუმში.

2. ატლასი, რომლის შედგენა ავტორს დაუმთავრებია 1745 წელს თავის აღწერილობასთან ერთად და რომელიც შეიცავს ორ გენეალოგიურ ტაბულას და 19 რუკას; იგი ინახება საქართველოს არქივში.

3. ატლასი, შედგენილი რუსულად, რომლის ნაწილი, 8 რუკა, საქართვე-
ლოს კეოგრაფიულ საზოგადოებაში იმყოფება.

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც შეიცავს რო-
გორც გეოგრაფიულს, ისე ისტორიულ აღწერილობას, არ ყოფილა გამოცემული სრულად: გამოცემული იყო ან მხოლოდ ისტორიული, ან გეოგრაფიული ნაწილი სხვადასხვა პირის მიერ: აკადემიკოს მ. ბროსეს მიერ ქართულ და ფრანგულ ენე-
ბზე (2), ისტორიკოს დ. ჩუბინაშვილის მიერ ქართულ ენაზე (3), ისტორიკოს-
არქეოლოგ დ. ბაქრაძის მიერ ქართულ ენაზე (4), ისტორიკოს მ. ჯანაშვილის მიერ—ქართულ და რუსულ ენებზე (5), ისტორიკოს და ლინგვისტ ნ. მარის მი-
ერ ქართულ ენაზე (6) და ისტორიკოსების ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოუ-
რის მიერ ქართულ ენაზე (7).

დასახელებული პირები თვითნებ გამომცემას თან ურთავენ კომენტარიებს, წინასიტყვაობას და აგრეთვე იხილავენ ვახუშტის შრომებს. აღნიშნულ პირთა გარდა, ვახუშტის შრომების მოკლე და ზოგად შეფასებას იძლევიან ისტორი-
კოსი ივ. ჯავახიშვილი (9), აგრეთვე ა. ხახანაშვილი (10) ქართული მწერლობის ისტორიის თავის მიმოხილვაში. აღნიშნული ისტორიკოსები, ისტორიკოს-არქეო-
ლოგები და მწერლობის ისტორიის სპეციალისტები თუმცა აღნიშნავენ გეოგრა-
ფიულ ელემენტებს ვახუშტის შრომებში, მაგრამ ამ შრომების გეოგრაფიული ნაწილი და განსაკუთრებით კარტოგრაფიული შრომები არ ყოფილა განხილუ-
ლი არსებითად და სპეციალურად.

ჩვენი ამოცანაა—ვახუშტის შრომების შეფასებაში შევავსოთ ეს ნაკლი. აქ ჩვენ წინაშე დგება საკითხი,—რა ურთიერთდამოკიდებულებაა ისტორიულ-
და გეოგრაფიულ აღწერას შორის, რა ხასიათისაა თვით გეოგრაფიული აღწერა და რა მნიშვნელობა და ღირებულება აქვს ვახუშტის გეოგრაფიულ შრომებს სა-
ქართველოს გეოგრაფიული შესწავლის საქმეში და საზოგადოდ გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში.

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც შეიცავს როგორც ისტორიულს, აგრეთვე გეოგრაფიულ აღწერას, წარმოადგენს ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის შრომას, რაც შრომის სათაურითაც აღინიშნება.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი თავისი ნაშრომის საერთო ხასიათს თვით განმარტავს შესავალ თავში—„მკითხველთათვის სიტყვა რაისთვის არს შრომა ესე“, როგორც შრომას, რომელიც წარმოადგენს კეთილ ნაყოფს და ამასთანავე ხასარგებლოს. ისტორიულ და გეოგრაფიულ აღწერათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებაც თვით ავტორი იძლევა განმარტებას. იგი თავის გეოგრაფიულ აღწერას „საქართველოს მატიანის“ ერთ-ერთ ნაწილად სთვლის, წარმოგვიდგენს საქართველოს ცხოვრების ერთ-ერთ მხარის დამახასიათებელ ნატიანედ და ამით „ღეოღრაფიულ აღწერას“, ანუ „ადგილთა აღწერას“, საქართველოს ცხოვრების დანარჩენ აღწერილობებს უკავშირებს, ე. ი. იგი ქვეყნის ბუნების აღწერას უკავშირებს ამ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებასა და საქმიანობას.

„არამედ ესე მატიანე განიყოფების ოთხ წილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყველებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად, და ესეცა განიყოფების ორად—საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება და ქმნულება მათნი, ხოლო სამოქალაქო—ქმნულება სოფელსა შინანი დიდთა და მცირეთა“.

„ხოლო უკეთუ ჩვენ ქართველთა მატიანე შემოიპყრობს სამსა მას წილსა მატიანისასა, არამედ წლისმრიცხველობასა და ნათესავმეტყველებასა მცირეთ, ხოლო მოქმედების აღწერასა განვითარებულს...“

„ხოლო შრომა ჩვენი ამისათვის არს: ვინათგან ორნი წილნი ივინი გამოუჩინელ არიან, რათა გამოვაცხადოთ, და მესამისა განვრცელებული შევაშუქოთ, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელი იყოს“.

ამრიგად, „ადგილთა აღწერას“, რომელსაც საქართველოს მატიანე არ შეიცავს, ვახუშტი სთვლის ქვეყნის ცხოვრების საერთო აღწერილობის აუცილებელ ნაწილად, ანუ, თუ თანამედროვე გამოთქმით ვიტყვი, ქვეყანათმცოდნეობის აღწერილობის ნაწილად.

ქვეყნის ამაირი სრული, გეოგრაფიული და ისტორიული, აღწერილობის გაცნობისას მკითხველს შეუძლია „აღიმაღლოს გონებისა თვალი სიწრფოებით, ვითარცა ორბმან, რომელი ტრფიალებით აღვალს, რათა განიხილოს სრულიად ქვეყნის შევნიერება, და ესე ოდენს სიმაღლესა ზედა, რომელ ყოვლისა სოფელსა გუგათა შინა შემოიკრებს, არამედ მისი მოქმედი და უგონებელი განახლებების და კვალად გაქაბუკდებისცა“.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის თავისი ისტორიული აღწერისას შეეძლო ესარგებლნა წინაპარ ისტორიოგრაფთა შრომებით და უმთავრესად კი „ქართლის ცხოვრებით“, გეოგრაფიული აღწერისათვის კი მას ამაირი შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდა, რადგან ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ არის ცნობილი არც ერთი მნიშვნელოვანი გეოგრაფი, და ამიტომ ვახუშტი წარმოადგენს საქართველოს სამეფოს გეოგრაფიული ორიგინალური, დღევანდელი და სრული აღწერილობის ფუძემდებელს, რომელსაც არა ჰყავს თა-

ნატოლი წინაპარი, თუმცა „ადგილთა აღწერანი“ წინათაც წარმოებდა, ხოლო „მცირედი და არა ჭეოვნად“, როგორც შენიშნავს ვახუშტი.

ვახუშტი თავის ნაშრომში „ადგილთა აღწერისას“ სარგებლობს აღწერილობითი მეთოდით, რომელიც, რასაკვირველია, ვერ აღის მოვლენებისა და აღწერილობითი ობიექტების მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებათა სრულ ახსნა-განმარტებამდე, ე. ი. გენეტურ პრინციპამდე, რადგან ვახუშტის ეპოქაში საერთოდ, და არა მარტო გეოგრაფიაში, არამედ მთელ ბუნებისმეტყველებაში, აღწერილობანი იწერებოდა მარტივი მეთოდით, ახსნითი და განმარტებითი აღწერილობისთვის; ჭერ კიდევ არ იყო მომწიფებული ორმა და მტკიცე მეცნიერული პირობები და საფუძველი. ამისდა მიუხედავად, ვახუშტის გეოგრაფიული აღწერილობა არ წარმოადგენს ჩვეულებრივ უბრალო აღწერილობას, მის მეთოდს მაინც მთელი რიგი მნიშვნელოვანი თავისებურობანი ახასიათებს, რაც ამ გეოგრაფიულ აღწერილობას შედარებით მაღალ დონეზე აყენებს.

ვახუშტის გეოგრაფიული აღწერილობის თავისებურობათა შორის პირველი რიგში უნდა აღინიშნოს ავტორის გეოგრაფიული თვალსაზრისის მტკიცე დაცვა „ადგილთა აღწერაში“. ამ თვალსაზრისის ერთ-ერთ გამოხატულობას წარმოადგენს აღებული დიდი თუ მცირე ბუნებრივი გეოგრაფიული ერთეულების მრავალმხრივი და მთლიანი დახასიათება, რის შედეგად ადგილის აღწერა იქნეს ერთიან ხასიათს და ეს ერთიანი აღწერილობა იძლევა თითოეული ადგილის დამახასიათებელ, თავისებურ და ცოცხალ სურათს, რომელშიც ასახულია ადგილის მრავალი ტიპური მხარე. ეს აღწერა არ წარმოადგენს ფაქტების ან ცნობების მექანიკურ გროვას ან ჩამოთვლას, არამედ მწყობრად და თანმიმდევრულად დალაგებულს დახასიათებებს, მიმართულს საქართველოს როგორც ცალკეული ადგილების თავისებურებათა გამოვლინებისაკენ, აგრეთვე მთლიანად საქართველოს სამეფოს სრული გეოგრაფიული დახასიათებისაკენ, რაც მკითხველს ინტერესს აღუძრავს ამ აღწერისადმი.

აი, მაგალითად, როგორ აღწერს ვახუშტი მთიულეთს: „ხოლო გუდამაყრის-ხევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩდილოს შუა, არს მთიულეთი. ამ მთიულეთსა და კსანის-ხევს განჰყოფს ცხრაზმასა და ხანდოს ლომისის მთა. გუდამაყრის-ხევის ზეით, სამხრიდამ, მოერთვის არავს ამირთ-ხევი. კვალად მოერთვის სამხრიდამვე ჩოხელთ-ხევი. ამას ზეით მოერთვის არავს ცეცხლის-ჯვარიდამ ხარხელთ-ხევი. ამას ზეით არს ნაღვარევი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულება დიდი. მას ზეით მოერთვის არავს ლუდოს-ხევი. ამას ზეით არს მონასტერი ყოვლადწმიდისა და აწ უქმი. და ეს ხევი გამოსდინა ლომისის მთას. მონასტრის სამხრით, მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა უგუნბათო, და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესა. არს მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზულობით. უჭვრეტის სამხრით კსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყო არს და ბალახ-ყვავილიანი, კალთათა ტყიანი. ხოლო ლუდოს-ხევის ჩდილოთ, არავს გაღმა, არს დაბა ზადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლეთ-

გარდავალს გზა ხევსა შინა. ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქვეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვის ხარხელის ზეით და ქვეით ჩდილოდამ.

ხოლო ჩდილოთ წარმოივლის კავკასი და განწყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ხევისაგან. და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილს, შთაასხმენ აქა და ლომისას; და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი. არა არს აქა აქლემი, კანბეჩი და ვირი; არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივიწროვის გამო. ჰავითა არს ფრიად კეთილი და შვენიერი, წყარო-წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ხორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა. კაცნი ჰაეროვანნი, მხენნი, მბრძოლნი, ერთგულნი, ბრძე-უსაქციელონი, საჭურველთ-მოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყანი. ქალნიცა შვენიერნი, არამედ უგბილათ მოსილნი. აქა არს ქვა, რომელი აიყრების კლდისაგან ფიქალ-ფიქლად, და ასხდეს მას ქვასა სიბრტყეზედ ხშირად მუწყუკთაებრ. ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ანუ ნარევი და მბრტყევიანავი ფრიად, ივლებენ ამას ზღუდეს გარემოთ, და არს პატიოსნება მათ შინა ესე“.

მაგალითისთვის მოვიყვანთ კიდევ აღწერას „გურიისათვის“.

„ხოლო გუოია არა წილი ევროსისა არს, არამედ ქართლოსისა... მზღვრის ამას გურისას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამხრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდან ჩამოსული დასავლით, აქარა-გურიას შორისი; ჩდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი, დასავლით შავი ზღვა. ხოლო რიონის თქალზედ, სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე... აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე, და ამ ფოთის აღმოსავლით რიონის კიდესა ზედა არს ლანჩქეთი. ამ ლანჩქეთის სამხრით წარმავალს მთა საჯავახოს მთიდან დასავლეთად, და სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მალალს თხემსა ზედა ეკლესია ჭუმათს, დიდი, გუნბათიანი, დიდ შენი, მჭვრეტე ზღვისა და გურია-ოდიშისა. არამედ ზამთარ არს გაუძლისი და ზაფხულ სამო, მშვენი, კეთილპოვანი; ზის ეპისკოპოზი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა. და არს მთა ესე ჭუმათისა ტყიანი, შენობა-დაბნე-ბიანი, ვენახ ხილ-მოსავლიანი და ნადირ-ფრინველიანი...“

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღვამდე და ვანი ჭოროხიდან რიონამდე. ჰავით არს კეთილი და მშვენი, ზაფხულის ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო. ზამთარი თბილი, დიდთოვლიანი, ვითარცა იმერეთი, და უყივნო; მთა-გორიანი, აგარკიანი, ტყიანი და მცირე ველოვანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. კვალად აბრეშუმნი, ბანბა არა ეგდენ. ცხოვარნი მცირე და სხვა პირუტყვი, თვინიერ აქლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი და მძოვარნი ზამთარ-ზაფხულს უმწყემსოთ. ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი. და ბათრმს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა. ვენახნი მალღარანი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავალად. არამედ მდინარეთა წოდებანი არღარა

დაუსწრეთ, ვინათგან თვისივე სახელნი აუწყებენ დაბებთაგან.

ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყოსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და შვენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა ტკბილმოუბარნი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართველნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი; ვითარცა ოდიშარნი სტუმრის მოყვარენი და კეთილად შემწყნარენი, კეთილ-მაგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ მყის გულ-მწყარაონი“...

ვახუშტის „ადგილთა აღწერის“ გეოგრაფიული თვალსაზრისის გამოხატულობას წარმოადგენს აგრეთვე თვით აღწერის ძირითადი ობიექტების ხასიათი. საქართველოს სამეფოს ზოგადი დახასიათების შემდეგ აღწერის ობიექტებად ვახუშტი იღებს საქართველოს ცალკეულ ბუნებრივ ნაწილებს, მსხვილ გეოგრაფიულ მხარეებს, როგორცაა ქართლი, ჰერეთი, კახეთი და კუხეთი, ოვსეთი, სამცხე-საათაბაგო, ეგრისის ქვეყანა, ანუ აფხაზეთი, ანუ იმერეთი. თითოეული ამთაგანის აღწერაში ვახუშტი კვლავ გამოყოფს მათში შემავალ მცირე გეოგრაფიულ ნაწილებს; უფრო წვირლ ობიექტთა შორის იგი საერთოდ აღწერს ხეობებს, მთიან მხარეებს, მდინარეებს და დასახლებულ ადგილებს, ციხე-სიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს და სხვა. გეოგრაფიული აღწერის დასახელებული ძირითადი ნაწილები წარმოადგენენ საქართველოს შუა, აღმოსავლეთ, ჩრდილო, სამხრეთ და დასავლეთ ბუნებრივ მხარეებს, რომლებიც შემოკლებით აღინიშნება ძველად და ესლაც: ქართლი, კახეთი, ოსეთ-მთიულეთი, მესხეთი და აფხაზეთ-იმერეთი.

ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის ობიექტებად აღებული ბუნებრივი მთავარი მხარეები და მათი შემადგენელი ნაწილები საქართველოს სამეფოს ისტორიულ-პოლიტიკურ და სამხედრო-ადმინისტრაციულ დაყოფას ემთხვევა. ვახუშტიც, თუმცა საქართველოს გეოგრაფიული აღწერისას გეოგრაფიული თვალსაზრისით სარგებლობს, გამოყოფილი მხარეებისა და მათი შემადგენელი ნაწილების აღწერაში აღნიშნავს აგრეთვე მათ კუთვნილებას საქართველოს სამეფოს ამა თუ იმ სამხედრო-ადმინისტრაციულ ნაწილებთან—სასპასპეტოებთან, სადროშოებთან და საერისთაოებთან. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს სამეფოს ისტორიულ-პოლიტიკური და სამხედრო-ადმინისტრაციული დანაწილება ძველადვე დაყრდნობილი ყოფილა ამ ქვეყნის ბუნებრივ დაყოფაზე, ანუ გეოგრაფიული გამოყოფილობის პრინციპზე, და ამ უკანასკნელის როლი საქართველოს სამეფოს ცხოვრებისათვის აშკარა ყოფილა ძველადვე და მასთან შეგუებულა ისტორიულ-პოლიტიკური და სამხედრო-ადმინისტრაციული დანაწილებაც.

ასე, მაგალითად, ვახუშტი აღნიშნავს:... „ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოთ განყოფილი, რამეთუ წინამძღოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი, და ახალციხელნი, და მიყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხთისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვენე

მიმსულელ-მცემელნი სრულიად ღიბთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა აღმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როჭით სპანი ეპყრნეს მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსულელად ანუ სხვარიგ მიიყვანდიან ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი“.

ვახუშტის აღწერილობითი მეთოდისთვის დამახასიათებელია მტკიცე გეგმიანობა და თანამიმდევრობა. თავდაპირველად იგი იხილავს საქართველოს სამეფოს მთლიანად, შემდეგ კი მის მთავარ მხარეებს, რომლებიც იმავე დროს წარმოადგენს საქართველოს მთავარ ისტორიულ-პოლიტიკურ და სამხედრო ნაწილებს; იგი ამ მხარეებს ახასიათებს ჯერ საერთოდ, შემდეგ აღწერს გარკვეული გეოგრაფიული თანამიმდევრობით ამ მხარეებში შემავალ ნაწილებს, რომლებშიც უფრო დაწვრილებით იხილავს წვირილ გეოგრაფიულ ერთეულებს: ხეობებს, მთიან ადგილებს, მდინარეებს და ლანდშაფტის სხვა მნიშვნელოვან ელემენტებს. ვახუშტი თითოეული ადგილის დახასიათების დროს ცდილობს გაარკვიოს ამ ადგილის სახელწოდების წარმოშობა და მნიშვნელობა, შემდეგ განსაზღვრავს მისი გეოგრაფიული მდებარეობის ხასიათს და მის დამოკიდებულებას მოსაზღვრე ადგილებთან, აღნიშნავს მოკლედ, მაგრამ მეტად ზედმიწევნით ადგილის, ჰავის, წყლების, მცენარეული საფარის, ცხოველების, გარეულ ნადირთა და პირუტყვთა და, ბოლოს, მოსახლეობის ფიზიკური ბუნების, მისი ხასიათისა და ზნე-ჩვეულებათა თავისებურებებს. აღწერაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა „ქმნულებებს“ და „შინა შენებულებებს“: დასახლებულ ადგილთ—დაბებს, ქალაქებს, ციხეებს, სიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს, მეფის სასახლეებს, სამეურნეო, სამხედრო და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილებს და ნაგებობებს,—არხებს, რუებს, ხიდებს, ფუნდუკებს, წყაროებს, მადნეულობის საბადოებს და სხვათა, რომლებსაც ვახუშტი თავ-თავის ადგილზე აღნიშნავს.

„ადგილის აღწერისას“ ვახუშტი გეოგრაფიულ აღწერილობას ურთავს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სამხედრო-პოლიტიკურ ცნობებს და დახასიათებებს; ასე, მაგალითად, თავის შრომის შესავალში იგი იხილავს საქართველოს ზნე-ჩვეულებებს: „ზნეთათვის. კერპათათვის. მეფეთათვის. წესთათვის. ლაშქართათვის. საჭურველთათვის. სამართლისათვის“. იგი აღწერს საქართველოს სახელმწიფო მართველობის სტრუქტურას და მოსახლეობის სოციალურ შედგენილობას შესავლის შემდეგ თავებში: „ხელისუფალნი. სპასალარისათვის. სახლთუხუცესისათვის. მსახურთუხუცესისათვის. მონათუხუცესისათვის. მანდატურთუხუცესისათვის. მეჭურჭლეთუხუცესისათვის. მსაჯულთუხუცესისათვის. მეჭინბეთუხუცესისათვის. ბაზიერთუხუცესისათვის. ეჯიბისათვის. ეზოს მოძღვარისათვის. ჩუნჩერახისათვის. მეღვინეთუხუცესისათვის. მოლარეთუხუცესისათვის. მესტუმრეთუხუცესისათვის. ჯვარისმტვირთველისათვის. მღივანთათვის. ფარეშთუხუცესისათვის. ხუროთმოძღვრისათვის. მწერალთათვის. ეპისკოპოს-მღვდელთათვის. მეფეთ კურთხევისათვის. კათალიკოზისა, ეპისკოპოსისა, წინამძღვრისათვის. მთავართათვის. ჭყონდიდელისათვის. ათა-

ბეგისათვის. მეფეთა გვართათვის. მთავართა გვართათვის. დროშისათვის. წარჩინებულთათვის. მეფეთა წერილისათვის. ეპისკოპოზთა ლაშქრად წასვლისათვის“.

ცალკეული მხარეების ან ადგილების აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს მათ სამხედრო-ადმინისტრაციულ შედგენილობას: სადროშოებს, სასპასპეტოებს, საერისთაოებს, ან მათ კუთვნილებას ამ სამხედრო-ადმინისტრაციულ ნაწილებთან.

დასახელებული ადგილებისა და ნაგებობათა და „ქმნულებათა“ ან „შინა შენებულებათა“ აღწერის დროს ვახუშტი მუდამ მოიხსენიებს დაარსებას, თანამედროვე მდგომარეობას და მათ წარსულს.

ამრიგად, „ადგილთა აღწერაში“ ვახუშტს გეოგრაფიულ აღწერილობასთან შერწყმული აქვს ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათებანი. არა მარტო ცალკეულ „ადგილთა აღწერა“, არამედ მთელი შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გამსჭვალულია გეოგრაფიულ და ისტორიულ დახასიათებთა კავშირის იდეით. საქართველოს თითოეული მხარის ისტორიული აღწერილობა, გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად, ამ მხარეთა მთლიანი აღწერილობის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. ასეთია ვახუშტის ქვეყანათმცოდნეობის მეცნიერული კონცეფცია: ისტორიული ქვეყანათმცოდნეობასა და გეოგრაფიულ ქვეყანათმცოდნეობას შორის აუცილებელი კავშირი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კონცეფცია ამ უამად გეოგრაფიული მეცნიერების ყურადღების ცენტრში იმყოფება.

ვახუშტის გეოგრაფიული აღწერილობის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებათაგანს წარმოადგენს გეოგრაფიული ობიექტებისა და მოვლენების შეფასება გამოყენებითი თვალსაზრისით, სამეფოს თავდაცვის, ხალხის ჯანმრთელობისა და მეურნეობისათვის მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამ გამოყენებითი თვალსაზრისით არის გამსჭვალული მთელი აღწერილობა. აღწერის ეს მიმართულება ვახუშტის შრომას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის და სამეფოს საჭიროებისადმი მომსახურებით. ამით ვახუშტის შრომის ამოცანები სცილდება მხოლოდ ბუნების აღწერისა და დახასიათების ამოცანებს და აღის აღწერის უფრო მაღალსა და სრულ საფეხურზე, რადგან ბუნებრივ პირობათა დახასიათებას ავსებს ამ პირობათა საწარმოო მნიშვნელობის შეფასება. ეს იდეა ხომ თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად მიზანდასახულობას წარმოადგენს.

აი შოკლედ რამდენიხე მაგალითი გეოგრაფიულ პირობათა დახასიათებისა აღნიშნული მიმართულებით.

„არს ციხე ბერიქალისა კლდესა ზედა, კლდითვე მოზღუდვილი, შეუალსა და მაგარს ადვილს“.

„ხოლო მთა დიდგორისა არს მაღალი და თხემთა უტყვეო. კალთათა ტყიანი, ბალახ-ყვავილთა და წყაროებითა შემკული... არს მრავალ ადგილთა მჭკრეტელა“.

„აქავ (დბანისს) არს წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა, აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვისა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა“.

„აქა (ბერდუჯს) იხდების გვარჯილათა სიმრავლე არა მიწილამ, არამედ კლდის ნოტიობილამ“.

„სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა და იბოების მცირე ლაქვარდიცა“.

„მტკვარი სიღრმით ადგილ-ადგილ განისვლებს ფონად. სადაცა უმეტეს განვრცელდების, მუნ დის ჩქარადცა, და სადა დამდორდების, არს ფრიად ღრმა. გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს ადგილთა ქალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი, რომელსა იპყრობენ ბადით, კონით, ფაცრით, ნევსკავით, საფირჩხულითა და ოჩხითა. უამად იპყრობისცა ზუთხი, რამეთუ განჯას ქვემორ არს ამ მდინარესა შინა ურიცხვი და აქა სიჩქარისაგან მდინარისა ვერ აღმოვალს... არამედ არს მტკვარი სასმელად გემოიანი და შემრგო, უმეტეს ქართლისა და სამცხესა შინა“.

გეოგრაფიულ პირობათა დახასიათებასთან ერთად ვახუშტი ჩვეულებრივ აღნიშნავს აგრეთვე ადგილის სამეურნეო ხასიათსა და მნიშვნელობას.

ასე, მაგალითად, საქართველოს სამეფოს საერთო აღწერაში ვახუშტი იძლევა უმთავრესად სამეურნეო დახასიათებას თავებში: „აბრეშუმისათვის. ხილთათვის. სავარდისათვის. მტილოვანთათვის. პირუტყვთა და ფრინველთათვის. მთათათვის. მდინარეთა და ტბათათვის. თევზათათვის. მწერთათვის“.

რაჰის შესახებ ვახუშტი წერს: „არს რაჟა ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა შეუღალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშვენი, ზაფხულს გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი. თვინიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი“.

ბერდუჯის შესახებ ვკითხულობთ: „კვალად აღმოიღებენ რუთა, და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა. ხოლო მტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი... აბრეშუმს აკეთებენ და არა მრავლად“.

ჰერეთის, კახეთისა და კუხეთის აღწერისას თავში „ნაყოფთათვის“ ვახუშტი მოგვითხრობს შემდეგს: „ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოველითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა. არამედ უფროს ჰერეთი, და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი. რამეთუ, თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმოსი და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნი ავსწერეთ. აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანაც აქ უმჯობესი არს, გარნა არა სთესვენ ღომს და არც არს კირჩხიბი აქა. ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უმრავლეს აქაურთა“.

ვახუშტი თავის გეოგრაფიულ აღწერაში დიდ როლს ანიჭებს ადგილთა ბუნებრივი პირობების დახასიათებას და ამ პირობათა გამოყენებითი მნიშვნელობის შეფასებას, აგრეთვე მეურნეობის მიმართულების აღნიშვნას, მაგრამ იგი არა ნაკლებ ადგილს უთმობს ამ აღწერაში მცხოვრებლების დახასიათებას. მოსახლეობის ფიზიკური თვისებების, გონებრივი და სულიერი თავისებურებისა და ზნე-ჩვეულებათა დახასიათება ყველგან ერთვის ბუნების პირობათა აღწერას. ეს დახასიათება სათაურით „კაცთათვის“ მოცემულია როგორც საქართველოს საერთო აღწერაში, ისე მთავარი მხარეების აღწერის შესავალ ნაწილში; ამის გარდა, მოსახლეობის დახასიათება მოცემულია თითქმის ყველა ადგილის აღწერაში.

აი მოსახლეობის დახასიათების ერთ-ერთი მაგალითი საქართველოს საერთო აღწერიდან:

„ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი. ჰაეროვანნი. შავ თვალ-წარბ-თმოსანნი. თეთრყირმიზნი, იშვით შავგვრემან და მოყვითან, იშვით თვალჭრელ და გრემანი, და მწიფურ ანუ თეთრ: ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი, წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი. მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი ლგ ეჭს იდ ეამს გაირბენს. საღაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლალნი, სახელის მაძიებელნი. სტუმართა და უცხოთ მოყვარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან; უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხლომნი, მიემებელნი, სწავლის მოყვარენი... ურთიერთის მიმყოფნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მღევარნი. კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავზედნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი“.

ვახუშტის „ადგილთა აღწერის“ ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ობიექტს „ქმნულებანი“ და „შინა შენებულებანი“ წარმოადგენენ. აქ იგულისხმება დასახლებული ადგილები, დაბები, ქალაქები, ციხეები, ციხე-სიმაგრეები, სასახლეები, ეკლესიები და მონასტრები, ნაქალაქეები და ნასოფლარები, საღვურები და ფუნდუკები, ქალაქის ზღუდეები, ხიდები, ქვაბურები, არხები, რუები, აშენებული წყაროები და სხვა მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ნაგებობანი. ყოველი მხარის, ადგილისა და ხეობის აღწერისას ვახუშტი ყოველგან აღნიშნავს თავ-თავის ადგილზე დასახლებული ობიექტების მდებარეობას და იძლევა მათ დახასიათებას მეტნაკლებ, მათი მნიშვნელობის შესაბამისად. ვახუშტი თითქმის ყოველთვის მოიხსენებს ისტორიულ ცნობებს, დაკავშირებულს ამ ობიექტის გაჩენასთან, მათ წარსულთან და მათ არსებულ მდგომარეობასთან. ამ ობიექტების აღნიშვნა გეოგრაფიულ აღწერაში სრულყოფს საქართველოს სამეფოს აღწერას და ამასთანავე გეოგრაფიულ აღწერას აკავშირებს ამ ქვეყნის ისტორიასთან. მნიშვნელობის შესაბამისად უფრო სრულად და დაწვრილებით არის მოცემული აღწერა და დახასიათება საქართველოს სა-

მეფოს პოლიტიკური და ისტორიულ-სტრატეგიული ცენტრების—ტფილისის, მცხეთის, ქუთაისის, გორის, ურბნისის, ნეკრესის ქალაქებისა, აგრეთვე ორბეთის, ანუ სამშვილდის, ჭალის და სხვა ციხეებისა.

ისტორიული ხასიათის ცნობების მოყვანას ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერაში არ შეაქვს დისონანსი, არამედ ავსებს ამ აღწერას ახალი შინაარსით და აშუქებს დასაზღებულ ადგილებისა და სხვა ობიექტების წარმოშობას, წარსულსა და აწმყო მდგომარეობას. ვახუშტის დროისათვის ხომ ეს მიმართულება გამართლებულია გეოგრაფიის მჭიდრო დაკავშირებით ისტორიასთან და საკუთრივ ვახუშტისათვის კი იმ გარემოებითაც, რომ იგი ერთსა და იმავე დროს არის გეოგრაფიკ და ისტორიკოსიც.

ქვეყნის დახასიათება მისი მცხოვრებლების მეურნეობის და შრომა-საქმიანობის მიხედვით და ამ მეურნეობისა და შრომა-საქმიანობის სივრცითი განლაგების მიხედვით თანამედროვე გეოგრაფიულ მეცნიერებაში გაღიზარდა სპეციალურ დარგში, ეკონომიურ გეოგრაფიაში, რომელშიც „ქმნულებებს“ და „შინა შენებულებებს“, ვახუშტის გამოთქმით, როგორც ქვეყნის მცხოვრებთა საქმიანობის ძირითად კვანძებს, უაღრესად დიდი ადგილი ეკუთვნის.

ვახუშტის თავის აღწერაში არ გამოჩნა აგრეთვე სამიმოსვლო კავშირის აღნიშვნა საქართველოს სამეფოს ცალკეულ მხარეთა შორის, აგრეთვე მეზობელ ქვეყნებთან. იგი „შინა შენებულებათა“ შორის აღნიშნავს ფუნდუქებს, ანუ სასტუმროებს და ქარვასლებს, სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ადგილას; ესენი წარმოადგენენ საქართველოს სამეფოს საგარეო ვაჭრობისა და ურთიერთობისათვის საჭირო ნაგებობებს. ერთი ამათვანი მდებარეობდა მდ. ქციის ქვემო წელში, მეორე—ამავე მდინარის ზურტაკეტის ერთ-ერთ სათავის ხეობაში, საიდანაც გადადიოდა გზა ჯავახეთს, და მესამეც—სამადლოში, თბილისის დასავლეთით. ერთ-ერთ ფუნდუქს ვახუშტი ასე აგვიწერს: „ხუნანს აღმოსავლეთით და ჩდილოთ უდის მტკვარი, სამხრით ქცია; აღაშენა ციხე-ქალაქი ქართლოს, პირველ ეწოდა მტკვრის ციხე, შემდგომად ხუნან... ა მეფემან ფარნაოზ ყო საერისთოდ, ვინათგან იყო ქალაქი და ნაპირი ადგილი. შემდგომად ყრუსა მოხარდა ქალაქი, და ციხე იყო აქომამდე. აქა არს ნახიდვარი. ამის გამო აღაშენა პი მეფემან როსტომ ხიდი ქვიტიკირისა, დიდ შვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი შვენიერი, მჭკრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისი მხარი. აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუქნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი“.

ვახუშტი ადგილთა დაწვრილებითი დახასიათებისთვის ალაგ-ალაგ მიმართავს ზომიითი ხასიათის მაჩვენებლებს. აი ამის რამდენიმე მაგალითი:

საქართველოს სამეფოს ტერიტორიის სიდიდის შესახებ ვახუშტი წერს: „ხოლო არს სიგრძე ქვეყნისა ამის 3 ეჯი. ხოლო ვანი სპერის ზღვისაკენ 2 ეჯი. შუა ადგილი ლბ ეჯი, ხოლო ბოლოთ კერძი ლე ეჯი, და მდებარეობს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის“.

მდ. ქციის შესახებ ვკითხულობთ: „...ხოლო ეძანს დახარამდების, და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარი რ მეტი, სივანით რ მხარი და

მეტიცა... ქციის პირს არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. ხოლო ქციის ბრამი აქა არს სიმაღლის ს მხარი და მეტიცა, და განით ფ მხარი, და ქივქივის ბრამის მხარი“.

კავკასიონის შესახებ—„კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არს ე-ლ მხარი“.

თუშეთის დაბათა შესახებ—„ხოლო პანკისის გარდასწორ, კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქვეით ვომეწარი და მის ქვეით ჩაღმა. და ჩაღმიდამ გარდავალს გზა თორღას და ლოპოტის ხევზედ. და არიან დაბნები ესენი უმჯობესნი, და სხვანი დაბნები არიან ლზ. ამის ჩრდილოთ არს ფარსმანის თუშეთის-ხევი, რომელთა უძეს შორის კავკასივე. და არს ფარსმანის თუშეთის დაბანი ლვ“.

ვახუშტის შრომა მეტად მდიდარია გეოგრაფიული საკუთარი სახელწოდებებით. აქ თავმოყრილია თითქმის მთელი სია სახელებისა, ქართველ ერს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე რომ დაურქმევია საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ადგილთათვის. ერთი წყება ამ საკუთარი სახელებისა საქართველოს სხვადასხვა ნაწილს მიეკუთვნება, როგორც, მაგალითად: აფხაზეთი, აჭარა, ბასიანი, გურია, დვალეთი, ეგრესი, ერუშეთი, თუშეთი, იმერეთი, კახეთი (გარეთ-შიგნით), კლარჯეთი, ლეჩხუმი, მღრან-დვალეთი, გუდამაყარი, მესხეთი, მთიულეთი, ოდიში, ოსეთი, რაჭა, სვანეთი, სამცხე, ფშავი, ხევი, ხევსურეთი, ქართლი (ზემო, შიდა), ქიზიყი, ქობულეთი, შავშეთი, ჯავახეთი და სხვა. მეორე წყება უფრო მცირე ტერიტორიულ ერთეულებს ეკუთვნის, როგორც: გუჯარეთი, გუდარეხი, ერწო, თორი, თრუსო, კოდიანი, მუხრანი, ოკრიბა, ტაშირი, ვარეჯა, ვაღმა მხარი, გვერდის-ძირი, ყამური, კუდარო, ერწო, ლისი, პანკისი, ყარაია, შაორი, შირაქი, წალკა, წინამინდორი, წონა და სხვ. კიდევ უფრო მცირე ადგილებს წარმოადგენენ: ალაიანის მინდორი, აშურიანი, დამჩხერალო, დაღალულა, დიდუბე, კლდეკარი, კრწანისი, კურდღელაური, ნარიანი, დიღმის ველი, დოესის მინდორი, სამგორის ველი, სარკე, ყელი, შანბიანი, ჩასავალი და სხვ.

კავკასიის მთათა შორის ვახუშტი ასხვავებს: კავკასი ალანისა, ახოტისა, ბრუტსაბძელისა, გლოლისა, გუდამაყრისა, დიგორისა, დიდოეთისა, ზახისა, ზეკარისა, ჰავარისა, თრუსოსი, თუშეთისა, კედელისა, ლეკეთისა, ლეჩხუმისა, მღრან-დვალეთისა, მყინვარისა, ოდიშისა, რაჭისა, რაჭა-ლეჩხუმისა, რაჭა-სვანეთისა, სვანეთისა, ქართლისა, ჩერქეზიცა, ძურძუქისა, ხონისა და კავკასიის კარისა.

ამასთანავე ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა შეიცავს საკმაოდ გრძელ სიას ცალკეული მთების, მდინარეების, ხეების, ხეობების დასახლებული ადგილების, ციხეების და სხვა „ქმნულებათა“ და „შინა შენებულებათა“.

დაწვრილებით აღწერილობასთან ერთად ვახუშტი იძლევა ობიექტებისა და მოვლენების დამახასიათებელი თვისების აღსანიშნავად მოკლე, მაგრამ მე-

ტად მოსწრებულ და მარჯვე დახასიათებებს თითო-ოროლა ზედსართავი სიტყვის შერჩევით.

ასე, მაგალითად, მთათა შორის ვახუშტი განასხვავებს:

მთა — მაღალი, დიდ მაღალი, მაგარი, შეუალი, თხემთა შიშველი, თხემთა უტყეო, ხეე-ქარაფოვანი, კლდიანი, თოვლიანი, მყინვარე, უწყლო, მდინარია-ნი, მცირე-წყლიან-მდინარია-ნი, წყარო-ანი, უტყეო, ტყიანი, კალთათა ტყიანი, მცირე ტყიანი, ფიჭოვანი, ნაძოვანი, ყვავილიანი, შამბიანი, ნადირიანი, პირუტყვიანი, ფრინველიანი, მოსავლიანი, სახნავი, უხილო, ხილიანი.

ხეობა — კლდიანი, მთური, ქარაფოვანი, ღელე-ლატოიანი, ხრამოვანი, მცირე-ველოვანი, ტყიანი, ნოყიერი, შემკული ნაყოფიერებით, ჰავით, შენობიანი და სხვ.

ხრამი — ღრმა, ქვიანი, კლდოვანი.

კიდე-ნი — ფლატოიანი, კლდიანი, ჩალიანი, ქალიანი, ბალახიანი, ვენახო-ვანი, მოსავლიანი, ხილიანი და სხვ.

წყარო — სპეტაკი, ცივი, ცხელი, მლაშე, მომლაშო, მწარე, ტკბილი, შემრგო, საჰმლის მომდნობი, შირიმის ქვის დამამსხვრეველი, პირუტყვთ შემრ-გო, გემოიანი, მკურნავი, დიდი ფრიად და სხვ.

ჰავა — კეთილი, ამო, კეთილმშვენი, კეთილჰაოვანი, მშვენი, შემკული, შვენიერი, მხიარული, აგარაკოვანი, ზაფხულის ცხელი, გრილი, სველი, ნოტიო, ნაძიანი, გაუძლისი, არაგაუძლისი, საამო, შეზავებული, ზამთარ ყინვიანი, უყინვო, უყინულო, თოვლიანი, მცირე თოვლიანი, ცივი, ქარიანი, უთოვლო, უქარო, საჭირო, დიდთოვლიანი, გაზაფხულ-შემოდგომის ტალახიანი, ჰყვავიანი, სატრფო და სხვ.

ბარი — მცირედ ველიანი, მცირე მდინარია-ნი, ქალიან-მინდვრია-ნი, ტყია-ნი, ნაყოფიერი, ვენახ-ხილიანი, მარცვლითა, კომყოვანი, ტურფა, უშენი და სხვ.

დაბა — დიდი, კარგი, კეთილი, გოდლოვანი, კლდესა ზედა, მოზღუდვილი, მოზღუდვილი კლდითა, მგზავსი ციხისა, კომყოვანი, აგარაკად, ვენახოვანი, უვენახო, ხილიანი, უხილო, ლეღვიანი და სხვ.

ციხე — დიდი, დიდგებული, დიდნაშენი, კეთილშენი, არამტკიცე, მაგარი, კლდით მოზღუდული, მცირე, ოხერი, უქვიტკირო, ქვიტკირით, უქმი, შეუალი, ძლიერი, ძველადი, ცალიერი, ველსა ზედა, თხემსა ზედა კლდისასა, კლდეზედ, მთის თხემსა ზედა, მაღალგორასა ზედა, მთის კალთასა ზედა, მთის ძირს, მთის წვერზე, მინდორსა ზედა, ქალაქის თავს, ხიდსა ზედა.

ხიდი — მტკიცე, ქვისა, ქვიტკირისა, ხისა, მრავალთვალი, მკიდარი, შვე-ნიერად გებული და სხვ.

ამრიგად, ვახუშტს განსაკუთრებით ემარჯვება ადგილთა აღწერაში მოვლენებისა და ობიექტების თავისებურებათა გამოხატვა მოკლედ, მოსწრებულად და მეტად დამახასიათებლად. მრავალი ამ მოკლე დამახასიათებელი სიტყვები-დან ინტერესს მოკლებული არ არის თანამედროვე ქართული გეოგრაფიულ ტერმინოლოგიისათვისაც.

ვახუშტის მიერ თავის შრომაში ღრმად გააზრებული გეოგრაფიული თვალსაზრისი, კარგად მოფიქრებული გეოგრაფიული აღწერილობის გეგმა და მეთოდი გამოხატულობას პოულობენ მის კარტოგრაფიულ შრომებშიც. ეს დიდი და იშვიათი კარტოგრაფიული ნაშრომი მისი გეოგრაფიული აღწერილობის მნიშვნელოვან და აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. მისი რუკები ასახავს გეოგრაფიული აღწერის სივრცითი განლაგების სურათს, და გეოგრაფიული აღწერის გააზრება ხომ უამისოდ შეუძლებელია. გეოგრაფიული აღწერის ამ აუცილებელ მოთხოვნაზე მსჯელობს თვით ვახუშტი და შესანიშნავადაც ასრულებს მას. აი რას წერს ვახუშტი ამის შესახებ:

„...დაესახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცირეთ და არა ჭეროვნად, და ჩვენ სრულიადი წინა დავდევით. ვანა ამისდა ჭერ იყო სამჭირნოთ, რათა აქუნდეს ლეოლრაფიისა აღწერისაცა დადება (რომელი არს ქვეყნის მხაზველობა), რომელი იგიცა ვქმენით, და კვალად მისდაცა ჭერ იყო მოკლე მათიანე...“

ვახუშტის არ აკმაყოფილებს „ლეოლრაფიის აღწერის“ არსებული მდგომარეობა იმით, რომ ეს აღწერა მანამდე იყო მოკლე და საქართველოს რუკებს ხაზავდნენ „მცირედ და არა ჭეროვნად“, ამიტომ იგი ხელს ჰკიდებს საქართველოს „ლეოლრაფიის აღწერის დადებას“, ე. ი. რუკების ვრცლად და ჭეროვნად დამუშავებას, რის შესახებაც ამბობს: „ჩვენ სრულიადი წინა დავდევით“. მართლაც ვახუშტის მეორე შედგენილი რუკების რამდენიმე წყება საქართველოს სამეფოს გეოგრაფიულ ატლასებს წარმოადგენს.

პირველი ამ ატლასთაგანი ვახუშტის 1735 წელს დაუმთავრებია. ამ ატლასის შინაარსი ავტორს პირველ ფურცელზე აქვს მოცემული ქართულად და რუსულად. აი ამ ფურცლის შინაარსი:

„ენითა ლათინთათა საკუთრ სახელი ამისი ტაბულა და ქარტა ანუ ატლასი ხოლო ქართულად რუკა.“

ძველთაგან ტომობით სამეფოსა ამის ქვეყნისა სახელნი არიან ქართლოსანი: რომელი არს საქართველო. კდ მიღებული: იბერია ანუ გიორგიანნი.

მოხაზული ყოვლითავე მითითა, წყლითა, მდინარე-ტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით რაიცა მეხილა, ნუ მნახველთაგან მეხმა: ხო სხვა დაბანი დაუტევე, მცოდნე მან ხელყოს.

ხალით მოსწრაფებით მშრომელი რუკისა: მეფოვანი ამისვე ქვეყნისა ვახუშტი. არს რუკისა ამას შინა ფურცელი 8.

1. სამეფოსა ყოვლისა საქართველოსა ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა: სამეფოსა ქართლისა, რანისა, კახეთისა, ჰერეთისა, ლეკისა ანუ დაღისტანისა. მცირისა ყაბარდისა. მოვაკანისა, რომელი არს შირვანი. ოგსეთისა. სვანისა. ალანისა. იმერეთისა, ოდიშ-გურია-აფხაზ-ჯიქთა. ქანის ანუ ლაზისა. სამცხე-საათაბაგოსი, რომელი არს მესხნი ვიდრე ტრაპიზონ კარნუ ქალაქად და კარით ანუ ყარსი. მცირე სომხითით რახს შინაგანი, რომელი არს არაზი.

2. მეორე რუკა არს მოხაზული პირველ წოდებული ყოვლისავე აფხაზეთი, განთვითვებით სახელნი არიან: იმერეთი, ოდიში, აფხაზი, ჯიქი, ალანი, სვა-

ნი, ბასიან დიგორი. გურია ლაზით, ანუ ქანეთი ვიდრე ზღვად პონტოდ. გარემო მისსა მცირედ სამცხე, ქართლი და ყაბარდი.

3. რუკა არს ყოვლისა სამცხე-საათაბაგოსი, ანუ მესხთა აზრუმით ტრაპიზონ კართ. მცირე ნაწილი აღმოსავალ ჩდილოთ ქართლი, იმერეთი და გურია.

4. რუკა სამეფო ქართლისა დედა ქალაქით მცხეთით. დვალთა თაგაურ ქურთაულთა ქიშტ ძურძუკ ღლიღვთა. გარემო ნაწილი კახთა. ჩაჩნთა. სომხეთითა. ყარს ჭავახთა. ზემო ქართლით თავისის ქალაქით ტფილისით.

5. რუკა კახ კუხთა პერთა. დიდოთ თუშით. ფშავ ხევსურით ვიდრე გიშად-მდე, რლ არს აწ კაკი. გარემო ლეკი, მოვაკანი. რანი და ქართლი მოხაზული.

6. რუკა მოვაკანისა, რომელი არს შირვანი. და ყოვლისა ლეკისა ანუ დადი-სტნისა. გარემო რანით, სომხეთით, კახეთით, მდინარით რახსით, გინა არაზით.

7. რუკა მცირისა სომხითისა ანუ ირანისა, გინა ერმანისა, რანისა, ჩრდი-ლოთ და დასავლეთ: კახეთი, ქართლი, ყარსი ვიდრე ვანადმდე.

8. რუკა კვალად სამცხე-საათაბაგოსი. ვითარცა ზემო მოხაზული არს ეგრეთვე ესეც ხო უმჯობესი იგივე არს“.

მაშასადამე, ამ ატლასში წარმოდგენილია საქართველოს სამეფო მილია-ნად და მისი მთავარი ნაწილები მოსაზღვრე ქვეყნებით.

ამ ატლასის რუკების საფუძველს ცილინდრული პროექციის გეოგრაფიუ-ლი ბაღე წარმოადგენს. საწყისი მერიდიანი ფეროს მერიდიანის დასავლეთით მდებარეობს. სიგანეების და სიგრძეების აღმნიშვნელი რიცხვები რამდენიმედ გასწვავდება ნამდვილ, ამ ეამად მიღებული რიცხვებისაგან, რაც სავსებით გასაგებია გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ წარმოდგენათა იმდროინდელ მდგომარეობიდან. რუკის ჩარჩოზე აღნიშნულია ქვეყნის მთავარი მიმართულე-ბანი: ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი; მერიდიანები და პარალელები დაყოფილია თითო გრადუსად; მხოლოდ გრადუსები მინუტებად და სეკუნდებად კი არ არის დაყოფილი, არამედ ხაზობრივ ზომებად: ერთი გრადუსი, ანუ მენაკი, დაყოფილია 17 ქართულ ეჯად ან სპარსულ ფარსანგათ და 102 ვერსად, 105 ვერსის მაგივრად. უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა საწყისი მერიდიანი ფეროდან დადგენილი იყო უკვე 1634 წელს პარიზში გეოგრაფიუ-ლი კონგრესის მიერ, ჩანს, ეს მერიდიანი არ იყო ვახუშტის დროს საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული.

რუკებს დატანებული აქვს შინაარსის აღმნიშვნელი სათაურები, აგრეთვე რუკის პირობითი ნიშნების განმარტებანი. რუკაზე მოხაზული პირობითი ნიშნე-ბის შინაარსი შემდეგია:

„საბატრიარქო ეკლესია, ქალაქი უდიდესი მოზღუდვილი, ქალაქი მცირე, უმცირე ქალაქი, საეფისკოპოზო მონასტერი, მცირე მონასტერი, საყდარი, ციხე თუ სიმაგრე, მეფის სასახლე, დიდებული თავადი, უმცირე თავადი, უუმცირე თავადი, აზნაური დაბით, უდიდესი დაბა, დაბა კეთილი, ქრისტიანთა დაბა, ნო-ხარი ნასოფლარი, ოსის დაბა, თათრის დაბა, უმჯობე თათრის დაბა, დიდი წყა-ლი, მცირე მდინარე, წყარო, ტბა, გზა, სამზღვარი, მთა, გორა, ტყიანი, თოვლია-ნი, უტყეო“. მხატვრულ ვინიეტებში დასურათებულია ფერადებით საქართვე-



ლოს სამეფოს როგორც მთლიანი, აგრეთვე ცალკეული პოლიტიკური ნაწილების ღერებები და დროშები სასპასპეტოებისა, მათი კუთვნილების წარწერით. რუკის სათაურის შესაბამისი ნაწილი შეფერადებულია, დანარჩენი კი არა. თითოეული რუკა შეფერადებულია მრავალ ფერად, გამოყოფილი ცალკეული ნაწილების შესაბამისად. ადგილთა სახელწოდებათა შრიფტებიც განსხვავებულია: მსხვილი ერთეულებისათვის ხმარებულია უფრო მომსხო შრიფტი, შემდეგ იგი მცირდება უფრო წვრილი ერთეულებისთვის. რუკებზე წარწერილ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შინაარსი სავსებით უბასუხებს აღწერილობის ტექსტს.

ამ ატლასში მოთავსებულ ქართლის სამეფოს რუკის ზემო და მარჯვენა მხარეზე მოხაზულია მეტად საყურადღებო გეგმა თბილისისა წარწერით: „სახე ტბილისისა ახლად დახაზული ამისვე მხაზველისა, რომელი არს სატახტო ქართლისა. ნიშანნი ზემოთ წერილი არიან თვითეულად ყოვლისა“. თვით გეგმაზე წარწერილია რიცხვები და ასოები, რომლებიც ახსნილია გეგმის ზედა წარწერაში. 65 რიცხვით და 19 ასოთა აღნიშვნით წარმოდგენილია თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები და ნაგებობანი: სასახლეები, ციხეები, ქარვასლები, ფუნდუკი, საყდრები, მოედნები, ქალაქის კარები, ხიდები, ბაღები, ქალაქის ნაწილები, გზები, თხრილი და სხვ.

ეს ატლასი 1735 წლისა, რომელიც ვახუშტის უნდა შეედგინა 11 წლის მანძილზე მოსკოვში გადასახლებისას, როცა რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზებული კარტოგრაფიული ცენტრი—გეოგრაფიული დეპარტამენტი, რუკის აგების მეთოდის ხასიათის მიხედვით წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფს, დამყარებულს საქართველოს ნაციონალურ საფუძველზე.

საქართველოს მეორე ატლასი, რომელიც 19 რუკისაგან და 2 გენეალოგური ტაბულისგან შედგება, მკვიდროდა დაკავშირებული გეოგრაფიული აღწერილობის ტექსტთან, ვახუშტს 1745 წელს უნდა დაემთავრებინა. აი ამ ატლასის რუკების შინაარსი:

1. „რუკა მოხაზული საქართველოსი, ანუ ივერიისა, ანუ ვიორგიისა, ახალს პოენილს მენაკთა ზედა უფლისა ფელეს მიერსა. ორთა კასპიისა და შავს ზღვას შორისი, რომელი წილად ხვდათ რვათა ძმათა და მჩენარებს თვითეულად ქართლოსისა, ეგროსისა, ბასიანისა, მოვკანისა, ჰეროსისა, ლეკოსისა და კავკასოსისა, ხოლო ჰაოსისა არსად მჩენარებს, ხოლო შვიდთა ამათა წილი თვისთა მითთა, მდინარითა, ტბითა და საზღვრითა და საჩინოთა ადგილთა ჩემი მიერ მეფის შვილ ვახუშტი.

2. ქართა ქართლოსის წილისა, რომელიცა ძმათა თვისთა შორის ქვეყანანი ხვდა და შემდეგ მისსა ცოლმან ქართლოსისანმა განუყო ხუთთა ძეთა თვისთა: მცხეთოსს, გარდაბანს, ვაჩიოს, კახოს და კუხოსს. მერმე კვლად მცხეთოს ზვედრი თვისი განუყო ძეთა თვისთა სამთა: უფლოსს, ოძრაზოს და ჯავახოსს. მოხაზული თვისთა ქალაქითა, მითთა, მდინარითა და საზღვრითა.

3. რუკა საქართველოსი, ანუ იბერიისა, განყოფილი ათ საერისთაოდ, რომელი განყო პირველმან მეფემან ფარნაოზ. და იყო ვიდრე ბაგრატიონამდე. ხოლო შიდმდგომად სხვარიგ. მონაზული მის მიერვე.

4. საქართველოსა ანუ ივერიისა ჩამომავლობა ვისის ტომისაგან არიან და მეფენი მათნი.

5. რუკა საქართველოსი ანუ ივერიისა ანუ გიორგიისა ახალს პოვნილს მენაკსა ზედა უფლის ფელეს მიერსა, რომელსა ზედა მჩენარებს თვითუფლად ქართლი, კახეთი, რანი, ყარაბალი, მოვაკანი, ხოლო აწ შირვანი, დაღისტანი, კავკასი, ოსეთი, ხოლო აწ ოსეთ და ჩერქიზი, და სვანეთი, ეგრისი, შიდა აფხაზეთი და განყოფით ჭიქეთი, იქეთ აფხაზეთი, ოდიში, გურია, იმერეთი. კვალად ქართლოსის წილი საათაბაგო და განყოფით სამცხე, ჭავჭავთი. კვალად არტანი და კლარჯეთი. სომხითი და აწ აზრუმი, ბასიანი, ყარსი. . . .

6. რუკა ქართლისა სრულიადისა. . . .

7. „ ქართლისა მტკვრის ჩდილოეთისა. . . .

8. „ ძველად ზენასოფლებისა ანუ შიდა ქართლისა და აწ წოდებულ ქართლისა. . . .

9. რუკა ქართლისა, რომელი წილად ზედა უფლოსს ძესა მცხეთოსისასა. . . .

10. „ ძველად ორის საერისთაოსი ხუნანისა და სამშვილდისა, ხოლო აწ როდინდელს ჟამსა შინა პირველი სასპასპეტო მეწინავე, რომელსა უწოდებენ სომხითს საბარათიანოსასა. . . .

11. რუკა ქართლოსის წილისა, რომელი წილად ზედათ ძეთა მისთა გაჩის და გარდაბანს და შემდეგ ფარნაოზისაგან იქმნა გარდაბნის წილი ხუნანის საერისთაოთ. . . .

12. რუკა ქართლისა მტკვრის სამხრეთის კერძისა. . . .

13. „ საბარათიანო სომხითისა და საციციანოსი. . . .

14. „ კახეთის, კუხეთის და ჰერეთისა. . . .

15. „ აწინდელისა ოსეთისა. . . .

16. „ ეს ბაგრატიონთ ნათესავ ჩამომავლობა აღამიდამ. . . .

17. „ ზემო ქართლისა და კლარჯეთისა ანუ სამცხე საათაბაგოსი. . . .

18. „ იმერეთისა ოდიშისა და გურიისა. . . .

19. „ იმერეთისა. . . .

20. „ აფხაზეთისა, რომელი განიყოფის იმერეთად, ოდიშად და გურიად. ხოლო იმერეთი განიყოფის არგვეთად, რაჭად, ლეჩხუმად, ვაკედ, ოკრიბად. . . .

21. რუკა ოდიშისა ეგურის წყლის და სვანეთის კერძოსი ზღვამდე. და შავი ზღვა აზავამდე. . . .

ეს მეორე ატლასი, რომელიც აგრეთვე საქართველოს სამეფოს გეოგრაფიული აღწერილობის აუცილებელ დამატებას და განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, საგრძნობლად განსხვავდება 1735 წლის ატლასისგან, ერთი მხრივ, შინაარსით და, მეორე მხრივ, თავისი კარტოგრაფიული საფუძვლით.

ამ მეორე ატლასში ისტორიულ-გეოგრაფიული რუკები ბლომდაა წარმოდგენილი: ოთხი რუკა მთელი საქართველოსი: უძველესი დროიდან კავკასიის

მფლობელ რვა ძმათა; ქართლოსისა და მისი ზუთი ძისა; ათი საერისთაოსი მეფე ფარნაოზიდან ბაგრატიონებამდე; საქართველოს ცალკეული მხარეებისა და — ნეხუთე რუკა—ქართლოსის წილისა, რომელი წილად ზედათ ძეთა მისთა გაჩის და გარდაბანს.

ამ ატლასში განსაკუთრებით დეტალურად წარმოდგენილია ქართლი. ამ მხარეს დათმობილი აქვს 7 რუკა, რომელთაგან ერთი ასახავს ქართლს მთლიანად, დანარჩენები კი მის სხვადასხვა ნაწილს. აფხაზეთი, იმერეთი, ოდიში და გურია წარმოდგენილია სამ რუკაზე. კახეთი, ოსეთი და სამცხე-საათაბაგო—თითო რუკაზე.

ატლასის ორ ცალკე ფურცელზე მოყვანილია გენეალოგიური ტაბულები: საქართველოს ტომობრივი ჩამომავლობა და ბაგრატიონთ ნათესავე-ჩამომავლობა.

როგორც თვით ვახუშტი აღნიშნავს თავისი რუკების სათაურებში, მას მოუხაზავს საქართველოს ამ ატლასის რუკები „ახალს პოვნილს მენაკთა ზედა უფლისა ფელეს მიერსა“. ამ ატლასის რუკების საფუძველს კონუსური პროექცია წარმოადგენს. რუკების ჩარჩო დაყოფილია გრადუსებად (მენაკებად), და გრადუსები წარწერილია რიცხვებით. გრადუსთა მანძილები დანაწევრებულია 12 ნაწილად, რომელთაგან თითო დაყოფილია კიდევ უფრო წვრილ 5 ნაწილაკად, ე. ი. გრადუსი დაყოფილია 60 ნაწილად, ე. ი. მინუტებად. მერიდიანების აღნიშვნებშიაც არის განსხვავებანი 1735 წლის ატლასთან შედარებით და ამ უამარ მიღებულ აღნიშვნებთან. ხაზოვანი მასშტაბები ახაზულია რუკების ფურცლებზე შიგნით, ჩარჩოსგან დამოუკიდებლად, და შეიცავს შემდეგ მონაცემებს: „ეჟი ანუ აღაჯი ანუ ფარსანჯი. 17 და ნახევარი ერთი მენაკი არის.

ვერსთი რუსული. 105 ვერსთი ერთი მენაკი არის.

მილი ნემეცკისა 15 ერთი მენაკი არის“.

მაშასადამე ამ ატლასის რუკების კარტოგრაფიული საფუძველი ვახუშტის შეუცვლია, გრადუსები დაუყვია მინუტებად და ხაზოვან მასშტაბებშიც შეუტანია შესწორებები.

ამ მეორე ატლასის შედგენისას ვახუშტის უკვე კავშირი უნდა ჰქონოდა ფრანგ ასტრონომ და გეოგრაფ დელილთან (Joseph Nicolas De L'Isle 1688—1763), რომელიც მოწვეული იყო 1727 წელს რუსეთში და მეცნიერებათა აკადემიაში ოცი წელი დაჰყო ასტრონომად, 1739 წელს დაარსებულ გეოგრაფიულ დეპარტამენტს განაგებდა და იყო ფუძემდებელი რუსეთის გეოგრაფიული ატლასისა, რომელიც აკადემიამ გამოსცა 1745 წელს. მხოლოდ გაუგებარია, რომ ვახუშტიმ არ ისარგებლა დელილის მიერ შედგენილი პროექციით, რომელიც ედებოდა საფუძველად რუსეთის გენერალური რუკის გეოგრაფიულ ბაღეს.

ეს ატლასი საქართველოს სამეფოს აღწერასთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირს გამოხატავს, ვიდრე 1735 წლის ატლასი. რუკის დამუშავების კარტოგრაფიული წესები იგივეა, როგორც პირველ ატლასში: რუკის სათაურის შესაზამისი ნაწილი შეფერადებულია, მხარის ცალკეული ნაწილები, აღწერაში გამო-

ყოფილი, შეფერადებულია განსხვავებული საღებავებით; მხარეებისა და მათი შემადგენელი ნაწილების სახელწოდებათა წარწერებიც განსხვავებულია შრიფტების ზომითა და ხასიათით; რუკებზე მოყვანილია პირობითი ნიშნები და მოცემულია მათი ახსნა.

იახუშტის მესამე ატლასი, რომლის 8 ფურცელი ფოტომონაბეჭდების სახით საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების არქივში იმყოფება, შედგენილია რუსული წარწერებით. ამ ატლასის 8 რუკაში წარმოდგენილია: 1. საქართველოს დაყოფა უძველეს დროს, 2 ქართლოსის სამფლობელო, 3. საქართველოს სამეფოს მთავარი მხარეები, 4. ქართლი—სადროშოებად დაყოფით, 5. შიდა ქართლი, სადაც რუსულ წარწერებთან ერთად მოყვანილია ქართულიც, 6. იმერეთი ეგრისით და აფხაზეთით, 7. კახეთი და 8. სამცხე კლარჯეთით.

ამ ატლასის რუკების საფუძვლად ვახუშტის აღებული აქვს ფელეს გრადუსთა ბადე. რუკებზე მოყვანილია ხაზოვანი მასშტაბები, რომლებშიც ერთი გრადუსი უდრის 17 ქართულ ეგს ან სპარსულ ფარსანგს, რუსულ 105 ვერსტს და 15 გერმანულ მილს.

ამ მესამე ატლასის აღნიშნული ფურცლები მეორე ატლასისას ემსგავსება და ესენიც ვახუშტის უნდა შეედგინა დაახლოებით იმავე პერიოდში, როგორც მეორე ატლასი, და ამ ატლასის შედგენა რუსულ ენაზე, ალბათ, გამოწვეული იყო დელილთან და რუსეთის 1745 წლის გენერალური ატლასის გამოცემასთან კავშირით. რუსულ კარტოგრაფიას ამ პერიოდში საფუძველი ეყრებოდა, და გეოგრაფიული შესწავლაც რუსეთის მეზობელი ქვეყნებისა მოითხოვდა ახალს, უფრო სანდო და ზუსტ ცნობებს საქართველოსა და კავკასის შესახებ.

დელილი ვახუშტისაგან დებულობს საქართველოს რუკებს, რომლებითაც იგი სარგებლობს კავკასის რუკების დასამუშავებლად, აგრეთვე საქართველოს გენერალური რუკის შესადგენად; ეს უკანასკნელი გამოცემული იყო მხოლოდ 1766 წელს, პარიზში.

ამასთანავე ვახუშტის ყველა რუკის ასლები იყო გადაღებული, გადათარგმნილი რუსულ ენაზე გეოგრაფიულ ბიუროში, და ამ უამად ინახება სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერი წიგნის განყოფილებაში (11).

ვახუშტის კარტოგრაფიული შრომები, ამის გარდა, მრავალმხრივია საყოფადღებო. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ბევრ დაწინაურებულ ქვეყანასაც არ გააჩნდა ასეთი გეოგრაფიული ატლასები, და ამიტომ ვახუშტის შრომები წარმოადგენს თავისი ეპოქისათვის იშვიათ კარტოგრაფიულ ნაწარმოებს. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ასეთი ატლასები შედგენილი იყო ვახუშტის მიერ შედარებით პატარა ქვეყნისათვის.

ვახუშტის კარტოგრაფიული შრომები ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ამ შრომების შინაარსის პირდაპირი და მჭიდრო კავშირი გეოგრაფიულ აღწერილობასთან; ამ კარტოგრაფიული შრომების გეგმიანი ხასიათი, რის გამოც ვახუშტის რუკებს ერთობლივი ატლასის სახე ეძლევა და უპასუხებს აღწერილობის გეგმიანობას; ამ კარტოგრაფიულ შრომებში ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემები დაკავში-

რებულია სამხედრო-პოლიტიკურ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებთან, ესენი იძლევიან თვალსაჩინო წარმოდგენას გეოგრაფიული ობიექტებისა და მოვლენების სივრცითი განლაგების შესახებ; საქართველოს გეოგრაფიულ პირობათა და მისი მცხოვრებლების შრომა-საქმიანობის შემსწავლელთ ეძლეოდათ შესაძლებლობა მოკლედ თვალის გადავლებით გაცნობოდნენ იმ გეოგრაფიულ გარემოს მრავალფეროვნებას და იმ სამხედრო-პოლიტიკურ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, რომელსაც საქართველოს თითოეული მხარე წარმოადგენდა; ამ რუკებს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა დიდხანს ჰქონდა შენარჩუნებული, და რუსეთის სამხედრო უწყება იყენებდა მათ XIX საუკუნეში. მეორე ნახევრამდეც, სანამ სამხედრო ტოპოგრაფიულმა ნაწილმა არ გამოსცა პირველად თავისი რუკები (12). ვახუშტის მიერ რუკების შედგენა ხელი შეუწყო აგრეთვე საქართველოს შესახებ უფრო სანდო და სწორ კარტოგრაფიულ წარმოდგენათა გავრცელებას როგორც რუსეთში, აგრეთვე დასავლეთ ევროპაში. საყურადღებოა კიდევ ის, რომ ვახუშტის ატლასებში, როგორც თვით აღწერილობაში, თავმოყრილი დიდძალი გეოგრაფიული ნომენკლატურა გაადვილებულია, რაც მათი შემდგომი ცვლილებების შესწავლის თვალსაზრისით ფასდაუდებელია.

ვახუშტის კარტოგრაფიული შრომები ამასთანავე აღძრავს საკითხს მათ წარმომქმნელ პირობებსა და წყაროებზე, რის შესახებაც ჯერჯერობით არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები. საქართველოს გეოგრაფიული ატლასების შესადგენად ვახუშტის ხელთ უნდა ჰქონოდა დიდძალი კარტოგრაფიული მასალა, რომლის მოპოვება უნდა წარმოებულყო თვით საქართველოში, დიდი ხნის განმავლობაში და გარკვეული გეგმით. კარტოგრაფიული შრომების მოზნოვნილება შეიძლებოდა მხოლოდ მმართველ წრეებში გაჩენილიყო, და ამ შრომებთან დაკავშირებული სამუშაოების, კერძოდ აგეგმვის, ორგანიზაციაც, რასაკვირველია, სამეფოს რომელიმე დაწესებულებას უნდა მოეწყო. მაშასადამე, აუცილებლად უნდა მივიღოთ, რომ საქართველოს სამეფოს ასეთი დაწესებულება ჰქონდა მოწყობილი და მისი ხანგრძლივი მუშაობის შედეგები უნდა გამოეყენებინა ვახუშტის, ეს კი მოწმობს საქართველოს იმ მაღალ სახელმწიფოებრივ განვითარებას, რომლისათვის საჭირო ხდება, სახელმწიფოს თავდაცვისა და მართვა-გამგეობისთვის, დაწვრილებითი გეოგრაფიული აღწერილობანი და ატლასები.

საბოლოოდ ვახუშტის გეოგრაფიული შრომების მნიშვნელობა შეიძლება მოკლედ შევაფასოთ სამეცნიერო და საზოგადოებრივი მხრივ.

მათი სამეცნიერო მნიშვნელობა საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს შრომები წარმოადგენს იშვიათ ნიმუშს XVIII საუკუნეში პირველ ნახევარში ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერილობისას, ნიმუშს ქვეყანათმცოდნეობის ხასიათის შრომისას, რომელიც აგებულია გარკვეული ერთიანი მეცნიერული თვალსაზრისით,—გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ვახუშტის ეს გეოგრაფიული თვალსაზრისი გამოიხატება:

—აღწერის გეოგრაფიულ ერთიანობასა და მთლიანობაში, რომლის მეოხებით აღწერის ობიექტები და მოვლენები წარმოგვიდგება ბუნებრივი, ცოცხალი, ნამდვილი სახით,

—აღწერის გეოგრაფიულ გეგმიანობასა და თანამიმდევრობაში, რომლის მეოხებით ქვეყნის მთლიან დახასიათებას მისდევს უფრო დაწვრილებითი დახასიათება მისი შემადგენელი მთავარი მხარეებისა, ამ უკანასკნელებს კი კიდევ უფრო მცირე ნაწილების დეტალური დახასიათება; აღწერილობის დეტალიზაციისას ხაზი ესმის ტიპიურს—დამახასიათებელს,

—აღწერის დაკავშირებაში კარტოგრაფიულ ასახვასთან, ე. ი. გეოგრაფიული ობიექტებისა და მოვლენების სივრცით განლაგებასთან.

ვახუშტის გეოგრაფიული შრომების მეცნიერული მნიშვნელობის გამომხატველია, მეორე მხრივ:

—გეოგრაფიული ობიექტებისა და მოვლენების განხილვა არა მარტო თავისთავად, როგორც ბუნებრივი ობიექტებისა და მოვლენებისა, არამედ მათი პრაქტიკული, გამოყენებითი მნიშვნელობის თვალსაზრისითაც, მათი საწარმოო მნიშვნელობისა, დამახასიათებელი მეურნეობითი მიმართულების აღნიშვნით.

—განხილვა მოსახლეობის შრომა-საქმიანობისა, „ქმნულებებისა“ და „შენა შენებულებათა“ სამხედრო-პოლიტიკურ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტში, რის გამოც ფიზიკურ-გეოგრაფიული და სოციალ-ეკონომიური დახასიათებანი ერთმანეთს ერთვის და ქვეყნის ბუნებრივი გარემოსა და მოსახლეობის შრომა-საქმიანობის სრულ დახასიათებას იძლევა.

ვახუშტის შრომის დიდ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ავტორის მხრივ დაკვირვების განსაკუთრებული უნარი და დაკვირვებულისა და დახასიათებათა გამოსახვა მოკლედ, მოსწრებულად და ზედგამოჭრილად.

ვახუშტის შრომებს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიაში და მათ ამ უამადაც არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული მნიშვნელობა გეოგრაფიულ პირობათა განვლილ პერიოდში ცვლილების შესწავლის საქმეში.

ვახუშტის გეოგრაფიული შრომების საზოგადოებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

—ეს შრომები თავიანთი დაწვრილებითი, მრავალმხრივი, სრული და მეტად საინტერესო აღწერილობებითა და კარტოგრაფიული ასახვით აჯამებდა საქართველოს სამეფოსა და მოსაზღვრე ქვეყნების იმდროინდელ მეცნიერულ გეოგრაფიულ ცოდნას;

—ჰქმნიდა შესაძლებლობას გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შეფასებისათვის სამხედრო-თავდაცვით, სამეურნეო-გამოყენებით და მართავ-გამგებლობის ამოცანებთან დაკავშირებით;

—ხელს უწყობდა სწორი წარმოდგენის გავრცელებას საქართველოს ბუნებასა და მის მცხოვრებლებზე როგორც თვით საქართველოში, აგრეთვე მის გარეშე;

—ახსიათებს რა XVIII საუკ. საქართველოს კულტურული ცხოვრების მაღალ დონეს, ეს შრომები წარმოადგენს ქართველი ხალხის ძვირფას კულტურულ მემკვიდრეობას;

—ისინი აღძრავენ მთელ რიგ საკვლევ საკითხებს საქართველოს კულტურის განვითარების გასაშუქებლად.

ლიტერატურა

1. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში: აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გიგი თუმანიშვილის მიერ 1721 წელსა.
2. ლეონარდოელი აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-გან. (რუკებით ფრანგულ ენაზე).
Description géographique de la Géorgie par Tsarévitch Wakhoucht, publiée par M. Brosset. S.—Pétersbourg, a la typographie de l'Académie. 1842.
3. ვახუშტი ი. ცხოვრება ქართლის, შემდგომად განუადისა 1201—1755 წ.წ. ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა. ცხოვრება სამცხე კლარჯეთისა. ცხოვრება ეგრისსა აფხაზეთისა. ცხოვრება იმერეთისა.
„ქართლის ცხოვრება“. ნაწილი მეორე. დ. ჩუბინაშვილის წინასიტყვაობით. სანკტპეტერბურღს მეცნ. აკადემიის მიერ 184 წ. გვ. 1—258.
4. ვახუშტი ი. საქართველოს ისტორია. დ. ხ. ბაქრაძის მიერ განპარტებული და შეესებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით, ნაწილი პირველი. ტფილისი, 1865.
5. ვახუშტი ბატონიშვილი ი. საქართველოს გეოგრაფია. ავტორის ხელნაწერის დედნით. რედ. მ. გ. ჯანაშვილისა. სტატიით „ვახუშტი და მისი შრომა“. ტფილისი, 1904.
Вахушти царевич. География Грузии. Введение, перевод и примечания М. Г. Джанашивили.
„Записки Кавказск. Отд. Русск. Географ. Общ-ва“, кн. XXIV, вып. 5. Тифлис 1904.
6. ვახუშტი ი. ქართლის ცხოვრება. ნაწილი პირველი. 1469 წლამდის. ხელშეწოდებულ დაბეჭდილი ნიკო მარის მიერ. პეტროპოლისი 1923.
7. ვახუშტი ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. საქართველოს გეოგრაფიული საწოგადოების გამოცემა. თბილისი, 1941 წ.
8. ვახუშტი ბატონიშვილი და გიორგი დამბარაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი, მიღებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1838 წელს: Vocabulaire russe-georgien assez étendu, par le diacze Giorgi Ghambarachwili et par ordre de Tsarévitch Wakhoucht (Das Asiat. Museum d. kais. Acad. der Wissench. St.-Petersburg. 1846.)
9. ივ. ჯავახიშვილი ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. V—XVIII სს. მეორე—მესამე შეესებული გამოცემა. თბილისი, 1945. „ბატონიშვილი ვახუშტი“, გვ. 328—351.
10. А. С. Хаканов. Очерки по истории грузинской словесности. Вып. 3—д. Москва, 1901 г. „Исторические труды XVII—XVIII в.в. Вахушти“, стр. 287—292.
11. В. Ф. Гнучева, Географический департамент Академии Наук XVIII века.
„Труды Архива Акад. Наук СССР“, вып. 6, 1946, стр. 25, Прил. II, № 25—32.
12. И. О. Стебницкий. Картографическое обозрение Кавказа и Закавказья.
„Труды 3-го съезда ориенталистов“, СПб., 1877, стр. 363.

ი. ზიზლამი

განუშტის მორფოგრაფიულ ცნებათა საკითხისათვის

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ამ მცირე ნარკვევში გავაშუქოთ მხოლოდ ზოგიერთი საკითხი ვახუშტის მიერ საქართველოს რელიეფის დახასიათების დროს გამოყენებულ მორფოგრაფიულ ცნებებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ყოველი ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებაში რელიეფის აღწერას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. სწორედ ამასვე ვხედავთ ჩვენი დიდი მკვლევარის შრომაშიც. ვახუშტი თავისი შრომის შესავალ ნაწილში, საქართველოს რელიეფის ზოგადი კონტურების მოხაზვის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის რელიეფის საკმაოდ ზუსტ აღწერილობას გვაძლევს შემდეგ ძირითად თავებში: „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა მას შინა შენებულებითა“; „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“; „აღწერა აწინდელისა ოცსეთისა, ანუ კავკასიათა შინათა“; „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“ და „აღწერა ეგრისის ქვეყნისა ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. ჩამოთვლილი მხარეების, საქართველოს იმდროინდელი პროვინციების, აღწერას ავტორი იძლევა ან ხეობების, ან ცალკეული მხარეებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ გარკვეულ სამთავროებს, საერისთავოებსა, სასპასპეტოებსა და სადროშოების ფარგლებში.

ვახუშტის მიერ გამოყენებული მორფოგრაფიული ცნებების განხილვას ვიძლევეთ რელიეფის ფორმათა მსხვილი კატეგორიების მიხედვით (ვაკე, გორაკ-ბორცვიანი, მთიანი რელიეფი და ა. შ.).

ვაკეები და მსგავსი კატეგორიის რელიეფის ფორმები, ბუნებრივია, ვახუშტის შრომაში გვხვდება საქართველოს ვაკეთა მხარის, ანუ ბარის გავრცელების ზონში და ნაწილობრივ საქართველოს სამხრეთ მთიანეთში (აკად. ა. ჯავახიშვილის ნომენკლატურით). აღსანიშნავია, რომ ვახუშტის, გარდა ცნება „ვაკისა“, მის სინონიმებად ხმარებული აქვს ისეთი გეობოტანიკური ცნებებიც, როგორცაა: ჭალა, ველი, მინდორი. ვაკე ადგილების მორფოგრაფიულ ცნებათა საილუსტრაციოდ ვახუშტის შრომიდან მოგვყავს შემდეგი ადგილები: „ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი“ (ვახუშტი, გვ. 34). „არამედ ლორეს ზეთ და ლქის სამხრით, ვიდრე დებედამდე და არჯანის მთამდე, ეწოდების ამ ადგილს ტაშირი სივაკისათვის“ (გვ. 37). „ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი, აწყაიყულად წოდებული, გარმოხვეული სრულიად მთათა და შუაში ვაკე, და მთის კერძად გორიანი“ (გვ. 38). ეს უკანასკნელი მაგალითი მაღალ მთიანეთის ვაკის მშვენიერ ნიმუშს იძლევა. შემდეგ: „მტკერის კიდეზედ არს ჭალა

ყურყურტა, და აწსონ და ლუდი წოდვილი, ნაყოფიერი ყოვლითავე. ამ ქალიდამ იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწწოდებული სარვანისა... უწყლობით უნაყოფო“ (გვ. 48), „ნაგებობის აღმოსავლეთით და სამხრით არს ველი დიდი ყარაიისა... ხოლო მტკვრის კიდეთა ქალა დიდი...“ (გვ. 50), ტფილისის ჩილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი... მის სამხრით არს ველი საბურთალისა (გვ. 54), „...სამხრით არს ველი დიდი დიდი-მისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი...“ (გვ. 56), „ტფილისი დამ გორამდე მტკვრის კიდე აქა და იქით არს ქალიანი, კლდიანი“ (გვ. 59), „აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადაცა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე, ვიდრე ტბის-ყურამდე, ადვილსა ვაკესა და შვენიერსა“ (გვ. 60). „ადგილი ტურფა, ქალიან-მინდვრიანი“ (გვ. 75), „ხოლო იორს არარაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ ხევი საგარეჯომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი“ (გვ. 89). „ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამხრით არს სამგორის ველი და ჩადივარი და სამგორს უწოდებენ სამის გორისათვის, რომელი არს ველსა სწორესა ზედა“ (გვ. 95). „და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე“ (გვ. 98). „ხოლო კვალად გოკიის-წყლის შესართავის, ჭავახეთის მტკვრის სამხრით, მაღლა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარწახისა“ (გვ. 129), „ამ წუნას ზეით, ხრამის თავს, მინდორზედ, სამხრით კერძოთ, არს კუმურდოს ეკლესია“ (გვ. 130).

ეს უკანასკნელი ორი მაგალითი მოყვანილია ჭავახეთიდან (ახალქალაქის ვაკე). შემდეგ: „ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო... ვითარცა ჭავახეთი, და მთანიც უტყეონი“ (გვ. 132).

დასასრულს მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი დასავლეთ საქართველოდან. ამ მხრივ ყურადღებას იძყრობს იმერეთის ერთ-ერთი ნაწილის ვაკის დახასიათება. „ვაკის საზღვრისათვის: ხოლო საჩიჯავაძოს-სალომინაოს რიონის ვაღმით, სამხრეთით არს ვაკე, და ისახელების მათ ადგილთა სივაკისათვის, და ამას მზღვრის: აღმოსავლით წყალ-წითელა ყვირილიდამ კვახჭირის მთამდე. სამხრით მზღვრის ყვირილა და რიონი; დასავლით ცხენის-წყალი და ცხენის-წყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე; ჩილოთ კვახჭირის მთიდამ წარსრული ხაზი დასავლით, კახნიაურს ქვეით, ირიბად, ქუთაისის დასავლით, და მაღლარის და ოფიშყვეთის აღმოსავლით, და გუბის-წყლის სათავის გორაებზედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენის-წყლამდე. და არს სამ-კუთხედ ადგილი ესე“ (გვ. 164), „ხოლო ამ ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წამოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი. ამას უწოდებენ უნაჯირას. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად... და არს ქვეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“ (გვ. 167), „ამავ მდინარის ჩრდილოთ კერძოთ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი“ (გვ. 167), „კვალად ქვეყანა ესე არს ფრიად ტყიანი, მთით ბარამდე, და მცირე ველოვანი. მდინარეთა კიდენი ქალოვანი და ვაკეთა

აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი და ფრიად წვიმიანი“ (ოდი-შისათვის გვ. 170).

მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს, თუ როდენ სწორად აქვს წარმოდგენილი ავტორის ვაკის ცნება და როდენ მართებულად იყენებს იგი მას შესაბამისი ადგილების დახასიათებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შრომაში კერსად ვერ ვხვდებით ცნება „ტრამალს“, რასაც ს.-ს. ორბელიანი განსაზღვრავს როგორც ვრცელსა და ვრცელს ნაყოფიერ მინდორ-ვაკეს. არ გვხვდება აგრეთვე ზედაპირის დახრილობის გამომხატველი ისეთი ცნებები, როგორიც არის: ამრეცი, შემრეცი და სხვ. (ს. ს. ორბელიანი, გვ. 25). როგორც ჩანს, „დაბლობის“ ცნება შედარებით გვიანი წარმოშობისაა. იგი არ გვხვდება არც ვახუშტის და არც სულხან-საბა ორბელიანის შრომებში. სამუშაოა, რომ აღწერის ტექსტის შედგენის თავისებურმა წყობამ ავტორს არ მისცა შესაძლებლობა მთლიანად მოეცა ვაკეების ისეთი მსხვილი მორფოლოგიური ერთეულების დახასიათება, როგორიცაა: ქართლის ვაკე, კახეთის ვაკე, ახალქალაქის ვაკე, კოლხეთის (რიონის) დაბლობი და სხვ.

ცნება ბარი,—ს. ს. ორბელიანით „ცხელი ქვეყანა“ (გვ. 35), ვახუშტის მოყვანილი აქვს მხოლოდ რამდენიმეგან, როგორც მთიანი მხარისადმი დაპირისპირებულ ადგილთა განმსაზღვრელი ზოგადი ცნება, მაგ.: მე-31 გვერდზე ვკითხულობთ: „ხოლო არს შემკობილი მთითა და ბართთა რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ, რამეთუ, ბ, გ, ვ, ჟამს მთიდან ბარს და ბარიდან მთას არა მიიწეოდეს. არამედ მთათა ხორბალი, ქრთილი, შვრია, სელი და ხილნი, რომელნი დავსწერეთ, მთისანი ნაყოფიერებს და სხვანი არარაი, ხოლო ბართა ყოველივე ზეითწერილნი“. შემდეგ მე-60 გვერდზე: „ხოლო არს სასპასპეტო ესე შემკული მთითა, ბართთა“. დასასრულს, ერთი ციტატი შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ: „ხოლო როდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით—მთათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი—საქართველოსანი, გარნა თუ აქეთ ზოგთა ენა სხვა, თვისნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქვს, თვინიერ ქართლისა წიგნისა საკუთრად“ (გვ. 176). აქედან ნათელია, რომ ბარად ავტორს მართებულად მიაჩნია ჩვენი ტერიტორიის ის ზოლი, თავისებური დებრესია, რომელიც მოქცეულია კავკასიონსა და სამხრეთ მთიანეთს შორის და მორფოგრაფიულად შედარებით მარტივ კომპლექსს წარმოადგენს.

ვახუშტი მკაფიოდ ასხვავებს საქართველოს მთიან რელიეფში ორ მთავარ ნაწილს. საქართველოს სამეფოს საერთო აღწერაში იგი გამოყოფს ცალკე თავს „მთათათვის“, სადაც წერს:

„კვალად არიან მთანი ღიდროვანნი, რამეთუ ჩდილოთ უძეს კავკასი შავის ზღვიდან ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არს კლ მხარი, და ჟამსა ზაფხულისასა გასქდების და, თუ შთაუტეო კაცი, მცი-რეს ჟამს ვერ ძალუძს და თვენად სიცივისა; და ქვეშე მისსა დის მდინარენი, და არს ყინული მწეანე და წითელი, ვითარცა კლდე, სიძველის გამო. ხოლო

დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი, და შორის მთისა აქის სცხოვრებენ კაცნი. სხვა არს მთა სამხრით, რომელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის აზრუმს, ბასიანს და მოვალს ბარდა-არაზამდე, და არა ეგრე მყინვარე და მალალი, არამედ თოვლნი მარადის აუღებლად, გარნა აღ-გალ-ადვილს. და ეგრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კვალად არიან საშორის მთასა მთანი დიდროვანნი და მცირენი, და კლდენი საშინელნი და შვენიერებით აღმატებულნი, არამედ თვისთვის ადვილს იწეროდენ“ (გვ. 30-31).

უფრო მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ვახუშტის შრომაში რელიეფის დადებითი ფორმების ამსახველი ცნებები, რასაც ავტორი მოხერხებულად იყენებს მეტად რთული რელიეფის მქონე ადგილების დასახასიათებლად. უდავოდ ყურადღებას იპყრობს მთიან მხარეთა აღწერის მეტად ლაკონური სტილი. ორიოდ წინადადებით ავტორი თითქმის ამომწურავად ასახავს აღწერილი მხარის სახეს, ალავ-ალავ მიმართავს დახასიათების დაპირისპირებისა და ანალოგობის ხერხებს, ზოგან საკუთარ სახელწოდებათა წარმოშობის საკითხებსაც არ ივიწყებს, მართალია, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ცდილობს დამახასიათებელ ბუნებრივ მოვლენებისადმი მიიპყროს მკითხველის ყურადღება და ა. შ. ამ აზრის დასაბუთებლად საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ადგილის მოყვანა ავტორის შრომიდან:

„რამეთუ არა არიან ბორცენი ანუ მალალნი გორანი“ (გვ. 28), „... მალალსა გორასა ზედა ნაშენი“ (გვ. 47), „ხუნანის ჩილით კერძოთ ერთვის მტკვარს დასავლეთიდან მდინარე ალგეთი; გამოსდის კლდე-კარს და მოდის აღმოსავლეთად. ხოლო იმზღვრების მდინარე ესე: აღმოსავლით მტკვარით, სამხრით ლომთა-გორით და აწ მარნეულის გორის აღმოსავლეთად გულთაფამდე. დასავლით ამისივე გორის წარსული, წრაუთის თავამდე. მიწვენილი სამებამდე, და მისრული ბენდერის მთამდე, და ბენდერი-ლაკვის გორამდე; ჩილით გორა კუმისისა, მტკვრიდამ მიყოლით კოქრამდე, განვლის სამადლოს და სხალნარს, მიადგების დიდგორს, და მერმე მთა დიდგორი და ერიქალისა, და მიადგების კლდე-კარს; დასავლით კლდე-კარის გამოკიდებული ლაკვის გორა, მიდგმით ბენდერისა“ (გვ. 46). ამ ციტატაში ყურადღებას იპყრობს „გორების“ გავრცელებისა და მიმართულების გამომხატველი მეტად მოხდენილი სიტყვები: „წარსული“, „მიწვენილი“, „მისრული“, „მიყოლით“, „განვლის“, „მიადგების“, „გამოკიდებული“, „მიდგმით“.

აქვე ზედმეტი არ აქნება აღვნიშნოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანით ბორცი იგივე გორაა (გვ. 43). როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ავტორი მხოლოდ ერთს ადგილას იყენებს ბორცვის ცნებას, ცხადია, იგივე ბორცვსა და გორას აიგივეს. ვახუშტის გორები კი თანამედროვე ნომენკლატურით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბორცვად ჩაითვალოს. ტექსტში მოცემული გორები ან კარგა მოზრდილი მაღლობებია, ან სერები და ზოგ შემთხვევაში ქედებიც კი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ვახუშტი არსად არ ხმარობს ცნება „სერს“, მხოლოდ ორ ადგილას გვხვდება ასეთი

წინადადებები: „ხოლო ტაშის-კარის სამხრით ჩამოვალს დასავლეთიდან მთა ნახვისი ცხვირ-ცხვირად, და აღმოსავლეთიდან ყერძენის მთის წვერი, და მოავიწროვებს მტკვარს კლდითა“ (გვ. 83) და „ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლიდან და აღმოსავლეთიდან ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანსა კლდითა“ (გვ. 68). ს. ს. ორბელიანიც ცხვირი ეწოდება სერსერ ჩამოზევას (სერსერი ჩამოზეული, გვ. 423).

ახლა განვიხილოთ საკუთრივ მთიანი მხარეების დახასიათების დროს ხმარებული ცნებები.

ვახუშტი ყველგან მკაფიოდ გამოყოფს მაღლობის ძირითად ელემენტებს: ძირს, კალთას და თხემს. დახასიათებისათვის მოგვყავს შემდეგი ადგილები: „სომხითისა, ერევნისა და ამისი გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, კალთათა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დასავლით არტანამდე“ (გვ. 35), „ხოლო განჰყოფს ამ ადგილთა და ბერდუჯის მდინარეს მთა ლეღვარი, რომელი მდებარეობს აღმოსავლეთიდან დასავლეთად, და ამის მთისგანვე გამოსული მცირე მთა, ჩდილოთკენ მდებარე ბოლნისისა. ხოლო ლეღვარი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი“ (გვ. 37), „ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი, აწ ყაიყულად წოდებული, გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, და მთის კერძად გორიანი“ (გვ. 38), „არამედ არს მთა ესე მაღალი და ვრცელი, ჩდილოდამ სამხრით და მდებარეობს მარადის თოვლი“ (გვ. 40), „საყალტუთნის დასავლით არს იაღლუჯის მთა უტყეო და უწყალო“ (გვ. 48). „და ნახვისი დგას მაღალს მთასა ზედა... და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო... მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი“ (გვ. 57), „სარბიელას-ხევის თავს, მაღალს მთის წვერზედ, არს ციხე ალექსისა, მაგარი და მკვერტი ქართლიმერეთისა“ (გვ. 59-60), „ქსანს იქით, ასტყდების მთა თხოთისა... ამ მთის მობმით მთა წლევისა წარვალს გორამდე“ (გვ. 63), „...ხოლო ამ ხევის სამხრით, მახსილად, წარივლის მთა ტყიანი და ნადირიანი ორბოძლის მთამდე. ხოლო ორბოძალი არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი“ (გვ. 70). „ლიახვის ვაღმა, აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ასტყდების მთა ტყიანი, და ეს მთა მიჰყვების ჩდილოთკენ მშხლემამდე“ (გვ. 76), „კვალად სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩდილოთ, და სადაცა მოდრკების ლიახვი, მოდრკების მთა ესეცა და წარივლის აღმოსავლით, და მიადგების გერის მთასა“ (გვ. 77). „და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გონბორი, შუამთა და ცივი. არამედ მთა კუხეთისა ანუ აწ ზედაძნისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას, და მთა ზედაძნისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კვერნაქადცა უწოდებენ, თვინიერ განკვეთისა არაგვისაგან. ამისთვის უწოდებენ გონბორის მთასაცა ქისიყამდე კვერნაქად“ (გვ. 87), „ორნი ესე მთანი პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული ამისათვის, რამეთუ, თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი“ (გვ. 93).

მოქვეყნებული ციტატები ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ მრავალფეროვან ცნებებს ხმარობს ავტორი მთიანი ლანდშაფტის სისრულით დახასიათებისათვის.

დასასრულს მოვიყვანთ ადგილებს კავკასიონის, ვახუშტით კავკასის (კავკასიის) ცალკეული ნაწილების დახასიათებიდან. „ხოლო არს მთანი და ტყენი აურაცხელითა ყვავილითა, მწვანითა და სურნელითა აღსავსე, ტყენი სხვადასხვა ხითა შვენიერთა ჭალათა და მთათა შინა. კვალად არიან მთანი დიდროვანი, რამეთუ ჩდილოთ უძეს კავკასი შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის ძყინვარე უძაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულის არს კ-ლ მხარი... ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი, და შორის მთისა ამისა სცხოვრობენ კაცი“ (გვ. 30), „მის ზეით ერთის ხევი გუდამაყრისა არავცს ჩდილოდამ; გამოსდის კავკასს გუდამაყრისა, ხევსა და ძურძუქს შორისსა. და არს გუდამაყრის ხეობა მაგარი, მოსავლით, ვითარცა სხვა მთის ალაგნი და უფრო მწირი“ (გვ. 65), „ხოლო მთიულეთის ჩდილოთ არს ხევი. გარდავალს გზა ხევს, ხადის დასავლეთიდან, კავკასსა ზედა. არამედ არს-დაბალი და უტყეო. ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა; ზაფხულ არს ბალახნი, ყვავილიანი. ამას უწოდებენ ყელს“ (გვ. 66). „და არს ხეობა ესე მოზღუდვილ კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავკასთა და მარადის ყინულით შეკვერცხილი... აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი... სამხრით აქუს კვალად კავკასი, და განყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთ და ხევს. ხოლო ჩასავალს ქვეით არს ჩდილოთ კერძ. არავცის დასავლით ციხე არსი, თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილ კლდითავე და შეუალი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა“ (გვ. 67).

„ხოლო ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხო მტერთაგან მადლის მყინვარისა და თოვლიანის მთის მიერ, რომლისა ყინულის სიმაღლე არს კ და ლ მხარი ზაფხულის, კვალად სივიწროვისაგან და მადლის კლდის ქარაფოვანთგან, და მდინარეთა დიდთა და ჩქართა მომდინარეთაგან, რამეთუ ძნიად განვალს ცხენი ფონად, თვინიერ ხიდისა, არამედ მცურავთაგანაცა არა ძალიდების ცურვად. არა არს აქა ტყე, მცირეთაგან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი, ვარნა მდინარეთა კიდეთა და დელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვესიცივიანა და კლდოვანობის გამო ვერ იზრდების...“

„ხოლო სვანეთი იმზღვრების ყოველთგან კავკასიის მით, და არს რაჭა-ლეჩხუმის ჩდილოთ და ოდიშის აღმოსავლით. და მზღვრის სვანეთს: აღმოსავლეთით სვანეთსა და ბასიანს შორისისი კავკასია; ჩდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქესა და ამას სვანეთს შორისი კავკასია; დასავლით სვანეთსა და ოდიშს შორის კავკასი და ალანის საღვარი“ (გვ. 172). „სიგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდან ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, და განით რაჭა-ლეჩხუმის კავკასის თხემიდან ჩერქეზის კავკასის თხემამდე, და რაჭისაკენ ვიწროთ,

ხოლო ლეჯხუმისაკენ განიერი, და მას ქვეით, ოდიშის კერძოდ, უმეტეს განიერი“ (გვ. 172).

„ხოლო კავკასნი, რომელი აღვსწერეთ ამ ადგილებთა შინა კედელის კავკასის მთიდან, ვიდრე ჩქეთამდე, არიან ეგრეთვე მყინვარენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი სიმაღლით მყინვარებით და ყოვლითურით“ (გვ. 174). როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ავტორი კავკასს განიხილავს როგორც ერთიან მთიან სისტემას. არსად ვახუშტი არ სარგებლობს „ქედის“ ცნებით. ს.-ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში ქედს უწოდებს „გორათა გარდასაჭურეტს“ (გვ. 366), მხოლოდ ერთს ადგილას ვკითხულობთ რაჰის ქედის შესახებ: „და მთასა ამასა საერთოდ უწოდებენ მთას, ხოლო განყოფილ დღნორს ზეით წმიდის გიორგისას, მერმე ვაჭრილს, ნაქერალას, ველევს, სალორეს, ვარჯილას, ნაჯინურევს, საწალიკეს და კეცებს“ (გვ. 161).

ამგვარად, ვახუშტის აღწერაში მოყვანილი ცნება „მთა“ ხშირ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც ცნება „ქედის“ ანალოგი. კავკასის მოხდენილი დაყოფა, კავკასიონის კალთებზე მოსახლე ტომებისა და მნიშვნელოვანი მწვერვალებისა და ხეობების სახელწოდებათა მიხედვით, მოყვანილი ციტატებიდან კარგად ჩანს.

ხეობების დახასიათებისათვის მივმართოთ შემდეგ მაგალითებს: „გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს ადგილთა ქალიანი, ბალახიანი“ (გვ. 33). „ხოლო სადა აღმოსავლეთით დის ბერდუჯი, არს ფრიად მაგარი ტყითა და კლდითა, შეუალი კაცთაგან“ (გვ. 34). „დასავლეთით ამისსა არის ციხე ლორისა და ქალაქი მცირე, ზაფხულს მშვენი, ზამთარ გაუძლის, ორს მდინარეს შუა კლდესა ქარაფოვანსა ზედა“ (გვ. 35). „ხოლო ხევი ბამბაკისა არის მთებით და შვენიერი, ნაყოფიერი“ (გვ. 35). „არამედ ქაბალის ჩდილოთ, ქციის კბოდუხედ არს არჯევანი... ხოლო განყოფს ხეობასა ამას აღმოსავლით ქციის ხრამი... და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი“ (გვ. 41). „ახალქალაქის ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი“ (გვ. 42). „ქვემორ სამხრიდან ერთვის ქციას ავლადის-ხევი, გამოდის ხევ-ღრმის ხრამსა. ესე არს ცივი ანუ მყინვარი“ (გვ. 42). „ხოლო მოდიმნახეს ციხის ქვეით არს ხრამი ქციისა, ვიდრე ნახიდურამდე, მაღალი და განიერი, ვითარცა დავსწერეთ ეძან-ახალქალაქს შუათი, არამედ ეს უმეტეს მაღალი და განიერი“ (გვ. 43). „ხოლო სამშვილდეს ქვეით ქციის ხრამი ნახიდურამდე უმეტეს განიერი. ნახიდურს ქვეით დის ქცია გაშლით მიწდორისა ზედა. გარნა კბოდე-ფლატიანსა იმიერ და ამიერ. არამედ ხრამთა ამათ შინა არიან მრავალნი ქვაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკვეთილნი სახიზრად“ (გვ. 45).

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ადგილის აღწერის ვახუშტისეული სტილი ყურადღებას იპყრობს თავისი ლაკონიურობითა და სიმარტივით, იგი რელიეფის მეტად რთულ კომპლექსებს ორიოდ წინადადებით ასახავს. ამ მაგალითებიც: „ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი,

კლდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშანიანი, მდინარიანი-წყარიანი ტბიანი და მცირედ ველოვანი... არამედ ზღვის კიდეთა თანა ეგრეთი“ (აღწერა საზინოთა ადგილთა სამცხე საათაბაგოსი, გვ. 122).

„და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მგვარი მითია, კლდითა, ხრამითა, ხევითა, და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან... ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილებისა ნიერ—„იხილე, რა ჭაა არს ადგილი ესე“ (გვ. 162), „და არს ქვეყანა ესე მდინარეთა კიდურნ კოდოვანი, ფლატოვანი, ჭალიანი; მთის კერძო ვაკე და აყრილ-ტყიანი“ (გვ. 163,—საჩხეიძოს საზღვრისათვის და სალომინაოსა). „კვალად ქვეყანა ესე არს ფრიად ტყიანი, მთით ბარამდე, და მცირე-ველოვანი, მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი ბარდოვან-ტალახ-ქანჭრობიანი და ფრიად წვიმიანი“ (ოდიშისათვის, გვ. 170).

აღსანიშნავია, რომ მხარეთა დახასიათების დროს ვახუშტი იშვიათად იყენებს „ზეგანის“ ცნებას, რასაც ს. ს. ორბელიანი „მთაბარობის საშუალოს“ უწოდებს. ვახუშტის შრომაში ვხვდებით მხოლოდ ორ ადგილას: „არს ამ მთისა ჩდილოთ კერძო ტყიანი, ვიდრე ზეგანამდე, მას ზეით კვერნაქი უტყუ(ე)ო გორამდე“ (გვ. 72). აქ ზეგანი, როგორც ჩანს, საკუთარი სახელი უნდა იყოს შემდეგ: „ბოცოს-წყალისა და ქვაბლოვანის-წყალს შორის, ხე ან ასა და უდის შორის არს მთა წინსრული გურიის მთიდან აღმოსავლეთით... ამავე მთაში არიან ზეგანის დაბნები“ (გვ. 127).

ვახუშტი თავისი შრომის ზოგიერთ ადგილას იხილავს ისეთ მოვლენებს, რომლებიც თავისი ბუნებით კარსტებს უნდა წარმოადგენდნენ. ასე, მაგ. 152-ე გვერდზე ვკითხულობთ: „... ამ აჯამეთის-წყალს ზეით ერთვის ძევრის-წყალი, დაბის ძევერისაგან სახელდებული... და ამ ძევრის-წყალზედ ხიდს ზეით, არიან ქვაბნი დიდ-დიდნი, გამოკვეთილნი, მრავალნი, კლდესა შინა, დასავლით. და არს ქვაბი ერთი დიდ ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირვებლად. ამ ქვაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადული წყაროდა და არს მას შინა კალმახნი მრავალ. ამ ძევრულას, ამ ქვაბს ზეით, ერთვის ხევი ქვევრულა“ (გვ. 152-153); სწორედ აღნიშნული რაიონი ცნობილია საქართველოში ერთ-ერთ კარსტულ რაიონად. მოგვყავს მეორე მაგალითიც: „... კვალად კრიხულას ერთვის, კრიხს ზეით, სხოვის-ხევი, დის სამხრიდამ ჩდილოთ, ამ ხევეზედ არის ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულს ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სჭრას მრავალმან კაცმან“ (გვ. 159).

ვახუშტი თავისი შრომაში ორ ადგილას მიწისძვრის შესახებაც გვაუწყებს: „ავლევს ზეით, ფცის წყლის აღმოსავლით არს ოქონას მონასტერი დიდი, გუნბათიანი, არამედ უცხო არს, რამეთუ ძვრისაგან წახრით მდგომარეობს ჩდილოთკენ და არა დაირღვევის“ (გვ. 80); „დაიქცა ძვრით¹ როსტომ

¹ ალავერდის მონასტედი. ი. ჯ.

იწყობენ შენებად, არჩილ შეასრულა. კვალად დაიქცა ქრისტესა ჩღმა ძვრითვე“ (გვ. 101).

დასასრულს აღსანიშნავია, რომ ჩვენი დიდი მკვლევარი არც ცნობილ ანტალას საღებებს ივიწყებს. აი რას წერს იგი ანტალის შესახებ: „კვალად ჰერემს-ვეჯინს შუა და ვეჯინს ჩდილოთ, მთის კალთას არს ანტალა, რომელსა იტყვიან ნასოფლარსა და რისხვით დანთქმულსა, აღმოდის კუპრი, ვითარცა მდულარე და აღმოაქვს ჟამად კოვზი, ჯამი და სახმარი გლენთა“ (გვ. 99). ამ ციტატაში თუმცა ლეგენდა ჰარბობს, მაგრამ ანტალას ტალახის ბუნება მაინც ასახულია.

წინამდებარე სტატია ჰარბად მოყვანილი მაგალითებით საკმაოდ ადასტურებს, თუ რაოდენ მდიდარ მორფოგრაფიულ ცნებებზე აუგია ჩვენს მეცნიერს მისი უკვდავი შრომა. ვახუშტი უდავოდ წარმოადგენდა დიდი ერუდიციის მქონე, გეოგრაფიულ აღწერათა მარჯვე ფსტატის განსახიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, საქ. გეოგრ. საზ-ბის გამოცემა, ქ. თბილისი 1941 წ.
2. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით, გამომცემლობა „ქართული წიგნი“. ტფილისი, 1928 წ.



მ. კორძაძე და ბ. შირაძე

საქართველოს კლიმატი ვახუშტის შრომის მიხედვით

ვახუშტი თავისი შესანიშნავი შრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვერცელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერილობაში კლიმატს საკმაო ადგილს უთმობს.

ამ შრომაში კლიმატის შეფასება და დახასიათება მოცემულია ქვეყნის საზღვარმოთა ძალებთან დაკავშირებით და ადამიანის ორგანიზმზე გავლენის თვალსაზრისით.

კლიმატის დასახასიათებლად ავტორი ეყრდნობა უმთავრესად ჰავის შეგრძნობას ადამიანის მიერ, რასაც გამოხატავს როგორც კლიმატის კომპლექსურად გამომსახველი ცნების მიხედვით, ისე ცალკეული კლიმატური ელემენტების დახასიათებით.

მოგვყავს ვახუშტის მიერ გამოყენებული კლიმატური ტერმინოლოგია.

I. კლიმატური ელემენტების კომპლექსურად შემოქმედების შესაფასებლად:

- | | |
|---|--------------------|
| 1. კეთილი | 9. აგარაკოვანი |
| 1. მშვენი | 10. მხიარული |
| 3. კეთილმშვენი | 11. სატრფო |
| 4. კეთილჰაოვანი | 12. საამო |
| 5. შემკული | 13. მშვენიერი |
| 6. შეზაფებული | 14. ხაშმიანი |
| 7. ამო | 15. ფრიად ხაშმიანი |
| 8. კეთილამო | 16. უმშვენი |
| II. კლიმატის ცალკეული ელემენტების შესაფასებლად: | |
| 1. ზამთარ-თბილი | 13. უთოვლო |
| 2. ზამთარ-ფრიად თბილი | 14. მცირე თოვლიანი |
| 3. " ცივი | 15. დიდთოვლიანი |
| 4. " ცივი გაუძლისი | 16. უყინო |
| 5. " ცივი საჭირო | 17. უყინულო |
| 6. ზაფხულ-გრილი | 18. ყინვიანი |
| 7. " ცხელი არ ეგდენ | 19. უქარო |
| 8. " ცხელი | 20. ქარიანი |
| 9. " ფრიად ცხელი | 21. წვიმიანი |
| 10. " ცხელი არაგაუძლისი | 22. ნოტიო |
| 11. " ცხელი გაუძლისი | 23. სველი |
| 12. თოვლიანი | 24. ნამიანი |

ზემოჩამოთვლილი 40 ტერმინიდან თითოეული გამოხატავს კლიმატის ერთგვარ თავისებურებას, მაგრამ განსაკუთრებით დაზუსტებულად გამოხატველი ტერმინოლოგია არის ხმარებული სიტბო-სიცივის რეჟიმის შესაფასებლად. ზამთრის თერმული რეჟიმი 5 გრადაციაშია მოცემული, ზაფხულის—6 გრადაციაში.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი თერმული რეჟიმის შეფასებას: თბილი, ცივი, ფრიად ცივი და სხვა, იძლევა საქართველოს ტერიტორიის ცალკეული რაიონების ერთმანეთთან შედარების მიხედვით. ეტყობა, ამ მხრივ მასზე არ უმოკმედია მოსკოვში ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის ზამთარი არ იქნებოდა შეფასებული როგორც ცივი.

საქართველოს კლიმატის გასაშუქებლად მან უთუოდ გამოიყენა საადგილმამულო აღწერილობანი და სამეფო დავთრები, ქართლის ცხოვრების ცნობები, მოგზაურთა მითითებები და სხვა, მაგრამ უმთავრესად თავის პირად შთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებს ეყრდნობოდა. ვახუშტი პირადად იცნობდა საქართველოს ბუნებას და ამ გარემოებამ მისცა მას საშუალება თავის დროისათვის შესანიშნავად გაეშუქებინა საქართველოს კლიმატური პირობები, განსაკუთრებით კი მისი აღმოსავლეთ ნაწილის—ქართლ-კახეთის.


ჩვენი მიზანია გავაშუქოთ საქართველოს კლიმატი იმ სახით, როგორც იმის მოცემულია ვახუშტის შრომაში, გამოვყოთ ვახუშტის აღწერილობის მიხედვით ცალკე კლიმატური რაიონები, შევადაროთ ამ რაიონების თანამედროვე კლიმატური თავისებურებანი იმ კლიმატურ ცნობებს, რომლებზეც მიუთითებს ვახუშტი და, ბოლოს, შევაფასოთ ვახუშტის შრომის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა ამ დიდი შრომის იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც კლიმატს შეეხება.

შრომის დასაწყისში ვახუშტი იძლევა მთელი საქართველოს სამეფოს ბუნების ზოგად მიმოხილვას. აქ ის აღნიშნავს ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნებას, რელიეფის სირთულეს, მრავალწყლიანობას და ხაზგასმით მიუთითებს მის ბუნებრივ სიმდიდრეზე, სიმშვენიერესა და უხვმოსავლიანობაზე.

ბუნების დახასიათებიდან, განსაკუთრებით კი ფლორის სახეების აღწერილობიდან, ნათლად ჩანს საქართველოს კლიმატის მრავალფეროვნება, დაწყებული სუბტროპიკებიდან, სადაც თავისუფლად ხარობს ლიმონი, მაღალმთიან ნი მულმივიყინვარების კლიმატამდე.

მეტეოროლოგიური მოვლენებიდან ვახუშტი აქვე მიუთითებს ელვა-ქუჩილის სიხშირესა და სიმძლავრეზე, რაც, მისი აზრით, აფერხებს მებარეშუმეობის სათანადოდ განვითარებას აღმოსავლეთ საქართველოში, და ყინვარებზე, რომლებიც წარმოადგენენ მრავალი მდინარის სათავეების კვების წყაროს.

საქართველოს სამეფოს ბუნების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ავტორი გადადის ცალკეული რაიონების (სამთავროების) აღწერაზე, სადაც მოცემულია უფრო სრული ცნობები ჰავის შესახებაც.



1. აჭარის მაჟორიტატი	2. ალავერდი მაჟორიტატი	3. ალავერდი მაჟორიტატი	4. ალავერდი მაჟორიტატი
5. ალავერდი მაჟორიტატი	6. ალავერდი მაჟორიტატი	7. ალავერდი მაჟორიტატი	8. ალავერდი მაჟორიტატი
9. ალავერდი მაჟორიტატი	10. ალავერდი მაჟორიტატი	11. ალავერდი მაჟორიტატი	12. ალავერდი მაჟორიტატი
13. ალავერდი მაჟორიტატი	14. ალავერდი მაჟორიტატი	15. ალავერდი მაჟორიტატი	16. ალავერდი მაჟორიტატი
17. ალავერდი მაჟორიტატი	18. ალავერდი მაჟორიტატი	19. ალავერდი მაჟორიტატი	

საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები
1877 წ.

საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები
1877 წ.



საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები 1877 წ.

საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები 1877 წ.

ვახუშტის მიერ ერთნაირი კლიმატური მაჩვენებლით დახასიათებული ადგილების გამოყოფის საშუალებით, საქართველოს ტერიტორია შეიძლება დაიყოს შემდეგ კლიმატურ რაიონებად (იხ. რუკა):

1. ყარაია-ბორჩალო-შირაქის რაიონი
2. ვალმა კახეთი (ელისენი) მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირებით
3. კახეთის მთიანი რაიონი
4. მცხეთა-თბილისის რაიონი მდინარე არაგვის ქვემო წელისა და ბაზალეთის ტბის მიდამოების ჩარტვით
5. საქ. სამხრეთ-მთიანეთის აღმოსავლეთი ნაწილი (თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობები)
6. შუა ქართლი
7. დვალეთი
8. ცენტრალური კავკასიონის რაიონი (ხევი, მთიულეთი, ფშავი, ხევსურეთი)
9. ქართლ-იმერეთის ქედის (ლიხის მთის) აღმოსავლეთი ფერდობები
10. სამხრეთ-თრიალეთი და ჭავჭავეთი
11. მესხეთი
12. ზემო იმერეთი
13. რაჭა-ლეჩხუმის რაიონი
14. ქვემო იმერეთი
15. ზღვის სანაპირო დაბლობი
16. ქანეთის სანაპირო
17. მთიანი გურია, აჭარა, ქანეთი და კლარჯეთი
18. მთიანი სამეგრელო
19. აფხაზეთი

1. ყარაია-ბორჩალო-შირაქის რაიონი. ეს რაიონი, რომელშიც შედის მდინარეები—დებედა, ქცია-ხრამი, მაშავერა, იორისა და ალაზნის ქვემო წელი და მათ შორის მდებარე ტრამალეები, ავტორის მიერ შემდეგი კლიმატური მაჩვენებლებით ხასიათდება: უქარო, ზაფხულ—ცხელი გაუძლისი, ზამთარ—თბილი, მცირე თოვლიანი („რამეთუ არა დაადგრების თოვლი დღე ორ“), კეთილმშვენი, უყივნო და უყინულო. ავტორი დამატებით მიუთითებს მდ. დებედას ქვემო ნაპირების ხაშმიანობაზე ზაფხულში, ხოლო ალაზნის ქვემო ნაპირების—ფრიად ხაშმიანობაზე.

საერთოდ კი ამ რაიონის კლიმატს ავტორი „უმშვენოს“ უწოდებს.

ვახუშტის ამ რაიონის კლიმატური დახასიათება საკმაოდ სრულია და სწორი. მითითებულია ყველა კლიმატური თვისება და თავისებურება, რომლითაც ეს რაიონი განირჩეოდა და ახლაც განირჩევა თავის მეზობლად მდებარე რაიონებიდან.

რამდენიმედ გაუგებრობას იწვევს ავტორის მიერ გამოყენებული ტერმინები უყივნო და უყინულო. ეს რაიონი „უყივნო“, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არ არის ახლა და არც მაშინ იქნებოდა. ცხადია, „უყივნო“ არ ნიშ-

ნავს, ავტორის ვაგებით, იმას, რომ ჰაერის ტემპერატურა არ დაეცემა წყლის გაყინვის წერტილზე დაბლა.

ვახუშტის ვაგებით ეს ტერმინი უთუოდ გამოხატავს ხანგრძლივი საგრძნობი სიცივეების არ არსებობას. ტერმინი „უყინულო“ ავტორს თვითონ აქვს განმარტებული: „ვინათგან ვეროდეს გაყინავს მდინარეთა“.

2. **გაღმა კახეთი** (ელისენი). მდინარე ალაზნის შუა წელის მარცხენა მხარე, განირჩევა, ავტორის აზრით, ცხელი ზაფხულით და თბილი და უყინვო ზამთრით. ზამთარი ადამიანის ჭანმრთელობაზე მოქმედების თვალსაზრისით „ქეთილპაოვანია“, ხოლო ზაფხული „ხაშმიანი“.

კლიმატური დახასიათება ამ რაიონისა საკმაოდ ნათელია და საერთოდ სწორი.

3. **კახეთის მთიანი რაიონი**. ვახუშტის დახასიათებით ეს რაიონი „მშვენი“ და „ქეთილავარაკოვანი“ ადგილების სიუხვითაა განთქმული.

ავტორი მიუთითებს ამ რაიონში მთელ რიგ ადგილებზე, სადაც იყო საავარაკო სასახლეები.

ავტორი სწორად აღნიშნავს კახეთის ამ რაიონის საავარაკო მნიშვნელობას.

ამჟამად ამ რაიონის მთელი რიგი მეტეოროლოგიური სადგურების (იყალთო, გომბორი, შუამთა, თელავი, სიღნაღი და სხვ.) მასალებიდან ჩანს, რომ ამ რაიონში, მართლაც, არსებობს ყველა პირობა კლიმატური ავარაკების განსავითარებლად.

4. **მცხეთა-თბილისის რაიონი**. ამ რაიონის კლიმატური თავისებურება შედარებით უფრო ფართოდ აქვს ავტორს გააშუქებული. ეს ალბათ იმიტომ, რომ აქ მდებარეობდა მთავარი ადმინისტრაციული და ისტორიული ცენტრები — თბილისი და მცხეთა. თბილისის აღწერის დროს ვახუშტი მიუთითებს წლის ოთხივე სეზონის კლიმატურ თავისებურებაზე: ზათხული ცხელია, მაგრამ „არა გაუძლისი“, ე. ი. ანატანიაო, ზამთარი ცივი, ვაზაფხული და შემოდგომა განსაკუთრებით „მშვენი და სატრფო“. საერთოდ „ჰავა არს მშვენი და მხიარული“.

მცხეთაში, ავტორის აზრით, ანალოგიური კლიმატური პირობებია, მხოლოდ დამატებით ის მიუთითებს ქარიანობაზე ზამთარში. რამდენიმედ გაუგებრობას იწვევს ავტორის ამ რაიონის კლიმატურ დახასიათებაში ის გარემოება, რომ ის მიუთითებს ქარიანობაზე მხოლოდ მცხეთის მიდამოებში და არაფერს ამბობს ქარის შესახებ თბილისისათვის. შეიძლება თბილისსა და მის მიდამოებში ამჟამად საკმაოდ ძლიერი ჩრდილოეთ-დასავლეთის ქარი შესუსტებული იყო იმ დროს ხშირი ტყის ვავლენით, რითაც დაფარული იყო მაშინ თბილისის მიდამოები.

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: ავტორმა შეამჩნია და აღნიშნა, რომ საგურამოს მთაზე ღრუბლის გამოჩენას თან სდევს ძლიერი ქარი. თანამედროვე მეტეოროლოგ-სინოპტიკოსების გამოკვლევით, საგურამოს მთებზე Alto — Cumulus Lenticularis სახის ღრუბლიანობის გაჩენა, მართლაც, დაკავშირებულია დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრასთან.

5. სამხრეთ-მთიანეთის აღმოსავლეთი ნაწილი ვახუშტის დახასიათებით, ზამთარში ცივია, ხოლო ზაფხულში „მშვენი“, საერთოდ კი ჰავით შემკული და კეთილი. ცალკე გამოყოფს ვახუშტი ამ რაიონში დბანისის ხეობას და ლორის ვაკის ნაწილს, როგორც განსაკუთრებით „შვენიპოვან“ ადგილებს.

ვახუშტის ამ რაიონის ასეთი შეფასება თანამედროვე თვალსაზრისით სწორია. ამ რაიონშია ამჟამად ცნობილი საავარაკო ადგილები: კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კიკეთი და სხვ.

ვახუშტის ცნობით, ზოგიერთი მათგანი მაშინაც მეტეების საავარაკო ადგილს წარმოადგენდა.

საყურადღებოა, რომ ავტორი მხოლოდ ამ რაიონის აღწერის დროს ახსენებს სეტყვიანობას. ის აღნიშნავს, რომ მდინარე ვერეს მიდამოებში ადგილი აქვს ხშირ სეტყვიანობას: „გარნა იცის სეტყვა ხშირად, რამეთუ მოადგს დიდგორი, ხოლო მთა დიდგორისა არს მაღალი, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი“.

ეს რაიონი ამჟამადაც განირჩევა საქართველოს დანარჩენი რაიონებიდან ელქეჟის მაღალი მაჩვენებლებით. ვახუშტი აღნიშნავს ელქეჟის მავნე ვავლენას მეაბრეშუმეობაზე აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ და სეტყვის მავნე მოქმედებას მთიულეთში ხევიდან სვანეთის ქედამდე ხორბლეულზე: „გარნა რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკეთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ ზინა, მოყმდებიან ძლიერად“ (გვ. 108); ამავე დროს იგი არაფერს ამბობს იმ ზიანზე, რომელსაც აყენებს სეტყვიანობა მემინდვრეობა-მეხილეობას და კერძოდ ვენახს. შეიძლება კახეთში სეტყვიანობა მაშინ არ იყო იმდენად ხშირი და ინტენსიური, როგორც ამჟამადა.

სეტყვის ღრუბლები Mammato-cumuli კახეთში უმთავრესად მოდის სამხრეთ-დასავლეთიდან: დიდგორი-ვერეს ხეობა—გომბორის მიმართულებით; თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ვერეს მთელი ხეობა მაშინ ტყით იყო დაფარული, მოსალოდნელია, რომ ღრუბლების განტვირთვა მეტწილად გომბორის ქედამდე ხდებოდა.

6. შუა ქართლი. ამ რაიონის ჰავა ავტორის მიერ ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: ზამთარი ცივი და ქარიანი (გორი), ზაფხული კეთილი, საერთოდ „ჰავა კეთილი და მშვენი“. ამავე დროს ამ რაიონში ავტორი ასახელებს უნაყოფო და უწყლო მინდორს მტკვარსა და კვერნაკს შუა, ე. წ. აშურიანის ველს. ვახუშტი ამ რაიონში ცალკე გამოყოფს აგრეთვე მდინარე ალის მიდამოებს, როგორც გაზაფხულ-შემოდგომაზე ტალახიანსა და ჭყაპიანს.

მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან ავტორი ამ რაიონში გამოყოფს ქვათხევის მიდამოებს, როგორც „ადგილ-შემკული, ზაფხულ გრილი, წყაროიანი, ზამთარ თბილი“. მართლაც, შუა ქართლის ფარგლებში მდებარე სამხრეთ-მთიანეთის ჩრდილო ფერდობზე ხშირი ტემპერატურული ინვერსიების გამო ზამთრის ტემპერატურის მინიმუმი შესამჩნევად მაღალია, ვიდრე შუა ქართლის ველზე.

შუა ქართლის კლიმატიც ავტორს შედარებით საკმაოდ სწორად აქვს გაშუქებული. ამჟამათაც ეს მხარე ძირითადად ინარჩუნებს ვახუშტის მიერ აღწიშნულ კლიმატურ პირობებს.

7. **დვალეთი.** დვალეთის ჰავის დახასიათება ვახუშტის მიერ მეტად მოკლეა: „კეთილჰაოვანი“.

ეს თვისება აქაური ჰავისა უდავო ყოფილა მაშინაც და ახლაც ასეა.

8. **ცენტრალური კავკასიონის რაიონი.** ამ რაიონის კლიმატი ავტორს დახასიათებული აქვს, როგორც „კეთილი“, „კეთილმშენი“ და „ფრიადმშენი“. ავტორი ამ რაიონის დახასიათების დროს არ იყენებს თავის ჩვეულებრივ ტერმინებს: „ცივი“, „თბილი“ და სხვა, მაგრამ ის მიუთითებს ამ რაიონისათვის მეტად მნიშვნელოვან კლიმატურ მოვლენებზე. ის აღნიშნავს, რომ ზამთარი აქ ხანგრძლივია და ზაფხული მოკლე, ყინვარის სისქე მთების წვერზე აღწევს 40-60 მეტრს, უღელტეხილები ზამთრობით გაუვალაია ღრმა თოვლისა და ხშირი თოვლის ზედაეზის გამო. „ხოლო ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალაი უცხოს მტერთაგან, მალლის მყინვარისა და თოვლიანის მთის მიერ, რომლის ყინულის სიმაღლე არს კ და ლ მხარი ზაფხულის“ (გვ.108). ავტორი ლების გადასასვლელის შესახებ ამბობს: „ამ გზებზე ზაფხულით ცხენით ვლენან, გარნა ჭირითა დიდითა, და თვინიერ ზაფხულისა— ვერც ქვეითნი“ (გვ. 117). როგორც ვხედავთ, ამ რაიონის კლიმატის თავისებურების მთავარი შტრიხები ვახუშტის მიერ მოცემულია.

ამრიგად, კავკასიონის კლიმატის ძირითადი თვისებები გაშუქებულია ვახუშტის მიერ თავის დროისათვის ფართოდ და მაშინდელი პრაქტიკული მიზნებისათვის საკმაო სიზუსტით.

9. **ქართლ-იმერეთის ქედის (ღიზის მთის) აღმოსავლეთი ფერდობები.** ამ რაიონისა და ქართლის ვაკის დასავლეთი მთიანი ნაწილი კლიმატური პირობების მიხედვით ავტორს სააგარაკო ადგილებად მიაჩნია, რადგანაც, მისი განმარტებით, შავა აქ „ამო“ და „მშვენიერია“. ამავე დროს ის სამართლიანად მიუთითებს ზამთრის დიდ სიცივეებზე (გაუძლისი, საჭირო), თოვლის საბურველის ხანგრძლიობასა (3 თვემდე) და ქარიანობაზე. ეს მხარე მეტეოროლოგიური მონაცემების მიხედვით გამოირჩევა იმავე სიმაღლის მქონე საქართველოს სხვა რაიონებიდან ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრით და დაბალი ტემპერატურით.

ეს რაიონი რომ აგარაკოვანია, ამჟამად უდავოა, თუნდაც ისეთი საზაფხულო აგარაკების მიხედვით, როგორიცაა სურამი, ქვიშხეთი, ახლდაბა და სხვ.

10. **სამხრეთ-თრიალეთი და ჭავჭავეთი.** ამ რაიონის კლიმატური აღწერა მეტად მოკლეა. ვახუშტი აღნიშნავს მხოლოდ, რომ აქ ზამთარი მეტად ცივია (გაუძლისი) და ღიბთოვლიანი. ზამთარი ახალქალაქის ზეგანზე მართლაც განსაკუთრებით ცივია, მაგრამ ღიბთოვლიანი კი არ არის ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არამედ თოვლის საბურველი ხანგრძლივია.

რაიონის ჩრდილოეთ ნაწილის, სახელდობრ თრიალეთის მთის სამხრეთ ფერდობის, კლიმატს ვახუშტი ამსგავსებს ჭავჭავეთის კლიმატს, მხოლოდ დასძენს: ზაფხული აქ კეთილმშენიაო.

11. **მესხეთი.** ეს რაიონი კლიმატის მხრივ ავტორს საუკეთესოდ მიაჩნია საქართველოში.

ავტორის აზრით, ზამთარი აქ ცივია, ზაფხული კი არაძლიერ ცხელი („არა ვგდენ“). ჰავა კი საერთოდ დახასიათებული აქვს შემდეგი სიტყვებით: „შემკული, კეთილი, აგარაკოვანი, კეთილმეზავებული“.

აბასთუმანი ვახუშტის დროს ცნობილი იყო მხოლოდ თავისი თბილი სამკურნალო წყლებით, და ამაზე მიუთითებს ვახუშტიც. ის მაშინ უცნობი იყო როგორც კლიმატური კურორტი. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალციხის, როგორც ადმინისტრაციული ცენტრის, გარშემო იყო მეფეებისა და ფეოდალების საზაფხულო სასახლეები, მაგრამ ეს კიდევ არ აძლევდა ვახუშტის საფუძველს მთელი ეს რაიონი კლიმატურად ასე შეექო და სააგარაკოდ გამოეცხადებინა:

ავტორმა საესებით სწორად განსაზღვრა ამ რაიონის კლიმატური პროფილი და ხაზგასმით მიუთითა ამ რაიონის კლიმატურ სამკურნალო მნიშვნელობაზე.

დასავლეთ საქართველოს (ეგრისის) ბუნების აღწერას ავტორი იწყებს მისი ზოგადი მიმოხილვით, სადაც მოკლედ მიუთითებს მთელ დასავლეთ საქართველოს კლიმატურ თავისებურებაზე. მოგვყავს ამ ადგილის ჰავის დახასიათება: „ჰავით კეთილ-მშენი, გარნა გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაიდგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამე ზამთარ—თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელთა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყველი, არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მხარი და უმეტესიცა“.

აქ ძირითადად მოცემულია დასავლეთ საქართველოს კლიმატური თავისებურება: ზაფხულში ჰაერის შეხუთულობა: „იმყოფის სიცხე, ვინაიდგან ძნიად იძვრის ქარნი“, უმეტეს ადგილას ძნელად ასატანი სიცხე, ზამთარი საერთოდ თბილი, უხვი ნალექები, და აქვე მოჰყავს ამის დამამტკიცებელი ობიექტური მოვლენა: „რამე თუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა“.

ამის შემდეგ ავტორი გადადის ცალკეული ადგილებისა და რაიონების აღწერაზე.

12. **ზემო იმერეთი.** ვახუშტის აღწერით, ზემო იმერეთი ხასიათდება თბილი და დიდთოვლიანი ზამთრით, ცხელი ზაფხულით, საერთოდ კი აქ „ჰავა კეთილი“ და „მშვენია“.

ავტორი ამ რაიონში განსაკუთრებით გამოყოფს ოკრიბას, როგორც დიდთოვლიან ადგილს. მართლაც, როგორც ამჟამად ვიცით, საჩხერე-ტყვიბულ-ნაქერალას რაიონი განსაკუთრებით მდიდარია ნალექებით, თოვლის საბურველის სიმაღლე აქ არაიშვიათად აღწევს 2 მეტრამდე.

13. **რაჭა-ლეჩხუმის რაიონი.** ეს რაიონი დახასიათებულია როგორც „კეთილი“ და „მშვენი“, უქარო, ზაფხული ცხელი, ზამთარი თბილი.

ამ თვისებებით, გარდა უქარობისა, შეიძლება ნაწილობრივ დახასიათდეს მხოლოდ ქვემო რაჭა. ზემო რაჭას ავტორი არ აშუქებს.

14. **ქვემო იმერეთი.** ეს რაიონი დახასიათებულია თბილი ზამთრით და ზაფხულში ცხელი, აუტანელი (გაუძლისი) სიცხით, ხოლო ქვემო იმერეთისა და ზემო იმერეთის საზღვარზე მდებარე ქ. ქუთაისი განირჩევა „მშვენი ჰაერით და წყლით“.

გაუგებრობას იწვევს ამ რაიონის დახასიათებაში ის გარემოება, რომ ქარზე ავტორი არაფერს ამბობს, მაშინ როდესაც ეს რაიონი ცნობილია ძლიერი აღმოსავლეთის ქარებით.

15. **ზღვის სანაპირო დაბლობი.** ამ რაიონში შედის სამეგრელოს, გურიისა და აჭარის სანაპიროები. ვახუშტის შრომაში ამ რაიონის კლიმატური მახვენებლებია: ზაფხულ ცხელი, სველი, წვიმიანი, ნამიანი; ზამთარ თბილი, დიდთოვლიანი, უყინვო, უქარო. საერთოდ კი ჰავა უვნებელი („უწყინარ-უვნო“). ამ რაიონში ავტორი სამართლიანად გამოჰყოფს ჭოროხის ქვემო მიდამოებს, როგორც ზამთარში ფრიად თბილს.

ამ საკმაოდ სრულ კლიმატურ დახასიათებაში არ შეიძლება ავტორს დავითანხმოდ მხოლოდ ჰავის უვნებლობასა და განსაკუთრებით კი უქარობაში.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვახუშტი საერთოდ იმერეთში გაბატონებულ ძლიერ აღმოსავლეთ ქარებზე არაფერს ამბობს, წინაუქმო—აღნიშნავს უქარიანობას?

შეიძლება აჯამეთში ამჟამად გაბატონებული ძლიერი ფიონისებური ქარი მაშინ შესუსტებული იყო ტყეების გავლენით, მაგრამ მთელს იმერეთსა და სამეგრელოში უქარობის ახსნა ძნელია. ვახუშტი, თუ თვითონ ხანგრძლივად არ იყო ნამყოფი იმერეთში, კერძოდ ქუთაისში, აღწერილობებიდან ან გავონილიდან მაინც უნდა სცოდნოდა აქაური ქარების ამბავი. საყურადღებოა, რომ იტალიელა მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც, რომელიც XVII საუკუნეში 20 წელი ცხოვრობდა სამეგრელოში, არაფერს ამბობს აქაური ქარების შესახებ. ნუთუ იმდენად დაფარული იყო იმ დროს მთელი იმერეთის ტერიტორია ტყით, რომ ზშირი და ძლიერი ფიონისებური ქარები, რომელთა არსებობა შემჩნეული და აღწერილი იყო ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს მიერ, შეუმჩნეველ გახდა XVII—XVIII საუკუნეებში!

შეიძლება ეს უბრალო გაუგებრობით აიხსნებოდეს, მაგრამ არ არის საკლებით უარსაყოფი ის გარემოება, რომ იმ ხანებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორია მართლაც არაჩვეულებრივად ტყიანი იყო სამოქალაქო და სამეურნეო ცხოვრების განადგურების გამო.

16. **ჭანეთის სანაპირო.** ის ხასიათდება თბილი ზამთრით და ცხელი აუტანელი ზაფხულით.

17. **მთიანი გურია, აჭარა, ჭანეთი და კლარჯეთი.** ავტორს ეს ადგილები დახასიათებული აქვს შემდეგი მაჩვენებლებით:

ზამთარ თბილი და დიდთოვლიანი, ზაფხული არა ძლიერ ცხელი (ცხელი არა ეგდენ). საერთოდ ჰავა მშვენი და კეთილი. კეტორმა სწორად შენიშნა, რომ ეს რაიონი განირჩევა იმავე სიმაღლის სხვა ადგილებიდან თბილი ზამთრით, გრილი ზაფხულით და თოვლის მეტი რაოდენობით.

ჰავა რომ კეთილი და მშვენიერია ამ რაიონში, ამას ადასტურებს თუნდაც ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი კურორტი ბახმარო. აქაური სადგურის მონაცემები ამტკიცებს აგრეთვე რაიონის დიდთოვლიანობას.

18. მთიანი სამეგრელოს დასახასიათებლად ავტორს მოჰყავს შემდეგი

მაჩვენებლები: გრილი ზაფხული, თბილი ზამთარი, უქარო, საერთოდ ჰავა კეთილი და აგარაკოვანი.

კლიმატი საერთოდ სწორადაა მოხაზული, საექვოა მხოლოდ ისევე უქარობა.

აგარაკოვანი ადგილები რაიონში მართლაც საკმაოა, რასაც მხოლოდ ბოლო დროს მიექცა ყურადღება: ლეზარდე, ცაიში, ჩეგოლა, კურსუ, მუხური და სხვ.

19. აფხაზეთის ჰავა ავტორის დახასიათებული აქვს მხოლოდ ორი, მაგრამ მეტად შინაარსიანი სიტყვით: „შემკული“, „აგარაკოვანი“.

ამ სიტყვებით ავტორმა სავსებით გადმოგვცა ის, რითაც განთქმული იყო, და არის აფხაზეთი—მრავალი პირველხარისხოვანი კლიმატური კურორტებითა და წარმატცი პეიზაჟით.

ვახუშტის შრომა ხანგრძლივი სერიოზული მუშაობის შედეგია. ავტორის განსაკუთრებული დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა მოგვცა საქართველოს მთელი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერა მის ისტორიულ საზღვრებში. ვახუშტი ყოველგვარი მისთვის მისაწვდომი საშუალებით გაეცნო საქართველოს ბუნებას მთლიანად და აღწერა და გააშუქა ის ისე, როგორც მანამდე არავის გაუშუქებია. მისი შრომა, დაწერილი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ნათელყოფს საქართველოს ბუნებას მთლიანად და კერძოდ კლიმატს თავისი მრავალფეროვნებით. მართალია, ცალკეული რაიონებისა და ადგილების კლიმატურ დახასიათებას ის უთმობს მხოლოდ რამდენიმე წინადადებას და ზოგჯერ რამდენიმე სიტყვასაც, მაგრამ ადამიანის შეგრძობაზე დამყარებული და კლიმატის კომპლექსურად გამომხატველი ტერმინების გამოყენებით ის ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მკაფიოდ და ნათლად ასახავს კლიმატს, ვიდრე სტატისტიკურად დამუშავებული თანამედროვე კლიმატური ტაბულები.

ვახუშტი, როგორც მკვლევარი, უდავოდ ეკუთვნის თავის ეპოქის მოწინავე მეცნიერთა რიგს.

ძნელია ვახუშტის თანამედროვის ისეთი შრომის დასახელება, რომელიც იძლეოდეს უფრო ნათელ წარმოდგენას რომელიმე მხარის კლიმატზე, ვიდრე ეს მოცემულია ვახუშტის შრომაში. ვახუშტიმ თავისი შრომის სახით დიდი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.



0. შპარიშვილი

ჰიდროგრაფიული აღწერილობანი ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში
„აღწერა სამეფოსა საქართველონის“

„კვალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი, ციენი, გემოიანნი და შემრგონი, და მკურნალნი სენთანი, და ტბანი დიდნი და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტბილითა სავსენი და ვიეთნი უხმარნი“.

ვახუშტი.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველონისა“, რომელიც აგრეთვე „საქართველოს გეოგრაფიის“ სახელწოდებითაცაა ცნობილი, უდავოდ ჩვენი ძველი მწერლობის უძვირფასეს მეცნიერულ ძეგლს წარმოადგენს. აღნიშნულ ნაშრომში იმდროინდელი საქართველოს დასახლებული პუნქტების, ისტორიული ადგილების, მოსახლეობისა და მეურნეობის აღწერილობასთან ერთად მოცემულია საქართველოს ბუნების ვრცელი დახასიათება. ბუნების აღწერის დროს ვახუშტი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს წყლის ობიექტების აღწერას და, პირველ რიგში, მდინარეებს. ნაშრომში დასახლებულია საქართველოს 400-ზე მეტი მდინარე. ამათში ქართლის აღწერის დროს განხილულია 190 მდინარე, ჰერეთ-კახეთ-თუშეთის აღწერის დროს—43 მდინარე, ოსეთის აღწერის დროს—18 მდინარე, სამცხე-საათაბაგოს აღწერისას—60 და ეგრისის ქვეყნის აღწერისას—90.

დიდ ყურადღებას უთმობს ვახუშტი ტბებსაც; შრომაში მას მოხსენებული აქვს საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ტბა. ყურადღების გარეშე არაა ვახუშტის მიერ დატოვებული აგრეთვე მიწისქვეშა წყლებიც. ამათუ იმ დასახლებული ადგილის განხილვისას ძალიან ხშირად იგი აგვიწერს წყაროებს, რომლებითაც სარგებლობს მოსახლეობა. გაკვრით ვახუშტი ყინვარებსაც იხსენიებს კავკასიონის ქედებისა და მწვერვალების დასახლებების დროს. რაც შეეხება ჭაობებს, უნდა ითქვას, რომ მათ ვახუშტი მცირე ყურადღებას უთმობს, კოლხეთის დაბლობის აღწერის დროსაც კი. ეს გარემოება, ვეჭველია, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ კოლხეთის შესახებ ვახუშტის, ალბათ, უფრო მცირე მასალა მოეპოვებოდა, ვიდრე საქართველოს დანარჩენი ნაწილებისათვის.

ამგვარად, გადაჭრით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს მიწა-წყლის აღწერის დროს ვახუშტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წყლებს და მათ აღწერას შრომაში დიდ ადგილს უთმობს. ხშირად ვახუშტი გეოგრაფიული თუ ისტორიული მასალის დალაგებასაც მდინარეებისა და ხეობების მიხედვით აწარმოებს, რითაც მდინარეებისადმი ყურადღება შრომაში კიდევ უფრო მე-

ტად ჩანს. რადგან ვახუშტი თავის შრომაში ჰიდროგრაფიულ აღწერილობას დამოუკიდებელ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ბუნებრივია, რომ ეს აღწერილობა ხშირ შემთხვევაში მოკლე და სქემატური ხასიათისაა. მაგრამ თუ მას განვიხილავთ კომპლექსში დანარჩენ აღწერილობასთან ერთად, მაშინ ჰიდროგრაფიული ხასიათის აღწერილობა შრომაში საკმარისი იქნება როგორც თავისი მოცულობით, აგრეთვე აღწერილი ობიექტების რაოდენობითაც.

პოტამოგრაფიული აღწერის დროს ვახუშტი უმთავრეს ყურადღებას მნიშვნელოვან მდინარეებს უთმობს, მაგრამ ზოგჯერ იგი პატარა მდინარეებზეც საკმაოდ ჩერდება.

ზოგადი შთაბეჭდილება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მდინარეებისაგან რჩება ვახუშტის, არის მათი სიმრავლე. „კვალად მდინარენი მრავალნი“—ამბობს იგი (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. საქართველოს გეოგრაფ. საზ-ბის გამოცემა, 1941 წ., გვ. 31). რასაკვირველია, ვახუშტის ეს დებულება სავსებით სწორია; ყოველ შემთხვევაში, მეზობელ მხარეებთან შედარებით საქართველო საკმაოდ ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელით ხასიათდება.

ქართლის მდინარეების აღწერის დროს, აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს აღწერის დროსაც, ვახუშტი პირველ რიგში მდ. მტკვარზე ჩერდება, როგორც ყველაზე დიდ მდინარეზე. მტკვრის სათავისა და შესართავის დასახელების და დინების მიმართულებათა და ადგილების სავსებით მართებული ჩამოთვლის შემდეგ ვახუშტის მოჰყავს მტკვრის კალაპოტის სიგანე ქართლის ფარგლებში და ზოგადად მისი სიღრმეების დახასიათებაც; სახელდობრ, აღნიშნული აქვს, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ადგილას მასში გასვლა ფონის საშუალებით: „ადგილ-ადგილ განისვლების ფონად“ (გვ. 33). ზოგჯერ მას დასახელებულიც კი აქვს ფონი: „ნიჩბისის წყლის შესართავზედ, მტკვარზედ, არს კოწახურის ფონი, მუხრანს გამსვლელი“ (გვ. 55). ასევე აგვიწერს ვახუშტი მტკვრის ნაპირებსაც, რომელნიც ზოგ შემთხვევაში „კლდოვან-ქარაფოვანია, ზოგჯერ—ჭალიანი და ბალახიანი“. საინტერესოა, რომ მტკვრის მაგალითზე ვახუშტის მდინარის კალაპოტის ერთი ფრიად დამახასიათებელი ჰიდრაულიკური თვისება აქვს აღნიშნული, სახელდობრ—რომ მდორე ადგილები იმავე დროს დიდი სიღრმით გამოირჩევა, ხოლო ჩქერი ადგილები —მცირე სიღრმით: „სადაცა უმეტეს განვრცელებდის, მუნ დის ჩქარადცა, და სადა დამდორდების, არს ფრიად ღრმა“ (გვ. 33). ვახუშტი დიდი ქებით იხსენიებს მტკვრის იხტიოფაუნას, ხოლო მის წყალს ის თვლის „სასმელად გემოიანს და შემრგოს, უმეტეს ქართლისა და სამცხესა შინა“ (20 და 33 გვ.).

მტკვრის მნიშვნელოვანი შემდინარეებიდან ვახუშტი საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს მდ. ქციას, რომელსაც ამჟამად ქცია-ხრამს ვუწოდებთ. მისი სახელწოდება, ვახუშტის აზრით, დაბა ქციის სახელისაგან უნდა წარმოდგებოდეს, ან ამ მდინარის დამახასიათებელი ნგრევეთი მოქმედების აღსანიშნავად. ამის შესახებ ვახუშტი ასე წერს: „ვინათგან აქცევს ხიდთა,

რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა“. ქციის რაიონში მდინარე ხრამს ქმნის. ასეთივე ხასიათი აქვს მის ხეობას ეძანთან, სადაც იგი „დახრამდების და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარი რ(100) მეტი, სივანით რბ (180) მხარი და მეტიცა“. ასევე დაწვრილებით არის აღწერილი ქცია-ხრამის ხეობა შესართავამდე. ვახუშტი აღნიშნავს აგრეთვე ქცია-ხრამის მნიშვნელობას მის ქვემო წელში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და ხაზს უსვამს მის როლს უღაბური ადგილების ნაყოფიერ ველებად გადაქცევის საქმეში.

ქციასთან ერთად ვახუშტი იხილავს მის მრავალრიცხოვან შემდინარეებს, რომელთა შესახებ იგი უმთავრეს ჰიდროგრაფიულ მონაცემებს იძლევა (დასახელება მთებისა, საიდანაც ისინი გამოედინებიან, მიმართულება, ხეობათა ხასიათი, იხტიოფაუნისტური დახასიათება, სარწყავი რუები და ა. შ.). ქციის შემდინარეთა შორის შედარებით დაწვრილებით აქვს ვახუშტის აღწერილი მდ. დებედა, რომელსაც იგი საგიმისა და ბერდუჯის სახელწოდებითაც იხსენიებს. მას ჩამოთვლილი აქვს ამ მდინარეში გავრცელებული თევზების შემდეგი სახეები: ორაგული, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოეტი და აგრეთვე „წვრილი თევზი სხვადასხვა გვარნი მრავალნი. და სად აღმოსავლეთად დის, მუნ არს კალმახთა სიმრავლე დიდთა და წვრილთა. არამედ თევზი ამისნი არა ეგდენ გემოიანნი, ვითარცა სხვათა მდინარეთანი“. ვახუშტი ჩერდება აგრეთვე სარწყავ არხებზე, რომელნიც გამოყვანილია ამ მდინარიდან. „კვალად აღმოიღებენ რუთა“,—წერს იგი—„და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი—უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა. ხოლო მტილოვანი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი“.

მოხსენებული აქვს ვახუშტის აგრეთვე შემდინარეები—შულავერის-ხევი შენაკადებითურთ, გორულას-ხევი, მანხუტის-ხევი, ტალავრის-ხევი. უფრო დაწვრილებით ჩერდება ვახუშტი მაშავერისა და მისი შენაკადების დასახელება-აღწერაზე. იგი განმარტავს, თუ საიდან წარმოიშვა მისი სახელწოდება. უნდა ითქვას, რომ ვახუშტი ხშირად მიმართავს გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობის გარკვევას, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყოველთვის ვერ ახერხებს ამას მართებულად. მაშავერთან ერთად ვახუშტი ასახელებს მრავალ მის შემდინარეს (ფინეზაურს, ხინწის-ხევს და სხვ.). მდ. მაშავერი დახასიათებულია თევზის გავრცელების თვალსაზრისითაც. „მდინარე მაშავერი თევზითა არადიდითა საესე და მთის კერძად კალმახითა“. აქვე მოხსენებული აქვს ვახუშტის მდინარე ზურტაკეტი, აწინდელი ყარაბულახი. ამ მდინარის ზემო წელში ვახუშტი აგვიწერს წყაროებს, რომელნიც საესეა „კალმახითა, არამედ სამხრეთის კალმახი არს შავი და ჩრდილოსი თეთრი, და უკეთუ ჩასვა ჩრდილოსანი სამხრით, გავადების და სამხრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდების“. ვახუშტი ტაშირის (აწინდელი ლორის) დახასიათების დროს გაკვრით იხილავს ტაშირისწყალსაც (აწინდელი ძორაგეტი), რომელიც დებედას ერთვის მარცხნიდან. მდინარეებში, რომელნიც ტაშირისწყალს ქმნიან, ვახუშტი აღნიშნავს კალმახის გავრცელებას.

საკმაო ყურადღებას უთმობს ვახუშტი მდ. ალგეთისა და მის შემდინარეთა აღწერას. აღწერა უმთავრესად მდინარეთა მიმართულებასა და ადგილმდებარეობას ეხება. როგორც წესი, თითქმის ყოველთვის მოხსენებული აქვს მას მთის ქედები ან მალღობები, საიდანაც მდინარეები გამოედინებიან. ასევე აგვიწერს ვახუშტი მდ. ვერესაც და დანარჩენ წვრილ მდინარეებსა და ხევებს თბილისისა და მცხეთის მიდამოებისას.

მდ. მდ. არაგვისა და ქსნის აღწერაშიც ვახუშტის მათი დამახასიათებელი ნიშნები სწორად აქვს შენიშნული. კერძოდ, კარგადაა გაშუქებული მდ. ქსნის მნიშვნელობა ქსოვრისის, ოკამის და სხვა ადგილების მოსარწყავად. საესეებით მართებულად აქვს დახასიათებული მდ. ქსნის ხეობაც, რომელსაც ის ორ ნაწილად ყოფს—კორინთამდე და კორინთის ქვემოთ შესართავამდე. აი რარივ მკაფიოდ და მოხდენილად წერს იგი ამის შესახებ: „ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალგვის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანსა კლდითა. ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი ავსწერეთ, და ამ კლდის ზეით ვიწრო და მკვიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა“ (გვ. 68). არაგვის აღწერას ვახუშტი იწყებს მისი სახელწოდების წარმოშობის გარკვევის ცლით. იგი ახასიათებს არაგვს ფაუნისტურადაც: „არამედ არს მდინარე ურგები, თეკზი, თვინიერ ორაგულისა, არარაი, და იგიცა ეამად“ (გვ. 62).

შედარებით უფრო დაწვრილებითაა განხილული მდინარეები დიდი და პატარა ლიახვი, მეჭულა, რეხულა. დიდ ლიახვს ვახუშტი შემდეგი მოხდენილი მტრინებით აგვიწერს: „არამედ არს მდინარე ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარედ მომდინარე და რიყიანი, და ხმოვანი, სასმელად შემრგო და გემოიანი, მარადის ცივი, გარნა ვერ განჰყინავს ზამთარს სიჩქარისათვის“ (გვ. 75). რაც შეეხება ლიახვის ნგრევით თვისებებს წყალდიდობის დროს, ვახუშტი ამის შესახებ ასე წერს: „ხოლო კვხვს ზეით, მოვიწროებულსა ზედა, არს ხიდი სვერისაკენ გამსვლელი, და ამ ხიდს ქვეით ხილთა მუსრავს ლიახვი მტკიცესაცა“ (გვ. 77). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში, საკმაოდ ვრცელადაა მოცემული ცნობები იმ ადგილების შესახებ, რომელთა მოსარწყავად არის გამოყენებული ლიახვი. იგი აღნიშნავს: „ამასთანავე, რომ „რუისის მთის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის-წყალამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი“ (გვ. 78).

მდ. მტკვრის მარცხენა შემდინარეებს ხაშურ-სურამის რაიონში,—ფცისწყალს (აწინდელ დ. ფრონეს), ალის-წყალს (აწინდელ ჩერათხევს) და სურამისწყალს (აწინდელ სურამულას) ვახუშტი წარმოგვიდგენს როგორც მტკვრის უშუალო შენაკადებს, რომელნიც ერთვიან მას ჩიდილოეთიდან. ცნობილია, რომ აღნიშნული მდინარეები ამჟამად მტკვარს უშუალოდ არ უერთდებიან, არამედ მათი შეერთება მტკვართან ხდება მდ. სურამულას მეშვეობით, ხოლო

ეს უკანასკნელი მტკვრის ჩრდილოეთით და მის ჰარალელურად მიედინება და მას ერთვის ს. სალოლაშენის სამხრეთით აღმ. ფრონესთან ერთად. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ ვახუშტის რაიმე შეცდომასთან გვეჭონდეს საქმე, რადგან ქართლის ამ რაიონს ვახუშტი, უეჭველია, კარგად იცნობდა, ცხადია, იგი სხვისი მოწოდებული მონაცემებით არ სარგებლობს და, მაშასადამე, ამ რაიონის იმდროინდელი ჰიდროგრაფიული ქსელის საფუძვლით სწორ სურათს გვიხატავს. ვახუშტის შრომასთან დართულ რუკაზეც ნათლად ჩანს, რომ იქ, სადაც ამჟამად სურამულა მიედინება მტკვრის ჩრდილოეთით, როგორც ზემოაღნიშნული მდინარეების კოლექტორი, წარმოდგენილია მტკვრის მარცხენა ტოტი. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ვახუშტის შემდეგ ამ რაიონის ჰიდროგრაფიაში ცვლილება მომხდარა და მტკვრის მარცხენა ტოტის კალაპოტი სურამულას დაუკავებია.

მტკვრის მნიშვნელოვან შემდინარეს—ჯავახეთის მტკვარს, ანუ ფარავნისწყალს, ვახუშტი ასე აგვიწერს: „ჯავახეთის მტკვარი გამოსდის ფანავრის (ფარავნის—ი. შ.) ტბას და მოერთვის სალამოს ტბასა, კვალად გამოსდის სალამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლეთ-სამხრეთს შუადამ ჩრდილოთ - დასავლეთს შორის. სიგრძით არს სალამოს ტბილამ ხერთვისამდე, და დის ფრიად, და ღრმას, და კლდიანს ხრამსა შინა, რომლისა იმიერ და ამიერ არიან გამოკვეთილნი კლდესა შინა ქვაბნი მრავალნი სახიზრად“ (გვ. 129). ყურადღების გარეშე არ აქვს დატოვებული ვახუშტის ჯავახეთის მტკვრის სხვა შემდინარეებიც.

ვახუშტის მოცემული აქვს საქმაოდ დაწვრილებითი სურათი ბორჯომ-ბაკურიანის მხარის ჰიდროგრაფიისა. აქ ის ჩერდება ისეთ წვირლ მდინარეებზეც, როგორც არიან ნექურა, თორის-წყალი, შავი-წყალი და მტკვრის სხვა უმნიშვნელო შენაკადები.

კახეთისა და თუშეთ-დიდოეთის ჰიდროგრაფია ვახუშტის შრომაში წარმოდგენილია უმთავრესად ამ მხარეების მნიშვნელოვანი არტერიების, ალაზნისა და იორის (მცირე ალაზნის) აღწერით, მათ შემდინარეებს კი შედარებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. ვახუშტი დაწვრილებით ჩერდება მდინარეების სათავეებსა და შესართავებზე, ახასიათებს მათ ხეობებს და აღნიშნავს მათ მნიშვნელობას დასახლებული ადგილების მორწყვის საქმეში. ამ მხრივ მას განსაკუთრებულად აქვს აღნიშნული მდ. იორი. აი როგორ აგვიწერს ვახუშტი იორს, როგორც სარწყავი სისტემის წყაროს: „ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაიდგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი და დასდევს იორს მცირე ჰალაცა და ლერწმოდან-ჩალიანი“ (გვ. 89). ვახუშტი საჭიროდ ცნობს აღნიშნოს აგრეთვე იორის ქვემო წელში ზედაპირული წყლების უქონლობა და სიმშრალე. „ხოლო იორს“,—წერს იგი იქვე,—„არარაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ ხევი საგარეჟომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი“. კახეთის ჰიდროგრაფიისათვის დამახასიათებელი თვისება—მშრალი ხევიების არსებობა ზაფხულობით, ვახუშტის მართებულად აქვს აღნიშნული. მათ შორის იგი ასახელებს იყალთოს-ხევს, რომელიც არის „გამომდინარე კახეთის

მთისა და მომდინარე აღმოსავლეთად, არამედ ვერ მიერთვის ალაზანს სიმცი-
 რით“ (გვ. 101).

ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანი მხარეების ჰიდროგრაფიაშიც ვახუშტი საკმაო ცოდნას ამჟღავნებს; აქ იგი განიხილავს ლომეკს (აწინდელ თერგს), ქისტეთის-წყალს და მრავალ სხვა მთის პატარა მდინარეს. მათ აღწე-
 რას ვახუშტი წინ უმძღვარებს ზოგად დახასიათებას. იგი შემდეგნაირად აკვი-
 წერს ამ მხარეების მდინარეების ნიშანდობლივ თვისებებს: „ქვეყანა ესე არს
 მაგარი და შეუვალი უცნოს მტერთაგან. . . . მდინარეთა დიდთა და ჩქართა
 მომდინარეთაგან, რამეთუ ძნიად განვალს ცხენი ფონად, თვინიერ ხიდისა,
 არამედ მცურავთაგანცა არა ძალიდების ცურვად“ (გვ. 108); ან კიდევ: „არა
 არს თევზნი აქა მდინარეთა შინა ჩქარად დინებისაგან, თვინიერ ვიეთამდე
 ადგილთა იპოების კალმახნი“ (გვ. 109). კერძოდ, მდ. თერგის განხილვისას,
 ვახუშტი მისი დინების დიდ სიჩქარეებს აღნიშნავს: „შთასავალს ქვეით მორ-
 კების არაგვი (ე. ი. თერგი) და დის ჩრდილოთ, ვიდრე ქისტის-წყალამდე და
 მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარესა ამის
 შინა, თვინიერ კალმახისა და არს ხეობა ესე მოზღუდვილ კავკასითა“ (გვ. 67).
 ინტერესს მოკლებული არ არის საკითხი მდინარეების სახელწოდებათა შესა-
 ხებ საერთოდ ცენტრალურ კავკასიონში. აქ ხშირია მდინარეებისათვის სახელ-
 წოდება თეთრი არაგვი, შავი არაგვი, ფშავის არაგვი და სხვ. ვახუშტის შრო-
 მიდან ირკვევა, რომ თერგიც „არაგვის“ სახელით ყოფილა ცნობილი. „არამედ
 მდინარესა ხევისასა ეწოდების არაგვივე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის-მდი-
 ნარე ძველადე, და აწ უწოდებენ თერგსა“ (გვ. 66).

შავი ზღვის აუზის, კერძოდ კი იმერეთის მდინარეების, განხილვის წინ
 ვახუშტი მათ საერთო ნიშანდობლივ თვისებას აღნიშნავს: „ვერ ოდეს განპყი-
 ნავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყვე-
 ლი“ (გვ. 45); ასევე ზოგადადა დახასიათებული იმერეთის მდინარეების იხ-
 ტიოფაუნაც: „არცა თევზთა სიმრავლე მათ შინა, არამედ რიონსა შინა სა-
 ცურდლიამდე იპყრობენ ზუთხსა მაისსა, ივნისსა და ივლისსა შინა და, თვი-
 ნიერ ამ თვეთაგან კიდე, არა. სხვა თევზნი არიან: ლოქო, გოჭა, ბოლო-წითე-
 ლი, კობრი, მწერი, და წვრილი თევზნი, და კალმახნი მრავალნი... არამედ კირ-
 ჩხიბი ყოველგან მრავალნი და ფრიად გემოიანნი“ (გვ. 146).

მდინარე რიონი ვახუშტის ნაშრომში საკმაოდ ვრცელადაა განხილული,
 მოცემულია ვრცელი აღწერილობა მისი დინების მიმართულებისა სათავიდან
 შავ ზღვამდე და აგრეთვე რიონისათვის დამახასიათებელი სხვა თვისებებზე-
 ბანი, როგორცაა: დინების სხვადასხვა სიჩქარე, ფონების არსებობა, მასზე
 ნაოსნობა და ა. შ. იგი შემდეგი სიტყვებით აგვიწერს მას: „და მოდის სათავი-
 დამ ქუთაის-კახნიაურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად. არცა არს თევზი
 მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა ადგილთაგან კიდე. ხოლო კახნიაურს ქვეით
 დამდორდების, და ბაეს ქვეით ფრიად მდორე და განიერი ზღვამდე, და უფ-
 როს ცხენის-წყალს ქვეით განვრცელებული, რამეთუ ვლენან ნაეებითა ზღვი-
 დამ ბაქამდე, და იპყრობენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად“ (გვ. 147).

რაც შეეხება რიონის შემდინარეებს, მათ შორის ვახუშტი უმეტეს ყუ-
რადლებას აქცევს აბაშა-ტეხურს და ცხენისწყალს. ამ უკანასკნელს, ვახუშტის
სიტყვით, თავდაპირველად თავკერი ეწოდებოდა და შემდეგ „ცხენის-წყა-
ლის“ სახელწოდება მისცემია. ვახუშტი იძლევა ამ სახელწოდების წარმოშო-
ბის ახსნას, რაზედაც არ შეიძლება დავეთანხმოთ. ამ მდინარის დახასიათებაში
კი ვახუშტი სავსებით სწორედ მიუთითებს მისი დინების დიდ სიჩქარეზე, რის
გამო, მისი სიტყვით, შეუძლებელიც ხდება მასზე ჩვეულებრივი ხასიათის ხი-
დებისა და გადასასვლელების მოწყობა: „წყალი ესე, ამბობს იგი, ვინაიდან
არა უტევებს ხილსა ქვისასა და ხისასა, ამისთვის შესწვნენ ვაზისაგან და ვაბ-
მენ ამიერ კილით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე სახელურებსა აქეთ და
იქეთ, და ვლენან ქვეითნი მასზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ხიდი
იგი, გარნა უწყიან ოღიმსა შინა ხშირად ხიდი ესე, და უწოდებენ ბონდსა“
(გვ. 148).

რიონის სხვა შემდინარეთაგან ვახუშტის დასახელებული აქვს საჯავახოს-
წყალი, გუბის-წყალი და ა. შ. ამ მდინარეების ხეობებს, კერძოდ, გუბის-
წყლის ხეობას ვახუშტი ახასიათებს, როგორც „ფრიად ფლატიიანსა და ბარდ-
ნალიანს ადგილს“ (გვ. 150), ხოლო თვით მდინარეს—როგორც „გუბედ მომ-
დინარეს“, რაც მის სახელწოდებაშიაც არის აღბეჭდილი. მდ. ყვირილას აღწე-
რისას ვახუშტი, ჩვეულებისამებრ, იხილავს მისი სახელწოდების გენეზისს:
„მოიგო სახელი ესე თვისის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინადგან
ზმოვანებს შორ სასმენლად“ (გვ. 151). ფრიად მოხდენილად და სწორად აქვს
ვახუშტის აწერილი ყვირილას ხეობა. ვახუშტი აღნიშნავს, რომ ყვირილა მიე-
დინება „საჩხერიდამ შორაპნამდე კლდოვანსა და მაღალს ზმოვანსა შინა და
შორაპანს ქვეით—ფლატოვანს-ჭალოვანსა შინა“ (გვ. 151); და ამასთან ერ-
თად იგი შემდეგს წერს: „ამ ყვირილასა შინა იპყრობს თევზნი, რომელნი
დავსწერეთ, ყოველნი თვინიერ ზუთხისა, ხოლო საჩხერეს ზეით არს კალმახთა
სიმრავლე და სხვა არარაი, და არს სასმისად გემოიანი და შემრგო, და თვინი-
ერ უხმარი“ (გვ. 151).

ყვირილას ხეობის დახასიათებას ვახუშტი ფრიად მოკლედ, მაგრამ სწო-
რედ და მოხდენილად იძლევა. მას ყურადღებიდან არ გამოჰპარვია ის გამო-
ქვებულებიც, რომელნიც ამ მდინარის ნაპირებზე საჩხერემდე მოიპოვება. „ამ
ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა
ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად და შეუვალი მტრისაგან, და სა-
კურველი, თუ ვით არ უქმნიათ“ (გვ. 156).

ყვირილას აუზის დახასიათების დროს ვახუშტი საკმაოდ დაწვრილებით
ჩერდება მდ. ძეგრულაზე, ან, ვახუშტით, ძეგრის-წყალზე, და სავსებით მარ-
თებულად აგვიწერს ამ მდინარის კარსტულ ხასიათს. „და ამ ძეგრის-წყალ-
ზედ“,—წერს იგი,— „ხილს ზეით, არიან ქვაბნი დიდ-დიდნი, გამოკვეთილნი,
მრავალნი, ჩამეთუკაცთა ქმნულად ვასაკვირვებლად. ამ ქვაბსა შინა გამოსდის
მდინარე ორი ნაკადული წყაროდ, და არს მას შინა კალმახნი მრავალ“ (გვ. 152).

მოხსენებულია აგრეთვე ყვირილას შემდინარე ძირულა, რომელმაც, ვახუშტის აზრით, „მოიგო სახელი მათა ძირთა შინა დინებითა“. მისი ჰიდროგრაფიკა უმთავრესად სათაფის დადგენისა და დინების მიმართულების განმარტებას შეეხება, თუმცა ამავე დროს მისი წყლის დირსებაც და, როგორც ყოველთვის, ისტიოფაუნაც არ არის უყურადღებოდ დატოვებული. ასე, მაგალითად, იგი წერს: „არა არს ძირულაში თევზი, თვინიერ კალმახისა, და კალმახი მრავლად. სასმისად არს შემრგო, გემოიანი“.

საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ვახუშტი მდ. რიონის ზემო წელის შემდინარეებს. აქ მას არ აქვს გამოტოვებული თითქმის არც ერთი მდინარე. შაორის ამოქვამულის დახასიათებისას ვახუშტის შეუნიშნავი არ დარჩენია ამ ადგილისათვის დამახასიათებელი კარსტული მოვლენებიც. კერძოდ, აქ მის ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი კარსტული ძაბრი, რომელსაც იგი აღნიშნავს მდ. სხოვის-ხევის აუზში. „ამ ხევზედ“— წერს იგი,— „არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს“ (გვ. 159). რაჰის მდინარეები ვახუშტით ყოველგან კალმახის სიმრავლით ხასიათდება: „მდინარეთა კალმახნი მრავალნი“,— წერს იგი,— „სხვა თევზნი არაარი, არც რიონსა შინა“ (გვ. 162). ასეთსავე სურათს გვიხატავს ვახუშტი არგვეთისათვისაც: „თევზნი მდინარეთა არა ეგდენ, არამედ კალმახნი მათთ კერძოთა მრავალნი. კირჩხიბნი მრავალნი“ (გვ. 163).

ოდიშისა და აფხაზეთის აღწერისას ვახუშტი იხსენიებს მდინარეებს: აბაშას, ტეხურს, ხორგის-წყალს, ჭანის-წყალს, ენგურს, კოდორს, ცხომის-წყალს, მოქვის-წყალს და სხვა წვირელ მდინარეებს. მდინარეების ჰიდროგრაფიული ნიშნების აღნიშვნასთან ერთად ვახუშტი, როგორც ჩვეულებრივ, იძლევა მდ. აბაშისა და მდ. ტეხურის სახელწოდებათა ახსნა-განმარტებას. ოდიშის მდინარეების დახასიათებაშიც ვახუშტი დიდ ადგილს უთმობს ისტიოფაუნის აღწერას. მთის მდინარეებში იგი კალმახის გავრცელებას აღნიშნავს, ხოლო ვაკის მდინარეებში—სხვა თევზების და მრავალი კირჩხიბის გავრცელებას. მდინარეთა შესართავებთან ვახუშტი ნავსადგომების არსებობას აღნიშნავს. იგი წერს: „მდინარეთ შემდინარეთა ზღვათა შინა უწოდებენ მას ადგილს თვალსა, და არიან ნავსადგურნი. მოდგებიან ნავნი და ვაჭრობენ“ (გვ. 170). იმ მრავალრიცხოვანი პატარა მდინარეების შესახებ, რომელნიც ახასიათებენ ოდიშის ზღვისპირს, ვახუშტი წერს: „ხოლო არიან კვალად ამავე ადგილებთა შინა ხევნი და მცირე მდინარენი და წყარონი კეთილ-გემოიანი, რომელნი სიგრძისათვის დავიდუმეთ“ (170). ოდიშის მდინარეების ხეობების გამოილსა და ვაკისეულ ხასიათს ვახუშტი შემდეგი მოკლე და მოხდენილი სიტყვებით გვიხატავს: „მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი და ფრიალ წვიმიანი“ (გვ. 170).

აფხაზეთის აღწერის დროს ვახუშტი განიხილავს მთელ რიგ მცირე მდინარეებს და ცალკე ჩერდება მდ. ენგურზე, რომელსა იგი აქ კაპეტის მდინარეს უწოდებს, ხოლო სამეგრელოს აღწერის დროს ეგურის სახელწოდებით იხსენიებს. კაპეტი მას დახასიათებული აქვს როგორც წყალუხვი და ჩქარი

დინების მქონე მდინარე. „ბიჭვინთის დასავლით დის“—წერს იგი—„კაპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას კავკასსა, გამოვლის სვანეთს, ალანსა და მას ქვეითთა არს კავკას შორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღვასა“ (გვ. 171). სვანეთის ჰიდროგრაფიული მიმოხილვის დროს კაპეტის შესახებ ვახუშტი წერს: „ამას (სვანეთს) უღის საშუალსა მდინარე თვისი, რომელი იქმნების ბოლოს კაპეტისა. გამოსდის რაჭის მთას კავკასს და მიდის დასავლეთს—ჩრდილოს შორის. ამ მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმეორილამ ხევნი მდინარენი“ (გვ. 173). კაპეტისა და მისი შემდინარეებისათვის დამახასიათებელი ჩქარი და ბობოქარი დინების შესახებ ვახუშტი შემდეგს წერს: „სიციფროვით, მითთ და კლდით და მდინარეებით ფრიად მაგარი“ (გვ. 173). უეჭველია, რომ აქ ვახუშტი სვანეთის „სიმაგრის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მისი მდინარეების ბობოქარ და ჩქარ დინებას წარმოგვიდგენს.

გურია-აჭარის ჰიდროგრაფიული მიმოხილვა შეიცავს სუფსის, ბახვის-წყლის, აკეთ-ბაილეთისწყლის, ხინოს-წყლის, ჩაქვის-წყლის და ჭოროხის აღწერას, დინების მიმართულების აღნიშვნას, სათავეების და შესართავების ადგილმდებარეობის განსაზღვრას. ვახუშტი ცდილობს მდ. ჭოროხის სახელწოდების წარმოშობის გარკვევას. ის წერს: „ხოლო ჭოროხის მდინარე იწოდა ქეა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა, რამეთუ მის მიერ მჩქეფრად და ჩქარად და ხევსა მისსა—ლიგანის-ხევად, კლდოვან განლაგებისათვის ანუ დაბისაგან“ (გვ. 121). მდ. ჭოროხის უფრო ვრცელი დახასიათება ვახუშტის მოცემული აქვს თავისი ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც ეხება კლარჯეთის აღწერას. ის წერს: „ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი... დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ხრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი, და სხვებ ურგები, ვინაიდგან არარაი კეთდების ანუ ირწყვის, თვინიერ ერგეს, გონიას და ბათომს“ (გვ. გვ. 133 და 134).

გარდა ზემოაღნიშნული მხარეების ჰიდროგრაფიისა, ვახუშტის ნაშრომში მოცემულია ჰიდროგრაფიული აღწერილობანი იმ მხარეებისაც, რომელნიც ამჟამად საქართველოს ფარგლებში არ იმყოფებიან. ასე, მაგალითად, ვახუშტის აღნიშნული აქვს და ზოგჯერ აღწერილიც მდინარეები: ერუშეთის, არტაანის, შავშეთის, ტაოს, კლარჯეთის, ისპირის, თორთუმის, ჭანეთისა და სხვ.

ზემოაღნიშნული მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ პოტამოგრაფიულ აღწერილობას ვახუშტის შრომაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შრომაში არ არის გამოჩენილი საქართველოს არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მდინარე. ჩვენ უღარესად მაღლიერი უნდა ვიყოთ ვახუშტისა იმის გამო, რომ მის მიერ მოცემული აღწერილობანი მდინარეთა ნაპირებისა, ხეობებისა და კალაპოტისა ძვირფას მასალას შეიცავენ და მათ დღესაც არ აქვთ მნიშვნელობა დაკარგული. იგივე უნდა ითქვას იმ მასალაზეც, რომელსაც ვახუშტი მდინარეთა ბიოლოგიის შესახებ გვაწვდის. კერძოდ, იხტიოფაუნის შესახებ მოწოდებულ ვრცელსა და საფუძვლიან ცნობებს უღაოდ დიდი მნიშვნელობა

უნდა მიენიჭოს გავლილი პერიოდის განმავლობაში ჰიდროფაუნის ცვალებადობის საკითხის გაშუქებაში.

მდინარეებთან ერთად ვახუშტი თავის შრომაში ტბებსაც იხილავს. „ტბანი დიდნი და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტკბილითა სავსენი და ვიეთნი უხმარი“—ამბობს იგი საქართველოს ტბების ზოგადი დახასიათების დროს. მას შრომაში დასახელებული აქვს შემდეგი ტბები: ტაშალანის ტბა (38), ორმოზანის ტბა (39), ტბის-ყური (43), ფარავნის ტბა (43, 129, 131), ბარეთის ტბა (42), ნადარბაზევის ტბა (44), კუმისი (48), თბილისის რაიონის მცირე ტბები ზოგადად (54), ლისის ტბა (54), ბაზალეთი (64, 65), კნოღოს ტბა (71), სამცხე-საათაბაგოს ტბები ზოგადად და კრებულად (122), საღამოს ტბა (129, 131), კარწახის ტბა (129), აბოცოს ტბა (130), ხავეთის ტბა (გოლის ტბა) (131), ერწოს ტბა (151, 160, 72), პალიასტომის ტბა (174).

პალიასტომის ტბას ვახუშტი შემდეგნაირად აგვიწერს: „კვალად ფოთის სამხრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღვას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსვენებისათვის. იპყრობის თევზნი სხვადასხვანი მას შინა ურიცხვნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“ (174). ამ ძლიერ მოკლე დახასიათებაში ვახუშტის გაშუქებული აქვს თითქმის ყველა საკითხი, ასე გასინჯეთ, ტბის გენეზისიც კი. სხვა საკითხია, თუ რამდენად მისაღებია ტბის წარმოშობის ასეთი ახსნა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთ ახსნას ტბის გენეზისისა იგი არ იცავს, არამედ მას იგი მოჰყავს, როგორც გადმოცემა.

ფარავნის ტბას იგი თითქმის მხოლოდ იხტიოფაუნისტური თვალსაზრისით იხილავს. ის წერს: „ხოლო ტბა ფანავრისა არს დიდი და თევზით სავსე. არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტანვნი ქართლისა და კახეთისანი. და ნეხვი მისი გამდნარისაგან თოვლისა შესდის ტბას მას, და იტყვიან მის გამო უგემურობასა“ (გვ. 43). ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მართებულია ვახუშტის მიერ მოცემული ახსნა ფარავნის ტბის იხტიოფაუნისტური თავისებურებისა, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის მიერ შენიშნული მოვლენა დღესაც შეეფერება სინამდვილეს.

ტაბისყურის ტბის შესახებ ვახუშტი წერს: „ტბა ტაბის-ყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა“ (გვ. 43)... „იტყვიან ტბის ყურისას—თამარ მეფემან ჰყო ტბად, ჳინათგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციიდან—და აწ უქმი არს“ (გვ. 60). დღეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ ტაბისყურის ტბა ხელოვნურად შექმნილი ტბა არ არის და თამარ მეფისთვის მისი შექმნის მიწერა ხალხურ თქმულებას წარმოადგენს. ვახუშტის სასარგებლოდ აქ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ამ შეხედულების გადმომცემია („იტყვიან“) მხოლოდ და არა დაბეჯითებითი გამწიარებელი.

თბილისის მიდამოების ტბების შესახებ ვახუშტი ასევე ლაკონიურ დახასიათებას გვაწვდის: „ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა სავსე; სხდების წერო და ბატი მრავალი“ (გვ. 54). ამ ტბების წყლის სიმლაშეზე ვახუშტი არაფერს მოგვითხრობს. ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ ამავე რაიონში არსებულ კუმისის ტბის მიმართ ვახუშტის წყლის ქიმიური თვისება აღნიშნული აქვს. აი, რას წერს იგი ამ ტბის შესახებ: „ამის (ობის ციხე) ჩრდილოთ კერძ არს ტბა კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა, კვალად ერთვის კოერისა და გუდელისის—ხევის-წყალი“ (გვ. 48).

მოკლედ, მაგრამ მოხდენილად აქვს ვახუშტის ბაზალეთის ტბის აღწერაც: „არს აქა ტბა ბაზალეთისა, დუშეთის წინარე მდებარე, და არს ურგები და უთევზო, და წურბელი მრავალი. სხდებიან ფრინველნი მრავალნი“ (გვ. 65). ვახუშტის მიერ მოცემულ ტბების დახასიათებებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საერთოდ ფაუნას, კერძოდ კი იბტიოფაუნას. ტბების მცენარეულობას ვახუშტი გაკვრით ეხება ნადარბაზევის ტბის აღწერაში: „აქა არს ტბა მცირე, ლულუფრისაგან კიდე მას შინა არააი“ (გვ. 44).

საქართველოს დანარჩენი ტბები ვახუშტის ძლიერ მოკლედ და ზოგადად აქვს მოხსენებული.

როგორც ვხედავთ, განხილვის გარეშეა დარჩენილი ზოგი ტბები ჭავჭავთისა, აფხაზეთისა და სხვა ადგილებისა. მაგრამ უდავოა, რომ იმ ტბების აღწერაც, რომელნიც ვახუშტის შრომაშია, უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს მას მშობლიური მხარის ჰიდროგრაფიული აღწერის საქმეში. რაც შეეხება მის მიერ განხილული ტბების აღწერის ზოგადს ხასიათს, საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტბების უმეტესობის დღევანდელი შესწავლილობაც ისეთ დონეზე, დგას, რომ იძულებული ვართ მათ შესახებ მხოლოდდამხოლოდ რუკის საფუძველზე მიღებული ზოგადი მონაცემების მიხედვით ვიმსჯელოთ და იმაზე მეტი ვერა ვთქვათ რა, რასაც ვახუშტი გვაწვდის. ამიტომ უდავოა, რომ საქართველოს ტბების შესწავლის საქმეში ვახუშტის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც წმინდა მეცნიერული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. მართალია, კონკრეტული მორფოლოგიური მაჩვენებლების უქონლობა ტბების აღწერაში აძნელებს რაიმე გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ იმის შესახებ, თუ რა განვითარება-ცვალებადობას ჰქონია ადგილი ვახუშტის მიერ აღწერილი ტბების მორფოლოგიაში გავლილი ორასწლიანი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ასეთი განვითარება-ცვალებადობის დადგენა, ჩვენი აზრით, შედარებით ადვილი იქნებოდა ტბების ბიოლოგიის სფეროში, რამდენადაც ამ მხრივ ვახუშტის მიერ აღწერილი ტბები საკმაოდ კონკრეტულ და შედარებით ვრცელ მასალას იძლევა. რა თქმა უნდა, ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის ზოოგეოგრაფია ფრიად საგულისხმო და საინტერესო საკითხების გადაწყვეტას შესძლებს.

მიწისქვეშა წყლები ვახუშტის შრომაში წარმოდგენილია მხოლოდ-დამხოლოდ წყაროების სახით, როგორც მტკნარი წყაროებით, ასევე მინერალური და თერმალურით. გასაგები მიზეზების გამო, ვახუშტი საქართველოს ბუ-

ნების მთლიანი დახასიათებისას წყაროებზე შემდეგ ზოგად სურათს იძლევა: „წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი, გემოიანნი და შემრგონი, და მკურნალნი სენ-თანნი“ (გვ. 31). ქართლის აღწერის დროს მას დასახელებული აქვს: მტკნარი წყარო 16, მინერალური წყარო—10 და თერმალური—3. გარდა ამისა, სწვადასხვა ადგილის აღწერისას მას აღნიშნული აქვს წყაროების არსებობა სულ 19 შემთხვევაში, კონკრეტულად რომელიმე წყაროს დაუსახელებლად.

ჰერეთი-კახეთის აღწერის დროს ვახუშტი ასახელებს 10 წყაროიან ადგილს, ამათში 1 მინერალურწყაროიანია; სამცხე-საათაბაგოში იგი აღნიშნავს 9 წყაროს და ერთ თერმალურ წყაროს; ეგრისის აღწერისას იგი 7 მტკნარსა და 1 თერმალურ წყაროს აღნიშნავს. წყაროებს ასახელებს ვახუშტი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანი ზონის დახასიათების დროსაც, თუმცა აქ იგი უფრო მეტად მინერალურ წყაროებს აქცევს ყურადღებას.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, წყაროების დახასიათებას ვახუშტის შრომაში ძლიერ ზოგადი ხასიათი აქვს, მაგალითად: „დიდი“, „ცივი“, „მშვენი“, „უამრავნი“, „კეთილი“, „მშვენიერი“, „ტკბილი“, „შემრგო“ და ა. შ. რაც შეეხება მინერალურ წყაროებს, მათ შესახებ ვახუშტი უკვე კონკრეტულსა და შედარებით ვრცელ ცნობებს იძლევა, უფრო მეტად სამკურნალო თვისებებს აღნიშნავს. დბანისის მინერალურ წყლებს შემდეგნაირად აგვიწერს: „არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუთა. აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა“ (გვ. 39). ფარაენის ტბის ახლო ვახუშტი აგვიწერს წყაროს, „რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძღარ ფრიად ანუ დაცონვილ, მოადნობს. სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი“ (გვ. 43); ან კიდევ წინწყაროს ახლო არსებული წყაროს შესახებ: „აქა არს წყარო: უკეთუ მით მოხარშო მარცვალნი რომელიმე და დღეთა შენთა ხარშო, ვერაოდეს მოხარშავს, გარნა სასმელად და სახმარად კეთილი“ (გვ. 47). მდ. ვერეს აუზში, უძოსთან, ვახუშტი აღნიშნავს წყაროს, რომელიც „ცივებით გაყვითლებულმან უკეთუ სვას და დაიბანოს პირი, წამს განჰკურნებს“ (გვ. 49). სომხითში, ბერდუჯის მთის ახლო, ვახუშტი აგვიწერს მონასტერს, სადაც „დის წყარო და, უკეთუ ასვას ბრაზიან-ცოფიანსა ორმოცის დღის წინათვე, ვერღარას ავნებს ბრაზი კბენილსა კაცსა“ (გვ. 36). ქციის აღწერისას ვახუშტი ცალკე ჩერდება მდ. კლდეისის ხრამზე, სადაც „არს ქვაბი კლდისა, რომელი არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის“ (გვ. 43). თბილისის თერმალური წყლების დახასიათებას ვახუშტი რატომღაც მცირე ადგილს უთმობს, მათ იგი ასე მოკლედ აგვიწერს: „ტფილისის დის ცხელი წყალი, კლდიდამ. არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენი, ავაზიანი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი“ (გვ. 52). ატენის ქალაქის ახლო ვახუშტი აღნიშნავს თერმალურ წყალს: „სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა“ (გვ. 57). კლდეკარის დასავლეთით ვახუშტი აღნიშნავს აგრეთვე სამკურნალო თვისებების მქონე წყაროს; ის წერს: „მთის თხემთა ზედა არს წყარო-თუცა სვას დაცონილმან, ჰკონებს სამდღე უქმელობასა“

(გვ. 59). მალრან-დვალეთის დახასიათების დროს ასე მოხდენილად აგვიწერს ვახუშტი ამ მთიანი მხარის მინერალურ წყაროებს: „დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საკმლის მომდნობი და მომწელებელი და სმენ მუნებური; უწოდებენ ვეძას, პირუტყვეთ შემერგო, გამსუქებელი“ (გვ. 71). ფცის-წყლის აუზის აღწერისას, ქვენა-ტკოცასთან, ვახუშტი ჩერდება თბილი წყლის აღწერაზე, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს და რომელიც გამოყენებულია მოსახლეობის მიერ: „აბანოს დის თბილი წყალი, ჰკურნებს ქარით დახუთვილსა და ბურგსა-მუწუქსა“ (გვ. 80). ჯვარის მონასტრის ახლო ვახუშტი აღწერს კლდიდან გამომდინარე წყაროს, რომელიც არის „სასმისად კეთილი და ჰკურნებს სენთა. და არს გარემონი მისნი მლაშე და მწაქრნი, და იგი ფრიად ტკიბილი“ (გვ. 94). სამკურნალო მინერალური წყლების გავრცელებაზე ვახუშტი მოგვითხრობს აგრეთვე სამხრეთ ოსეთის აღწერის დროს. ის წერს: „ხოლო არიან ვეძანი, რომელ არს წყარო აკარა მლაშე, და მრავლად ყოველსა ოვსეთსა შინა. ამას სმენ კაცნი და პირუტყვნი, და ფრიად ერგებისთ, გარნა უფროს პირუტყვეთა, რამეთუ პოხიერ ჰყოფს, და გემოიან, და ურბილებს მატყლსა“ (გვ. 108).

სამკურნალო წყლებს ვახუშტი აღნიშნავს აგრეთვე მდ. ოცხეს ხეობაშიაც, ახლანდელ საქვეყნოდ ცნობილ კურურტ აბასთუმანში. აი ვახუშტის მიერ მოცემული აღწერა ამ წყლებისა: „არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდულარის მსგავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მუწუქსა და ბურგსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან“ (გვ. 125).

ზემო ქართლში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ვახუშტი ყურადღებით იხსენიებს დიდი დებიტის მქონე წყაროებს, რომელნიც წარმოადგენენ მტკვრის მარცხენა შემდინარეების ფრონესა, ალისწყლისა და სხვათა ფილტრატს. ურბნისის რაიონში იგი აღწერს ასეთ წყაროებს: „დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკვრისასა, რომლით ბრუნვენ დიდნი წისქვილნი ზამთარცა, ვინათგან ვერ განჰყინავს“ (გვ. 78). ასეთსავე დიდ წყაროს ვახუშტი აღნიშნავს აგრეთვე ალის-წყლის აუზშიაც. ის წერს: „ნაბახტეცქ ზეით ერთვის ალის-წყალს ბრილის-წყალი, დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს“ (გვ. 80).

საინტერესოა, რომ ვახუშტის არ გამოჩინია ისეთი წყაროებიც, რომელნიც კარსტულ რაიონებშია და ამის გამო დიდად განსხვავდებიან სხვა წყაროებისაგან როგორც თავისი დებიტითა და რეჟიმით, ასევე მორფოლოგიური ნიშნებითაც. ზრამაგში, მდ. ჟღელისწყლის ხეობაში, ვახუშტი აღნიშნავს ცვალებადდენადობის მქონე წყაროს: „არს... წყარო დიდი, რომელი ჟამ რაოდენმე დის, და ჟამ რაოდენმე დადგების, და არღარა გამოსდის, მერმე კვალად გამომდინარდების და კვალად დადგების“ (გვ. 114). მდ. ყვირილას აუზში, მდ. ძეგრულაზე, ვახუშტი აგვიწერს კარსტულ გამოქვაბულებს და უკანასკნელთაგან გამომდინარე წყაროებს: „ამ ძეგრის-წყალზედ, ხიდს ზეით, არიან ქვაბნი დიდ-დიდნი, გამოკვეთილნი, მრავალნი, კლდესაშინა, დასავლით. და არს ქვაბი ერთი დიდ

ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირვებლად. აქ ქვაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადული წყაროდ, და არს მის შინა კალმახნი მრავალ“ (გვ. 152). ამავე რაიონში, იქ, სადაც მდ. ზუსა ერთვის მდ. ბუჯას, უკანასკნელის პირას ვახუშტი აგვიწერს წყაროს, რომლიდანაც გაზაფხულზე გამოდის წერილი თევზი. „ამ ბუჯაზედ“—წერს ვახუშტი—„არს, ქვა-ციხეს მდინარის კიდურზედ, წყარო გამომდინარე, რომელსა გაზაფხულს მოუდგემენ გოდორსა და აღივსების წერილის თევზითა, წყაროდამ გამომავლითა, ვითარ ვერ მოასწრებენ ამოღებასა. სამ თვე ოდენ ესრეთ, მერმე არღარა, და უწოდებენ ამას ღრუდოს“ (გვ. 153).

რაჭაში არსებული შაორის ამოქვაბულის განხილვის დროს ვახუშტის აღწერილი აქვს ამ ვავრცელებული კარსტული ძაბრებიდან ერთი მათგანი, რომელიც მდ. სხოვის-ხევის ნაპირას მდებარეობს და რომელშიაც გამოდის წყარო. „ამ ხევეზედ“—წერს იგი—„არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულს ჰყინავს სრულიად, რომელი ამოუღეველი არს, რაოდენცა სკრას მრავალმან კაცმან, გარნა თუ შთავიდეს კაცი უცხო, თვინიერ მუნ მყოფისა, აცივებს წელსა ერთსა“ (გვ. 159).

მიწისქვეშა წყლების სხვა სახეებიდან ჰის წყლები ვახუშტის მოხსენებული აქვს მხოლოდ კოლხეთის აღწერისას; იგი აღნიშნავს, რომ საჭილაოსა და სამიქელოს მოსახლეობა, მდინარისა და წყაროების უქონლობის გამო, სასმელად უვარგის ჰის წყალს ხმარობს. იგი წერს: „არა სადა არს მდინარე, თვინიერ. გუბის-წყლისა, და იგიცა მცირე. იზრდებიან ჰით. არამედ ადგილ-ადგილს ჰათა შინა არს ჰია, რომლისა წყლის სმით გამობერავს ყელსა, და დაეკიდების კაცსა და ქალსა, ვითარცა პარკი დიდი. უწოდებენ ყიყეს“ (გვ. 164). სხვა ადგილებში ჰები ვახუშტის არსად არ აქვს დასახელებული.

ასეთია მიწისქვეშა წყლების შესახებ მოცემული მასალა ვახუშტის ნაშრომში. საჭიროა აღინიშნოს, რომ მიწისქვეშა წყლების, კერძოდ, წყაროების შესახებ ამომწურავი და თავმოყრილი მონაცემები, სამწუხაროდ, დღესაც არ მოგვეპოვება. ამიტომ ვახუშტის მიერ მოწოდებულ წყაროების აღწერილობას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ვახუშტის **ყინვარებიც** არ დაუტოვებია უყურადღებოდ. თავისთავად ცხადია, რომ უკანასკნელნი მას მოხსენებული აქვს საქართველოს მაღალმთიანი რაიონების აღწერის დროს. „კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არს 20-30 მხარი და ჟამსა ზაფხულისასა გასქდების და, თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალუქს დათმ ნად სიცივისა; და ჰუშზე მისსა დის მდინარენი, და არს ყინულნი მწვანე და წითელი, ვითარცა კლდე, სიძველის გამო“ (გვ. 30).

ცალკეული ყინვარებიდან ვახუშტის მოხსენებული აქვს ხევის სახელგანთქმული ყინვარები, მყინვარის კალთებიდან ჩამომდინარე. აი როგორ აგვიწერს იგი ამ მთას და მის ყინვარებს: „და არს ზეობა ესე (თერგის ზეობა) მოზღულ-ვილ კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავ-

კასთა და მარადის ცინულით შეკვერცხილი... აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი“ (გვ. 67). ოსეთის კავკასიონის ცინვარებსაც არ ტოვებს ვახუშტი უყურადღებოდ; იგი აღნიშნავს აქ „მაღალ მყინვარს და თოვლიან მთებსა, რომლისა ცინულის სიმაღლე არს 20 და 30 მხარი ზაფხულის“ (გვ. 108). საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ ვახუშტის მიერ მოცემული ზომა ცინვარების სიმაღლისა ზუსტია, იმ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიონის ამ ნაწილის გაყინვარებას შესუსტება-შემცირება განუცდია გავლილი ორასწლიანი პერიოდის განმავლობაში, რადგან ამჟამად აქ გაყინვარება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამას ვახუშტი აგვიწერს.

ყინვარებსა და მარად თოვლს ეხება ვახუშტი ბასიანის აღწერის დროსაც. იგი ასე აგვიწერს მათ ამ მხარეში: „არამედ რაოდენნი კავკასნი აღვსწერენით, სცან მარადის მყინვარედ და თოვლიანად, ვითარცა სხვა სახელდობ გამოვაჩინეთ კავკასთა მთანი“ (გვ. 117).

სვანეთისა და ალანის ცინვარების შესახებაც ვახუშტი მოგვითხრობს: „ხოლო კავკასნი, რომელნი აღვსწერეთ ამ ადგილებთა შინა, კედელის კავკასის მთიდამ, ვიდრე ჭიქეთამდე, არიან ეგრეთივე მყინვარენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი, სიმაღლით, მყინვარებით და ყოვლითურთ“ (გვ. 174). ასევე აქვს ვახუშტის აღნიშნული გაყინვარება იალბუზის მთათა ჯგუფისთვისაც: „არამედ ქართლიდამ ესე კავკასნი უმეტეს ყოველთა კავკასთაგან უმაღლესად მწენარებენ და დიდად, და ამისათვის უწოდესცა სპარსთა იალბუზი და მარადის მყინვარედ იხილებიან“ (გვ. 115).

ინტერესს მოკლებული არ არის ვახუშტის მიერ აღწერილი ცინულოვანი ქვევანარი სტალინირის ახლოს, ე. წ. საბა-წმინდის მონასტრის ნანგრევებთან. აღნიშნული „საყინულის“ შესახებ (დღეს მას ადგილობრივი მოსახლეობა ასე უწოდებს) ვახუშტი ასე მოგვითხრობს: „აქა არს კარკალი, სადაცა ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს, და ხმარობენ ზაფხულ ცინულად“ (გვ. 76). ეს საინტერესო მოვლენა ვახუშტის შემდეგ ნ. ლიხაჩევს¹ აქვს აღწერილი 1879 წელს. იგივე საყინულე ინახულა 1929 წელს (28 VII) ი. პ. ქავთარაძემ,² რომელმაც მოგვცა ამ მოვლენის უფრო საფუძვლიანი და დამაჯერებელი ახსნა.

ასეთია მოკლედ ის მასალა, რასაც ვახუშტი თავის შრომაში საქართველოს მთიან მხარეებში ცინვარებისა და მარადი თოვლის შესახებ იძლევა და რაც კავკასიონის გაყინვარების იმდროინდელი მდგომარეობის ზოგად სურათს ახასიათებს.

ჭ ა ო ბ ე ბ ი ს აღწერა ვახუშტის თავის შრომაში მოცემული არ აქვს. ექვს ვარეშეა, რომ ვახუშტიმ იცის კოლხეთში ჭაობების არსებობის შესახებ, მაგრამ საყრდენი მონაცემების უქონლობის გამო, ალბათ, ის მათ აღწერას არ აწარმოებს. ზოგადად, გაცივით მას მაინც აქვს ზოგი რამ მოცემული ჭაობების შესახებ.

¹ „Изв. Кавк. Общ. любит. Естествоз.“ изд. Альп. Клуба, кн. 1. Тифлис, 1879 г. стр. 61—63.

² И. П. Кавтарадзе. „Сабацминдские ледн. ямы близ Цхинвал“, Кавк. краевед. Сбор, Серия Естествоз. 1—1 Тиф. 1930.

ასე, მაგალითად, ოდიშის აღწერის დროს ვახუშტი ამ მხარეს ასე წარმოგვიდგინს: „მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი, და ფრიად წვიმიანი. ამისგან არს ფრიადი ნოტიობა, გარნა უენებელი“ (გვ. 170). ასევე ერთი ხაზის გასმით აღწერილი აქვს ვახუშტის ალაზნისა და ივრის ნაპირები და უკანასკნელის ქვემოთის დაჭაობებული ადგილებიც: „არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი“ (გვ. 83). უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვაში „ხაშმიანნი“ ვახუშტის ჭაობის ცნება აქვს სახეში.

როგორც დავინახეთ, ვახუშტის შრომის ჰიდროგრაფიულ აღწერილობაში განხილულია წყლის ობიექტების ყველა სახეობა. ყველაზე მეტ ადგილსა და ყურადღებას, რასაკვირველია, იგი მდინარეებს უთმობს, როგორც ბუნებრივი ლანდშაფტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს. ტბების აღწერასაც ვახუშტი დიდი გულმოდგინებითა და ინტერესით ეცილება; საბატო ადგილს უთმობს იგი მიწისქვეშა წყლებს, როგორც მტკნარი სახეობის, ასევე მინერალური და თერმალური სახეობის წყაროებს, რომელთა სამკურნალო თვისებები მას ყოველთვის აქვს აღნიშნული. უკანასკნელთა შესახებ საჭიროა ითქვას, რომ, ზოგიერთი გმონაკლისის გარდა, აღწერილობაში ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობები წყლების სამკურნალო თვისებებისა და გამოყენების შესახებ შეეფერება სავსებით სინამდვილეს. ვახუშტის ზოგადად მოხსენებულ აქვს ყინვარებიც. ბოლოს, გაკვრით, ვახუშტის კალამი კოლხეთისა და იორ-ალაზნის ქვემოთის ჭაობებსაც კი შეეხა. ამრიგად, ვახუშტის შრომაში მოცემული ჰიდროგრაფია საქართველოს წყლების მთლიან სურათს იძლევა. . .

ჩვენი მიმოხილვიდან აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვახუშტის შრომას დღეს ჩვენი ქვეყნის ბუნების შესწავლის საქმეში. მაგრამ მისი დიდი მნიშვნელობა მარტო ამით როდი ამოიწურება. იგი ძვირფასია დღეს ჩვენთვის აგრეთვე იმიტაც რომ იგი წყაროა საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურის დადგენისა, საერთოდ, და წყლის ობიექტებისა, კერძოდ; უფრო მეტიც, ვახუშტის შრომა უმდიდრესი მასალის შემცველი განძია ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგიისთვისაც. ამიტომ იგი, უეჭველია, წაყოფიერი მეცნიერული კვლევის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

6. კახეთში

საქართველოს მცენარეული სარეწარმოო ვახუშტის მიხედვით

ვახუშტი ბაგრატიონისადმი მიძღვნილი კრებულის ხასიათი მოითხოვს, რომ მასში განხილულ იქნეს აგრეთვე მცენარეული საფარი, თუმცე ამ საკითხს წინათაც შევეხებოთ ერთ-ერთ წერილში. ამჟამად ეს წერილი წინამოსაზრებათა შემოკლებულ გადმოცემას წარმოადგენს, რამდენადაც ახალი მასალით შევსებული.

მცენარეული საფარი ვახუშტის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად აქვს მიჩნეული მხარის გეოგრაფიული აღწერის დროს და მას საკმაოდ დიდ ყურადღებასაც უთმობს. ყოველი მხარისათვის მას ჩვეულებრივი სხარტული გამოთქმებით უქველად დახასიათებული აქვს ბუნებრივი პირობების ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

თუ რა დიდი სიღრმით აქვს მას შესწავლილი საქართველოს ბუნების ყოველი ელემენტი, ეს ფრიად თვალნათლივ დაადასტურა ივ. ჯავახიშვილი¹ თავის კაპიტალურ შრომაში, სადაც მან განიხილა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დადგენილი კულტურულ მცენარეთა ზონები.

ვახუშტის კულტურულ მცენარეთა ზონალობის დასადგენად ხუთი განსხვავებული ბოტანიკურ-აგრონომიული არის არსებობა აქვს ნაგულისხმევი. ზონის დადგენის საფუძვლად მოსავლიანობა-ნაყოფიერების პრინციპი აქვს ნაგულისხმევი. უაღრესად ნაყოფიერად სთვლის ნარინჯ-თურინჯის ზონას და მწირად კი სახავს უვენახ-ხილო ზონას. ამის შედეგად ივ. ჯავახიშვილს, ვახუშტის შრომის მიხედვით, თავის დასახელებულ შრომაში მოხსენებული აქვს შემდეგი ზონები:

1. ნარინჯ-თურინჯის ზონა, 2. ბრინჯ-ბანბის ზონა, 3. ვენახ-ხილიანი, 4. უვენახ-ხილო და 5. ბალახ-ყვავილოვანი. მან (ივ. ჯავახიშვილი) ამის საფუძველზე ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკაც შეადგინა. ჩვენი მსცოვანი მკვლევარი მე-296 და მე-297 გვერდზე ეხება აგრეთვე ბოტანიკურ არეებს, მაგრამ, ვინაიდან განხილულ საკითხთან დიდ კავშირში არ იყო, მარტო რამდენიმე ადგილის აღნიშვნით დაკმაყოფილდა. ამიტომ ამ წერილში დასმულ საკითხს მინდა უფრო ფართოდ შევეხო.

ვახუშტის გეოგრაფიაში მცენარეულ საფარს ძალიან დიდი როლი აქვს მიკუთვნილი და მთელი საქართველოს მცენარეულობა ხეობათა მიხედვით განხილული აქვს ტიპების მიხედვით, რის შედეგადაც შეიძლება რუკაზე საე-

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. თბილისი, 1930 წ.

სეზით ზუსტად გამოიხატოს საქართველოს მცენარეულობა ვახუშტისდროინდელი საქართველოსი, რაც ერთგვარ წარმოდგენასაც მოგვცემს იმ ცვალებადობისას, რომელიც საქართველოს მცენარეულობამ განიცადა ამ 200 წლის მანძილზე, ე. ი. „საქართველოს გეოგრაფიის“ დაწერის დღიდან.

ყურადღებას იპყრობს ის მომენტი, რომ საქართველოს მცენარეულობის აღწერისას ვახუშტის გარკვეული სისტემა აქვს მიღებული და მცენარეულობის ერთსა და იმავე ტიპს ყოველ მხარეში, სადაც უნდა იყოს იგი, მტკვრის ქვედა ხეობაზე თუ ზედა ხეობაზე, იორზე თუ ალაზანზე, ერთი და იმავე ტერმინით იხსენიებს.

საქართველოს მცენარეულობაში დადგენილია, რომ მთების შუასართყელისა და სუბალპების ტყეების დამთავრების ზღვარზე დამახასიათებელია ევრეთწოდებული **სუბალპების მაღალი ბალახეულობა**, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთებისათვისაა ტიპური და ამავე დროს ორიგინალურიც. ეს ტიპი ხასიათდება მაღალი ღეროზეშეშანი მცენარეებით, როგორც არის დიყი (*Heracleum Mantegazzianum* Som. et dev), შროშანი (*Lilium monadelphum*), მთის მაჩიტა (*Campanula latifolia* ?), დეზურა (*Aconitum orientale* Mill), კატაბალახა (*Valeriana alliariefolia* Vahl.), წყალიგრეფია (*Aquilegia olympica* Boiss, *Cephalaria procera* Tisch. et dal.), კოლხური გვირილა (*Pyrethrum macrophyllum* Fisch) და სხვანი ამგვარნი. ეს ტიპი მცენარეულობისა, როგორც აღვნიშნე, დამახასიათებელია კოლხეთის მთიანი ნაწილისათვის, დაკავშირებულია ნესტიან და ჭუმუსით მდიდარ ადგილსამყოფელოსთან. რამდენადაც აღმოსავლეთით მოვიწევთ, იმდენად იგი ტიპური მაღალბალახეული ელემენტებისაგან ღარიბდება და ბოლოს კავკასიონის მთანი ამ ტიპს, თავის პირველადი, კლასიკური სახით, ძირითადად ჰკარგავენ.

მაღალი ბალახეულობა ჩვენი მცენარეული საფარისათვის ერთ-ერთი დეტალია, რომელიც ისეთ გეოგრაფიულ ნაშრომში, როგორც არის მხარის გეოგრაფია, შეიძლება არც შესულიყო, მაგრამ ვახუშტის გამოტოვებული არა აქვს და საქართველოს შესაფერ ადგილისათვის მას ყოველთვის იხსენიებს, თუკი იგი ამ მხარისათვის დამახასიათებელია:

„და არს ისპირის მთას, და არს ისპირის მთის კერძოდ, თხემთა უტყუო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, და მას ზევით სრულიად უტყუო, წყაროიან-მდინარიანი, ბალახ-შამბ-შროშანიანიც. (გვ. 126)¹.

შამბ-ბალახ-შროშანიანი თუ დახასიათებული სხვა შესაფერისი ადგილი, ამავე დროს არ არის დავიწყებული ამ ტიპის ეკოლოგიური გარემოცვის ერთ-ერთი ფრიად აღსანიშნავი მომენტი—„წყაროიან-მდინარიანობა“.

თუ შესაფერი ზონა აღმოსავლეთშია, მისთვის იხსენიებს უკვე შედარებით გაღარიბებულ ტიპს.

„აღწერა სამცხისა: ჭავახეთისათვის ...მთა ნიალის-ყურისა... და არს

¹ ლეონარდოვლი აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკის ბროსეტის მიერ. 1842 წ.

შთა ესე სრულიად უტყეო, ბალახ-შამბ-ყვავილიანი და წყაროიანი, ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროს-თავის კერძო მტკვრამდე, ტყიანი, ნადირიან-ფრინველიანი“ (გვ. 102).

„აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი. ქვეყნისათვის... ყოველთა ამათ ალაგებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა მესხნი, იგივე ძველი სახელი სამცხეთოსი... ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროან-მთიანი, კლდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბშროშანიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. შამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდ-თოვლიანი, და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული. რამეთუ აქვს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს. ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინიერ აგარაკთა ჰავით მშვენი და კეთილ, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი: ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველ-გან“ (გვ. 78).

ამ ადგილთათვის ხმარობს „შამბ-ბალახიანი“, და შროშანი, როგორც დამახასიათებელი ელემენტი, გამოტოვებული აქვს. აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში კი ამავე ზონისათვის მითითებული აქვს „ბალახ-ყვავილოვანი“. მართლაც, ჩვენს მთებში ამ მაღალი ბალახეულობის გეოგრაფიას ეს აღწერანი სავსებით ეთანხმება.*

შამბ-ბალახ-შროშანიანი

ტიბიური სუბალპების მაღალი ბალახეულობა. გალარიბებული სუბალპების მაღალი ბალახეულობა.

შამბ-შროშანიანი

მეორადი მაღალი ბალახეულობა და სრულიად გალარიბებული.

შამბ-ბალახიანი

სუბალპური ზონა.

ბალახ-ყვავილოვანი

ალპური ზონა.

ყვავილოვანი

ასევე გარკვევით არის აღნიშნული ტიპები ჭალის, ტყისაც. ყოველთვისაა აღნიშნული თვით ტიპი ჭალის ტყისა—ლერწმოვანია იგი, ბალახიანი, მინდვრიანი თუ რანაირი. ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი:

„და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან ჩალიანი და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხოხობნი“ (გვ. 290).

„... არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკული არს, შამთარი სითბოთი და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშვენი, კეთილ-აგარაკოვანი. ცივი წყარონი, ჰავით მშვენი. მოსავალი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა, მრავლად ნაყოფიერებს“ (გვ. 218).

„ხოლო მუხრან-მან მოიგო სახელი ესე მუხნათა-გან, სადაც არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხნანი: განა საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის წყლიდამ დიდმის იწრომდე“ (გვ. 208).

„კვლად ქვეყანა ესე არს ფრიად ტყიანი მთით ბარამდე და მცირე ველოვანი: მდინარეთა კიდენი ჭილოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი და ფრიად წვიმიანი, ამის-გან არს ფრიადი ნოტიობა გარნა უვნებელი“ (გვ. 404).

შემდგომ, სადაც კი შეხვდებოდა ტყე, ლაკონიურად აღნიშნავს, მდინარის პი-

რაც „ჭალიანი“, ან როგორი ჭალიანია—„ბალახ-ჭალიანი“, „ჩალიანი-ჭალიანი“ თუ სხვაგვარი.

ერთხელ თუ დახასიათებული და განმარტებული აქვს ტერმინი და ტიპი, მას აღარ უბრუნდება. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს განმარტება ეწერებისა, რომელნიც დასავლეთ საქართველოს ვაკეთა და დაბლობთა ტყის ტიპებს წარმოადგენენ და არა ნიადაგების ტიპებს, როგორ აზრსაც მას დღეს ვაძლევთ.

„და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე რომელნი დავსწერეთ, თვინიერ ბრინჯისა. პირ-უტყვენი მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს. . . ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი, ტყეთა შინაცა: ტყენი აყრილნი და უწოდებენ ეწერს, და ეწერნი არიან არგვეთს, საჩხეძოს და საჩიჯავაძოსა შინაცა“ (გვ. 390).

შემდგომ უკვე, სადაც ამ ტყის ტიპი ხვდება, აღნიშნული აქვს „ეწერი“.

ტყეს როგორც ბუნებრივ საწარმოო ძალას, უმთავრესად ხილის მომცემს და ნადირიანს, სადაც ეს ველურნი ხილნი და ნადირნი მრავლად არიან, უეჭველად აღნიშნავს და შესაფერს ეკონომიურ დასაბუთებასაც აძლევს.

ამ მხრივ მას აქვს გამოყოფილი ტყეები: უხილო, უნადირო, ხილიანი, ნადირიანი და ხილიან-ნადირიანი. ამავე დროს ესა დახასიათებანი შეეფარდება როგორც ბუნებრივს, ისე ამ მხარეთა ისტორიულ პირობებს.

უხილო უნადირიანი:

„განა არს ესე აფხაზეთი ტყიანი, ჭალიანი, ეწეროვანი და მცირე ველოვანი, მთის კერძონი აგარაკოვანი“ (გვ. 408).

„და არს ამათ შინა ქვეყანა. . . არს მცირე მთა-გორიანი, ტყიან-ბალახიან-ყვავილიან-წყაროიანი“ (გვ. 392).

ხილიანი ტყეები:

„და ამ საზღვარს შინა-გან არს არგვეთი, ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, არამედ ბრინჯს არა სთესენ: ხილნი ტყეთა შინა-ცა მრავალნი:

პირუტყვენი მრავალნი და არა ქართლისა-ებრ, ვენახი დაბლარი, და ღვინო კეთილი, განა ქართლის კერძო ადგილთა თხელი“ (გვ. 386).

„ხოლო პანკისის ხეობის სამხრით ვიდრე ქისიყის საზღვრამდე უწოდებენ შიგნით კახეთს. . . და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, განა ტყე უმეტეს ხილიანი, მცირე წყლიან მდინარიანი, ვენახოვანი, ხილიანი, ღვინო კეთილი და კარგი“ (გვ. 322).

„ხოლო მთა ლიხისა მდებარებს ჩდილოდამ სამხრით კავკასიიდან დადომდე და არს ტყიან-ნადირიან-ფრინველიანი“ (გვ. 338).

„ხოლო სარკინეთი არს მცხეთის დასავლეთი. . . არამედ მთა ესე არს ტყიანი, ღელე-ღრატოიანი, უწყლო, ნადირიანი, თვინიერ ირმისა ყოველნი“ (გვ. 212).

ხილიან-ნადირიანი ტყეები:

„ხოლო ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდან წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი, ამას უწოდებენ უნაგირას: . . . და არს ქვეყანა ესე მზავსი ვაკისა, და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“ (გვ. 396).

„ამას ზეით, ბოეთანს, ერთვის ალაზანს ბელაქნის წყალი. ამ წყალსა და გიშის წყალს შორისი, ალაზნამდე და კავკასამდე, არს ელისენი, არამედ აწ ქურმუსს აქეთი, და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა სავსე არიან ხილითა: ნადირნი, პირტუყენი, ფრინველნი მრავალნი, აბრეშუმი, ბრინჯი, ბანბა მრავლად. განა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს. არამედ მთის კერძნი კეთილ აგარაკოვანნი და მშვენნი: ხოლო ზამთარს კეთილ-ჰაოვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო“ (გვ. 306).

გამოყოფს რა მცენარეულ ზონებს, არავითარ შემთხვევაში არ იფიქრებს საქართველოს ბუნებრივ პირობათა თავისებურებას, რომ მთა და ბარი საქართველოში „ახლორებს“ ფრიად, ამ დებულების კლასიკურ ნიმუშად მოყვანილი აქვს სამხრეთ საქართველოს, და არა მარტო სამხრეთ საქართველოს, შესაფერადგილთა აღწერანი:

„და არიან ამით შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ქანეთი... და კლდოვან ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ, და მაღალთა მთათა-გან. რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, უამისა ანუ ნახევარ უამისა სავალთა არს თოვლი, და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“ (გვ. 72).

„არამედ არს ხეობა ესე ვენახოვან-ხილიანი, ვიწრო და კლდიანი და მოსაგლიანი, რა ოდენიცა მიწანი იხენიან, პირტუყვიან-ნადირიანი. მთა-ბარნი ახლორებენ ფრიად“ (გვ. 110).

განვიხილოთ აგრეთვე, თუ რა ზონებს გამოყოფს ვახუშტი და როგორ არის ეს ზონები მთელ საქართველოზე განაწილებული. უპირველეს ყოვლისა მას მკვეთრად აქვს გამოყოფილი ვაკენი და დაბლობნი, ამავე დროს—აღმოსავლეთ საქართველოს ვაკენი და დასავლეთ საქართველოს დაბლობნი, და ამის მიხედვით აღწერილი და გამოყოფილი აქვს მცენარეულობის ტიპებიც.

დასავლეთ საქართველოში ვაკეთათვის გამოყოფილია: ქაობნი, ქალის ტყეები ქაობიანნი („ბარდოვან-ტალახ-ქანჭრობიანი“), ქალის ტყეები ლიანებით (ბარდოვანი), ქალის ტყეები უბრალოდ, ეწერის ტყეები.

აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთათვის გამოყოფილია: ველებბ, მლაშე ველები, ძეძვიანები, ძეძვიან თუთობოიანები, ბალახიანები, ქალის ტყეები, ვაკის ტყეები.

მთიანი მხარისათვის: კალთის ტყეები, ნაძენარ-ფიჭვნარები.

მაღალ მთებში:—არყნარები, ნცირეტყიანები, შამბ-ბალახ-შრომანიანები (კოლხეთის სუბალპების მაღალი ბალახეულობა), შამბ-ბალახიანები (აღმოსავლეთ საქართველოში გადარბეებული სუბალპების მაღალი ბალახეულობა), ბალახიანები, ბალახ-ყვავილოვანები, თოვლიანი, მყინვარიანნი.

სანამდე კერძოდ ცალკეულ ადგილთა დახასიათებაზე გადავიდოდეს, იგი ჩვეულებრივ მთელი მხარის დახასიათებას იძლევა ყველა ბუნებრივი პირობით, რის კლასიკური ნიმუშია ოდიშის აღწერა.

გარდა ამისა არა ნაკლებ ყურადღების ღირსნი არიან აღწერანი გურჯისტისა და იმერეთისა და სხვა ადგილთა (გვ. 338, 418 და სხვ.).

ამ აღწერილობაში მოჩანს, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს ვაკე მთლიანი ტყით ყოფილა დაფარული და მთლიანი ლანდშაფტის აღწერის შემდგომ იძლევა ცალკეულ ადგილთა აღწერას, სადაც იხსენიებს ქალისტყეთ „ბარდოვან-ტალახ-ქანჭრობიან“, „ბარდოვან ტყეებს“, „ქალის ტყეებს“ და „ეწერის ტყეებს“.

შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ ერთი ამონაწერიც:

„და არს ქვეყანა ესე მდინარეთა კიდურნი კბოდოვანი, ფლატოვანი, ქალიანი, მთის კერძო ვაკე, და აყრილ-ტყიანი ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილოსა“ (გვ. 386).

ამ აღწერილობის მიხედვით ნათლად წარმოგვიდგება, რას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს კოლხეთის ვაკე, რიონის ხეობა მე-17 საუკუნის დასასრულს და მე-18 ს. დასაწყისს. რომ დავუკვირდეთ, ნათელი გახდება ჩვენთვის, თუ რაოდენი ცვალებადობანი განუცდია მას.

აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთათვისაც ვახუშტის მოცემული აქვს საერთო აღწერილობანი და შემდეგ ყოველი ცალკე რაიონისათვის აღნიშნავს მისთვის დამახასიათებელ მცენარეულობის ტიპებს.

ვაკეთა შორის დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ველთა ტიპებს, რომელთაც შორის გარჩეული აქვს ბალახოვანი ველები და მლაშნარები.

მლაშნარების და ველების ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი დახასიათებანი:

„საყალტუთნის დასავლით არს იაღლუჯის მთა, უტყეო და უწყლო, და სადაცა სდის წყარო მცირე, იგიცა მწარე და მლაშე: არამედ არს ფრიალ ბალახოვანი, ზამთარ-ზაფხულს სულ მოუკლებელი, რომელსა ზედა იზრდებოან არვინი, მროწლენი, ჯოვნი და აქლემნი: იხოვების მშავავსი იამანის ქვისა დიდი და მცირე, შრავალ-ფერნი: აქა არს ბალახი კალია, რომლის ძირს დასწვენ, და ნაცრითა მიხითა აღუღებენ საპონს უმჭობესსა, კვლავად ხმარობენ სხვაფერცა: ამის მთის დასავლით, ხოშაგერქას იქით, არსობის-ციხე, ველსა ზედა, და აწ შემუსრვილი. ამ ტბის დასავლით არს კუმისი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლეღვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი: ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი, ბრინჯ-ბამბის გარდა. კანაფი უმუშავოდ სცდების... მტკერის კიდეზედ არს ქალა ყურყუთა და აწ სონდალული წოდვილი, ნაყოფიერი ყოველივე...“ (გვ. 174-176).

ჩვეულებრივ ველებს კი შემდეგნაირად აღწერს:

„ხოლო იორს არა რაი ვითარი მდინარე ერთვის, ანუ ზევი საგარეჯომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი, და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირე თოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, ჰავითა მშვენი, ხოლო ზაფხულს ცხელი, ხაშმიანი, გაუძლისი“ (გვ. 290).

ვახუშტი ერთგვარად ასხვავებს, და სამართლიანადაც, ველებს, რომელნიც შუა ქართლს მდებარებენ. ამ ველებისათვის „ზამთარი თბილი“ უკვე გამოტოვებულია.

„ხოლო კვალად ქალასა და რეხის დასავლეთად, მხურვალეთს ზეით, არს მთაში მონასტერი... ამ მთის მიყოლვით დასავლეთისაკენ მეჯვამდე და ვიდრე

დიდ ლიახვამდე, და კვერნაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო, გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზნარნი და ვენახნი მრავალნი და ირწყვის მინდორი ისე მეჭვდის აღმოსავლეთისა მეჭვდის რუთი: მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანხისა. მთის ძირის დაბნები აგრეთვე ვენახოვანი და ხილიანი: პირუტყვეთა სიმრავლე, თვინიერ აქლემისა არს ყოველისავე. ამ ადგილს უწოდებენ სამილახორისა: კვლავად კასპის დასავლეთ მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი და იზრდების ცხოვართა რემათა და მროწლეთა სიმრავლე, და თბილი ზამთარი“ (გვ. 244).

„... მინდორი აღიანისა, უწყლო, უნაყოფო, განი ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა“ (გვ. 216).

„არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი, და მას ზეით მთებრი: სამხრით არს ველი დიდი დიდმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი და ზამთარს იზრდების ცხოვართა და ზრღხათა სიმრავლენი“ (გვ. 194).

„აღმოსავლით თბილისისა არს ლილო, არა არს მუნ ვენახნი და ხილნი, მთობისა-გან, და არს უმდინარო-წყაროებისთა, და ნაყოფიერებს მთურად... თბილისილამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი... ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა. გარნა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შექმული და მრავალნი. მის სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ ვერილამ მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს“. (გვ. 192).

რასაკვირველია, უყურადღებოდ არ არის დატოვებული ძეძვიანებისა, ველის ბურქნართა და ნათელი ტყეების ზონა და მათი აღნიშვნა და დახასიათება.

„ნავების აღმოსავლით და სამხრით არს ველი დიდი ყარაიისა, საესე ქურციკითა, რომელსა მოინადირებდენ მეფენი წლითი-წლად: ხოლო მტკვრის კიდეთა ჰალა დიდი, საესე ეშვითა, მშველითა, დათვითა, მგლითა და წვრილის ნადირითა. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი ვიდრე მწარეწყლამდე და მოწესითა საესენი. ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი: არა არს იქა წყალი, არამედ იპრობენ წვიმისა-გან, კლდის ჰათა შინა, და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძვი, მათ ხარშვენ და აცხობენ... ყარაიის ჰალას ქვეით მტკვრის კიდეც, ესახლენ ელნი დემურჩი-ახალზე. საესენი პირუტყვეთა: რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოუკლებელი არს ადგილი ესე, და პირ-უტყვენი მათი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა: რამეთუ რა ოდენნი წყარონი სდიან მთასა-მას მლაშენი არიან და პირ-უტყვეთა შემრგონი: არს მთასა ამას ზედა თუთუბო, კაპარი, მრავალი: ხოლო რა-ოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს ზამთარ არიან ამ ადგილებთა შიგან და ზაფხულს აღვლენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედანი“ (გვ. 180, 182).

„... კუხეთის მთას: მდებარეობს მთა ესე ვითარცა მდინარე იორისა, და არს უტყეო, თვინიერ ძეძვთა და თუთუბოთა ეგეთთა სხვათა მრავალთა: არა სდის მდინარე, და იშვით წყარო-ტბანი. არამედ თუ სადმე, არს მლაშენი და მწარენი. განა არს ბალახიანი ზამთარს, და გამოიზრდებიან სიმრავლე არვეთა, მროწლე-

თა, ჯოგთა, რემათა, იმიერ და ამიერ. განა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები“ (გვ. 286).

ვაკეთა ტყეებში და მთების ქვედა ზონის ტყეებში მრავალი ადგილი უკვე მოტიტვლებული ყოფილა და ზაფხულის საძოვრებადაა გამოყენებული:

„ხოლო კვალად გორის დასავლეთ არის მთა რუისისა, ტინის-ხილით, თედო-წმინდით სასირეთამდე და მტკვრამდე, მცირე ადგილს ტყიანი, სახნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად. უწყლო, და ადგილ-ადგილ დის წყარონი მცირენი. მტკვრის პირად ღრატოიან-კლდიანი“ (გვ. 258).

„და ეწოდების მთა წლევისა, მერმე კვერნაქი არს ამ მთისა ჩილილოთ კერძო ტყიანი ვიდრე ზეგანამდე. მას ზევით კვერნაქი, უტყეო გორამდე და სამხრით კერძი სოლიად უტყეო, განა ბალახიანი ზამთარცა, და თბილი“ (გვ. 240).

„კვლავად ნარეკვავის შესართავის დასავლეთ, სარკინეთის მთის ჩილილოს გვერდი, ვიდრე ქანდაციხის ძირამდე არს ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი... არს მინდორი ნასპარსევისა წოდებული... არს უწყლობით უნაყოფო, არამედ ზამთარ ბალახიანი, და იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე“ (გვ. 216).

ვახუშტის აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეებიც აქვს აღნიშნული, უმთავრესად სამი ჯგუფი: „ჭალა“, „ჭალა ბალახიანი“, „ჭალა ჩალიან-ლერწმიანი“. ამავე დროს ჭალანი დახასიათებული აქვს გამოყენებითი თვალსაზრისითაც. პირველი დახასიათებანი მისი მოყვანილია ზევით, გამოყენებითი თვალსაზრისით აღნიშვნას ქვემო მოყვანილი ადგილნი ადასტურებენ:

„ნაგების ჩილილოთ, მტკვრის კიდე ზედ, არს ჭალა ყარაღაჯისა, აგრეთვე ნადირიანი და ხოხობ-ფრინველითა სავსე“ (გვ. 182).

„... არს ღართის კარი, ხევი ღრმა და მშრალი... ნარეკვავსა ზედა, არს ჭალა ნარეკვავისავე, ნადირითა და ხოხობითა სავსე, და არს მდინარე ესე უყანამდე ვენახითა და ხილითა ნაყოფიერი“ (გვ. 214).

„ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო... ადგილი ტურფა-ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“.

„ვენათამდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველთა გორს ზეთისა, მეჭვდის მდინარისა და პატარა-ლიახვის შუათთა გვერდისძირამდე“ (გვ. 250).

სხვა შესაფერ ადგილთათვის ვახუშტის აღნიშნული აქვს: „მტკვრის კიდეზე ჭალა“ და სხვა.

მთის შუა სარტყელის ტყეებისათვის ნახმარი აქვს ჩვეულებრივად „კალთა ტყიანი“, ხოლო ყოველ მთისათვის ეს აღნიშვნა, სადაც კი ტყე არის, მას აუცილებლად აქვს მოყვანილი და არავითარ შემთხვევაში არ იგიწყებს ამას. კალთის ტყეები მას ისე არა აქვს დაზუსტებული, როგორც სხვა ტიპები, და მასში მხოლოდ „ნაძოვან-ფიჭვიანებს“ გამოყოფს, ხოლო თვით კალთათა ტყეს ჩვეულებრივად სამი ტიპისას გამოყოფს:

ა) — უწყლოსა და მშრალს, სადაც წყარონი ღარიბნი არიან.

ბ)—ჩვეულებრივს, სადაც ტყე, ასე ვთქვათ, მეზოფილურ პირობებში იმყოფება და

გ)—ტყენი წყლითა და წყაროებით მდიდარნი.

როგორც ჩანს, ამ ეკოლოგიურ პირობას იგი დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან ამ მომენტთა აღნიშვნას ის არაოდეს ივიწყებს, და მართლაც, ჩვენი ტყეთა დასახასიათებლად ყველა ესენი ფრიად მნიშვნელოვანი არიან. ჩვენი მკვლევართა საფარის შესწავლის დღევანდელი დონე სავსებით ემთხვევა ამ დაყოფას.

მცირეწყლიან და უწყლო კალთათა ტყის ტიპის ნიმუშებია:

„ხოლო ზედაძნის მთას უძეს სამხრით გრდანი, და ჩილოთ ხერკი, და არს ტყიანი მთა ესე და ნადირიანი, მცირე წყლიან მდინარიანი“ (გვ. 300).

„უძეს იორის-კენ სახენელნი ველნი, და უკან მთა ტყიანი, უწყლო... ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისა-თვის შემპირნობს, თვინიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვინათ-გან არა აქვს მთას მდინარე, ვერა რით რწყვენ ველთა“ (გვ. 290).

ჩვეულებრივია:

„აღმოსავლეთით ქცილვანისა, ასტყდების მთა ტყიანი, და ეს მთა მიჰყვების ჩილოთ-კენ მშხლებამდე“ (გვ. 252).

„კვალად სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩილოთ“... „ხოლო პატარა-ჯაგასა და ხწვეს შუა არს მთა ტყიანი დვალთ გორილამ ფაწამდე სამხრით მდებარე“ (გვ. 256).

წყლიან-წყაროიანი.

„და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა. არს ტყიანი, კლდისანი, იწრო, ხრამოვან-ღრატოიანი. მთანი ტყიან-ნადირიანი“ (გვ. 108-110).

„ხოლო მის აღმოსავლით არს გაღმა-მხარი... და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლითა, და უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა, წყაროთი მდინარითა, ტყითა, ველითა“ (გვ. 322).

როგორც აღვნიშნე, კალთათა ტყეები მას ეკოლოგიურ პირობათა მიხედვით აქვს გამოყოფილი და ჯიშობრივ დაყოფას არ იძლევა გარდა ორი შემთხვევისა, როდესაც ის გვაძლევს ნაძოვან-ფიჭოვან ტიპს (გვ. 204, 276).

მოიანი ქვეყნების მიმართაც ისევე იქცევა, როგორც საერთოდ ყველა მხარისათვის: ჯერ საერთო დახასიათებას იძლევა და შემდეგ ცალკე ხეობებისათვის იძლევა ცალკე ტიპთა აღწერილობებსაც. აი ერთ-ერთი ნიმუში:

„მარცვალნი ნაყოფიერებენ თვინიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა, სიცივისა, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისა-თვის. განა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთესონ ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად და უკეთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოყმდებიან ძლიერად: კვალად არა-რაი მოვალს, და უწყიან

მტილისანი ანუ წალკოტნი განა ხილნი და ვიეთთამე ადგილთა იპოების კოწახური, კლდის-მერხენი, უელი და ასკილი“ (გვ. 430).

ამავე დროს ამ ტიპთა გამოყენებასაც არ სტოვებს უყურადღებოთ და საკმაო ვრცლად ეხება ყველგან, სადაც ამას მნიშვნელობა აქვს.

„კვალად არს შავ-ნაბადი შაორსა და თავკვეთილს შუა. არა არს მთათა ამით ზედა ტყე ანუ ხე, განა ხევთა მცირე არყნალნი, ნადირნი მრავალნი, ირემნი და არჩვი ჯოგად. . . ტბა ტბის-ყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა“ (გვ. 162).

ამა თუ იმ მხარის აღწერის შესანიშნავს ნიმუშს წარმოადგენს ზურტაკეტის აღწერა, რომელიც ვრცლად უნდა მოვიყვანოთ. აქ მთლიანად და ზუსტად დახასიათებულია მთელი მხარის მცენარეული საფარი:

„არამედ ლუკუნის მთის ჩდილოთ კერძს არს მდინარე ზურტაკეტისა. გამოსდის შანბიანის მთას, და მიერთვის ქციის მდინარეს, ხოლო განჰყოფს ხეობასა ამას, აღმოსავლით, ქციის ხრამი, სამხრით, მთა ლუკუნისა. ჩდილოთ, მთა კვირიკეთისა, და დასავლით მთა შანბიანისა: არამედ მთასა ამას შანბიანი ეწოდების, შამბ-ბალახ-სიმალლის-გან. რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების, არამედ არს მთა ესე მაღალი და ვრცელი. ჩდილოდან სამხრით მდებარებს, მარადის არს თოვლი, განა ყვავილებითა მრავალ-ფერმშვენვარიითა და მშვენიითა და წყაროთა შემკული არს. უტყეო, განა ხევთა არყნალნი: აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისა-გან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვის: ხოლო სხვა არს ხევი ფუნდუკისა, სხვა შანბიანისა, სხვა არყნალისა: არყნალ-შანბიანს-ხევს შუა არს წყარო მშენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა 94 მეფემან ვახტანგ: ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე, ჯოგ-ჯოგად და ხროთ, და სხვათა ნადირთაც.

მოინადირა 94 მეფე-მან ვახტანგ, და მოკლეს დღესა ერთსა ას ოთხ-მოცი: ხოლო არს დაბა ველსა ზედა ყარაბულახნი, ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარე-ნი სავსე კალმახითა. არამედ სამხრეთის კალმახი არს შავი, და ჩდილოსი თეთრი. და უკეთუ ჩასვა ჩდილოსი სამხრით, ვაშავდების, და სამხრეთისა ჩდილოთ ჩახსმული განსპეტაკდების. და ამის სამხრეთით არს ციხე მაღალი, კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მუსის-ყალა ციხე. შიგან სდის წყარო, და ზურტაკეტა ამას ქვეით დის ჩდილოთ აღმოსავლეთს შუა: ხოლო ამას ეწოდა რადაბრა-განი: და ყარაბულახს ქვეით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის-ხევი. გამოსდის ქარვასლის-ხევსა, მოერთვის აქ ზურტაკეტას: შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის-ხევი: აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი: ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი თვინიერ კალმახისა, და იგი მრავალი: კვირიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისა-თვის რომელი შენებულ არს თხემთა მთისასა, წმინდის კვირიკესი. და მთა ესე არს ტყიანი და ნადირიანი, არამედ არა არს ხეობასა ამას შინა ვენახნი, ხილნი, თვინიერ მთის ხილთა-გან კიდე, და ნაყოფითაცა ეგრეთვე, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“ (გვ. 154—156).

როგორც აღვნიშნე, ვახუშტის მთაშიც გამოყოფილი აქვს რამდენიმე ზონა. არყნალები:

„ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო, ბალახ-ყვავილიანი, მოსავლით ვითარცა ჭავახეთი, და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთა-გან კიდე“ (გვ. 106).

„ხოლო ქვეყანა ესე არს. . . არა არს აქა ტყე მცირეთაგან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი: განა მდინარეთა კიდეთა და ღელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე სიცივისა და კლდოვანების გამო, ვერ იზრდების“ (გვ. 430).

თუ მთის ტყეებში გამოერია ისეთი მცენარე, რომელიც ჩვეულებრივ მასში არ გვხვდება, არც ეს მომენტი რჩება აღუნიშვნელი:

„...და არს მთა რაზმითისა, კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო: . . . ბობნავს ზევით ერთვის ტანას ღუის-ხევი. . . ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი. მას ზევით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყედ“ (გვ. 200).

და ამავე დროს უქვევლად აღნიშნავს მიზეზსაც: „არს ხეობა ფრიად ცხელი“.

ბალახოვან ალბებში, როგორც აღვნიშნე, იგი არჩევს მაღალ ბალახეულობას, რომელსაც „შამბ-ბალახ“-„შროშანიანს“ უწოდებს და ასხვავებს მას „შამბ-ბახადიანისაგან“ და ბალახ-ყვავილოვანისაგან.

შამბ-ბალახ-შროშანიანები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მთიან მხარეში:

„...და არს ისპირის მთის კერძით, თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, და მის ზევით სრულიად უტყეო, წყაროიან-მდინარიანი, ბალახ-შამბ-შროშანიანი“ (გვ. 126).

ხოლო აღმოსავლეთით და სამხრით მის შემნაცვლელად უკვე ჩნდება ბალახოვან-შამბნაირნი, რაც გეოგრაფიულად და ეკოლოგიურადაც სწორია.

„...და არს მთა (ყარისისა) ესე მცირე-ტყიანი და არს ბალახ-შამბ-ყვავილოვანი, წყაროიან-ნადირიანი.

. . . არსიანის მთა. . . და არს მთა ესე მაღალი და მცირე-ტყიანი, წყაროიან-ბალახ-შამბ-შროშანიანი, და ზაფხულს ფრიად შვენიერი“ (გვ. 106).

„და მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი, და ხევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი: აქა არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა და მიწასა ზედა ვანრთხმული, სურნელი ვითარცა ამბარი და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი: 94 მეფე-მან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი: ხოლო კეჩუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა: აქა არს უდაბნო კლდისა გამოკვეთილი, ეკლესია-სენაკნი...“ (გვ. 150).

მის ზევით აღვიღნი და აღმოსავლეთ საქართველოს მთათა უმეტესობა კი აღწერილი აქვს „ბალახყვავილოვნად“:

„ხოლო არსიანის მთა მდებარეობს სიგრძით აჭარის მთიდან არტანამდე, აღმოსავლეთ-სამხრეთს შუადაშ, ჩრდილო-დასავლეთის შუა, და არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი: გამოსდიან მდინარენი ამიერ და იმიერ, არს ყვავილოვანი, ბალახოვანი, წყაროიანი, ნადირიანი, ფრინველიანი...

... და დასავლეთით არტანუჯი და ფანასკეტი. და არს მთა ესე, არსიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო: ხოლო დასავლეთით მზღვრის სამცხეს მთა გურია-აჭარისა... და არს ესეცა თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, წყარო-მდინარეიანი, შამბ-ყვავილიანი, ნადირ-ფრინველიანი.

... ეწოდების მახვილო... არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, გარნა რომელთაშე ადგილთა თოვლიანი, ყინულიანი მარადის, ბალახოვანი, შამბნოვანი, წყარო-მდინარეიანი, ნადირ-ფრინველიანი.

და ამ საზღვართა შორისი არის სამცხე,... ვენახიანი, ხილიანი მრავლად. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ, პირ-უტყევიანცა მრავლად, არამედ ცხოვარნი უმრავლესად: ჰავით მშვენი და შემკული, აგარაკოვანი“ (გვ. 94-96).

„და არს მალრან-დვალეთი სამ ხეობა, მოსავლით ვითარცა ამ მხრის მთის ადგილნი დავსწერეთ. . . ხოლო კსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემეკობილნი ყვავილითა და ბალახითა“ (გვ. 238).

„ამას ქვეით მთა გონზორი იწოდა უმაღლესობისა-თვის, და ამას ქვეით მთა ცივისა კარდანების ხევამდე არს: ვინათ-გან აქვს აქათ და იქათ ცხელნი ადგილნი და მთა ესე არს მალალი, აგარაკოვანი, ბალახოვან-ყვავილიანი, და წყაროიანი გრილი ფრად“ (გვ. 316-318).

„განა სახელი იწოდა თიანეთს... არამედ არიან ორნივე მთანი უვენახონი, უხილონი, განა ნაყოფიერი პირ-უტყევიანი, ნადირიანი, ბალახოვან-ყვავილოვანი, წყაროიანი, ვითარცა თრიალეთი, თვინიერ სიმცირისა“ (გვ. 296).

დასასრულს, ვახუშტი უკანასკნელ ზონასაც, თოვლიანულნიანსაც შეეხბო და მასში გარკვევით ორი ქვეზონა აქვს გარჩეული: თოვლიანი და ყინულიანი. ამავე დროს ყველგან, სადაც თოვლ-ყინულიანი ზონაა, იგი უმკველად აღნიშნავს.

„... სომხეთისა, ერევნისა და ამისი გამყოფილი არს მთა დიდი, მაღალი და შარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დასავლეთ არტანამდე“ (გვ. 140).

„არამედ ქართლიდამ ესე კავკასი უმეტეს ყოველთა კავკასთა-გან უმაღლესად და მხენარებენ დიდათ, და ამისთვის უწოდესცა სპარსთა იალბუჭი, და შარადის მყინვარედ იხილვებთან. რამეთუ საფხულ გზებთა ამით ზედა ვლენენ ცხენით, გარნა ჰირითა“ (გვ. 450).

„ხოლო ქუთათულის დასავლეთ არს ხეობა ვალაგორისა და ფაიქომისა... არამედ სამთა ამით ხეობათა მზღვრის. აღმოსავლით, მთა რომელი დავსწერეთ ხეესა და თავაურს შორისი, ჩერქეზის მთამდე. სამხრით, მთა ხოხის ყავკასი, ფრად მაღალი და მყინვარი და უმაღლესი ბრუცაბზელ-ზეკარისა“ (გვ. 442-444).

ამგვარად, თავის შრომაში ვახუშტიმ გარკვევით დაგვიხასიათა ველური მცენარეულობის ფონებიც.

შესაძლებელია მსცოვან მეცნიერს უსაყვედუროს ვინმემ, რომ ამ აღწერილობებში დაწერილებით არ არის ჩამოთვლილი ყოველი ზონისათვის დამახასიათებელ მცენარეთა ჯგუფი, მაგრამ საქმე ისაა, რომ მან დაწერა გეოგრაფია და არა საქართველოს მცენარეულობა, და რამდენადაც ეს გეოგრაფიას ეხება, ძან იმდენად ვააშუქა. ის აღნიშნავს მცენარეულობის გარკვეულ ტიპებს: „ველს“, „ბალახ-ყვავილოვანს“, „შამბ-ბალახ-შროშანიანს“, „ჭალის-ტყეს“, „ბარდიან-ტალახ-ჭანჭრობიან ჭალას“, „ეწერს“ და სხვა ამგვარით, და ეს ტერმინები მის შრომაში ყოველთვის უცვლელი რჩება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ტერმინებში ის გარკვეულ შინარსს დებდა და, მაშასადამე, მას გარკვევით ჰქონდა წარმოდგენილი, ყოველი ტიპი რასაცა ნიშნავდა. ამისათვის კი მას, უეჭველია, ჰქონდა ყოველი მხარისათვის გარკვევით დამუშავებული მცენარეულობის სიანიც. ამის გარეშე შეუძლებელია დაედგინა ისეთი ზონები; ან, უფროა სწორად, მცენარეულობის ისეთი ტიპები, როგორც არიან „შამბ-ბალახ-შროშანიანი“ და „შამბ-ბალახიანი“ ტიპები, რომლის დადგენას თანამედროვე ბოტანიკოსებიც კი ზოგჯერ გვერდს უვლიან დადგენის სიძნელის გამო; ამავე დროს მან გეოგრაფიულად ეს ტიპები სავსებით სწორად და ზედმიწევნით განალაგა.

შესაძლებელია ჩვენი ძველი ლიტერატურის შესწავლამ კიდევ მოგვცეს ვახუშტი გეოგრაფის ჯერ უცნობი ნაწერები, რომელნიც ამ საკითხს ნათელ შუქს მოჰფენენ.

ვახუშტის ამ შრომის შემწეობით, 200 წლის შემდეგ, შეგვიძლია დავადგინოთ, რა ცვლილება განიცადა საქართველოს მცენარეულმა საფარმა, და არს მართო მცენარეულმა საფარმა, არამედ თვით საერთოდ ბუნებრივმა პირობებმა.

მე უკვე მოვიყვანე საკმაოდ ვრცელი ამონაწერი რიონის დაბლობის შესახებ: „...და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი. რამეთუ იშვიათ არს ველნი თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახვნელთა-გან . . . რამეთუ უკეთუ დახედო მალღის მთიდან იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ და არა—სადა შენობასა“.

რასაკვირველია, იმერეთის ლანდშაფტი ძირეულად არის შეცვლილი. უპირველეს ყოვლისა, მალღიდან რომ გადმოხედო, „მრავალ შენობასაც“ იხილავ, რომელთა შორის სოციალისტური ინდუსტრიის პირამონი უკვე ასობით ამშვენებენ დღევანდელ იმერეთის ლანდშაფტს; ვაკენი და თავისუფალი ადგილნიც მრავლად არიან, და ესლა რომ ენახა შემომოყვანილი სტრიქონების ავტორს, „ფრიად ტყიანად“ ველარ დასახავდა.

ეს ცვლილება განსაკუთრებით მკვეთრია აღმოსავლეთ საქართველოში, და მრავალ ჭალისა და ვაკის ტყეთა ნაცვლად გაჩენილი არიან ველები და ტრამალები.

„ხოლო მუხრანს თხოთის მთიდან მოსდევს მთა დასავლეთად მტკვრის კიდესა, გორის ქალაქამდე და ეწოდების მთა წლევისა, მერმე კვერნაქი, არა ამ

მთისა ჩრდილო კერძო ტყიანი ვიდრე ზეგანამდე, მას ზეით კვერნახი უტყეო ვორამდე...“

ჩრდილოეთის ფერდობებმაც ამ ხნის მანძილზე იგივე პროცესები განიცადეს, რაც სამხრეთის ფერდობებმა, და დღესაც მათ შესახებ უკვე ითქმის „უტყეო“, რადგან ტყის თითო-ოროლა ნაშთი და კორომი დაჯაგებულია უკვე და ჯაგეკლიანი ველის შექმნის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს. ეს ამონაწერი სინტერესოა იმდენად, რამდენადაც ვახუშტი სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდოს ურთიერთს უპირისპირებს და მას ასეთი დაპირისპირებანი არა ერთხელ აქვს.

„ხოლო კვლად აღის წყლის დასავლით არს წყალი სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის სამხრიდამ მტკვარს, ოსიაურის ზეით. აქ არს ქალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე, არამედ გაჰკაფა 94 მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები“ (გვ. 266).

დღეს ამ ადგილს არის უკვე ტიპობრივი ჯაგეკლიანი ველი. ასეთივე სურათი გვაქვს დიდი და პატარა ლიხვის, მტკვრის და სხვათა ხეობაზე, სადაც ვახუშტი მოგვითხრობს ქალებზე „ტურფა სანადიროებზე“ და სადაც დღეს ამის მაგვარნი აღარ არიან. ამ მხრივ საგულისხმოა აგრეთვე ტაბისყურის აღწერილობაც. „ტბა ტაბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი ბალახ ყვავილიანი წყაროიანი და კალმახითა საესე და დიდწერილითა და ფრიად...“.

დღეს „გარემო ნაძოვანი და ტყიანი“ მოგონების ამბავიღაა.

მაგრამ ამ მხრივ ყველაზე საგულისხმიეროა შამბიანის მთის აღწერილობა.

„არამედ მთასა ამას შანბიანი ეწოდების, შამბ-ბალახ სიმალისა-გან. რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების. არამედ არს მთა ესე ბალაღი და ვრცელი ჩრდილოდამ სამხრით მდებარებს, მარადის არს თოვლი, განა ყვავილებითა მრავალ-ფერ-მშვენივართა და მშვენიითა და წყართა შემკულ არს“ (გვ. 154-156).

ეს ამონაწერი, როგორც რამდენიმეჯერ უკვე აღვნიშნე¹, მრავლის მოქმე-ლია. ამ ორასი წლის მანძილზე შამბიანის მთაზე და საერთოდ მთების ამ სისტემაზე არა მარტო მცენარეულობა შეცვლილა, არამედ კლიმატიც. როგორც უკვე აღვნიშნული იყო, „შამბ-ბალახი“ ვახუშტის თავის გეოგრაფიაში აღვნიშნული აქვს გადარიბებულ „სუბალპურ მაღალი ბალახეულობის“ შემნაცვლელად, ეს ტიპი კი დამახასიათებელია კოლხეთის მინავარ მთებისათვის, ნესტიან ადგილსამყოფელოსათვის, და ველის ელემენტებზე ამ დაჯგუფებაში, რასაკვირველია, ვერც ვიფიქრებთ. დღეს შამბიანზე არავითარი ასეთი „შამბ-ბალახიანი“ ცნობები აღარ გვაქვს. წინააღმდეგ, ველის ელემენტების გამდიდრებული მაღალმთის მცენარეულობა ფარავს ამ მთას, ე. ი. სრულიად საწინააღმდეგო დაჯგუფება.

მარადის არს თოვლიო, რომ აღვნიშნავს ვახუშტი, ეს უკვე იმის მაჩვენებ-

¹ 6. კეცხოველი. საქართველოს მცენარეულობის ტიპები. 1935 წ.

ლია, რომ იმ დროს ეს მხარე ნალექებით მდიდარი ყოფილა, თოვლი დიდი რაოდენობით იღებოდა და ზაფხულიც შედარებით ზომიერი ყოფილა. დღეს „მარადი თოვლი“ აქ აღარ არის. ივლისის ბოლოსათვის თოვლის ნატამალი არც ერთ ამ მთაზე აღარ მოჩანს, სწრაფ დნება ცხელი და თითქმის ნახევრად ველისებური კლიმატის გამო.

ვახუშტის გეოგრაფია ფრიად დიდი მასალის შემცველია მათთვისაც, ვისაც საქართველოს მცენარეულობის გენეზისი აინტერესებს.

დასასრულს ორიოდ სიტყვით საჭიროა აღინიშნოს, ჰყავდა თუ არა ვახუშტის წინამორბედი, რომელთაც, თუნდაც მსოფლიო ლიტერატურაში, მოგვეცას ასეთი ჩამოყალიბებული და გარკვეული სისტემა მცენარეთა გავრცელების დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მას არ ჰყოლია წინამორბედი. მხოლოდ ამ ადამიანის დიდ ერუდიციასა და ღრმა განათლებას შეეძლო დაეძლია ის სიძნელე, რომელნიც მაშინდელი დროის მკვლევარის წინაშე იდგა.

კულტურულ მცენარეთა ზონალობის საკითხს განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი უკვე შეეს¹ და აღნიშნა, რომ ამ დარგში პირველი მეცნიერი ვახუშტი იყო, რომელმაც კულტურულ მცენარეთა ზონალობა მოგვცა De Candolle-ზე ასი წლით უადრესად, და დღეს თუ მეცნიერების ამ დარგში პრიორიტეტი ვახუშტის არ ეკუთვნის, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნაწარმოები, დაწერილი 1745 წელს, გამოიცა თითქმის ასი წლის შემდეგ — 1842 წელს.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ მცენარეთა განაწილებაში, გეოგრაფია-გეობოტანიკაში ჩამოყალიბებული სისტემის პირველ ავტორად იგი უნდა იქნეს მიჩნეული.

მცენარეთა კანონზომიერ გავრცელებაზე პირველად გარკვეულად გამოსთქვა მოსაზრებანი ვილდენოვმა (Willdenow) თავის ერთ-ერთ შრომაში „Grundriss der Kräuterkunde“, რომელიც 1792 წელს გამოვიდა. მის შემდეგ მცენარეთა გავრცელების კანონზომიერებაზე სწერდა აგრეთვე შტრომიერი 1800 წელს, მაგრამ ეს ნაწერები უმთავრესად ისტორიულ თვალსაზრისზე იდგნენ, ხოლო მცენარეთა გეოგრაფიის მამამთავრად თვლიან ალექსანდრე ჰუმბოლტს, რომელმაც 1807 წელს გამოსცა თავისი შესანიშნავი ნაშრომი „Ideen zu einer geographie per Pflanzen“, ხოლო თითქმის იგივე 1805 წელს ფრანკულადაც გამოცა. ჰუმბოლტი ფართოდ და ღრმად ეხება საკითხს; სწავლობს რა მცენარეულ საფარს ერთი კონტინენტისა, გამოაქვს დასკვნები, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ეს მცენარეულობა წარსულ გეოლოგიურ ეპოქებში მეორე კონტინენტის მცენარეულობასთან. ის, მაგალითად, ასეთი შესწავლის შედეგად ამტკიცებს, რომ ამერიკა უნდა იყოს ნაწილი აფრიკისა, რომელიც მოსწყდა ამ მხარესო. 1820 წელს კი De Candolle-მ გამოაქვეყნა შრომა „Geographie botanique“, რომელშიაც გარკვევით

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, 1933 წ.

აღნიშნა მცენარეთა განსახლება დედამიწის ზურგზე, და შემდგომ De Candolle შეეხო კულტურულ მცენარეთა გავრცელებასაც და ზონალობასაც.

ამრიგად, ასეთი გარკვეული სისტემა მცენარეთა განლაგების, განსაკუთრებით ზონების მიხედვით, გვხვდება მხოლოდ ვილდენოვის, ჰუმბოლტის, დე-კანდოლისა და სხვათა ნაწერებში, რომელთაც თავის შრომები გამოაქვეყნეს ვახუშტის შრომის 50-100 წლის შემდეგ.

უკვე ეს ადასტურებს იმ დიდ ერუდიციასა და ღრმა განათლებას, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ ეამს სამშობლოდან განდევნილს მეფისწულს ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, დღეს პრიორიტეტს მეცნიერებათა ამ დარგში მას ვერ მივაკუთვნებთ. მისი შრომა 100 წლის მანძილზე გამოუქვეყნებელი იყო და მხოლოდ 1842 წელს არქივთა ბნელ სარდაფებიდან გამოიტანა დღის სინათლეზე მარი ბროსემ და გამოსცა კიდევ მაშინ, როდესაც ვილდენოვის, ჰუმბოლტის, დე-კანდოლისა და სხვა ნაწერები უკვე რამდენიმე ევროპულ ენაზე იყო გამოცემული.

ყოველ შემთხვევაში, ამ მეცნიერების ისტორიაში ვახუშტის ეს ღვაწლი საპატიო ადგილს მაინც უნდა იყოს მოხსენებული.



აზრ. ჯანაშვილი

საქართველოს ცხოველთა მოსახლეობა ვახუშტი ბაბრატიონის
მინედგებით

ვახუშტი ბაბრატიონს თავის ნაშრომში დაწვრილებით აქვს განხილული საქართველოს ბუნებრივ პირობათა და მოვლენათა ყველა დარგი, ზოგჯერ მეტად მოკლედ, მაგრამ უაღრესად ამომწურავად. ავტორს თავის წიგნში უყურადღებოდ არა აქვს დატოვებული ბუნების არც ერთი მოვლენა, მას, იმ დროის მეცნიერულ მონაცემთა კვალობაზე, დაწვრილებით აქვს შესწავლილი და მოცემული საქართველოს მდებარეობა, რელიეფი, ჰავა, წყლები, მცენარეული საფარი, ფაუნა, ხალხის მოსაქმეობა და სხვ. ვახუშტი მისთვის ჩვეული სიყვარულითა და სიზუსტით აღწერს აგრეთვე საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს.

საქართველოს ფაუნის შესწავლის საქმეში დიდია ვახუშტის დამსახურება, რამდენადაც წარსული საუკუნეების საქართველოს ფაუნის შემადგენლობის შესახებ სრულ სურათს მიანიჭა მისი ნაშრომი იძლევა, ურომლისოდაც ზოგჯერ შეუძლებელი ხდება დადგენა, თუ რატომ არ გვხვდება საქართველოში ზოგიერთი ცხოველი, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში. ვახუშტის შრომის შესწავლის შედეგად ეს შესაძლებელია აიხსნას მეორეულ მოვლენათა ზეგავლენით, რომელთა შორისაც, როგორც ზოოგეოგრაფიულ ფაქტორს, პირველი ადგილი ადამიანს უკავია.

ვახუშტი შესაძლებელია ჩაითვალოს საქართველოს ზოოგეოგრაფიული შესწავლილობის მამამთავრად და, რასაკვირველია, არ უნდა იქნეს უგულვებელი მისი ღვაწლი ამ დარგში. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ე. ი. ზოოგეოგრაფიის დარგში, არ გამოირჩეოდნენ დასავლეთ ევროპის იმ დროის მკვლევარებიც, სადაც ზოოგეოგრაფიის განვითარება მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში დადგა ჭეროვან მეცნიერულ საფეხურზე, შემდეგ წავიდა აღმავლობით და დღევანდელ საფეხურს მიიღწია.

ვახუშტის თავის ნაშრომში, გარდა გარეული ცხოველებისა, შინაური ცხოველებიც საკმაოდ დაწვრილებით აქვს განხილული და შესწავლილი—მათი შემადგენლობა, გამოყენება და ეკონომიური მნიშვნელობა. ჩვენ მათ ყველას გვერდს ავუხვევთ და დავკმაყოფილებით მხოლოდ გარეული ფაუნის დახასიათებით.

ჩვენს წერილში საქართველოს ცხოველთა მოსახლეობას ვახუშტის ნაშრომის მიხედვით განვიხილავთ იმ თანამიმდევრობით, როგორიც წარმოდგენილი აქვს თვით ავტორს. ამასთანავე, წერილის მოცულობის განსაზღვრულობის გამო,

დაექმყოფილდებით მხოლოდ უმთავრესი და მნიშვნელოვანი მავალითების წარმოდგენით.

საქართველოს სამეფოს ზოგადი მიმოხილვისას ვახუშტი, ახასიათებს რა მას გეოგრაფიული თვალსაზრისით, იხილავს აგრეთვე შინაურ ცხოველებს და შემდეგ გარეული ცხოველების შესახებ წერს:

„ხოლო ნადირნი ტყეთა და ველთა: ირემი, ქურციკი, ჭიჭვი, მშველი, არჩვი, თხა, ყურდგელი, ვეფხი, დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, ღორი, მელა, მაჩვი, მწავეი, მთახვი, ძღარბი და სხვანიცა“ (გვ. 30).

აქ, როგორც ვხედავთ, სისტემატიკური თანამიმდევრობა არაა დაცული, რაც გასაგებია, რადგან ცნობილი ლინეის ნაშრომი (Systema Natura) მხოლოდ იმ დროს (1735 წ.) ჩნდება.

ვახუშტის მიერ აღნიშნული „ვეფხი“ წარმოადგენს იმ ცხოველს, რომელიც ამჟამად „ჯიჟის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო ის მტაცებელი, რომელსაც ახლა „ვეფხვს“ (Tigris tigris) ვუწოდებთ, საქართველოში არა გვხვდება და არც წარსულში იყო აქ გავრცელებული. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცხოველის საქართველოში არარსებობა სახელოვან მკვლევარს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, *და რასაკვირველია არც „ვეფხი“ (Leopardus pardus) აერეოდა „ჯიჟში“ (Tigris tigris). სამწუხაროდ, შემდგომ ამ სახეობათა საკუთარი სახელები ერთმანეთში აირია, რაც, როგორც ჩანს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მომდინარეობს.

მეტად საინტერესოა ვახუშტის მიერ საქართველოს ფარგლებისათვის „თახვის“ (Castor fiber) აღნიშვნა. ეს ცხოველი საქართველოში არ მოიპოვება და, როგორც ფიქრობს მკვლევართა უმრავლესობა, იგი აქ წარსულშიც არ ყოფილა. თახვი რომ საქართველოს ფარგლებში ყოფილიყო ვახუშტის დროს, იგი არ შეიძლება ისე უცებ ამოწყდარიყო, რომ მისი კვალი არ დარჩენილიყო იმდენად, რომ ეს ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დასაწყისის მკვლევართათვის, როგორც იყვნენ, მაგალითად, გულდენშტედტი, გმელინი, პალასი და სხვ.

თახვის საქართველოში არსებობა მით უფრო საეჭვო ხდება, რომ ვახუშტის იგი თავის ნაშრომში მხოლოდ ერთ ადგილას აქვს დასახელებული და შემდეგ აღარსად იხსენიებს. მაგრამ აქვე საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე საუკუნის პირველი მეოთხედის მკვლევარები ვარაუდობდნენ, თუმცა დაზუსტებით არაფერს ამბობდნენ, საქართველოში, კერძოდ გურიაში, თახვის არსებობის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ძუძუმწოვარ ცხოველებს შორის ვახუშტის გამოტოვებული აქვს ისეთი ფართოდ გავრცელებული და ყველასთვის ცნობილი ფორმები, როგორც არიან, მაგალითად, გარეული კატა, კვერნა, დედოფალა, ციყვი, თხუნელა და სხვა.

ფრინველების შესახებ ვახუშტი წერს:

„კვალად ფრინველნი... ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა, ბატი, შავი ბატი, იხვი, აკაური, ვარხვი, ღალა, ლაინა. ესენი ზამთარ არიან, ზოგნი გაზაფხულ-

შემოდგომას, თვინიერ არა; ხოხობი, კაკაბი, ღურეჯი, გნოლი, როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახარუხი, კიოტი, ტყის ქათამი, გარიელი, სავათი, ტრედი მრავალგვარი, გვრიტი, გუგული, ოფოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, კოლინბური, ბულბული, ყაზალახი, მალაღური, ჩიტნი და სირნი მრავალგვარნი, შვენიერ-პრელნი და მომღერალნი მრავალნი. ხოლო ხორცის მჭამელნი: ყაჯირი, სეავი, ორბი, არწივი, შავარდენი, ვავაზი, ბარი, ქორი თეთრი და წითელი, მიმინო, მარჯანი, თვალშავი, ალალი, კირკიტა, ძერა, ბაბაყველი, ბოლო-ბეჭედა, ჭარო, ყორანი, მახარა, შავი ყვავი, მალრანი, ყვავი, ბუ, ზარნაშო, წოტი, ჭკა, ჭილყვავი, ყაპყაპი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყოდალა, ოყარი, ლაკლაკი, ყარაულა და სხვანიცა“ (გვ. 30).

როგორც ვხედავთ, ვახუშტის ფრინველთა ფაუნა უფრო დაწვრილებით აქვს განხილული, ვინემ ძუძუმწოვრები. ამავე დროს ფრინველები მას დაჯგუფებული აქვს მუდმივად მობინადრებადა და გადამფრენებად, თუმცა მათ შორის მკვეთარს საზღვარს არ ატარებს და ორივე ჯგუფის ფორმებს ერთად იხილავს. მტაცებელი ფრინველები მას გამოყოფილი აქვს ცალკე „ხორცის მჭამელთა“ სახელით, რომელთა შორისაც, თანამედროვე სისტემატიკის თვალსაზრისით, მოქცეულნი არიან „ბელურასნაირნიც“, მაგალითად, კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყაპყაპი, ჭილყავი, ყვავი, ყორანი, ჭკა, აგრეთვე „ყოდალასნაირნი“, მაგალითად, ყოდალა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ „შავი ყვავი“ ავტორს დასახელებული აქვს საქართველოს ფრინველთა ფაუნის შემადგენლობაში. ამ ფრინველის გავრცელების არეალი კი, რომელიც წყვეტილია, დასავლეთიდან აღმოსავლეთით არა სცილდება აპენინისა და ალპების მთაგრეხილებს, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით არა სცილდება ავღანისტანს.

ფრინველების ფაუნის შემდეგ ვახუშტი განიხილავს თევზებს, რითაც არღვევს სისტემატიკურ თანამიმდევრობას, და „მძრომებს“ ანუ ქვეწარმავლებს იხილავს შემდეგ.

თევზების შესახებ ვახუშტი წერს: „...წყალთა შინა თევზნი არიან: ორავული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაბოეტი, კარჩხანა, მწყერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხვანიცა“ (გვ. 31).

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი თევზებისა ვახუშტის არა აქვს დასახელებული არა მარტო ქვეყნის ზოგადი დახასიათებისას, არამედ საერთოდ ნაშრომში არსად აქვს მოხსენიებული. ასეთ თევზებს წარმოადგენენ, მაგალითად, სალამურა, თართი, წვერა, შამაია, ჭერეხი, ციმორი, მურწა, კაპარტინა, ნაფოტა, ფარგია, ჭორჭილა და სხვ., რომელნიც საყოველთაოდ ცნობილი და ფართოდაც იყვნენ და არიან გავრცელებული საქართველოს მდინარეებში.

შემდეგ ვახუშტის განხილული აქვს საქართველოს „მძრომთა“ ფაუნა, რომელთა შესახებაც იგი წერს: „...არიან მძრომნი მაწყინარნი: გუელნი მკბენელნი, ღრიანკელი გესლიანნი, გველხოკერა, ჯოჯო, ფსვენი, ხელიკი, კუ, თაგვი და სხვანიცა“ (გვ. 31).

თანამედროვე ზოოლოგიური გაგებით „მძრომების“ სახით იგულისხმებიან მხოლოდ ქვეწარმავლები, და, როგორც ზემოხსენებულიდან ვხედავთ, ვახუშ-

ტის გაერთიანებული აქვს ქვეწარმავლები, მორიელიც (დრიანკელი) და ძუძუმწოვრებიც (თავგი). ამ ორ უკანასკნელ ჯგუფს „მძრომებთან“ (ქვეწარმავლებთან) სისტემატიკურად საერთო არაფერი აქვს. თუმცა ვახუშტი ამ მხრივ ნაკლებ შეიძლება გავამტყუნოთ, რადგანაც ზოგიერთი თანამედროვე არაზოოლოგი ავტორის ნაშრომშიც კი ვხვდებით ანალოგიურსავე შეცდომებს.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ყველა მძრომს „მაწყინარს“ უწოდებს და ყველა მათგანი მას, სასარგებლოა თუ მავნეა, ერთად აქვს მოქცეული. თუ ეს „მაწყინარნი“ მისაყენებელი იქნება გველების („გუელნი მკბენელნი“) და მორიელისათვის („დრიანკელი გესლიანი“), იგი სახელწოდება სრულიად არ შეეფერება ისეთ სასარგებლო ქვეწარმავლებს, როგორც არიან, მაგალითად, გველხოკერა, ჯოჯო, ფსვენი, ხვლიკი და სხვა, რომელთაც სოფლის მეურნეობისათვის სარგებლობის მეტი არაფერი მოაქვთ (დიდი რაოდენობით ანადგურებენ მწერებს და მათ შორის მავნეებს). ცხადია, ეს მოვლენა ვახუშტის არა ჰქონდა გათვალისწინებული.

საყურადღებოა, რომ საქართველოში გავრცელებული ყველა გველი ვახუშტის მიაჩნია „გუელნი მკბენელნი“, რაც არაა სწორი, რადგან საქართველოში მოიპოვება მხოლოდ ოთხი სახეობის შხამიანი (ანუ „მკბენელი“) გველი, მათ შორის როდესაც უშხამოთა (არა „მკბენელთა“) რაოდენობა თვრამეტ სახეობას აღწევს. ამ მხრივ დიდი სასაყვედურო ვახუშტის მიმართ ჩვენ არ გვეთქმის, რამდენადაც თანამედროვე არაზოოლოგი ავტორებიც ამ ორივე ჯგუფის გველებს ერთად იხსენიებენ ხოლმე, მიუხედავად მათი შხამიანობისა თუ უშხამობისა.

რომ თავგი „მძრომთა“ ჯგუფს არ ეკუთვნის, ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია, თუმცა ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ძველად ავტორები „მძრომთა“ სახელით გულისხმობდნენ ყველა ცხოველს, რომელნიც მიწაში ძვრებოდნენ და იქ იკეთებდნენ სოროს, თუმცა ამ ჯგუფიდან შედარებით მსხვილ ცხოველებს (მელებს, ტურებს და სხვ.) მაინც აცალკევებდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფაუნის ზოგადი მიმოხილვისას ვახუშტი არაფერს გვეუბნება საქართველოს ამფიბიების შესახებ. შეუძლებელია, რომ სახელოვან მკვლევარს არა სცოდნოდეს არსებობა ისეთი ფართოდ გავრცელებული ფორმებისა, როგორც არიან მყვარები (ბაყაყები), გომბეშოები, ტრიტონები (ვაგლახები, მიწიკატები). უხერხემლოთა ფაუნიდან ვახუშტი აღნიშნავს მხოლოდ მწერებს, მხოლოდ ზოგიერთ მათ ფორმას. ამ ცხოველთა შესახებ ვახუშტი წერს: „მწერნი: კოლო, ბუზი, ბორა, კრაზანა—კაცთა და პირუტყვთა მაწყინარნი, და სხვანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი. არამედ ფუტკარი სარგებლიანი, რომლისა თაფლი ვიეთთა ადგილთა, ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი, და ცვილთა და თაფლთა სიმრავლე არს“ (გვ. 31).

აქ, როგორც ვხედავთ, ავტორს დასახელებული აქვს მხოლოდ ზოგიერთი მავნე მწერი და სასარგებლოთაგან მხოლოდ ფუტკარი. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ვახუშტიმ არ იცოდა არსებობა ისეთი მწერებისა, როგორც არიან კალია, ფარვანა, ხოჭოები, პეპელები, ნემსიყლაპიები, და სხვ. სხვა უხერხემლოთაგან

უყურადღებოდ აქვს მიტოვებული კიბოები, ცხრაფეხები, ლოკოკინები, ჭიკაძე-ლები, ობობები და სხვ. მაგრამ აქ შეიძლება დავუშვათ, რომ ავტორს ეს ცხოველები მეორეხარისხოვნად ჩაუთვლია და ამიტომ ამაზე არაფერი უთქვამს.

საქართველოს ფაუნის ასეთი მოკლე და ზოგადი მიმოხილვა-დახასიათების შემდეგ ვახუშტი განიხილავს საქართველოს ცალკეული მხარეების ფაუნასაც. აქ ვახუშტი ფაუნას უფრო დაწვრილებით იხილავს, ვიდრე საქართველოს ზოგადი დახასიათებისას.

ქართლის აღწერისას, ეხება რა მტკვრის ხეობას, აღნიშნავს:

„გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს აღვილთა ჭალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინვლიანი. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი. . . . ჟამად იპყრობისცა ზუთხი. . . .“ (გვ. 33). (ხაზგასმა ჩემია. ა. ჯ.)

ფაუნისტური თვალსაზრისით ასე ზოგადად აქვს დახასიათებული მას მტკვარი და მისი ხეობა. სამაგიეროდ ბერდუჯის აღწერისას იგი უფრო დაწვრილებით გვაცნობს მის ფაუნას და ამბობს:

„არს ესე მდინარე სარგებლიანი მუნ, სადაცა იწყებს დინებასა ჩრდილოთ კერძ, თევზთა სიმრავლითა, ხოლო სახელდობრ ორაგული, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოეტი და წვრილი თევზი სხვადასხვა გვარნი მრავალნი. და სად აღმოსავლეთით დის, მუნ არს კალმახთა სიმრავლე დიდთა და წვრილთა. არამედ თევზნი ამისნი არა ეგდენ გემოიანნი, ვითარცა სხვათა მდინარეთანი“ (გვ. 34).

როგორც ვხედავთ, აქ დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ხსენებული მდინარის თევზთა სახეობრივი შემადგენლობა და დამატებით მათი გემოიანობაც კია გავარაუდებული.

ბამბაკის ხეობის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს, რომ იქ ბინადრობენ:

„ნადირნი: კლდეთა თხა და არჩვი:... ტყეთა—ირემი, მშველი, დათვი, მგელი, ფოცხვერი, მელა, კურდგელი მრავალნი“ (გვ. 34-35). (ხაზგასმა ჩემია ა. ჯ.)

აღსანიშნავია, რომ ამ ადგილებში ამჟამად თხა ანუ ნიამორი აღარ გვხვდება, ისევე როგორც აღარაა გვხვდება არჩვი, ირემი, დათვი. მეტად იშვიათია ფოცხვერი, თუმცა დათვიც გამოჩაკლისის სახითაა მოიპოვება. დანარჩენნი კი დღესაც საკმაო მრავლადაა წარმოდგენილი.

ყარაიას ველის აღწერისას ვახუშტი მოგვითხრობს, რომ:

„...არს ველი დიდი ყ ა რ ა ი ა ს ა, სავსე ქურციკითა, რომელსა მონადირებდნენ მეფენი წლითი წლად. ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი, სავსე ეშვითა, მშველითა, დათვითა, მგლითა და წვრილის ნადირითა. ირემი იმყოფის ჟამად, და ხოხობნი მრავალნი“ (გვ. 50). (ხაზი ჩემია, დამარცვლა ავტორისაა. ა. ჯ.)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყარაიას მიდამოების ცხოველთა ეს მრავალფეროვანი შემადგენლობა საგრძნობლად შეცვლილია. სრულიად აღარ მოიპოვება ქურციკი, რომელზეც წარსულში „მონადირებდნენ მეფენი წლითი წლად“. ამჟამად ეს ცხოველი აქ მთლიანად ამოწყვეტილია. იგი მხოლოდ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეშია მოიპოვება მცირერიცხოვანი ფარების სახით. დანარჩენთაგან დათვი შეიძლება მოსპობილად ჩაითვალოს, ირემი გვხვდება მცირე რაოდენობით. სამაგიეროდ დორი („ეშვი“) მოიპოვება

მრავლად ყარაიის რაიონში. ხსენებული ადგილები ამჟამად ნაკრძალს წარმოადგენს და მათში არსებული ფაუნა კანონითაა დაცული.

ბორჯომის ხეობის აღწერისას ვახუშტი მოგვითხრობს:

„... არს ეს მტკვრის ხეობა. . . მთანი ნადირიანნი, ნაძოვან-ფიჭვიანი. ირემი, და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხოხობნი (გვ. 89). (ხაზი ჩვენია ა. ჯ.).

საყურადღებოა, რომ ამ ხეობაში ირემი დღესაც მრავალრიცხოვნად მოიპოვება, ხოლო თხა (ნიაშორი) და არჩვი მოსპობილია. ეს ხეობა მდიდარია სხვა სახეობის ცხოველებითაც, მაგალითად, ფოცხვერი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, ციყვი და სხვ., რომელთა შესახებ ვახუშტი არაფერს მოგვითხრობს. ამჟამად ეს მიდამოებიც ნაკრძალს წარმოადგენს, სადაც კონტროლის ქვეშ იმყოფება 14000 ჰექტარზე მეტი ნაკვეთი, რომელშიც ცხოველებს შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობა თავისუფლად გამრავლებისა და განსახლებისათვის.

ვახუშტის, ქართლთან შედარებით, უფრო ნაკლები სრულყოფით აქვს დახასიათებული ჰერეთი, რომელშიც იგი კახეთსაც აერთიანებს.

ივრის ხეობის აღწერისას ავტორი მოგვითხრობს, რომ

„დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხოხობნი (გვ. 89). (ხაზი ჩვენია ა. ჯ.).

ივრის ხეობაში ხოხობი ამჟამადაც მრავლად მოიპოვება და განსაკუთრებული საზოხბე ნაკრძალიც არსებობს საგარეჯოს რაიონში.

ყარაჯისა და ქიზიყის ფაუნასაც ვახუშტი ასევე მოკლედ გვამცნობს. იგი აღნიშნავს:

„არს ალაზნისაკენ მცირე ტყიანი და ბალახიანი, და აღვსილი ნადირთა დიდ-მცირეთი“ (გვ. 97). თუ რომელი „დიდ-მცირე“ ნადირი ჰყავს ამ ადგილებში ავტორს მხედველობაში, არა ჩანს, დღეს კი ამ ადგილებში „დიდ“ ნადირთაგან მხოლოდ მგელი გვხვდება, დანარჩენი ნადირი მხოლოდ „მცირენი“ არიან, მაგალითად, მელა, ტურა, კვერნა, მაჩვი, კურდღელი და სხ. (ხაზი ჩვენია. ა. ჯ.).

უფადარის შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ „არს ესე სანადირო კეთილი“ (გვ. 97). ამ ადგილებში მოსახლეობა მხოლოდ კურდღელსა და მელიაზე, ან ხოხობზე თუ ინადირებს, თორემ სხვა სანადირო ობიექტი იქ აღარ მოიპოვება.

პანკისის ხეობის აღწერისას ვახუშტი მოგვითხრობს, რომ აქ მოიპოვებიან „თევზნი-კალმახნი, ტყე-ნადირიანი, . . . ფრინველნი, თვინიერ ღურაჯისა და და კაკბისა, რომელნი ტყეთა გვარობენ, მრავალნი, . . . ნადირნი მრავალნი, . . . რამეთუ ტყენიცა ხილნარითა სავსე არიან ნადირნი, ფრინველნი, თევზნი მრავალნი, და უმეტეს კალმახი მთის კერძოდ“ (გვ. 102, 103).

სამართლიანია, რომ პანკისის ხეობაში ღურაჯი არ მოიპოვებოდა წარსულში და არც დღეს მოიპოვება. მაგრამ კაკბი კი ამ ხეობაში გვხვდება, თუმც მცირე რაოდენობით. ხოლო სხვა სახეობის ნადირითა და ფრინველით ეს ხეობა დღესაც ყურადღების ღირსია.

ასე მოკლე მიმოხილვით მთავრდება ვახუშტის ნაშრომში აღწერა ჰერეთის ფაუნისა, რომელიც ყოველთვის დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა.

ვახუშტის, შედარებით ზემოაღნიშნულებთან, ოსეთი, ანუ ცენტრალური კავკასიონი, უფრო დაწვრილებით აქვს განზილული. იგი აღნიშნავს, რომ

„... წვრილთა სირთაგან კიდე არაართ არს მუნ, გარნა არს ფრინველი შურთხი სახელით, რომელი ყოვლისა კავკასიასა შინა გვარობს, მსგავსი სახით კაკხისა და სიდიდით არის ქათმის. ეს შურთხი შეიკრებს თვისად საზამთროდ ბალახსა მრავალსა. და ამას ზამთარს შეუქვამს ჯიხვი, ხოლო შურთხი გამოიზრდების კურკლითა მისითა და არს ესე შურთხი ფრიად გემოიანი“ (გვ. 108-109).

აქ, როგორც ვხედავთ, შურთხი სისტემატიკის თვალსაზრისით საკმაოდ სწორადაა განმარტებული, რომ იგი კაკხის მონათესავეა, რაც, სამწუხაროდ, ვახუშტის „გეოგრაფიისათვის“ თანდართული ლექსიკონის შემდგენლებს მხედველობაში არ მიუღიათ და შურთხი შეცდომით „ინდოურის გვარად“ (გვ. 261) განუმარტავეთ, რასაც სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.

რაც შეეხება საკითხს, რომ შურთხი ბალახს ამრავლებს, რომელსაც ჯიხვი უქვამს ზამთრობით, ეს აგებულია მონადირეთა ნამბობზე, რომლის მსგავს ამბებს დღესაც ვგებულობთ. სინამდვილეში შურთხი იმდენ ბალახს აგროვებს, რამდენიც მისი ბუდის აშენებას ესაჭიროება, და თუ ეს ბუდე უპატრონოდ იქნა მიტოვებული, მას, რასაკვირველია, შექვამს ჯიხვი ან არჩვი. ამას საზამთრო მომარაგებასთან საერთო არაფერი აქვს, მით უმეტეს, რომ ზამთრობით ჯიხვები (აგრეთვე შურთხიც) იმ ადგილებიდან, სადაც ზაფხულს ატარებენ, ქვემოთ, ტყის ზონისაკენ ჩამოდიან და ზოგჯერ ტყის ზედა სარტყელშიც იჭრებიან საკვების მოპოვების მიზნით. ასეთი ვერტიკალური მიგრაციები ალპურს ზონაში დიდი თოვლის მოსვლით აიხსნება.

უფრო ვაღაქარბებულია ცნობა, რომ „შურთხი გამოიზრდების კურკლითა მისითა“ (ე. ი. ჯიხვისა). ცხადია, აქ შეცდომაში შეუყვანია მკვლევარი იმ მოგონებას, რომ შურთხი აქეჩავს ჯიხვის (ისევე, როგორც სხვა ცხოველთა) განავალს და იქიდან იღებს და ჭამს ჭიებს, რომლებიც ხშირად თან ახლავს ამ ცხოველებს, მარცვლეულს, რომელიც განავალთან ერთად გამოდის გარეთ და სხვა, და სრულიადაც არ ჭამს განავალს.

ძუძუმწოვარი ცხოველების შესახებ ვახუშტი წერს:

„ნადირნი არიან ვიეთთა ადგილთა ირემი, არჩვი, მშველი, ფოცხვერი, მელი, მგელი, ტურა, მაჩვი, დათვი, კურდღელი, და არა მრავლად“ (გვ. 109).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულს ადგილებში ირემი მეტად მცირე რაოდენობით მოიპოვება დღეს, ასევე უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ფოცხვერიც. დანარჩენი ცხოველების შესახებ თუმცა ვახუშტი ამბობს, რომ „არა მრავლად“ გვხვდებიან, მაგრამ დღეს ეს ცხოველები სხვებთან შედარებით გაცილებით მეტი რაოდენობით მოიპოვებიან.

შემდეგ ვახუშტი მოგვითხრობს, რომ „... ჯიხვი, რომელიც მსგავსობს თხასა, არამედ არს ფრიად უდიდესი მისსა და შეენიერი სახითა და რქითა, ესე გვარობს კავკასთა ამას შინა ყველგან, ჯოგად და ჯოგად. ესე ავლს კლდესა ზედა ქარაფსა და მალალსა, რომელსა ზედა ვერარაიი ცხოველი შემძლებელ არს განსვლად“ (გვ. 109).

უნდა აღნიშნოთ, რომ მკვლევარს ჯიხვი დიდი ოსტატობით აქვს დახასიათებული, მკვეთრად აქვს გამოხატული ამ ცხოველის სიციქიტე, სიმარჯვე და ზომა. როგორც ჩანს, იმ დროს, ე. ი. ვახუშტის პირობაში, ჯიხვი ბევრი ყოფილა, რისი თქმა ამჟამად არ შეიძლება, რადგან ამ ცხოველის საერთო რაოდენობა მეტად დაკლებულია წარსულთან შედარებით, თუმცა მათზე გაწეული მზრუნველობისა და საყოველთაოდ დაცვის შედეგად მათმა რაოდენობამ თანდათანობით იწყო მატება.

ვახუშტი, აღნიშნავს რა, რომ ჯიხვი აღის ისეთ კლდეზე, რომელზე ასვლა არ ძალუძს არც ერთი სახეობის სხვა ცხოველსო, განაგრძობს, რომ იგი „აღვალს იანვრის ტეხვრა-ქაირიშხალსა და შინა უმაღლესს კავკასსა ზედა, და შეაქცევს ცხვირს ქარსა, და დაწვების ეგრეთ, და არარაი ევენების“ (გვ. 109).

უნდა აღნიშნოთ, რომ ჯიხვს ქარისა არ ეშინია და რომ არ ერიდება ქარს, ეს სწორად აქვს ნათქვამი. ხშირად საათობით ერთ ადგილას გარინდული წევს ან ღვას ქარის დროს, ისევე როგორც სიციხის დროს.

თევზების ფაუნის შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს, რომ

„არა არს თევზნი აქა მდინარეთა შინა, ჩქარად დინებისაგან, თვინიერ ვიეთთამე ადგილებთა იპოების კალმახი (გვ. 109).

ეს მოვლენაც სწორად აქვს შემჩნეული მკვლევარს. მდინარეთა ზემოთში მხოლოდ კალმახი მოსახლეობს, ხოლო შუა წელსა და ქვემოთში უკვე სხვა სახეობის თევზებიც ჩნდებიან.

ასეთივე მოკლე და ზოგადი მიმოხილვით ამთავრებს ოსეთის, ანუ ცენტრალური კავკასიონის, ფაუნის აღწერას, და ამ მხარის ცალკეულ რაიონთა განხილვისას იგი ცხოველთა შემადგენლობას აღარ ეხება.

შემდეგ ვახუშტი განიხილავს სამცხე-საათაბაგოს, რომლის ფაუნის შესახებ იგი წერს, რომ იქ გვხვდება:

„ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არა არს“ (გვ. 122).

სრულიად სამართლიანია ვახუშტის ნათქვამი, რომ სამხრეთ საქართველოში ქურციკი არა გვხვდებოდა და არც გვხვდება.

შემდეგ ავტორი განაგრძობს და აღნიშნავს, რომ გვხვდებიან:

„ფრინველნი ურიცხვნი, გარნა ღურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქ. ჩიტნი და სირნი უამრავნი“ (გვ. 122).

აქაც ვახუშტის სწორად აქვს აღნიშნული ხსენებულ ფრინველთა არ არსებობა.

შემდეგ ფაუნის დახასიათებას განაგრძობს და აღნიშნავს, რომ არიან „ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წვრილნი, არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამათ შინა“ (გვ. 122).

მართლაც, აღნიშნულს მხარეში ტბებსა და მდინარეებში თევზთაგან პირველი ადგილი კალმახს უკავია, ხოლო ზუთხი არ მოიპოვება.

ვახუშტის მოკლედ და არასრულად აქვს გადმოცემული, რომ სამცხე-საათაბაგოში

„მწერნი და მძრომელნი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგილად არა ეგდენნი“ (გვ. 122-123) გვხვდებიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამ კუთხის ცალკეულ ხეობათა დახასიათებისას იგი აღნიშნავს ცხოველთა შემადგენლობასაც, რომელთა მიმოხილვაზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით.

დასასრულს ვახუშტის განხილული აქვს ეგრისი (ანუ აფხაზეთი, ანუ იმერეთი), რომლის ფაუნის დახასიათებისას იგი აღნიშნავს, რომ „ნადირნი ყოველნი, რომელნი აღესწერეთ, ფრიად მრავალ არიან, თვინიერ ქურციკისა და აფთრისა“ (გვ. 146).

მართლაც, დასავლეთი საქართველო ძუძუმწოვართა მეტად მრავალფეროვანი ფაუნით ხასიათდება, და არა გვხვდებიან ქურციკი და აფთარი, რომელნიც, საქართველოს ფარგლებში მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდებიან.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა შესახებ ვახუშტი წერს: „ფრინველნი—წერო, ბატი, სავათი, ლაკაკი, კაკაბი, დურაჯი, ასკატა, სვაევი, ყაჯირი არა არს აქა“ (გვ. 146), რაც სრულიად სამართლიანია, რადგან ეს ფრინველები ამ მხარეში არ გვხვდებიან. ავტორი ფრინველების შესახებ შემდეგ განაგრძობს: „... სხვანი ყოველნი მრავალნი; არამედ სირნი, ჩიტნი და ტრედნი ესოდენ, რომელ იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ხდით ფ ერთგვის, და სხვათა მახეებითა—სირთა, ჩიტთა, და სძეს ბეგრად გლენთა ტ. უ და უფროსნიცა“ (გვ. 146). დასავლეთ საქართველოში ამ ფრინველთა ასეთი მრავალრიცხოვნება დღესაც შესამჩნევია. განსაკუთრებით ეს ითქმის შავი ზღვის სანაპირო ზონისათვის.

საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ვახუშტი დასავლეთ საქართველოს თევზების ფაუნას, რომელთა შორის ასახელებს თითქმის ყველა ძირითად სახეობას. იგი წერს:

„... რიონსა შინა საკურდღლიამდე იპყრობენ ზუთხსა, მაისსა, იენისსა და იელისსა შინა და, თვინიერ ამ თვეთაგან კიდე, არა. სხვა თევზნი არიან: ლოქო, გოჭა, ბოლოწითელი, კობრი, მწერი და წვრილი თევზნი, და კალმახნი მრავალი. ხოლო ზღვის კიდეთა შინა იპყრობიან ანდაკია და სხვანიცა“ (გვ. 146). ყველა ძირითადი ფორმა აქ დღევანდელ გაგებითაც სამართლიანადაა აღნიშნული და დახასიათებული (ხაზი ჩვენია, ა. ჯ.).

დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ქვეწარმავალთა შესახებ ვახუშტი წერს, რომ აქ გვხვდებიან: „მძრომნი და გველნი მრავალნი, არამედ გველი უწყინარი და უფრა“ (გვ. 146). სრულიად სწორად აქვს შენიშნული მკვლევარს, რომ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გველების უმრავლესობა, განსაკუთრებით ჭაობიან ადგილებში მცხოვრებლები, უვნებელი, უშხამოა. შხამიანი გველები დასავლეთ საქართველოში მცირე რაოდენობით გვხვდებიან და ისიც, უმთავრესად, მთიან ადგილებში.

ამგვარად, ვახუშტი თავის განთქმულს წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველისა“ იძლევა სრულ და ნათელ სურათს იმ დროს საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა ძირითადი ფორმების შესახებ. ვახუშტის შრომა ერთადერთია, რომლითაც ვგებულობთ წარსულში საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა განსახლებისა და მათი არეალების ფართობს; ამ შრომის შესწავლით სა-

შუალემა გვეძლევა გავიგოთ, თუ როგორ მომხდარა ზოგიერთი ფორმის არეალის შემცირება და შევიწროება. ამ მხრე საყურადღებოა ქურციკის, ირმის, აფთრისა და სხვათა არეალები, რომელნიც გაცილებით უფრო ვიწრონი არიან იმ არეალებთან შედარებით, რომელიც ამ ცხოველებს ჭერ კიდევ XV^{II} საუკუნეში ეკავათ.

ვახუშტის აღნიშნულს ნაშრომში ზუსტადაა გადმოცემული ცხოველთა ადგილსამყოფელოები, იგი არსად არ ურევს ტყის, მაღალმთიან ადგილების, ველებისა და ჭაობების ადგილებში მოსახლე ფორმებს ერთი მეორეში და ყველა თავთავის ადგილს აქვს დასახელებული და განხილული. გამონაკლისის სახით ზოგიერთი ფორმა, როგორც ეს ზევითაც აღვნიშნეთ, ვახუშტის არა აქვს აღნიშნული, როგორც ჩანს მათთვის მეორეხარისხოვანი ყურადღება აქვს მიქცეული და ამა თუ იმ ადგილმდებარეობის დახასიათებისათვის უმნიშვნელოდ ჩაუთვლია და არ აღუნიშნია.

დღევანდლამდე, ჩვენი დროის მეცნიერ-მკვლევარნი საქართველოს ფაუნის შესწავლილობის ისტორიას ჩვეულებრივ 18 საუკუნის დამლევიდან და 19 საუკუნის დასაწყისის ლებულობენ, როდესაც საქართველოში (და საერთოდ ამიერკავკასიაში) მოღვაწეობდნენ გულდენშტედტი, გმელინი, მენეტრიე და სხვ. სინამდვილეში საქართველოს ფაუნისტური შესწავლილობის ისტორია უნდა იწყებოდეს 18 საუკუნის პირველ ნახევრიდან, სწორედ ვახუშტის ხსენებული ნაშრომის დამთავრებიდან და მისი მეცნიერული ღირებულება და ღვაწლი საქართველოს ცხოველთა შესწავლის საქმეში არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი.

დავ. დონდუა

ვახუშტის მატთან და მისი სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობა

ორასი წლის წინათ, 1745 წელს, დიდმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტიმ დაასრულა თავისი უკვდავი შრომა, რომელშიაც ასახულია საქართველოს ბუნება და ცხოვრება. ამ შრომის ორივე ნაწილს—გეოგრაფიისა და ისტორიის—დასტამბვა, გამოკვლევა და შესწავლა მე-19 საუკუნიდან დაიწყო. პირველი მკვლევარები იყვნენ ისტორიკოსები, ენათმეცნიერნი, ლიტერატურათმცოდნეები. გასაგებია, რომ მათი მიდგომაც ვახუშტის შრომის მიმართ უპირატესად საისტორიო-სალიტერატურო თვალსაზრისს ემყარებოდა. ვახუშტის შრომა დიდხანს ელოდა საბუნებისმეტყველო - საგეოგრაფიო თვალსაზრისით განხილვას. ამისი საწყისები პირველ მკვლევართა შრომებშიაც მოიპოვებოდა, მაგრამ ნამდვილი საბუნებისმეტყველო-საგეოგრაფიო კვლევა-ძიება ახლა მიმდინარეობს, როცა ამ მუშაობაში ჩაებნენ ჩვენი გეოგრაფები, კარტოგრაფები, გეობოტანიკოსები. მკვლევართა ამ ჯგუფის ჩამოყალიბებას და მათი სამეცნიერო კვლევისათვის გეზის მიცემას ხელი შეუწყო საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომელმაც თითქმის ათი წლის წინათ გაშალა ამ მიმართულებით მუშაობა, გამოსცა 1941 წელს ვახუშტის გეოგრაფია და შეუდგა სათანადო სპეციალობის პირთა საშუალებით ვახუშტის გეოგრაფობის გამომავლინებელი სტატიების დამზადებას. 1945 წელს ამ მუშაობამ უფრო მეტი გეგმიანი ხასიათი მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში.

გეოგრაფთა და ბუნებისმცოდნეთა მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად აუცილებელი ხდება შეტანილ იქნეს სათანადო კორექტივი ვახუშტის პირველ მკვლევართა ძირითად მეთოდოლოგიურ შეხედულებაში ვახუშტის გეოგრაფიული კონცეფციის საკითხზე.

არის თუ არა ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა ჩვეულებრივი გეოგრაფიული ნაშრომი და უნდა მივიჩნიოთ თუ არა მისი ავტორი გეოგრაფად ამ ცნების ჩვეულებრივი გაგებით? ჩვენი პასუხი ამ საკითხზე უდავოდ დადებითია, ისტორიკოს-მკვლევართა ერთი ნაწილის პასუხი კი—უარყოფითი.

ვახუშტის პირველი მკვლევარები ვახუშტის შრომას იხილავდნენ უპირატესად საისტორიო მეცნიერების ასპექტში, რის გამოც ვახუშტის საგეოგრაფიო მასალაც საისტორიო მასალასთან ერთად მათ მიერ ისტორიის მიზნებისა და ამოცანების პრიზმაში გატარდა. იმთავითვე განმტკიცდა აზრი, რომ ვახუშტი არის საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მეისტორიო-მემატიანე. გეოგრაფი კი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თავისი

გეოგრაფიული ცნობებით ისევე მატთან-ისტორიას უწევს მომსახურებას. ამგვარად, ვახუშტის გეოგრაფიული აღწერისადმი ვახუშტის პირველ მკვლევართა დამოკიდებულებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ ავტორის გეოგრაფობის საკითხი მათ მიერ ჩვეულებრივი გეოგრაფიული მიდგომით არ არის ფადაწყვეტილი.

მკვლევართა თავისებურ მიდგომას ვახუშტის გეოგრაფიული აღწერისადმი ნიადაგს უმზადებდა თვით ვახუშტის შრომის აგებულება. ვახუშტის დასტამბული შრომებიდან მკითხველისათვის ცნობილია ვახუშტის საქართველოს ისტორია და მისივე საქართველოს გეოგრაფია. მაგრამ ვისაც ვახუშტის ხელნაწერი შრომა არ უნახავს (ავტოგრაფი დაცულია თბილისში, ცენტრარქივში, № 103), მას დასტამბული წიგნები სრულ სურათს ვერ შეუქმნის ვახუშტის ნამოღვაწარის შესახებ. ხელნაწერში საქართველოს გეოგრაფია და ისტორია ერთად არის წარმოდგენილი და გარკვეული თანმიმდევრობითაც დალაგებული. ავტორის წინასიტყვაობას—„მკითხველთათვის სიტყვა რაისათვის არს შრომა ესე“—მოსდევს „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, შემდეგ არის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „უწყებულება მკითხველთათვის“, „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მითით, მდინარეებით, და ადგილთა, და მას შინა შენებულებათა“, „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“, „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“ თავისი „ცხორებით აწინდელთა მებატრონეთა“, „აღწერა აწინდელის ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“ თავისი „ცხორებით“, „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“, „ცხორება სამცხე-კლარჯეთისა“, „აღწერა ეგრისისა ქვეყნისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“, „ცხორება ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“. ხელნაწერში არის აგრეთვე სომხით-საბარათიანოს სოფლების სია, ქორანიკონები, სინქრონული ტაბულები, საძიებელი, კინკლოსი.

ვახუშტის ხელნაწერი შრომა მთლიან წიგნად დასტამბული არ არის, დაისტამბა მხოლოდ მისგან გამოკრებილი გეოგრაფია და ისტორია ცალ-ცალკე. მასალის ასე გამოკრებამ და დაქსაქსულად გამოქვეყნებამ ხელი ვერ შეუწყო ვახუშტის გეოგრაფიული კონცეფციის მართებულად გაგებას.

ხელნაწერ შრომაში საისტორიო და საგეოგრაფიო მასალის ერთად მოქცევამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ გეოგრაფიას თავისი ჩვეულებრივი სახე შეცვლილი ჰქონდეს და იგი მხოლოდ საისტორიო მასალის შემავსებელი იყოს. ამ შეხედულებამ კი თავი იჩინა ვახუშტის დასტამბული შრომების დასათაურებაშიაც. ამიტომ, ვიდრე პირველ მკვლევართა სხვა ძირითად შეხედულებებს შევხებოდეთ, საჭიროდ ვცნობთ შევჩერდეთ ვახუშტის დასტამბული შრომის გეოგრაფიული ნაწილის დასათაურების საკითხზე. ხელნაწერიდან საისტორიო და საგეოგრაფიო მასალის გამოკრებისა და ცალ-ცალკე წიგნებად დასტამბვის დროს ამ გამოცემათა პირველ რედაქტორებს მიზანშეწონილად უცნიათ დაესათაურებინათ ეს წიგნები „საქართველოს ისტორიად“ და „საქართველოს გეოგრაფიად“, უახლესი, 1941 წლის, საგეოგრაფიო მასალის ცალკე წიგნად გამო-

ცემის რედაქციას კი უფრო მართებულად მიუჩნევია მიეცა მისთვის სახელი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ხოლო სახელი საქართველოს გეოგრაფია ფრჩხილებში მოუქცევია სატიტულო სათაურის ერთგვარი განმარტებისათვის. ამ გამოცემის სატიტულო სათაურიდან გეოგრაფიის სახელის მოხსნა მოულოდნელი არც არის, როცა რედაქცია თავის წინასიტყვაობაში ყველგან, სადაც საქმე ვახუშტის გეოგრაფიას ეხება, ამ სიტყვას—გეოგრაფიას—წინწყლებში ათავსებს, რაკი დარწმუნებულია, რომ ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა ჩვეულებრივი გეოგრაფია არ არის. მაგრამ გეოგრაფიული მასალის (რა სახის გეოგრაფიადაც გინდა იგულო ეს მასალა) დასათაურება „აღწერით სამეფოსა საქართველოსა“ მართებული არ არის. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ არის ვახუშტის შრომის ერთ-ერთი თავის სათაური, ამ სათაურის მქონე თავი საესებით გარკვეული ხასიათისაა და ეს სათაური არ შეიძლება სხვა მომდევნო თავების საერთო სათაურადაც იქნეს მიჩნეული. ამ თავში აღწერილია მთლიანი საქართველო—მისი მოკლე და ზოგადი გეოგრაფიული აღწერა (სამი გვერდი) და საქართველოს ვრცელი ისტორია ქვეყნის სამეფოებად და სამთავროებად განყოფამდე (სამოცდაათი გვერდი). ეს თავი ვახუშტის შრომის ერთ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც მოსდევს შრომის მეორე ნაწილი—საქართველოს ცალკე მხარეების აღწერა. მართალია, ცნება „აღწერა“ ცნება გეოგრაფიასთან მეტად ახლოსაა, თანაც „ადგილის აღწერა“, რომელიც ვახუშტის თავისი შრომის ერთ-ერთ მთავარ ნაწილად აქვს მიჩნეული; ეტიმოლოგიურად იგივე „ტოპოგრაფია“ და ტოპოგრაფია ძველად გეოგრაფიის მნიშვნელობითაც იხმარებოდა, ვახუშტისაც თავისი შრომის ყველა ის თავი, რომელიც გეოგრაფიულ მასალას წარმოადგენს, „აღწერით“ აქვს დასათაურებული განსხვავებით ისტორიული მასალისაგან, რომელსაც მისი შრომის მეორე ნაწილში ყველგან „ცხორება“ ჰქვია, მაგრამ ცნება „აღწერით“ ვახუშტის ისტორიულ მოქმედებათა აღწერაც აქვს გამოხატული. მეტად საგულისხმოა, რომ ვახუშტის შრომის გეოგრაფიული ნაწილის პირველ თავს (ქართლი ვვაქვს მხედველობაში) ადგილის აღწერის შინაარსის მაჩვენებელი სათაური აქვს, სახელდობრ: „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მთით, მდინარეებით, და ადგილთა, და მას შინა შენებულება“. მომდევნო გეოგრაფიულ თავებს ასე გაშლილი სათაური აღარ აქვს, აწერია მარტო „აღწერა“ ამა და ამ ადგილისაო, და იგულისხმება ისევ ის „საზღვრით, მთით, მდინარეებით, და ადგილთა, და მას შინა შენებულება“. ვახუშტის შრომის ერთ-ერთი თავის სათაური „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სწორედ ვახუშტის ორმხრივი აღწერის—ადგილის აღწერისა და მოქმედების აღწერის შესაფერისი გამომხატველია, ვახუშტის იგი თავისი შრომის მარტო გეოგრაფიული ნაწილისათვის არ დაურქმევია, ამდენად ვახუშტის შრომის გეოგრაფიულ ნაწილს ის სათაურად არ შევნის და ვითომდა ვახუშტისეული სათაურის აღდგენას სრულიადაც არ ნიშნავს. ამ სათაურის ვაკრელება მარტოდენ საგეოგრაფიო მასალაზე მიუღებელი ზდება მით უფრო მაშინ, როცა იგი მიმართულია ცდისაკენ—აარიდონ ვახუშტის გეოგრაფიას ჩვეულებრივი გეოგრაფიის დანიშნულება. ან, თუ ეს სათაური იმ ვარაუდითაა

გამიზნებული, რომ, რაკი წიგნს დაწერება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ამით სამეფოს საისტორიო-საგეოგრაფიო აღწერაზე და არა ქვეყნის ჩვეულებრივ გეოგრაფიულ აღწერაზე იქნება მითითებული, ესეც არაა საიმედო დასაყრდენი, რადგან „აღწერა“ ამა თუ იმ „სამეფოსი“ ჩვეულებრივი გეოგრაფიული აღწერისათვისაც არ არის უცხო სათაური, პირიქით, ვახუშტის ხანაში გეოგრაფიული აღწერები ეხებოდა სწორედ სახელმწიფოებრივ ერთეულებს და ქვეყნის ბუნებრივი ერთეულების აღწერა ნაკლებად ხდებოდა. ამაზე უფრო დაწერილებით ქვემოთ. ასევე ხელოვნურია, როცა, ვახუშტის ავტოგრაფის წინააღმდეგ, ვახუშტის მთელ შრომას—ისტორიასაც და გეოგრაფიასაც ერთად—უკეთდება სატიტულო სახელი „საქართველოს ცხოვრება“, მით უმეტეს, რომ ტერმინი „ცხოვრება“ ვახუშტის მიკუთვნებული აქვს თავისი შრომის განსაზღვრული ნაწილისათვის, რომელიც საგეოგრაფიო მასალის მომდევნო საისტორიო მასალის თავებს წარმოადგენს ძველი ისტორიების—„მატიანეთა“ და „ცხოვრებათა“ მაგალითის მიხედვით. თუმცა, უნდა ითქვას, ეს სათაური ვახუშტის მოლიანი შრომისათვის უფრო მოხერხებულია, რადგან ტერმინ „ისტორიის“ პირვანდელი მნიშვნელობის მიხედვით ისტორიის საგნად შეიძლებოდა გამხდარიყო ყოველივე, რაც კი აღწერას და თხრობით გადმოცემას შეიწყნარებდა. სიტყვა „ისტორია“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს მკოდნეობას, გაცნობილობას „ведение“, „ознакомление“; ასე რომ „ისტორიის“ სახელი, ამ ტერმინის პირვანდელი მნიშვნელობის მიხედვით, შეიძლებოდა დარქმეოდა ცოდნის სხვადასხვა დარგს. ამით აიხსნება ისეთი ტერმინის არსებობა, როგორცაა „ბუნებისმეტყველება“, ე. ი. მოთხრობა ბუნების შესახებ, ბუნების ისტორია, historia naturalis. რუსული „естественная история“, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და რომელიც არსებითად იგივეა, რაც დღევანდელი ტერმინები ბუნებისმკოდნეობა, естествоведение, природоведение, естествознание (იხ. ამის შესახებ В. Бартольд—„История изучения Востока в Европе и России“, 1925 წ. გვ. 7).

ამ, ერთი შეხედვით, პატარა ამბავს მივყევართ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევისაკენაც. იქნებ ისტორია ამ ტერმინის პირვანდელი მნიშვნელობის მიხედვით ესმოდა ვახუშტის და „მატიანე“ შეეძლო დაერქმია მას როგორც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ისე ქვეყნის ბუნების აღწერისათვისაც? ამ ჩვენს აზრს, ვფიქრობ, მტკიცე საფუძველს უქმნის ორი გარემოება: ერთი ის, რომ ტერმინი გეოგრაფიაც ვახუშტის უძველესი გაგებით ესმის. როგორც ცნობილია, ცოდნის ამ დარგს სახელი გეოგრაფია პირველად ერატოსტენემ დაარქვა. მოიგონეთ მისი „გეოგრაფიკა“. ამ სახელს ეტიმოლოგიურად დღეს ასე შლიან—დედამიწის აღწერა, დედამიწის შესწავლა. მაგრამ ესლა უდავოდაა მიჩნეული, რომ თვით ერატოსტენეს, ამ სახელის პირველ შემომღებს, იგი თავისებურად ესმოდა, სახელდობრ, როგორც ქვეყნის მხაზველობა. ვახუშტისაც სწორედ ასე ესმის გეოგრაფიის მნიშვნელობა. მოვუსმინოთ თვით ვახუშტის: „ჯერ იყო სამჭირნოდ, რათა“ ჩემს მიერ დასახულ რუკებს „აქვნდეს ლეოღრაფიის აღწერისაც და დება რომელ არს ქვეყნის მხაზვე-

ლობა“ (იხ. ვახუშტის წინასიტყვაობა „მკითხველთათვის სიტყვა“, გვ. 4¹. მეორე — ვახუშტისათვის უცხო არ არის ტერმინი „ბუნების მატიანე“.

ვახუშტი, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იჩენს საბუნებისმეტყველო რიგის საკითხებისადმი (მოვიგონოთ თუნდაც მისი მაღალ-მხატვრული თქმა: „სწავლა... მოაცურებებს ზღვასა ზედა და ახილვებს მას შინა სრულიადსა, ალაფრენს და წინადაუდებს ყოველსა ქმნულებასა ცისა და ქვეყნისასა, შეკრებულად თვალთა შინა, აჩვენებს ბუნებასა და ნიშატსა ვარსკვლავთა, ცხოველთა და ნერგთა“ (იხ. მისი „მკითხველთათვის სიტყვა“, გვ. 1 და 2), იმოწმებს ციცერონს საბუნებისმეტყველო ცოდნის დიდი მნიშვნელობის შესახებ და ამბობს: „იტყვის ბრძენი ციცერონ: „უკეთუმცა ყოველი ღვთისმეტყველება, ფილასოფია, ფიზიკა და რიტორებანი შევიკრძალოთ და არა მატიანენი ბუნებისანი ნერგთა და ცხოველთა, ვერა რაიმე შევიკრძანათ“ (იქვე, გვ. 3). ამგვარად, ვახუშტი ბუნების მატიანეს ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგად სცნობს. ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იგი მატიანე—ისტორიის ფარგლებს აფართოებს ყველა მანამდელი მემატიანისაგან გამორჩევით. თუ ჩვეულებრივად მატიანე, მოგვახსენებს ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე და ვითარებასა მათა“ (გვ. 2), ვახუშტის მატიანე ამასთან ერთად მოიცავს ნერგთა და ცხოველთა მატიანეებსაც, საერთოდ ბუნების მატიანეს „ადგილის აღწერის“ სახით. წინამორბედ მემატიანეთა მიერ უგულვებელყოფილსა და ვახუშტის მიერ აღწერილ საბუნებისმეტყველო საგან-მოვლენებს დიდი რაოდენობით, საკმაო სიღრმით და იშვიათი სიზუსტით შეიცავს ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა, ანუ „ადგილის აღწერა“. ეს „ადგილის აღწერა“ ვახუშტის თავისი მატიანის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად აქვს მიჩნეული და ეს გარემოება შესაძლოა გამომდინარეობდეს ცნება ისტორიის პირვანდელი მნიშვნელობით გაგებიდან. მაშასადამე, ვიმეორებ, ვახუშტის მთლიან შრომას შეიძლება დაერქვას „საქართველოს ცხოვრება“, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ თვითონ ვახუშტის ხელნაწერ შრომას საერთო სათაური წარწერილი არა აქვს, წინასიტყვაობაში კი ვახუშტიმ თავის შრომას მატიანე უწოდა.

ამგვარად, ვახუშტის მთლიანი შრომა—მატიანე საქართველოს ბუნებასა და ცხოვრებას აგვიწერს. თანაც ამ მატიანის უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენს ვახუშტისავე ხელით შესრულებული საქართველოს გეოგრაფიული რუკების სრული ატლასი, 22 რუკა,—ეს ვახუშტის გეოგრაფობის ყველაზე უფრო მჭევრად მეტყველი საბუთი. ამიტომ ვახუშტის შრომის საისტორიო და საგეოგრაფიო მასალის ცალ-ცალკე დასტამბვის დროს პირთებული იქნება დარჩენს ტრადიციული დასათაურება—საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია. გეოგრაფიის სახელის შენახვას ისიც გვავალებს, რომ ვახუშტის მასზე თვითონ-

¹ ყველგან, სადაც ვახუშტის მატიანის გვერდზე მივუთითებთ, მხედველობაში გვაქვს წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941 წლის გამოცემა თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ავტორი.

ვე აქვს მითითებული თავისი მატთანის წინასიტყვაობაში: „დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდან მცირედ და არა ჭეოვანად, და ჩვენ სრულიადი წინა-დავდევიტ. გარნა ამისდა ჭერ იყო სამპირნოდ რათა აქვნდეს ლეოლრაფიის აღწერისაცა დადება (რომელ არს ქვეყნის მხაზველობა) რომელი იგიცა ვქმენით“ (იხ. ვახუშტის წინასიტყვაობა— „მკითხველთათვის სიტყვა“, გვ. 4).

მაშ, ასე: ვახუშტის შრომა ცხოვრების მატთანესთან ერთად ბუნების მატთანესაც შეიცავს „ადგილის აღწერის“ სახით.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ვახუშტის „ადგილის აღწერა“ ჩვეულებრივი გეოგრაფია არ არის?

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, ითვალისწინებს რა ვახუშტის მითითებას მისი მატთანის შედგენილობის საკითხზე („ეცე მატთანე განიყოფების 4 წილად: ადგილის აღწერად, ნათესავემეტყველებად, წლის პრიცხველობად და მოქმედების აღწერად“), სთვლის, რომ ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა ქართული საისტორიო მწერლობის შემავსებელია. ის ფიქრობს, რომ ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერაში, რომელიც ავტორისავე განზრახვით მატთანე-ისტორიის ერთ-ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო, გეოგრაფიული მასალის გარდა მოცემულია არაგეოგრაფიული ცნობებიც და, მასასადამე, თვით ეს გეოგრაფიული აღწერაც ჩვეულებრივი გეოგრაფია არ არის, იგი საისტორიო გეოგრაფიაა. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ქართულ საისტორიო მწერლობის ძირითად ნაკლის,—საისტორიო გეოგრაფიის უქონლობის,—შესავსებლად ვახუშტმა შეადგინა თავისი დიდი შრომა, რომელიც საქართველოს სრულ საგეოგრაფიო აღწერილობას შეიცავს... ვახუშტის გეოგრაფიული აღწერილობა ვრცლად და შინაარსიანად არის შედგენილი, თავის შრომაში მას მარტო გეოგრაფიული ცნობები კი არა აქვს მოყვანილი, არამედ ყველა ისტორიულ ნაშთებსაც იხსენიებს: ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, მონასტრებს, სასახლეებს, ხიდებს, რუებს და არხებს, ან ვისი აგებულია, ან როდის, ვინ გადააკეთა ან დაანგრია, საითგან იწყება და სად მიდის რუ-არხები, ან ვისი გამოღებულია და როდის. ამას გარდა საქართველოს თვითი კუთხის მოსახლეობის, მეურნეობა-მრეწველობის ხასიათია დასურათებული, ტანისამოსისა და ზნე-ჩვეულებათა სხვაობაც არის ხოლმე ყოველთვის აღნიშნული... განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ვახუშტმა თავისი გეოგრაფია საქართველოს საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა და ამ გზით თავის შრომას მკვიდრი სამეცნიერო საფუძველი მისცა“ (ივ. ჯავახიშვილი. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი 1—ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს.)“, მეორე-მესამე შეეკრებული გამოცემა, თბ., 1945 წ., გვ. 330-331).

ამავე აზრს ავითარებს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. ის ამბობს: „გეოგრაფია“ ცალკე წიგნად ვახუშტის არასოდეს დაუწერია. წინამდებარე გამოცემის საგანი არის ის „ადგილის აღწერა“, რომელიც ვახუშტის აზრით ისტორიის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქრონოლოგია-გენეალოგია. ამ გარემოებით განისაზღვრება ჩვენი „გეოგრაფიის“ თავისებურებაც. ვახუშტი ამ

შრომის წერისას, როგორც ადვილად შესამჩნევია, ერთის წუთითაც არ ივიწყებს, რომ მისი ეს „აღწერა“ ისტორიის („მატიანეს“) ნაწილია და უკანასკნელის სრულყოფას ემსახურება. ამიტომაც არის, რომ ვახუშტის „თავის შრომაში მარტო გეოგრაფიული ცნობები კი არა აქვს მოყვანილი, არამედ ყველა ისტორიულ ნაშთებსაც იხსენიებს: ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, მონასტრებს, სასახლეებს, ხიდებს, რუებს და არხებს, ან ვისი აგებულება, ან როდის, ვინ გადააკეთა ან დაანგრია, საიდან იწყობა და სად მიდის რუ-არხები, ან ვისი გამოღებულია და როდის“. ამითვე აიხსნება „ის გარემოება, რომ ვახუშტიმ თავისი გეოგრაფია საქართველოს საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა“. მოკლედ, ვახუშტის „აღწერა“ დიდად სცილდება ჩვეულებრივი გეოგრაფიის ფარგლებს. ის ისტორიული გეოგრაფიაა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ რედაქციამ საქიროდ დაინახა დაერღვია ვახუშტის შრომის ამ ნაწილის სახელწოდებისათვის მიღებული ტრადიცია—„საქართველოს გეოგრაფია“ და აღედგინა ავტორისეული „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (იხ. ვახუშტი—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“ თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, საქ. გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა. თბ. 1941 წ., ნ. ბერძენიშვილის „შესავალი“, გვ. XX).

აზრი ნათელია: ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა, ისტორიკოს მკვლევართა შეხედულებით, მატიანე-ისტორიის სრულყოფას ემსახურება, იგი ისტორიის ორგანული ნაწილია, ჩვეულებრივი გეოგრაფია არ არის, საისტორიო მწერლობის შემავსებელი გეოგრაფიაა და მარტო გეოგრაფიულ ცნობებსაც არ შეიცავს.

ჩვენი აზრით, ვახუშტის „ადგილის აღწერა“ ჩვეულებრივი გეოგრაფიაა.

ჯერ ერთი, „ადგილის აღწერა“, როგორც სამართლიანად შენიშნავს თვით აკად. ივ. ჯავახიშვილი, ვახუშტიმ ქართველ მემატიანეთა შორის პირველმა მიიჩნია მატიანის ერთ-ერთ მთავარ ნაწილად. მაშასადამე, ეს ვახუშტის საკუთარი მეთოდოლოგიური გავებაა მატიანის მიზნებისა და ამოცანებისა. მართალია, არ მოგვეპოვება ვახუშტისავე პირდაპირი მითითება—რას გულისხმობს იგი ამ „ადგილის აღწერაში“, ჩვეულებრივ გეოგრაფიას თუ მარტოდენ საისტორიო საკითხების დანამატ გეოგრაფიულ ცნობებს, მაგრამ არაპირდაპირი მითითება კი აშკარად გვაქვს, სადაც ჩანს ვახუშტის ღრმა ინტერესი ბუნების მატიანისადმი ადამიანის ცხოვრების ამსახველ მატიანესთან ერთად.

მეორე: ვახუშტის მატიანის საგეოგრაფიო და საისტორიო ნაწილი—„ადგილის აღწერა“ და „მოქმედების აღწერა“—ერთი მეორეში ისე არ არის შერწყმული, რომ გეოგრაფიული ცნობები საისტორიო ტექსტის უბრალო გეოგრაფიულ ილუსტრაციას წარმოადგენდეს. თვით საისტორიო ტექსტში „ადგილის აღწერა“ სრულიადაც არა ჩანს, „ადგილის აღწერა“ ცალკე თავებადაა გამოყოფილი როგორც მატიანის იმ ნაწილში, სადაც საქართველოს სამეფოა აღწერილი მის განყოფამდე სამეფოებად და სამთავროებად, ისე საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების აღწერილობაშიაც. უფრო მეტიც: „ადგილის აღწერანი“ ყველგან წინ უძღვის საისტორიო ტექსტებს—„მოქმედების აღწე-

რას“. თანაც ეს წინ წამძღვარებული „ადგილის აღწერანი“ ჩვეულებრივი გეოგრაფიული აღწერის ნამდვილი სახითაა აქ წარმოდგენილი, საკითხების ისეთი დალაგებით, როგორც ეს დღევანდელ გეოგრაფიულ აღწერებშიაც მტკიცედ არის დაცული, სახელდობრ: ა) მხარის ზოგადი გეოგრაფიული მიმოხილვა—სახელი რათ ეწოდა ადგილს (მთელ საქართველოს თუ მის ცალკეულ მხარეებს), ადგილის განვრცობა და სიდიდე, მისი მდებარეობა და საზღვრები, ადგილის ბუნება, მისი მოსახლეობა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა და ბ) მხარის ცალკეულ ადგილთა რეგიონალური გეოგრაფია.

„ადგილის აღწერა“, როგორც ვთქვით, „მოქმედების აღწერაში“ არაა ჩაქსოვილი, ის ცალკეა გამოყოფილი და „მოქმედების აღწერაში“ გეოგრაფიულ აღწერას არსად არ ვხვდებით, მაშინ როდესაც „ადგილის აღწერაში“ შიგადაშიგ ყველგანაა ჩაქსოვილი „მოქმედების აღწერა“, საისტორიო-სამატეიანო ცნობები. ამ გარემოებას, რომ ვახუშტის თავის გეოგრაფიულ აღწერაში მარტო გეოგრაფიული ცნობები არა აქვს მოყვანილი, ისტორიკოსი-მკვლევარნი იყენებენ იმ თავისი შეხედულების დასამტკიცებლად, რომ ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა ჩვეულებრივი გეოგრაფია არ არის. ვფიქრობ, მკვლევართა ძიერ უგულვებლყოფილია თვით ვახუშტის აზრი მის „ადგილის აღწერაში“ საისტორიო-სამატეიანო ცნობების ჩართვის დანიშნულების შესახებ. ვახუშტი თავის წინასიტყვაობაში ამბობს: დავსახენით რუკანი და წინა-დავდევით, გარნა ამისდა ჯერ იყო სამჭირნოდ, რათა აქვნდეს ღეოღრაფიის აღწერისაცა დადებო და დასძენს—„და კვალად მისდაცა ჯერ იყო მოკლე მატეიანე... რომლისად აღვსწერეთ სახმარად მისდა“ (იხ. მისი „მკითხველთათვის სიტყვა“, გვ. 4). ამჟამად, ვახუშტის თავის გეოგრაფიულ აღწერაში მოკლე საისტორიო-სამატეიანო ცნობები ჩაურთავს თვით გეოგრაფიული აღწერისათვის დამხმარე მასალად, რადგან, მისი აზრით გეოგრაფიული აღწერისათვისაც საჭირო იყო მოკლე მატეიანე. გეოგრაფიულ აღწერაში ისტორიზმის მომენტის შეტანის ვახუშტის ეს ზეარზი გეოგრაფიული შრომებისათვის არაოდეს არ ყოფილა უცხო, დღესაც თანამედროვე გეოგრაფები მის აუცილებლობას აღიარებენ და ამდენად იგი ეხმაურება ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის ჩვენს დღევანდელ მეთოდსაც.

ვახუშტის რომ გეოგრაფიის არსი სწორად ექნებოდა გათვალისწინებული, ეს მისი ზემოხსენებული სიტყვიდანაც ნათლად ჩანს: „დავსახენით რუკანი და წინა-დავდევით, გარნა ამისდა ჯერ იყო სამჭირნოდ, რათა აქვნდეს ღეოღრაფიის აღწერისაცა დადება, რომელი იგიცა ექმენით“. მართლაც, ვახუშტის დროს გეოგრაფია, მაშინ მიღებული მეთოდის თანახმად, ასე იწერებოდა: გეოგრაფიულ აღწერას წინ უსწრებდა გეოგრაფიული რუკების შედგენა, გეოგრაფიული აღწერა კი უმთავრესად რუკების ახსნა-განმარტებას წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ თვით სახელი გეოგრაფია, ჯერ კიდევ ამ სახელის პირველი შემომღების ერატოსთენეს გაგებით, და შემდგომ ხანებშიაც, ქვეყნის მხაზველობას ნიშნავდა. ამგვარად, ვახუშტიმ დასახა საქართველოს რუკანი (მოვიგონოთ მისი 22 რუკა, რომელნიც ვახუშტიმ „ადგილის აღწერაზე“ გაცილებით უფრო ადრე, მთელი 10 წლით ადრე, დასახა) და

ამ რუკების საფუძველზე მოგვცა საქართველოს გეოგრაფიული აღწერა. ვახუშტი თავის „აღწერაშია“ იხსენიებს: „ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ჩენილთა ადგილებთა, რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა“ (იხ. ვახუშტის ციტირებული შრომა, გვ. 142), ან კიდევ: „ყარაიას... მსახლობელნი არიან სომხით-საბარათიანოს მთავარნი და აზნაურნი, ვითარცა ნიშანი გვიღვია რუკასა ამას“ (იქვე, გვ. 51). გეოგრაფიული აღწერის ტექსტი თითქმის მთლიანად რუკების განმარტებით ბარათს წარმოადგენდა ვახუშტის დროს თვით სასკოლო, სასწავლო სახელმძღვანელოებშია კი (მოვიგონოთ, ჰიუბნერის სახელმძღვანელო, ან ვახუშტის მიერვე რუსულიდან თარგმნილი „ქვეყნების ღეოღრაფია“ და ა. შ.).

საეცებით ბუნებრივია, რომ ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა, ჩვეულებრივი გეოგრაფია, ქვეყნის ისტორიული მიმოხილვის დამხმარე მასალას თავისთავადაც წარმოადგენდეს. ძველი დროის გეოგრაფები თავიანთ ჩვეულებრივ გეოგრაფიულ აღწერებში ისტორიის მიზნებსაც ითვალისწინებდნენ, კერძოდ და განსაკუთრებით ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ და სამხედრო მიზნებს, წმინდა პრაქტიკული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიზნებს. ზოგერთი მათგანი, თუნდაც უფრო უახლესი დროისა, ისტორიასა და გეოგრაფიას აიგივებდა კიდევ (მოვიგონოთ ცნობილი გეოგრაფის ელიზე რეკლიუს ფიგურალური თქმა: გეოგრაფია ადამიანის მიმართ სხვა არა არის რა, რაც ისტორია სივრცეში, სწორედ ისე; როგორც ისტორია გეოგრაფიაა დროში). გეოგრაფია ისტორიასთან ერთად ასე მხარდამხარ ვითარდებოდა ძველად. მაგრამ ყველა მსგავს შემთხვევაში თხზულების გეოგრაფიულობის საკითხს წყვეტდა მისი ერთი მხარე: იყო თუ არა ნაშრომში ისეთი გეოგრაფიული მასალა, რომელსაც ისტორიის მასალისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობაც მიეკუთვნებოდა. ასეთი, სრულიად მართებული, მიდგომის შედეგად არავისათვის მიუღებელი არ გამხდარა ის უკვე დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ჰეროდოტე, ისტორიის მამა, თანასწორი უფლებით გეოგრაფიის მამადაც მიჩნეულიყო (მისი ისტორიის ორი თავი „თალია“ და „მელბომენა“ გეოგრაფიულ ცნობებს ისეთი სახითა და გაშუქებით შეიცავს, რომ ამ ცნობებს დამოუკიდებელი გეოგრაფიული მნიშვნელობაც ენიჭება). ძველ გეოგრაფიულ თხზულებებში ბევრ ისეთ საკითხსაც ეთმობოდა ადგილი, რაც, ჩვენი დღევანდელი გეოგრაფიული თვალსაზრისით, გეოგრაფიისაგან დიდად დაშორებულია, მაგრამ რადგან მათში გეოგრაფიულ მასალას მაინც წამყვანი როლი ეკუთვნოდა, არავის შეშლია ხელი მიეჩნიათ ასეთი აღმწერი გეოგრაფად და ასეთი აღწერილობა გეოგრაფიად. ვახუშტის „ადგილის აღწერაში“ გეოგრაფიისაგან ასე დაშორებული მასალა თითქმის სულ არ მოიპოვება და ეს ვარემოება მატებს ხარისხს ვახუშტის, როგორც გეოგრაფს.

უნდა აღინიშნოს, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი იცავდა ვახუშტის ნაშრომის გეოგრაფიის სახელით დასათაურების წესს—„ღეოღრაფიული აღწერა საქართველოსა“, ვახუშტის თხზულებას გეოგრაფიული ნაშრომების თანრიგში ათავსებდა და თვით ავტორსაც გეოგრაფად მოიხსენიებდა, მაგრამ არ ჩანს—ისევე

„საისტორიო გეოგრაფიის“ თუ ჩვეულებრივი გეოგრაფიის მნიშვნელობით, საგულვებელია უფრო პირველი (იხ. მისი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი პირველი, მეორე ახლადდაწერილი გამოცემა, თბ., 1930 წ., გვ. 143 და სხვა ადგილებიც).

სხვათა შორის, ვახუშტის „აღწერისათვის“ ზოგიერთი მკვლევარის მიერ მიცემული დახასიათება—ისტორიული გეოგრაფია—მოხერხებული არ არის თანამედროვე სატერმინო თვალსაზრისითაც. საისტორიო საკითხებთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ ცნობებს, რომელთაც ვახუშტის დროს შეიცავდა გეოგრაფიული აღწერა, ისტორიული გეოგრაფია არ უნდა ეწოდოს, რადგან ტერმინი „ისტორიული გეოგრაფია“ გეოგრაფია ენაზე სულ სხვა ვითარების—ქვეყნის წარსული გეოგრაფიული მდგომარეობის აღმნიშვნელია და ამდენად იგი გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ თვალსაჩინო დარგს წარმოადგენს. არსებობს ცნობები საისტორიო-გეოგრაფიული რიგისა, ე. ი. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული წარსულის საფინანსო და მოვლენათა გეოგრაფიული განლაგების მაუწყებელი, ამ ცნობებს ვახუშტის „აღწერაც“ შეიცავს, მაგრამ ამის გამო ვახუშტის მთელი თხზულების საისტორიო-გეოგრაფიულ ნარკვევად მიჩნევა მართებული არ არის. ვახუშტის „აღწერა“ დღეს, 200 წლის თავზე, ზოგიერთ აწ უკვე ისტორიულ წარსულად ქცეულ გეოგრაფიულ ამბავსაც გვეთვალისწინებს, მაგრამ ის მაინც არ არის ისტორიული გეოგრაფია, რადგან ავტორი, როცა წერდა, თავისი დროის გეოგრაფიულ მდგომარეობას ავტოწერდა. შემთხვევითი როდია ვახუშტის მიერ ნაშრომის ცალკეული ნაწილების ასე დასათაურება: აღწერა აწინდელისა ქართლისა, აღწერა აწინდელისა ოვსეთისა, მასსადაამე, მას მოცემული აქვს ქვეყნის აწინდელი, ე. ი. მისი დროის, და არა უწინდელი გეოგრაფიული აღწერა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავს: „ვახუშტის გეოგრაფიის უმთავრესად ავტორის დროინდელი საქართველოს შესასწავლად აქვს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა. უძველესი და XVIII ს-ზე უწინარესი ხანისათვის, რასაკვირველია, უფრო ადრინდელი წყაროების გამოყენებაა საჭირო“ (იხ. მისი ზემოთ დასახელებული „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, გვ. 114).

ქვეყნის უწინდელი, წარსული გეოგრაფიული მდგომარეობის ამსახველი ცნობები ვახუშტის „აღწერაში“ მხოლოდ აქა-იქ გვხვდება, დომინირებული ადგილი კი ქვეყნის არსებულ გეოგრაფიულ ვითარებას ეკუთვნის.

მაშ, როგორი უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ვახუშტიზე—თვლებოდეს იგი მარტოდენ მეისტორიე-მემატიანედ, თუ თანასწორი უფლებით გეოგრაფადაც? ვახუშტის „აღწერის“ გეოგრაფიული თვალსაზრისით განხილვა ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს უკარნახებს ყველა გეოგრაფს: ვახუშტი რამდენადაც მეისტორიე-მემატიანეა, იმდენადვე გეოგრაფიც არის. ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა მისი მატიანის არა მარტო დამხმარე, დამატებითი, შემავსებელი ნაწილია, რომელიც თითქოს ისტორიის მიზნებისადმი დაქვემდებარებულ ცნობებს შეიცავდეს, არამედ დამოუკიდებელი გეოგრაფიული მნიშვნელობის მქონეც.

ვახუშტის შრომის გეოგრაფიულობის საკითხის გასარკვევად საჭიროა მეტი გულდასმით გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების, კერძოდ რუსეთის ძველი გეოგრაფიული აღწერების ხასიათიც.

ამ მხრივ ყველაზე მეტად საყურადღებოა რუსეთის გეოგრაფიული ლიტერატურის სწორუბოვარი ძეგლი „Книга большого чертежа“, რომელიც, ტ. რაინოვის შენიშვნით, ერთადერთი სპეციალური გეოგრაფიული თხზულებაა სრულიად რუსეთის მასშტაბისა XVIII საუკუნემდე. ორი დიდი ნახაზის ანუ რუკის შედგენა, რომელიც 1627 წ. „რაზრიადნი პრიკაზის“, ე. ი. იმ დროის სამხედრო სამინისტროს განკარგულებით უნდა შესრულებულიყო, ერთი მოიცავდა „მთელ მოსკოვის სახელმწიფოს“, ხოლო მეორე ასახავდა სპეციალურად სამ ძირითად გზას პერეკოპამდე, ე. ი. ყირიმის თათართა სამეფომდე. ამ გზებს არა მარტო სავანგებო ნახაზი აღნიშნავდა, არამედ „წიგნიც“, რომელიც რუკის ტექსტუალურ აღდგენას წარმოადგენდა. ამგვარად, ორივე „ნახაზის“ შედგენის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი XVII საუკუნეში იყო სამხედრო „წიგნი“ ყველაფერი როდი შეადგენდა გეოგრაფიული ინტერესის საგანს. მეტი ყურადღებით იყო აღნიშნული სამიმოსვლო გზები, წყლის არტერიები— დიდი მდინარეები მათი შენაკადებით, ტბები და ზღვები, ეხებოდნენ აგრეთვე სახმელეთო გზებსაც მათ რაიონში მდებარე დასახლებული პუნქტებით. მთა და დაუსახლებელი ადგილები მოხსენიებული იყო, მაგრამ მეტად ლაკონურად და ნაკლები ინტერესით. უფრო სწორი ცნობები იყო ვაკე ადგილების შესახებ. ყოველივე ეს პრაქტიკული ცნობები იყო, რომელიც შეიძლებოდა გამოსდგომოდა მგზავრს, მღევარს, ჯარს და სხვა მომხმარებელს. გეოგრაფიული მასალის გადმოცემის სისტემა „წიგნი“ მეტად თავისებური იყო. თხრობა წარმოებდა ძირითადად მდინარეებისა და საზოგადოდ წყლის აუზებისა და სახმელეთო გზების, ე. ი. სამიმოსვლო გზების გაყოლებით. (იხ. Т. Райнов—„Наука в России XI—XVII веков, части I—III, თავი 4—გეოგრაფიულ ცოდნათა განვითარება XVII საუკუნეში, სადაც აღწერილია „Книга большого чертежа“ გვ. 373-380).

დავიმოწმოთ აგრეთვე დასავლეთ ევროპის ერთი მაგალითიც. ცნობილ მერკატორის „ატლასში“ შესავალი სტატია გეოგრაფიის ამოცანების შესახებ ამბობს, რომ გეოგრაფიის ამოცანაა „რომელ ქვეყანაში და სახელმწიფოში სად რა მოიპოვება და როგორია კაცთა ხარისხი და ზნე, და მათი სიმაჟაცე, და მხედრობა, და ქალაქები, და მდინარეები, და ტბები, და ტყეები და ყოველგვარი ნივთი“ (მერკატორის „ატლასი“ გამოიცა ჯერ ნაწილ-ნაწილ 1590-1596 წლებში და შემდეგ მთლიანად 1602 და 1606 წლებში. რუსულ ენაზე უთარგმნიათ 1637 წელს. რუსულ თარგმანში გეოგრაფიის ამოცანები მერკატორის მიხედვით ასეა ფორმულირებული: „в которой земле и государстве где что родится, и каковы люди чином и нравом, и о их храбрости, и о воинстве, и о городах, и о озерах, и о лесах, и о всяких вещах“). რუსეთის XVII საუკუნის შრომაში „Книга глаголемая космография, описание всего света

земель и государств великих“.., რუსულ ლიტერატურაში ცნობილი შემდეგი სახელწოდებით „კოსმოგრაფია 1670 წლისა“, გეოგრაფიის ამოცანები განსაზღვრულია მერკატორის შეხედულების შესაბამისად: „что в котором государстве деется и родится, и где каковы нравы человеческие и обычи, и город, и реки, и озера, и горы, и леса, и острова...“.

როგორც მერკატორის წიგნში, ისე ამ წიგნშიაც პირველ პლანზეა ეთნოგრაფიის, ისტორიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხები. გეოგრაფიული რაიონების ბუნება ყველგან მეორე პლანზეა. თანაც მისი აღწერა მოქცეულია პოლიტიკურ საზღვრებში, ასე რომ არც დედამიწა მთლიანად არაა განხილული როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული ინდივიდუუმი, და არც მისი ნაწილები განიხილება როგორც ბუნებრივი მთლიანობანი. ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტები ნაჩვენებია იმ დეტალების ჩამოთვლის წესით, რაც მოცემულ მხარეს ახასიათებს. ამავე დროს, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში აქვთ დიდი მთები და ზედაპირის საერთო აგებულება, მთამადნეული, დიდი მდინარეები, ჰავა, პურის მოსავლიანობა, „ბოსტნეულის“ სიუხვე, ე. ი. ის, რაც მცენარეულ სამყაროში საკმეღად გამოდგება, ზოგჯერ თვით ფლორაც და ფაუნაც საზოგადოდ, მეტადრე იქ, სადაც მათ „ეგზოტიკური“ ხასიათი აქვთ. ჩვეულებრივ ყველა ცნობა თვისობრივი ხასიათისაა და მხოლოდ ზოგჯერ მოჰყავთ რაოდენობრივი მაჩვენებლები (იხ. რაინოვის შემოხსენებული შრომა, გვ. 420-423).

ვახუშტის „აღწერაში“, რომელიც გეოგრაფიულ ცოდნათა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა შესრულებული, თითქმის ასი წლის შემდეგ, ვიდრე ზემოთ დასახელებული ცნობილი გეოგრაფიული თხზულებანი, ცხადია, მეტი გეოგრაფიული მიდგომით არის ქვეყანა აღწერილი, იგი საცნობარო დანიშნულების ნაშრომის ხასიათს უკვე ნაკლებად ატარებს, გეოგრაფიულ მონაცემებს უფრო მეტი სიღრმით აშუქებს და ამით თავისი დროის ნამდვილი გეოგრაფიული თხზულების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა, როგორც ვთქვით, უხვად გვაწვდის ცნობებს ჩვენი ქვეყნის ბუნების შესახებ. ეს მასალა, უდავოდ, დამოუკიდებელი გეოგრაფიული მნიშვნელობისაა. ამ ნაწილში ვახუშტის ჩვეულებრივი გეოგრაფობა არავითარ იქვს არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერაში გაშუქებული არის ისეთი რიგის საკითხებიც, რომლებიც საისტორიო მასალის ხასიათს ეფარდება, სახელდობრ სასახლეების, ეკლესია-მონასტრების და ციხე-ქალაქების აღწერა. ვფიქრობთ, ეს სამატიანო მასალაც ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერას ჩვეულებრივი გეოგრაფიის ხასიათს ვერ დაუკარგავს. ჯერ ერთი იმის გამო, რომ ის მასალა ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერაში შიგადაშიგ არის ჩაქსოვილი, და მეორე, უმთავრესად, იმის გამოც, რომ ვახუშტის დროის გეოგრაფიული თემატიკისათვის ეს მასალა უცხო არ იყო. ამ ჩართული სამატიანო მასალის გაცნობით შუქი ეფინება ქვეყნის არა მარტო სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას, არამედ აგრეთვე ეკონომიურ მდგომარეობასაც. მაგალითად, ვახუშტის მონასტრის აღწერის დროს ზოგან ნაჩვენებია აქვს მისი მამულიანობა, მისი მონაწილეობა

აღებ-მიცემაში, მისი შემოსავლიანობა, მისი კავშირი ამ მხრივ სხვა მონასტრებთან. „ღირბს არს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იერუსალემის ჯვარის მონასტრისა, ქართველთა დასმენ მეფენი ქართლისანი, ყოველს საქართველოსა შინა არს მამული მისი და ფლობს ესე, და მოსავალს გზანის ვერცხლად იერუსალემს“ (იხ. „აღწერა“, ვვ. 79). თუ მონასტერიც, როგორც სამეურნეო ობიექტი, შეიძლება მეურნეობის გეოგრაფიის თემატიკაში მოექცეს, მით უფრო არ შეიძლება არაგეოგრაფიულ მასალად მივიჩნიოთ ხიდები, რუ-არხები, მოსახლეობა, მეურნეობა, ზნე-ჩვეულებანი. მეურნეობის აღწერა ქვეყნის მოსახლეობის დახასიათებასთან ერთად ქვეყნის ჩვეულებრივი გეოგრაფიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ვახუშტის გეოგრაფია, რომელიც ქვეყანათმცოდნეობით შრომას წარმოადგენს, ცხადია, მარტოოდენ ბუნების¹ აღწერით ვერ დაკმაყოფილდებოდა..

ვახუშტის „ადგილის აღწერაში“ მოცემული სამეურნეო ცნობები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვეძლო არაგეოგრაფიულ მასალად მიგვეჩინა, თუ დავინახავდით, რომ აქ ქვეყნის ეკონომიკის საკითხები გეოგრაფიის ამოცანებთან არ იქნებოდა შეფარდებული, მეურნეობა და მისი ცალკეული დარგები განხილული არ იქნებოდა ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან მჭიდრო კავშირში და საქმე გვექნებოდა მეურნეობის მარტოოდენ ეკონომიკის თვალსაზრისით გაშუქებასთან.

ჩვენი აზრით, ვახუშტის „ადგილის აღწერაში“ მეურნეობა სწორედ ისეა განხილული, როგორც ეს გეოგრაფს მოეთხოვება.

ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ვახუშტის სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობის საკითხზე.

ვახუშტის სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობის ნათელსაყოფად საჭიროა გავითვალისწინოთ სამეურნეო ობიექტების შერჩევისა და გაშუქების წესი, რომელსაც ვახუშტი იცავს თავის „ადგილის აღწერაში“.

სამეურნეო ობიექტები ვახუშტის „აღწერაში“ შერჩეულია იმ წესით, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული იმდროინდელ გეოგრაფიულ აღწერებში, სახელდობრ: წინა პლანზეა სახელმწიფოებრივი და სამხედრო დანიშნულების მემცენარეობა-მეცხდველეობის ნედლეული და მისი ნაწარმი, კერძოდ და განსაკუთრებით საკვები პროდუქტები, ჯანმრთელობისათვის ხელშემწყობი მინერალური წყლები და სამკურნალო აბანოები, მეურნეობისათვის აუცილებელი სარწყავი რუები და მისთანანი.

მართლაც, ვახუშტის დროის გეოგრაფებს ქვეყნის გეოგრაფიული აღწერისას პირველ რიგში სახელმწიფოებრივი, სამხედრო მიზნები ჰქონდათ დასახული. ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერაში ფიზიკური ელემენტი ნაკლებად ჩანდა, უპირატესად იწერებოდა პრაქტიკული სახელმწიფოებრივი ცნობების შემცველი გეოგრაფია. კერძოდ, წარმოებდა მიწების, მამულების აღწერა-შესწავლა, რადგან მიწა მთავარი საარსებო წყარო იყო და მიწა-მამულების გაცნობა ქვეყნის სამხედრო ძლიერების დონესაც გავითვალისწინებდა. მიწების აღრიცხვა ანუ აღწერა და მათი სახელმწიფო-სამხედრო მოსაზრებების მიხედვით შეფასება

ხელისუფლების ზრუნვის საგანს შეადგენდა. ცხადია, ამ გზით თანდათან გროვდებოდა მდიდარი ქვეყანათმცოდნეობითი გეოგრაფიული მასალა, რაც გამოხატულებას პოულობდა სპეციალურ გეოგრაფიულ აღწერებში, მოგზაურობათა აღწერებში და მიკრო-გეოგრაფიული ცნობების სახით არაგეოგრაფიულ ნაწერებშიაც—ე. წ. აღწერის დავთრებში, გარიგების წიგნებში ანუ დასტურლამალში, სხვა სახელმწიფოებრივ სააქტო დოკუმენტებში—სიგელ-გუჯრებში, საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის საბუთებში—ილაპის წიგნებში, მზითვის წიგნებში, ნუსხებსა და ანგარიშებში და ა. შ. ამ მასალების ხასიათი დაწვრილებითაა გარჩეული აკად. ინგ. ჯავახიშვილის შრომაში—„საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და დაინტერესებულმა მკითხველმა მას უნდა მიმართოს (იხ. ხსენებული შრომის პირველი წიგნი, მეორე ახლადდაწერილი გამოცემა, თბ., 1930 წ., გვ. 3-128). ქვეყნის ასე აღწერა უძველესი დროიდან მომდინარეობდა ჩვენში. ქართული აღრიცხვა-აღწერის ძეგლები, სააქტო დოკუმენტები, შემოსავალ-გასავლის საბუთები და მისთანანი X-II საუკუნიდანაა ჩვენამდე მოღწეული, და მტკიცე წესად იყო შემოღებული ვახუშტის დროის საქართველოშიაც. მოვიგონოთ თუნდაც ვახტანგ VI-ის დასტურლამალი. ქვეყნის სპეციალურ გეოგრაფიულ აღწერათაგან კი დღესდღეობით უძველეს ძეგლად ვახუშტის „აღწერა“ მიჩნეული.

სამხედრო მიზნით ქვეყნის გეოგრაფიული პირობების შესწავლას განსაკუთრებული ცოდნის დარგის ჩამოყალიბებაც მოჰყვა—სამხედრო გეოგრაფიისა, რომელიც ყოველ გეოგრაფიულ საგანსა და მოვლენას სამხედრო თვალსაზრისით ეხებოდა (იხ. ამის შესახებ ჩემი ნაშრომი—„სამხედრო გეოგრაფია. მისი არსი და თემატიკა“, საქ. გეოგრაფიული საზ-ბის გამოცემა, თბ., 1942 წ.). გეოგრაფიული აღწერების ამგვარი მიზანმიმართულება ყველა ქვეყნის გეოგრაფს ახასიათებდა ვახუშტის დროს და მის წინამავალ ხანაში. ასე იყო რუსეთშიაც. ტ. რაინოვი გეოგრაფიული ინტერესის-მიმართულების შესახებ რუსეთში წერს, რომ ქვეყნის ტერიტორიის გეოგრაფიული გაცნობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ სტიმულს ფისკალურ-სამხედრო საჭიროებანი იძლეოდა. ფეოდალურ პირობებში მიწა სამხედრო ძალების და საზოგადოდ „მოსამსახურე“ პერსონალის შენახვის ძირითადი წყარო იყო. ამ მიზნით მიწების აღრიცხვა და მათი „მომსახურეობითი“ ღირებულების განსაზღვრა მთავრობის ფისკალურ-სამხედრო პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. ამ ნიადაგზე ეგრეთწოდებულ აღწერის დავთრებში (в писцовых книгах) და მათ ანალოგიურ სააქტო დოკუმენტებში თანდათან გროვდებოდა (ჯერ კიდევ XV საუკუნიდან) საქ-მაო რაოდენობის, თუმცა მეტად დაქუცმაცებული, გეოგრაფიულ-აღწერილობითი მასალა. სამხედრო საქმის საჭიროებანი აგრეთვე იწვევდა დაწვრილებითი მასალის შეგროვებას ზოგიერთი მხარის შესახებ მაინც, სადაც შეიძლებოდა წარმოებულყო სამხედრო მოქმედება (იხ. Т. Райнов—Наука в России XI—XVII веков, части I—III, გვ. 372).

აღსანიშნავია, რომ ვახუშტის „აღწერაში“ ქართლი, რომელსაც ნაშრომში სხვა კუთხეებთან შედარებით მეტი ადგილი ეთმობა, განხილულია საერისთოსანსპასპეტო-სადროშოების კვალდაკვალ. სხვა მხარეებშიაც ნაჩვენებია სადროშო-საერისთოების გავრცელების ფარგლები. თანაც, როგორც ვთქვით, ვახუშტის დროის გეოგრაფები უფრო დაწვრილებით მასალას აგროვებდნენ იმ კუთხეების შესახებ, რომელნიც შეიძლებოდა ომის სარბიელად გამხდარიყვნენ, და ვახუშტის „აღწერაშიაც“ სამეურნეო ცნობები მეტი დაწვრილებითაა მოცემული იმ კუთხეების შესახებ, რომელნიც ომის მუდმივ სარბიელს წარმოადგენდნენ. აქ დაწვრილებითი სამეურნეო ცნობებია ქართლ-კახეთის, სამცხე-საათაბაგოსა და იმერეთის შესახებ და შედარებით ზოგადად არის მოცემული სამეურნეო ცნობები მთა ადგილების შესახებ, როგორცაა სვანეთი, აფხაზეთი, თუშეთი, ოკსეთი, დიდოეთი, კავკასიონის ხეობები. ამ ჩვენს მოსაზრებას ისიც შეიძლება ამართლებდეს, რომ ვახუშტი მთა ადგილების აღწერისას თითქმის ყოველთვის შენიშნავს: „ქვეყანა ესე (ოკსეთი) არს მაგარი და შეუვალი უცხოის მტერთაგან“ (იხ. „აღწერა“, გვ. 108), დიდოელნი „სიმაგრის გამო არიან მშვიდობით და მტერთაგან უვნოდ“ (იქვე, გვ. 104), თუშეთი „არს ქვეყანა სიმაგრით“ (იქვე, გვ. 105) და ა. შ.

ვახუშტის პირველი მკვლევარები კი სულ სხვაგვარად არკვევენ საკითხს—რატომაც, რომ ვახუშტის „აღწერაში“ ზოგიერთი კუთხე სხვა კუთხეზე უფრო დაწვრილებითაა განხილული. ჩვენში განმტკიცებული აზრის მიხედვით, ვახუშტის მიერ ზოგიერთი ადგილის მოკლედ და ზოგადად განხილვა იმას მიეწერება, რომ ავტორს ამ ადგილების შესახებ საკმარისი ცნობები არ მოეპოვებოდა, ამ მოვლენით იმის ვარაუდიც გამოჰყავთ, რომ ვახუშტის ზოგიერთი ადგილი თვითონვე ჰქონდა მოვლილ-დათვალიერებული, სადაც იმოგზაურა—იმ კუთხეების შესახებ მეტი ცნობებიც შეკრიბა, სხვა ადგილები კი, რომელთაც ნაკლები დაწვრილებით აკვიწერს, უთუოდ არ უნახავსო. მაგრამ ამ ვარაუდს სუსტი საფუძველი აქვს. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა—მოგზაურობდა თუ არა ვახუშტი საქართველოს კუთხეებში და იყენებდა თუ არა ამ მეთოდს ქვეყნის გასაცნობად. თუმცა „აღწერაში“ ორ ადგილას თვალთ გაცნობილ სანახაობას ეხება ვახუშტი—„თვალთა ქვეშე შევნიერება ეგოდენ არა მიენარობს ტყის გამო, თვინიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მალის მთილამ, იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ და არსადა შენობას“ (გვ. 145), ან კიდევ: „ქალაქი ქუთათისი, რიონის გაღმა-გამოღმა, თვალთა ქვეშე შევნიერია ადგილი“ არისო (გვ. 157), მაგრამ მას შეეძლო თვალთ განეცადა საქართველოს ზოგიერთი მხარე არა ქვეყნის აღწერის მიზნით მოწყობილი სპეციალური მოგზაურობისა, არამედ ლაშქრობაში მონაწილეობის დროს. ცნობილია, რომ ვახუშტი ლაშქრით შევიდა ქსნის საერისთაოში 1717 წელსა და 1719 წელს, მომდევნო წელს ვახუშტი იმერეთს წარავლინეს ლაშქრით, 1721 წელს იგი უკვე საბარათიანოს სარდალი იყო და თრიალეთის ახალქალაქში იჯდა, მეფის ბრძანებით და ვახუშტის უმუშალო მონაწილეობა-ხელმძღვანელობით მოხდა ამ დროს მოწინავე სადროშოს აღწერა, აწარმოებდა ბრძოლებს კახთა მეფის წინააღმდეგ, აგრეთვე ბორჩალოში,

მცხეთაში, მარტყოფს (იხ. ვახუშტი—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ნ. ბერძენიშვილის „შესავალი“, გვ. IX—X).

ქვეყნის აღწერა-გაცნობის შემდეგ ხერხზე კი გარკვევით მიგვითითებენ: „როდესაც ქართლი აღწერილა და ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს: ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მეღიქის საულლარს გარდა, სომხითს, ტაშისს, ყაიყულის თრიალეთს და საბარათაშვილოში, —ამაზედ საბარათაშვილოს სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღსწერს და დავთარს დაიჭერს; მეფის მდივანი წავიდოდეს. ზემო ქართლის ხეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშისკარიც დავთარში ჩავარდებო; და იმას აქათაც საამილახვრომდი, ამილახვორის მამულსაც ზემო ქართლის სარდარი და ერთი მდივანი წავა; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი სწერდეს. საციციანოს მხარეს, საღვერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წაგბ, და მდივანი წარჰყვება. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი. მუხრანს და ორისაც ერისთვის (ქსნისა და არაგვის—დ. დ.) მამულს, რომელიც კვლავ დავთარში ჩავარდნილა, იმაზედ მუხრანის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს“ (იხ. „დასტურლამალი მეფის-ვახტანგ მეექვსისა“, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, თბ., 1886 წ., გვ. 13). რამდენად მდიდარი გეოგრაფიული ცნობები გროვდებოდა კუთხის თუნდაც მარტო ამ წესით აღწერის შედეგად, ამის ნათელ სურათს თვით ეს „დასტურლამალი“ იძლევა (იგი დაწერილია 1704-1711 წლებში, ე. ი. ვახუშტის „აღწერის“ დაწერის წინ 35 წლით ადრე).

მაგრამ ისევ უბასუხოდ რჩება კითხვა—რატომ შეიძლებოდა ვახუშტის ნაკლები ინტერესი გამოეჩინა ზოგიერთი კუთხის მიმართ თუ არა მოგზაურობით, უმოგზაუროთ მაინც მათზე ცნობების შეგროვებისა ან სხვა აღმწერთაგან მოწოდებული ცნობების გამოყენების დროს. ვფიქრობთ, საქართველოს კუთხეების აღწერის მეტ-ნაკლებობა უნდა დაუკავშირდეს ამა თუ იმ კუთხის სამხედრო მნიშვნელობის მეტ-ნაკლებობას და არა აღმწერის მიერ მათ უბრალო უგულებელყოფას. ეს უფრო ბუნებრივად შეეფერება ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის ვახუშტისდროინდელ წესებს. ისიც საგულისხმოა, რომ ვახუშტი თავის „აღწერაში“ შენიშნავს: „ხოლო არიან კვალად ამავე ადგილებთა შინა ხევნი და მცირე მდინარენი და წყარონი კეთილ-გემოიანნი, რომელნი სიგარძისათვის დავიდუმით“ (გვ. 170). მაშ, ცნობები შეიძლებოდა მეტი ჰქონოდა, მაგრამ მაინც „დადუმებულიყო“ რაიმე გარკვეული მოსაზრებით.

მოგზაურობათა აღწერაშიაც, რაც გეოგრაფიული ლიტერატურის ცალკე დარგს შეადგენს, სამეურნეო ცნობები მნიშვნელოვან წილად სახელმწიფოებრივ-სამხედრო მიზნებსა და ამოცანებს ეფარდებოდა ვახუშტის ხანაში. ამ მხრივ საყურადღებოა ვახუშტის თანამედროვე საბა-სულხან ორბელიანის მიერ დაწერილი მისივე მოგზაურობა ევროპაში (იხ. ამის შესახებ ჩემი ნაშრომი—„საბა-სულხან ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა“, თბ., 1943 წ., ხელნაწერი, ნაწილობრივ მოხსენებული საქ. გეოგრაფიული საზ-ბის საჯარო სხდომაზე 1944 წლის 14 მარტს).

მოგზაურთა აღწერებში მე-17 საუკუნეებშიაც ქვეყნის მეურნეობის დახასიათების დროს მეტი ყურადღება საკვებ პროდუქტებს ექცეოდა. მოვიგონოთ ჟან შარდენის „მოგზაურობა საქართველოში“ (იმოგზაურა საქართველოში 1672-1673 წლებში). მეურნეობის შესახებ იქ ნათქვამია, რომ: „საქართველოში (ე. ი. ქართლში) კარგი ჰაეა არის. ჰაეა მშრალია, ზამთარში ძალიან ცივი, ზაფხულში ცხელი. მაისიდან ნოემბრის დამლევამდე სულ კარგი დარები დგას. იქაურ მიწას მორწყვა უხდება; თუ მოირწყა, უხვად აღმოაცენებს ყოველგვარ მარცვალს, მწვანილს და ხილს. საქართველო ძალიან ნაყოფიერი ქვეყანაა. იქ კარგად ცხოვრობენ. ისეთი მშვენიერი პური მოდის, სხვაგან არსად იცის ასეთი პური. ხილიც ძალიან კარგი იცის, ყოველგვარი ხილეულობა მოდის, ეგროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი; აზიაშიც არსად არ მოდის უკეთესი ბროწეული. როგორც მსხვილი, ისე წვრილფეხა საქონელი მრავალია და ძალიან კარგი ჯიშისაა. გარეული ღორი საკმაოდ ბევრია და ისეთივე გემრიელი ხორცი აქვს იქ ღორს, როგორც კოლხიდაში. მტკვარში მრავალ თევზს იჭერენ. დაბეჭითებით შეიძლება ვთქვათ, რომ იმისთანა ქვეყანა არსად არის, სადაც, შეიძლებოდეს იმისთანა კარგი სანოვავის შოვნა, როგორც საქართველოში. არც იმისთანა ქვეყანა მოიპოვება, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ. ვაზი იქ ხეებზე აღის, როგორც კოლხიდაში. . . საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის“ (იხ. ჟან შარდენი „მოგზაურობა საქართველოში“, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, თბ., 1935., გვ. 82-83).

ამგვარად, სამეურნეო ცნობები ვახუშტის ისე აქვს შერჩეული, როგორც ამას სახელმწიფოებრივი, სამხედრო მიზნები მოითხოვდა. თავის „აღწერაში“ ვახუშტი ერთ ადგილას პირდაპირ ამბობს: იმერეთში სირნი, ჩიტნი და ტრედნი იმდენია, რომ „იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ბადით ფ ერთგზის, და სხვათა მახეებითა—სირთა და ჩიტთა. და სძეს ბევრათ გლეხთა ტ, უ, და უდროსნიცა“ (გვ. 146); ან კიდევ: იმერეთს „ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი, დასახლების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიხდის ბეგარასაცა“ (გვ. 145). მაშასადამე, ვახუშტის სამეურნეო ობიექტის სიუხვე ბეგარა-გადასახადის თვალსაზრისითაც აინტერესებს.

რა და რა სამეურნეო ობიექტებზე ამახვილებს თავის ყურადღებას ვახუშტი? ესენია: 1) ყოველთა მარცვალთა თესლნი—ხორბალი ანუ პური, ქრთილი, შვრია, ფეტვი, ღომი, სიმინდი, ბრინჯი, ბამბა, თამბაქო, სელი, კანაფი, 2) ვენახი, 3) ხილი წალკოტთა—ლეღვი, თურინჯი, ნარინჯი, ღომო, ვაშლ-ატამი, ნიგოზი, ბროწეული, ზეთის-ხილი, კოწახური, ნესვი, მელსაპებონი, პუნპულა, კიტრი, ტყის ხილი—ხურმა, წაბლი, კოწახური, მთის ხილი—კლდის მერსენი, მოცხარი, უელი, ასკილი, ყოლო, 4) სოკონი, 5) საკვები ბალახი—ზამთრის ბალახი, აგრეთვე თივა, 6) მტილოვანნი ანუ ბოსტნეული. 7) მეაბრეშუმეობა, 8) მეფუტკრეობა, 9) პირუტყვნი—ცხვარი უდუმო, დუმინი, კუდიანი, თხა, ღორი, ძროხა, კანძეი, ცხენი, ვირი, აქლემი; ყურადღებას აქცევს, სად გვხვდება ეს პირუტყვი ჯოგებად, როგორც მროწლე (ნახირი ძროხისა და სხვ.), ორვე (თხა და ცხვარი ჯოგად), კოლტი (ღორთა ჯოგი), რემა (ცხენის ჯოგი), ხვასტაგნი (საქონელი და საყოლე-

ლი);¹⁰) ტყეთა და ველთა ნადირნი—ჯიხვი, არჩვი, თხა, ქურციკი, ირემი, მშველი, ყურღველი, 11) ფრინველნი შინაურნი და გარეულნი, ტყისა, ველისა და წყლისა—შურთხი, მწყერი, ხოხობი, კაკაბი, ტრედი, ქათამი, ბატი და სხვანი, 12) თევზნი—კალმახი თეთრი, შავი და ყვითელი, ორზაგული, კაპოეტი, ანდაკია, ზღვის თევზნი, 13) კირჩხიბნი. მისი მხედველობის არეშია ტყე, სათიბი, საძოვარი, სახვნელნი ველნი როგორც ურწყავი, ისე მორწყული, წყარონი, რუ, წიადის სიმდიდრენი—ნავთი, გვარჯილა, რკინა, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, ლაქვარდა, მარმარილო, ბროლი, სახურავი ფიქალი, კაჟი, სამკურნალო და მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახი, აბანოები, მლაშე წყარონი. მას აქვს ცნობები ნედლეულის გადამუშავების შესახებაც—ზეთის გამოხდა, თაფლისა და ცვილის მეურნეობა, მეღვინეობა, საპნის დამზადება, ჭურის კეთება.

ამათგან ვახუშტის „აღწერაში“ განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საზრდელნი, ე. ი. საკვები პროდუქტები—ყოველთა მარცვალთა თესლნი, ვენახნი და ხილნი, მტილოვანნი, თევზნი, პირუტყენი, ყურადღების ცენტრში აქვს, სადაც არის, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა, ბრინჯი და ბამბა, ნარინჯი, თურინჯი და ლიმო, თამბაქო, სელი, კანაფი, სამეურნეო ნაგებობათაგან—რუები, წისქვილები,—ყოველივე ის, რასაც უაღრესად ფართო სამეურნეო და დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ვასაგებია, რომ ასევე საკვები პროდუქტების მიმართ არის ყურადღება გამაზვილებული სახელმწიფოებრივ სააქტო დოკუმენტებში, შემოსავალ-გასავლის საბუთებში, აღწერის დავთრებში, ნუსხებსა და ანგარიშებში, საგადასახადო და საბეგრო დოკუმენტებში, და საგულისხმოა, რომ ვახუშტის გეოგრაფიული აღწერაც ამ დარგში სახელმწიფოს საერთო ინტერესებისაკენ არის მიმართული. ასე იყო იმ დროს ყველგან, რუსეთშიაც. რუსული აღწერის დავთრები და „დიდი ნახაზის წიგნი“ გვაწვდიან სწორედ ასეთ ფართო მნიშვნელობის სამეურნეო ცნობებს, როგორცაა სახნავ-სათესები, მებოსტნეობა, მებაღეობა, სათიბ-საძოვარი, ტყე, მეცხოველეობა (განსაკუთრებით მეფუტკრეობა), მეთევზეობა, მარილის მოპოვება, წისქვილის ქვების კეთება, საშენი მასალის საბაღოები, საერთოდ ქვეყნის ბუნებრივი საწარმოო ძალები (იხ. რაინოვის შემოხსენებული ნაშრომი, გვ. 380-383).

ვახუშტის სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობაში ობიექტების შერჩევის გარდა მათი გაშუქება-შეფასების ხასიათიც გვარწმუნებს. ამ მხრივ ვახუშტის „აღწერაში“ ჭარბობს წმინდა პრაქტიკული მიდგომა, სარგებლიანობის თვალსაზრისი, რაც მისი დროის გეოგრაფის ნიშანდობლივი თვისება იყო.

აი, ამისი რამდენიმე მაგალითიც: მდინარე დებედა—არს სარგებლიანი მუნ, სადაც იწყებს დინებასა ჩრდილოეთ კერძ (გვ. 34); ბამბაკის ხევს—თევზნი და ზორცნი გემოიანნი (გვ. 35); ტაშირს თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და უწყინარი (გვ. 38); ატენს—ღებუა ღვინო წარჩინებული (გვ. 57); მდინარესა შინა ატენისასა ზის კალმახნი გემოიანნი (გვ. 57); არაგვი—არს მდინარე ურგები, თევზი, თვინიერ ორაგულისა, არარაი და იგიცა ყამად... ამიერ და იმიერ ქალანი ჭლარდლოვანი, ეკლოვანი (გვ. 62); ქსანი—არს სარგებლიანი მდინარე, და თევზიანი (გვ. 63); ტბა ბაზალეთი—არს ურგები და უთევ-

ზო (გვ. 65); ხეცს—ხორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი (გვ. 66); მთა ორბოძალსა ზედა არს ბალახი, უკეთუ მოძოროს არა მუნებურმან ცხენმან, მასვე წამს მოჰკლავს, ეგრეთვე თივაცა მისი მოაკვდინებს (გვ. 70); მალრან-დვალეთს—დიან წყარონი, ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საქმლის მომდნობნი და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძას, პირუტყვთ შემრგო, გამასუქებელი (გვ. 71); გორი—ადგილი ჰავითა შვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი. . . სანადირო მოუკლებელი ფრინველითა, თევზითა და სხვითაცა. ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი (გვ. 74); ვარიანის ფშანსა შინა იპყრობს კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი (გვ. 75); ლიახვი—სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა. . . სასმელად შემრგო და გემოიანი. . . მარადჲს ცივი. თევზნი მრავალნი. . . რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი (გვ. 75); ქცხილვანის გარემოს წალკოტოვან-ვენახოვანი, საზრდლით მაძღარი (გვ. 76); გორიდან სვერამდე—ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან-ვენახიანნი. არამედ არს ღვინო თხელი და მომჟაო, სასმელად მშვენი (გვ. 77); ურბნისის დასავლით, დუდეს დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკრისასა, რომლით ბრუნვენ დიდნი წისქვილნი ზამთარცა, ვითარცა ვერ განჰყინავს (გვ. 78); ქცხილვანის დასავლით, დუდეთს ითხრების ქვა შავი. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის (გვ. 78); ძაღინას—არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათვის დაუტევს (გვ. 80); ბრილს—აკეთებენ ქურსა ღვინისასა კეთილსა, ყოველთა უმჯობესთა (გვ. 81); ბრილს—ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის (გვ. 81). მაგალითისათვის ესეც კმარა. სამეურნეო ობიექტები სარგებლიანობის მიხედვითაა გაშუქებული და შეფასებული. ადგილის ზოგად დახასიათებამაივც ვახუშტი სარგებლიანობის თვალსაზრისის მისდევს, როცა ამბობს: უნაყოფო, ნაყოფიერი, მოსავლიანი, მოუსავლიანი, ნაყოფიერებით შემკული, ყოვლის თესლისა მოსავლიანი. ამითვე ახსენება ვახუშტის ინტერესი სარწყავი რუებისადმი, რადგან ის კარგად ამჩნევს, რომ ზოგან ადგილი უნაყოფოა უწყლობის გამო და ნაყოფიერებს მორწყვის შემდეგ.

ვახუშტის სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ისიც არის, რომ მეურნეობის სივრცობლივი განლაგება მის „აღწერაში“ სათანადო სიცხადით არის წარმოდგენილი. სამეურნეო ობიექტები აქ განსაზღვრული ტერიტორიული ერთეულის ჩარჩოებშია მოქცეული. ყოველი სამეურნეო ობიექტის დასახელებას თან ახლავს მისი გავრცელების არეების შემოფარგვლა.

სამეურნეო არეების შემოფარგვლის ნიმუშად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: „აღვეთის შესართავის ჩდილოთ, იაღლუჯამდე, მტკვრის პირს, სახლოთ: ელნი მოჰმადიანნი, მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლისა თესლ-მარცვლისა, აკეთებენ აბრეშუმსა“ (იხ. „აღწერა“, გვ. 48); ყურყუთას ანუ სონღავლის „ქალიდამ იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა, მეფეთა აქლემთა დგომისათვის, უწყლობით უნაყოფო“ (გვ. 48); მთა ორბოძალის „სამხრით კერძს, ჯარიაშენილამ

ღანათამდენ, უწოდებენ გვერდის ძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი; ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერეთ ქართლისასა“ (გვ. 70); უსანეთის მთის „მიყოლვით, დასავლეთისაკენ მეჭვდამდე და ვიდრე დიდ-ლიახვამდე, და კვერნაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო, გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნივზნარნი და ვენახნი მრავალნი; და ირწყვის მინდორი ესე მეჭვდის აღმოსავლეთისა მეჭვდის რუთი. მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა. მთის ძირის დაბნები ეგრეთვე ვენახოვანი და ხილიანი, პირუტყვთა სიმრავლე: თვინიერ აქლემის, არს ყოველივე“ (გვ. 73); „ართვანის სანახებიტურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ქოროხის ხეობის მიერ და ამიერი იწოდების ლივანის ხეობად. და არს ეს ლივანის ხეობა, თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ზეთის-ხილით, ბროწეულით, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი“ (გვ. 136).

როგორც ვხედავთ, სამეურნეო ობიექტები იმდენად გარკვეულ ფარგლებშია ნაჩვენები, რომ საშუალებას იძლევა შედგენილ იქნას ზუსტი რუკა ჩვენი ქვეყნის ვახუშტისდროინდელი მეურნეობისა ვახუშტისასვე „აღწერის“ მიხედვით.

„მეურნეობის სივრცობლივი განლაგებისათვის ვახუშტის „აღწერაში“ დამახასიათებელია სამეურნეო ობიექტების ჩვენება გზადაგზა. ვახუშტი არა მარტო სამეურნეო, არამედ ყოველ სხვა ცნობასაც გზადაგზა მიმოხილვის სახით ვგვწვდის. ვახუშტი, მისი დროის გეოგრაფების მსგავსად, უმთავრესად მდინარეების გაყოლებით აკვიწრს ქვეყნის ბუნებას, მოსახლეობას და მეურნეობას. საერთოდ გზები—სამდინარო თუ სახმელეთო—ძველ გეოგრაფთა ყურადღებას განსაკუთრებულად იპყრობდა. გზებისადმი უდიდესი ყურადღების საჭიროებას უკარნახებდა მათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა—ცენტრის აღმინისტრაციული კავშირი ადგილებთან, პერიფერიებთან. ამისათვის ისინი დაწვრილებით აღწერდნენ სამომოსვლო გზებს, გზების მიდამოებს, სანახებს, და ყოველივე ეს, როგორც სამართლიანად შენიშნავს რაინოვი, შეუმჩნეველად გადაიზრდებოდა ხოლმე ამ გზების გასწვრივ მდებარე კუთხეების გეოგრაფიაში. სამეურნეო ობიექტების გზადაგზა მიმოხილვა, დაეძინთ ჩვენი მხრივაც, ერთ დიდ გეოგრაფიულ მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებს—მტკიცედ არის დაცული ადგილის ზუსტად მაჩვენებელი ორიენტირი, გამგნები ნიშანი. ეს გარემოება, სამეურნეო ობიექტთა გავრცელების არეების შემოფარგვლასთან ერთად, მეურნეობის გეოგრაფიული განლაგების უაღრესად სანდო სურათს აქმნის.

მეურნეობის სივრცობლივ განლაგებას ვახუშტის „აღწერაში“ ერთი შესანიშნავი მხარეც აქვს, ესაა—თანმიმდევრობის დაცვა. ავტორს როგორც ბუნებისა და მოსახლეობის, ისე მეურნეობის ყველა საკითხი გარკვეული სისტემით, გეოგრაფიული თანმიმდევრობით აქვს წარმოდგენილი. იგი საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეზე გადასვლას უწყესრიგოდ როდი აწარმოებს. აღებულთა აქვს თხრობისათვის გამოსავალი წერტილი—ერთი კუთხე, აქედან გადადის მე-

ზობლად მდებარე კუთხეზე და ასე თანდათანობით გადადის კუთხიდან კუთხეზე, რასაც შედეგად მოსდევს საქართველოს მთელი მიწა-წყლის მიმოხილვა.

გამოსავალ წერტილად ვახუშტის შექმლო აელო ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი, ვთქვათ, ქართლის სამეფოს დედაქალაქი თბილისი. ასე იქცეოდნენ ძველი გეოგრაფები, რომელნიც თავისი სახელმწიფოს დედაქალაქიდან იწყებდნენ ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერას. მაგრამ ვახუშტის სხვა გზა აურჩევია, ჩვენი აზრით, უფრო შესაფერისი მისი დროის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისათვის, როცა ქვეყანა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად იყო დაყოფილი და ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმს არ წარმოადგენდა მისი საერთო პოლიტიკური ცენტრით. ვახუშტის გამოსავალ წერტილად აურჩევია ქართლის ის კუთხე, რომელიც ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარეობდა, სახელდობრ ბერდუჯი. აქედან გადასვლით აღწერილია სომხითი, ტაშირი და ა. შ.,—მთელი ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. ამას მიჰყვება აღწერა ჰერეთისა, კახეთისა, კუხეთისა, თუშეთისა და დიდოეთისა, ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა მდებარე კუთხეებისა, შემდეგ აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ანუ მთელი ზემო ქართლისა, და, ბოლოს, აღწერა ეგრისის ქვეყანისა, ე. ი. მთელი დასავლეთ საქართველოსი.

კუთხიდან კუთხეზე ასე თანმიმდევრობით გადასვლა ნამდვილი გეოგრაფიული აღწერის ძირითადი ამოცანაა, რადგან ამ წესით ხერხდება თავიდან ავიცილოთ ქვეყნის გეგმაშეუწონელი დაქუცმაცება; კუთხეებს შორის არ რჩება შეუსწავლელი, „ცარიელი“ ადგილები და ვალწევთ მოცემული ტერიტორიის გაცნობას მის ბუნებრივ მთლიანობაში.

ტერიტორიის მთლიანობაში გაცნობა ვახუშტის „აღწერის“ უბრწყინვალესი მიღწევაა. ამ მხრივ ვახუშტი თავისი საუკუნის, XVIII საუკუნის, გეოგრაფიული მეცნიერების მოწოდების ღირსეულ სიმაღლეზე დგას. წინა საუკუნეებში გეოგრაფიულ აღწერებს სწორედ ეს მთლიანობა აკლდა. მხოლოდ XVIII საუკუნემ შესძლო გეოგრაფიულ აღწერაში ქვეყნის მთლიანი, შეჯამებული, სინთეზური მიმოხილვის საფეხურზე ასვლა. მართლაც, ვახუშტი თავის „აღწერას“ აწარმოებს ანალიზური მეთოდით—ზოგადიდან კერძოსაკენ, მთელიდან ნაწილებისაკენ სვლით და ამ გზით დაგროვილ მონაცემებს რამდენაღმე აჯამებს კიდევ და მათ ერთგვარ სინთეზს გვაძლევს. ვახუშტის „აღწერას“ წინ უძღვის საქართველოს ზოგადი მიმოხილვა—„ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ და თავში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პირველად მოცემულია საზოგადო ცნობები ზნე-ჩვეულების, ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შესახებ. მომდევნო თავებში მოცემულია საქართველოს აღწერა ცალკე მხარეების მიხედვით, იმ თანამიმდევრობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მაგრამ მთლიანობის საკითხი ვახუშტის ცალკე მხარეების მიმოხილვაშიაც არა აქვს უგულვებელყოფილი. ასევე ზოგადი მიმოხილვით იწყებს ვახუშტი ყველა კუთხის გეოგრაფიულ აღწერას და თითქმის ყოველი კუთხის აღწერა მთავრდება ამა თუ იმ ხასიათის „შემაჯამებელი ცნობებით“.

ამგვარად, მეურნეობის სივრცობლივი განლაგების მხრივ ვახუშტის „აღწერის“ დამახასიათებელი გეოგრაფიული ნიშნებია: სამეურნეო ობიექტთა გავრცელების რაიონის ზუსტად შემოფარგვლა, სამეურნეო ობიექტების გაცნობა გამგნები გეზის მიმართულებით, მტკიცე ტერიტორიული თანმიმდევრობის დაცვა და ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის მთლიანობაში ასახვა მათი როგორც ანალიზური გაშლით, ისე სინთეზური, შეჯამებული თავმოყრით.

ვახუშტის სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია აგრეთვე მათი განხილვა ქვეყნის ბუნებრივ პირობებთან კავშირში. ეს პირობებია: ქვეყნის ზედაპირის მოყვანილობა, რწყვა, ჰავა, ნიადაგი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ვახუშტის „აღწერაში“ თვით ეს ბუნებრივი პირობებიც შეტანაწილად სამეურნეო, საყოფაცხოვრებო თვალსაზრისითაა გაშუქებული და, ცხადია, მეურნეობის გაცნობის დროსაც მას მუდამ მხედველობაში აქვს ბუნებრივი პირობების უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის შრომა-საქმიანობისათვის.

ქვეყნის მეურნეობა ვახუშტის განხილული აქვს ბუნებრივ პირობებთან მჭიდროდ კავშირში. ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს ქვეყნის ზედაპირის, რწყვისა და ჰავის გავლენა მეურნეობაზე.

ზედაპირის მოყვანილობის მხრივ საქართველო მთასა და ბარს წარმოადგენს. მთა და ბარი აქ ერთიმეორესთან ძლიერ ახლო-ახლოსაა. ვახუშტისავე შენიშვნით, აქ „არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ, რამეთუ ზ, გ, ვ ჟამს მთიდან ბარს და ბარიდან მთას არა მიიწეოდეს“ (გვ. 31). მთა-ბარიანობით ასე დასერილობა საქართველოს ბუნებას მეტად ამრავალფეროვანებს: „ქანეთში „მთა-ბარი ახლორებს“ ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარ-ჟამისა სავალთა არს თოჯილი და ბართა ნარინჯნი, თურინჯი, ზეთის ხილი და ყოველნი ნაყოფნი“ (გვ. 121). ზედაპირის ამ ორგვარი, ერთიმეორისადმი ფორმით დაპირისპირებული, მოყვანილობით განსისაზღვრება საქართველოს მეურნეობის ხასიათიც: ბარს თავისი ნიშანდობლივი მეურნეობა აქვს, მთასა კიდეც თავისი. ბარი ხელშემწყობია ყველა სამეურნეო დარგისათვის, მთა კი არა. მთა ყოველგვარ საზრდელს არ იძლევა, იგი ბართან შედარებით მწირია. მთაში შეიძლება ხარობდეს თესლ-მარცვალთაგან ხორბალი, ქრთილი, შვრია, სელი, იქ მრავლადაა პირუტყვიც, უხვადაა ბალახ-ყვავილი, მზადდება თაფლი, თევზთაგან იცის კალმახი, ხოლო მტილ-წალკოტოვანი და ხილი, ვენახი ან სულ არაა, ან მცირე და თავისებური. ვახუშტი გარკვევით შენიშნავს: „მთათა ხორბალი, ქრთილი; შვრია, სელი და ხილნი, რომელნი დავსწერეთ, მთისანი ნაყოფიერებს და სხვანი არარაი, ხოლო ბართა ყოველივე ზეით წერილნი“ (გვ. 31). მთის თესლ-მარცვალი და ხილი იმდენად თავისებურია, რომ ვახუშტი მათ განსაკუთრებულ ჭკუფად გამოყოფს. მთა-ადგილის მეურნეობის დამახასიათებელ ნიშნად ვახუშტის ზოგადი ცნებაც კი აქვს მომარჯვებული, სახელდობრ: მთიური, მთებრი, მთისებრი, მთის ალაგთაებრი, ვითარცა მთის ადგილი. მეურნეობის სხვადასხვაობა მთასა და ბარში ზაზგასმითაა ნაჩვენებია ვახუშტის „აღწერაში“.

აი, ამისა მაგალითები: ტაშირი „არს ნაყოფიერი ხორბლით, ქრთილით, სე-
ლით, შვრივით, პირუტყვის სიმრავლით... ბალახოვან-ყვავილოვანი... ფრინ-
ველნი, თუ ნიერ ხობხისა და კაკბის, მრავალნი; მდინარენი კალმახითა საესენი,
არამედ სხვა თევზნი მცირედ. ხილნი და მტილ-წალკოტოვანნი არარაი იპოების,
თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი“ (გვ. 38); ყაიყული „გარმოხვეუ-
ლი სრულად მთითა და შუაში ვაკე, და მთის კერძად გორიანი, მოსავალმოუც-
დენელი: ხორბალი, ქრთილი, სელი, შვრია, სხვა არარაი, არც ხილნი და მტი-
ლოვანნი, პირუტყვთა სიმრავლე არს თივის სიბევრისათვის. თევზი მცირედ, და
ივცია კალმახი“ (გვ. 38); კვირიკეთის მთა „არს ტყიანი, და ნადირიანი, არამედ
არა არს ხეობასა ამას შინა ვენახნი, ხილნი, თვინიერ მთის ხილთაგან კიდე, და
ნაყოფითაცა ევრთვე, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“ (გვ. 41); „თრიალეთი
არს ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი... მოსავ-
ლით ვითარცა ტაშირი... პირუტყვნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი
არარაი არს აქა. და მთის ხილნი მრავალნი“ (გვ. 42); „პატივანს ზეით კლდე-
კარ-დიდგორამდე არა არს ვენახნი და ხილნი, არამედ ვითარცა მთის ადგილ-
ნი აღესწერეთ მოსავლითა“ (გვ. 46); ვერის ხეობა „დიდგორის მთის კერძო არს
უვენახო, უხილო ვანათამდე, მას ქვეით ვენახოვანი, ხილიანი“ (გვ. 49); ტანას
ხეობა ბობნავამდე „არს ვენახოვანი, ხილიანი; მას ზეით მთური“ (გვ. 57); თო-
რის ხეობაში „არა არს ვენახნი და ხილნი, თვინიერ მთის ხილთა, და სხვით ნა-
ყოფიერი მთისებრ“ (გვ. 60); „კლდეს ქვეით მტკვრამდე კსანი არს ვენახოვანი,
ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღესწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო
და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მჭირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლია-
ნობით, ტყიან-კლდიანობითა“ (გვ. 68); მოსავლით არს კუჭოთა, ვითარცა სხვანი
მთის ალაგნი“ (გვ. 69); ქალოქვითკირი—ესეცა არს მთის ალაგთაებრ“ (გვ.
70); „სვერს ზეით რომელი ლიხვის ხეობა აღესწერეთ, არს უვენახო, უხილო...
მოსავლით მთის ალაგებრ“ (გვ. 78); „მთებს ზეით არს ბაიბურდი, ყოველგნით
მთით მოხვეული და თვითა მთა... და არს ეს ბაიბურდი, ვითარცა ჯავახეთი,
მთებრი მოსავალ-პირუტყვითა“ (გვ. 141).

მთასთან შედარებით ბარი უხვია და ბარაქიანი. ამისათვის ორი-სამი მა-
გალითის მოყვანაც იკმარებს: ნახილურს ქვეით ქციის ამიერ და იმიერ კიდეს აღ-
გილი „არს ფრიად ნაყოფიერი. ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა,
ხილნი წალკოტთა და მტილთა უცთური და მრავალი. აბრეშუმნი, ბამბა მრავალ.
პირუტყვი აქლემიდან თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-შინაურნი ყოველ-
ნი აურაცხელნი, და ფრინველი სანადირო წარჩინებული ყოველთაგან“ (გვ. 45);
მუხრანში „მოსავლიანი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავ-
ლად ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ
ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალ-
ნი, სანადირონი მოუკლებელნი“ (გვ. 64); „ბელაქნის-წყალსა და გომის-წყალს
შორისი, ალაზნამდე და კავკასამდე, არს ელესენი... და არს ადგილი ესე ფრიად
ნაყოფიერი ყოველითა მარცვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა საესე არი-
ან ხილითა. ნადირნი, პირუტყვნი, ფრინველნი მრავალნი. აბრეშუმნი, ბრინჯი,

ბამბა მრავლად“ (გვ. 96).

მთისა და ბარის მეურნეობის ასეთ სხვადასხვაობას, ცხადია, იწვევს ადგილის სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობა. ვახუშტი დაბალსა და მაღალ ადგილს ერთიმეორის გარკვევით უპირისპირებს: „აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო. არ არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან... და ნაყოფიერებს მთურად“ (გვ. 54); „ხეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი-დაბალნი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი“ (გვ. 102). ამას დაუმატეთ ვახუშტის მიერ მაღლა და დაბლა მდებარე ადგილის მისათითებლად ხშირად ხმარებული გამოთქმა „ზეით“ და „ქვეით“, თუნდაც ჩვენ მიერ ზემოთ ამოწერილი მაგალითების მიხედვით, და ცხადი გახდება, რომ ვახუშტი მოცემული ადგილის მეურნეობას იმით განსაზღვრავს, მაღალი თუ დაბალი მდებარეობისა ეს ადგილი.

მთისა და ბარის სხვადასხვაობა მეურნეობის დარგთა მრავალგვარობას იწვევს; ვახუშტის ესეც კარგად აქვს გათვალისწინებული და ამიტომაც ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოსა და მისი ცალკე მხარეების, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, მთითა და ბარით შემეკობილობას (იხ., მაგალითად, გვ. 31, 60, 141 და ა. შ.).

ადგილის სიმაღლესთან ერთად მეურნეობის თავისებურებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ჰავა, რომელიც, თავის მხრივ, ადგილის სიმაღლის მიხედვით იცვლება. მაგალითად, ელისენი, რომელიც დაბალ ვაკეს წარმოადგენს, ჰავითა ცხელია, ზაფხულს ხაშშიანი, ზამთარს კეთილჰაოვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო (გვ. 96), ხოლო ტაშირი, რომელიც მაღალი ვაკეა, ზაფხულს ფრიად შვენიერი, მაგრამ ზამთარს ცივი, ყინვიანი, ორი ადლი თოვლით (გვ. 38). ოგსეთის ნაყოფიერება მცირეა, „ვინათგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თვინიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა, სიცივის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათვის“ (გვ. 108). ოდიში, ერთ-ერთი უმდიდრესი კუთხე, მეურნეობისათვის ჰავითაც ხელშემწყობია: „და არს ჰავითა ესე ოდიში მშვენი. ზაფხულს ზღვის პირნი და ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერძონი გრილი, აკარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი, არამედ ზაფხულცა სველი, და ნამიანი, და ნოტიო, გარნა უწყინარ-უვნო, უქარო და უყინო, დიდ-თოვლიანი. მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავდ. ნარინჯი, თურინჯი, ზეთის-ხილი, ბროწეული ადგილ-ადგილს და სხვანი ხილნი მრავალნი. ვენახნი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი... აქ ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან. პირუტყვნი... უვისთ ჯოგად, მროწლედ... არვედ... რამეთუ მძოვარ არიან ზათარ-ზაფხულს ბალახთა. ფრინველნი მრავალნი; ფუტკართაგან თაფლი და ცვილნი მრავალნი“ და ა. შ. (გვ. 169-170).

წყალსაც, როგორც ადგილის ნაყოფიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, სათანადო ყურადღება ექცევა ვახუშტის მსჯელობაში მეურნეობისათვის ხელშემწყობ ბუნებრივ პირობათა შესახებ. უწყლო ადგილი, ჩვეულებრივ, უნაყოფოცაა, მორწყული კი—ნაყოფიერი. სარწყავი რუები ბევრგანაა საქართველოში, მაგალითად, ქართლის უწყლო ადგილებში, და ეს რუები ადგი-

ლის ნაყოფიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. ამიტომაც ვახუშტი სარწყავ რუებს დაწვრილებით და გულდასმით გვაცნობს.

აი, ამისი მაგალითები: ბერდუჯს „აღმოიღებენ რუთა და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი“ (გვ. 34); „ქციის სამხრით ველი იყო უწყლო. გაიღო ჟღ მეფემან ვახტანგ ძველი რუ, და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად“ (გვ. 37); „ხუნანის ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით. ჟღ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციის ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები, და ნაყოფიერებს ფრიად“ (გვ. 45-46); ყარაიის ველზე „ნაგებიდამ გაიღო ჟღ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან, და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ქალებს ქვეითი მინდორნი“ (გვ. 51); საბურთალოს ველზე „ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს“ (გვ. 54); „თეზიდამ ატენის წყლამდე მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეზის რუთი, და არს ფრიად მოსაველიანი“ (გვ. 56); „ტყვილიანიდამ ისო წილკანელმა, იგ მამათაგანმა, წარმოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მისდევდა უმუშაკოთ წყალი, და მიიღო წილკანს და დის დღემდე... ზოლო ირწყვის მინდორი ამისი რუთა მით და ნაყოფიერებს ფრიად“ (გვ. 63). „მინდორი ნასპარსევისა... არს უწყლობით უნაყოფო“ (გვ. 63); „ქსორისი... მუნ არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მათა შორისთა მინდორთა, სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მათა შორისსა, და ნაყოფიერებს მით ფრიად“ (გვ. 63); „მინდორი ალაიანისა უწყლო, უნაყოფო“ (გვ. 63); „კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო“ (გვ. 73); „ლიახვი... მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა... რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი“ (გვ. 75).

ნიადაგის საკითხი ვახუშტის „აღწერაში“ ცალკე არ არის გაშუქებული. მაგრამ სხვადასხვა ადგილის ნიადაგების დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ მისი ზოგადი გამოთქმანი—უნაყოფო, ნაყოფიერი, უწყლო, მწირი და მისთანანი.

ამგვარად, ვახუშტის „აღწერაში“ ყველა ძირითადი ბუნებრივი პირობაა განხილული—ზედაპირის მოყვანილობა, ჰავა, რწყვა— და მეურნეობაც მათთან კავშირშია დახასიათებული. ეს გარემოება ცხადპოყფს ვახუშტის სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობას.

სოფლის მეურნეობის, კერძოდ მემცენარეობის (მემინდვრეობის, მებაღეობა-მევენახეობის), აგრეთვე საზოგადოდ მცენარეულობის თავისებურებანი ვახუშტის „აღწერაში“ იმდენად თვალსაჩინოდაა გამოვლინებული ადგილის ზედაპირის მოყვანილობასთან და ჰავის პირობებთან კავშირში, რომ მკვლევარს გზას უხსნის ერთი ფრიად საყურადღებო პრობლემის გარკვევისაკენ—ესმოდა თუ არა ვახუშტის, სამეურნეო დარგთა და მცენარეთა ზონალური განაწილების არსი. როგორც ვიცი, მოძღვრება მცენარეთა ზონალობის შესახებ მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. გეოგრაფთა შორის ამ მოძღვრების ფუძემდებლად ცნობილი მოგზაური და ბუნებისმეტყველი ალექსანდრე ჰუმბოლდტი ითვლება. მან ჩაუყარა საფუძველი ფიტოგეოგრაფიას, გეოგრაფიულ მეცნიერებას.

მცენარეთა შესახებ. ბოტანიკოსთა შორის ამ მხრივ დე-კანდოლსაც ასახელებენ ამავე XIX საუკუნეში. მანამდე კი დიდი მოგზაურნი და ბუნებისმეტყველნი მხოლოდ ამჩნევდნენ მცენარეთა სახეცვლას ადგილის სიმაღლის მიხედვით. მოვიგონოთ, მაგალითად, ტურნეფორი, რომელმაც ჯერ კიდევ 1701 წელს არარატზე ასვლის დროს შენიშნა მცენარეთა სახეცვლა ადგილის სხვადასხვა სიმაღლეზე: მათს ძირას სომხეთის ფლორაა, უფრო მაღლა კი მცენარეები მოგვაგონებს საფრანგეთის, სკანდინავიისა და ალპების ფლორასაო. მაგრამ ფაქტის შეჩინება, თუნდაც მიმსგავსება, ფაქტების აღნუსხვა და რეგისტრირება სათანადო ანალიზის გარეშე მოძღვრების შექმნას არ ნიშნავს. მხოლოდ ჰუმბოლდტმა მოგვცა პირველად ნამდვილი მეცნიერული გეოგრაფიული ანალიზი ამ საკითხზე. მან მცენარეთა სახეცვლას ყველა ძირითადი მიზეზი გამოუჩინა—ადგილის სიმაღლე, ტემპერატურის შეცვლა ადგილის სიმაღლესთან დაკავშირებით, აგრეთვე, რაც მთავარია, ადგილის გეოგრაფიული სივანედი და ჰავის შეცვლა სითბური სარტყლების მიხედვით. ასეთი მძლავრი, ყოვლისმთქმელი ფაქტორების გვერდით შედარებით მარტივ მსჯელობად მოჩანს ვახუშტის „აღწერაში“ მცენარეთა სხვადასხვაობის ახსნა „მთობისა“, ან კიდევ „სიცივის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომის“ მიხედვით.

ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დარგთა და საზოგადოდ მცენარეთა ზონალობის საკითხს ჩვენში პირველად აკად. ივ.ჯავახიშვილი შეეხო. მკვლევარი, აღტაცებული მცენარეთა სხვადასხვაობის ცხადი ჩვენებით საქართველოს მთასა და ბარში, რასაც ვახუშტის „აღწერა“ იძლევა, აღიარებს ვახუშტის უდიდეს დამსახურებას მცენარეთა ზონალობის მოძღვრების სფეროში, მაგრამ ამაზე არ ჩერდება და ვახუშტის ამ დარგში მსოფლიო პირველობას აკუთვნებს. იგი ამბობს: „სახელოვან მეცნიერს შეუშინებია, რომ მოსავლიანობა-ნაყოფიერების თვისება ადგილის მდებარეობისდა მიხედვითაც, გეოგრაფიულადაც იცვლება. ეს ფაქტი მას თავის თხზულებაში მრავალჯერ აქვს ხაზგასმით აღნიშნული... ვახუშტს ხეობის მოსავლიანობა-ნაყოფიერების დახასიათების დროს ყოველთვის აღნიშნული აქვს ხაზი, სადამდისაც აღწევდა ის ზოლი და არე, სადაც ვაზი ხარობდა და რომლის ზეითაც ვაზი, ან ვაზთან ერთად ხეხილიც უკვე ქრებოდა... სახელოვან მეცნიერს მთა-ბარი ბოტანიკურადაც და სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისითაც სრულებით გარკვეულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, არეებად ჰქონდა ნაგულისხმევი... ვახუშტის თხზულებითგან ჩანს, რომ უძველესი დროითგან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა... ვახუშტს მცენარეულობის ზოლადობა მარტო კულტურულ მცენარეთა სამეფოში კი არა აქვს შემჩნეული, არამედ დენდროლოგიაშიც... ბოტანიკის ისტორიითგან ცნობილია, რომ მცენარეთა ზონალობის დებულება მეცნიერებაში ფრანგმა მეცნიერმა Alph. de Candolle-მა წამოაყენა წარსული საუკუნის შუა წლებში. შემოპოყვანილი ფაქტების შეზღომა უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კულტურულ მცენარეთა არეებისა და ზონა-

ლობის შესახებ ასი წლით de Candolle-ზე უწინარეს სახელოვან ქართველ მეცნიერს ვახუშტს ჰქონდა მოძღვრება და დებულება წამოყენებული. რა თქმა უნდა, ვახუშტს ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოს ასპარეზით ჰქონდა მოზღუდვილი. ამ დაკვირვებისა და მოძღვრების უფრო ფართო ასპარეზზე გავრცელება და განზოგადოების აზრი ფიქრად არ მოსვლია. ამ მხრივაც, სახვასაც ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ფრანგსა და ქართველ მეცნიერებს შორის, რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა და ბოტანიკური ზონალობის ზოგადი მოძღვრობის ავტორად, უეჭველია, უცილობლად de Candolle დარჩება. მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ მცენარეთა-მცოდნეობის ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი ვახუშტს ასი წლით უწინარეს შემჩნეული და საქართველოს ბოტანიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა-დახასიათების საფუძვლად აქვს დადებული. ეს ვარემოება ვახუშტის მეცნიერული დაკვირვების გასათვარ ნიჟს ამტკიცებს და მას პირადად მცენარეთა ზონალობის მოძღვრების პირველ მოციქულად ჰხდის“ (იხ. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, თბ., 1930 წ., გვ. 293-297).

ჩვენი აზრით, ამ საკითხის გაშუქებას ასე უნდა მივუდგეთ. ვახუშტის ხანაში გეოგრაფს არ ჰყოფნიდა მასალა მცენარეთა ზონალობის მოძღვრების შესაქმნელად—საბუნებისმეტყველო ცოდნათა არასაკმაოდ განვითარების გამო. მცენარეთა სხვადასხვაობის შემჩნევა, ცხადია, შეეძლო ყოველ ჰემშიარტ დამკვირვებელსა და აღმწერს, მათ შორის ვახუშტისაც. მაგრამ შემჩნეულის სრული და ყოველმხრივი ანალიზი, მოვლენათა გამომწვევი ყველა ძირითადი მიზეზის, მოვლენათა ყველა შედეგის ურთიერთკავშირში განხილვა, მოვლენათა ურთიერთშეპირობებულობის გარკვევა, კანონზომიერებათა გამოვლინება და ზოგად დებულებათა დადგენა, რაც ყოველი მოძღვრების ქვაკუთხედი, არ შეიძლებოდა ვახუშტის გეოგრაფიული აღწერის პირობებში, რადგან, ჯერ ერთი, დაკვირვების ობიექტი—საქართველოს მიწა-წყალი—ამისათვის არასაკმაოდ ვრცელი იყო, მეტადრე სიგანედის მიმართულებით, მეორე—ჰავა მეტად ზოგადად, საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით განიხილებოდა, არ წარმოებდა ჰავის ცალკეული ელემენტების (ტემპერატურების, ნალექების, ჰაერის წნევისა და ქარების) მეცნიერული შესწავლა, მათზე სისტემატური და წინასწარ დაგეგმილი დაკვირვება, შედეგების გამოსახვა განზომილებაში, საშუალო მდგომარეობათა გამოთვლა და ა. შ. მსგავსი და განსხვავებული პირობები ისეთი რაოდენობით არ იყო გათვალისწინებული, რომ მოხერხებულიყო ზოგადი დასკვნის გამოყვანა—რა მსგავსი მიზეზები რა მსგავს შედეგებს იძლევა და რა განსხვავებული პირობები რა განსხვავებულ შედეგებს. შედარებით მეთოდი მაშინ მეცნიერული კვლევა-ძიების იარაღად ჯერ კიდევ არ იყო ქცეული. შედარება ხდებოდა უმთავრესად ისევ შედარებისათვის და არა მეცნიერული ახსნა-განმარტებისათვის. მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ვახუშტიმ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზედმიწევნითი სისწორით გაცნობის საფუძველზე შეამჩნინ სასოფლო-სამეურნეო დარგთა და საზოგადოდ მცენარეთა სხვადასხვაობა გეოგრაფიულ

პირობებთან კავშირში და მოგვცა მარტივი, მაგრამ მართალი ახსნა-განმარტებანი ამ სხვადასხვაობის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზის შესახებ. ვახუშტის „აღწერა“ და ყველა მისი მსგავსი გეოგრაფიული აღწერა ზონალობის მოძღვრების შექმნის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა და ამდენად ვახუშტის დამსახურება ამ მოძღვრების წინაშე თვალსაჩინოა.

ამგვარად, მემცენარეობის სამეურნეო დარგთა და საზოგადოდ მცენარეთა ზონალობის მოძღვრების სფეროში ვახუშტი გვესახება როგორც ამ ზონალობის ინტუიციურად შემგრძნობი და მისი გამომავლინებელი საქართველოს მთა-ბარის მაგალითებზე და არა ზონალობის მოძღვრების ფუძემდებელი, რომელმაც თითქო მთელი საუკუნით დაასწრო ზონალობის მოძღვრების ფუძემდებელ ბოტანიკოსებსა და გეოგრაფებს.

ცხადია, ეს გარემოება ოდნავადაც არ ამცირებს ვახუშტის მეცნიერულ-გეოგრაფიული აზროვნების უნარიანობას, პირიქით, ზონალობის სურათის თუნდაც მარტოდენ ჩვენება, სათანადო მეცნიერულ დასაბუთებათა გარეშე, ვახუშტის აყენებს მოწინავე გეოგრაფთა რიგებში და მის ნამდვილ გეოგრაფობას ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებს.

ვახუშტის მატიანის გეოგრაფიული ნაწილი და მასზე დართული რუკათა ატლასი ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და მოსახლეობის აღწერასთან ერთად, მეტად მდიდარ სამეურნეო ცნობებსაც შეიცავს და ეს სამეურნეო ცნობები გეოგრაფიულ საფუძველზეა წარმოდგენილი. ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა, ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის ეს სამი ძირითადი ელემენტი, წითელ ზოლად გასდევს ვახუშტის „აღვილის აღწერას“, რაც ამ ნაშრომს ნამდვილ გეოგრაფიულ თხზულებად ხდის და მის ავტორს წარმოგვიდგენს როგორც თავისი დროის გამოჩენილ გეოგრაფს.



6. ნიშანადმი

საქართველოს მოსახლეობა ვახუშტის შრომის მიხედვით

ვახუშტის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ საქმაოდ ფართოდ და ღრმად აღწერილია არის მოცემული ამ ქვეყნის გეოგრაფიული აღწერილობა, ლამაზად და დიდი დამაჯერებლობით გაშუქებულია საქართველოს მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება, მისი ბუნებრივი საწარმოო ძალები, მისი მოსახლეობა და სამეურნეო საქმიანობა.

დემოგრაფიისა და ეთნოგრაფიის სფეროდან ვახუშტის გაშუქებული აქვს ბევრი საკითხი, სახელდობრ: ანთროპოლოგიური თვისებები, გენეალოგია, ზნე-ჩვეულებანი, ტანსაცმელი, დასახლების თვისებებზე და სხვა. ეს საკითხები ავტორის მიერ ისე ღრმა დაკვირვებითა და საოცარი გონებამახვილობით არის განმარტებული, რომ მის მსგავსს გეოგრაფიულ ლიტერატურაში იშვიათად ვხვდებით.

ვახუშტი მოსახლეობის განხილვას იწყებს იმ ზოგადი ნაწილით, რომელსაც უწოდა მან „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“. აქ ის პირველად ეხება ზნეობას თავში „ზნეთათვის“ და აღნიშნავს, რომ ქართველებს ახასიათებს სიტყვის სიმტკიცე, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანება, მხნედ ბრძოლა, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, ერთცოლიანობა და სხვა: „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა, ერთისა ცოლისა ქმრობა“ (გვ. 12). თავში „წესთათვის“ ავტორი პირველად ეხება წოდებრიობას. აღნიშნავს, რომ მთავარს უნდა ჰქონდეს ჩამომავლობა, გვარი, ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობა, „არამედ მთავარისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი, და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად“ (გვ. 14). აზნაურობისათვის კი საჭირო იყო გვარი და ჩამომავლობა და რაიმე სიმაგრე მთაში ან ბარში, სოფლები და მარქაფის გამოყვანა. „ხოლო აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნები, და ძალედვას გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მათთა გაწყობილებითა, და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ (გვ. 12). ხოლო ვაჭრები აზნაურებზე დაბლა იდგნენ, ზოგი კი მათი სწორი იყო. „ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემოთ და ვიეთთა სწორი“ (გვ. 14). ამის შემდეგ მიდიან მეფის მსახურნი, შემდეგ ჩინებულნი, ხოლო უკანასკნელად გლეხები. „და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა, და მერმე ჩინებულთა მათთა წესის მიერ პატივი მსახურთა მათთა, და შემდგომად ამათთა მუშაკთა გლეხთა“

(გვ. 14), ამავე თავში ავტორის მიერ განხილულია სამართლისა და სასჯელის სახეები. „ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათვის აქუნდათ: სისხლი, ზრმალი, შანთი, მღულარე და ფიცი“ (გვ. 15).

ზოგად ნაწილში ვახუშტი განიხილავს აგრეთვე ჩვეულებებს („ჩვეულები-სათვის“, გვ. 17-18) და ყოფა-ცხოვრების მთელ რივ საკითხებს, სახელდობრ: ჩვეულებანი, რომელნიც ეხება გამეფებას, ცოლქმრობას, ქორწინებას, დასაფლავებას, მგლოვიარობას, ჭამის და სხვა წესებს. აი, მაგ.: „ტაბლასა ზედა სჷამ-დიან და ნაღამობდნენ, სჷამთა ზედა სხდიან, ბოდიშობდიან ქუდის მოხდით“ (გვ. 18). იქვე: „მეფეთა გამეფებათა ზედა გარდააყრიდიან დიდნი და მცირენი სრულიად ოქროსა და ვერცხლისა ტაბაკთა, -ვის რა ძაღედვა, ცოლნი თვისთა თანასწორთა ერთი და არა სხვათაებრ მრავალნი. ამისთვის უწყოდენ მოყსობა, ნათესაობა, ურთიერთა მტერობა და მოყვრობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა“ (გვ. 18). შემდეგ განაგრძობს ავტორი: „არამედ ქორწილის ჟამსაც გადააყრიდიან, ვითარცა მეფესა, ოქროსა და ვერცხლსა ყოველნი მოწვეულნი და მწვეველნი, ვის რა ძაღედვა... „მკუდარსა დაჰფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა, და საჭურველითა, და სამკაულითა თვისითა... ტიროდიან და საბნელოსა სხდიან მ დღე, ... შთაიცვიან ძაძა-ფლასნი და დაიბურიან თავსა თხისურნი. ჩაჩნი; განჰყვიან საფლავამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა, ჳინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულითა, იმღერდიან მწუხარისა ხმითა ტყეებისა ჟამსა არა ჭირისუფალნი, არამედ სხვანი მუნ მყოფნი“ (გვ. 18) და ა. შ.

შრომის ამ ზოგად ნაწილში წესსა, ზნესა, ჩვეულებასა და სამართლის წესებს გარდა სხვა ცნობებიც ბლომად მოიპოვება, სახელდობრ: მეფეების, ჳარი-სა და მისი შვიარაღების, ხელისუფლების, თანამდებობის, სარწმუნოების, სხვადასხვა დღესასწაულის, ახალი წლის, აღდგომის, შეძენილი წესების, სამეფოს გაყოფის (დანაწილების) და სხვათა შესახებ.

ამრიგად, ამ საზოგადო მიმოხილვით, რომელსაც ვახუშტიმ „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ უწოდა, ავტორი იძლევა საქართველოს მოსახლეობის, მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილების, სარწმუნოების ან სამართლის, ზნე-ჩვეულებებისა და შინაური ყოფა-ცხოვრების მთელ ზოგად დახასიათებას. ავტორი ამ ზოგად მიმოხილვაში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების სურათსაც გვიჩატავს: „აჲ ვიწყით ძველიდამ ახლამდე საქართველოსათა ზნეთა, ჩვეულებათა და წესთა მათთა აღწერა“ (გვ. 12).

ვახუშტი ხედავდა, რომ ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ-წესწყობილება, ზნე-ჩვეულებანი და შინაური ყოფა-ცხოვრება საუკუნეთა მანძილზე თანდათან იცვლებოდა, ზოგი წესი ჰჳარავდა თავის მნიშვნელობას, ზოგი კი შეძენილი სახით ახლად იჳრებოდა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში: „ამათ მთავრობისა წინათქმულსა წესსა შეეძინა, რათა აქუნდეს (იგულისხმება მთავართა) მათ წესთა თანა სასაფლაოდ საეფისკოპოზო ანუ მონასტრის ეკლესია, კვალად საყდარი კარისა მღვდელითურთ“ (გვ. 19) და ა. შ. ამგვარად, როთა განმავლობაში შეძენილ წესს ვახუშტი უწოდებს „შეძინებულ წესს“

და ამნაირად იგი სთვლის ადგილობრივად აღმოცენებულ ახალ მოვლენას ან დაწესებულებას, მაგ.: ჭყონდიდლობას, აგრეთვე უცხო მეზობელთაგან შეთვისებულსაც, მაგ.: ათაბეგობას. უცხოელთაგან შეთვისებულ დაწესებულებასა და ზნე-ჩვეულებებს ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს; მას აღნიშნული აქვს, რომ „წესნი ესენი (ივულისხმება ადგილობრივი წესები ნ. ნ.) რომელნიმე ფლობასა თათართა ყეენობისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა დბლა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუხდებოდა ქუდისა“ (გვ. 22). ავტორის გდმოცემით, საქართველოში არა მხოლოდ მონღოლთა ძლიერების დროს, არამედ შემდგომაც შემოჭრილა უცხო წესები და ჩვეულებანი, მაგ.: სამცხესა და კახეთს, ვახუშტის სიტყვით, „შემოერიათ,—მათ ურუმთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან,—წესნი რაიმე მათნი, არამედ ქართველნი და იმერელნი ეგნენ ზნეთა მათ ზედავე. ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ესენი, რამეთუ სხდიან ნოხთა უსკამოდ, ხელითა სკამდიან“ (გვ. 23).

უცხოთაგან შეთვისებულ დაწესებულებათა და ზნე-ჩვეულებებისათვის ავტორს „შერეულნი წესნი“ უწოდებია.

ამგვარად, ვახუშტი ხედავდა, რომ ძველი ზნე-ჩვეულებანი დროთა ვითარებაში უცხო ერთა წყალობით შესაძლებელი იყო გადავარდნილიყო, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „შეშლიყო“, ხოლო ძველის მაგივრად უცხოთაგან „შერეული წესი“ „შემოსულიყო“. ამიტომ ავტორმა კარგად იცოდა, რომ ქართველებს „აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგივენი და შერეულნი ყიზილბაშთაგან“. კერძოდ დასაველეთსა ან მესხეთს თუ ავიღებთ, უფრო ურუმთაგან იყო შერეულნი. მასსადაამე, იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის ცხოვრება ძველ ქართულსა, რომელიც იქმნებოდა დროთა განმავლობაში, და უცხო ერთაგან შეთვისებულს წესებსა და ზნე-ჩვეულებებს შეიცავდა. ერთი სიტყვით, ვახუშტის თავის შრომის ზოგად ნაწილში საქართველოს მოსახლეობის შესახებ ბევრი საგულისხმეო ცნობები აქვს აღნიშნული. თუმცა ეს მიმოხილვა მოკლეა, მაგრამ მეტად შინაარსიანია და უმთავრეს მოვლენათა მკაფიოდ აღმუხსნველია.

ვახუშტი თავისი შრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ზოგად ნაწილში ღრმა დაკვირვებით ან დიდი სიზუსტით გვიხატავს ქართველი ადამიანის სურათს. ამ ნაწილში ის განიხილავს ქართველთა ანთროპოლოგიურ ნიშნებს, მაგ.: „ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალწარბა, თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგვრემან და მოყვითან, იშვით თვალჭრელ და გრემანი, და მოწითურ ანუ თეთრი. ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი“ (გვ. 31).

შემდეგ სახელოვანი მეცნიერი გადმოგვცემს ქართველი ადამიანის საყოფაქვეო თვისებებს: „მხნენი, მუშაენი, ჭირთა მომთმენნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი,.... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი.... ტუტმართა და უცხოთ მოყვარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან,

არაბი შეიჭირვინ; უხუნი, არცა თვისსა არცა სხვისას კრძალავენ. საუნჯეთა-
არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩებელნი, სწავლის მოყვარე-
ნი... ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვი-
ლის მდევარნი, კეთილ ბოროტად ადრე მიმდრეკენი და სხვ“.

დიდებულმა მეცნიერმა თავისი შრომის ამ ნაწილში ცხოვრების ისეთი
მხარეც დაგვისურათა, როგორცაა ქართველთა ტანსაცმელის, თავსაბურავისა
და ფეხსაცმლის თავისებურება. ასე, მაგ.: „ხოლო შემოსილნი არიან ქართველ-
ნი და კახნი ერთ-რიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრი-
ლი, ბეწვეულთ აფროსანი; ტანს კაბალახისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთქვე-
მომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბანბიანი კაბის უმოკლე, პერანგი
აბრეშუმისა, ბანბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად
მჩენი“ (გვ. 32). იქვე ავტორი ახასიათებს ქალების ჩაცმულობასაც. „ქალთაცა
გზავსათ, გარნა სარტყელთა წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა ახალუხი
ამოჭრილი, და თვინიერ პერანგისაგან კიდევ არაბი ჰფარავს, და პერანგი მჭვი-
რვალი, ხორცის მჩენელი, ... და ფეხზედ წულა მაშია“ (გვ. 32). ავტორი ჩერ-
დება ქალწულთა და პატარძალთა ჩაცმულობაზე: „ხოლო თავი ქალწულთა:
კავნი თვისისავე თმისა დაწვთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქრმოსანთა
კავსა ზედა დაწვს აძესთ თმა შეწნული, მსხვილი, იმიერ და ამიერ. და ყბას
ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ. და
პბურავთ მასზედ ლეჩაქი. კვალად სამკაულნი იციან მრავალგვარნი...“ (გვ.
32). აქვე განხილულია ზამთრის ჩაცმულობა, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა-
თვის: „ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწულნი; განა
ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწამდე“ (გვ. 32). ავტორი იხსენიებს იმერლე-
ბისა და ქვესების ჩაცმულობას: „ხოლო იმერთა მცირეთ რაიმე განიყოფების,
არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არა ბურვით, განა მდებარე არს თხემ-
სა ზედა, და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა დიდებულ-
თა—ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა, რომელთაზე ვითარცა ბერძენთა, და რომე-
თაზე ვითარცა ქართველთა გლეხთა“ (გვ. 32). საყურადღებოა, რომ ვახუშტი
აქ გვესურათებს არა მხოლოდ მისდროინდელ ჩაცმულობას, რომელსაც თვი-
თონ უშუალოდ სწავლობდა, არამედ ძველი დროისასაც. ძველებურმ ჩაცმა-
დახურვაც ავტორს შესაფერის სიცხადით აქვს დასურათებული. ასე, მაგ.: „პირ-
ეულ ერთმეფობისა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნ-
ქული ბეჭსა ზედა მცემლი და გრძელ-ბეწოსანი, პერანგი ბერული ტილოსი,
საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე უდილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშვებუ-
ლი, ტყავი დიდი სახელვიწრო და ფერხთა ზედა მოგვი, ვითარცა იცნობის ნა-
ხატებთა ზედა“ (გვ. 32).

იბადება კითხვა, ვახუშტის საიდან უნდა სცოდნოდა ეს? ვახუშტი ძველი
ჩაცმულობის აღწერილობის დასადასტურებლად ამბობს: „ვითარცა იცნობიან
ნახატებთა ზედა“. მაშასადამე, სახელოვან მეცნიერს ქართველთა ძველი ჩაცმა-
დახურვის გამოსარკვევად მიუმართავს საისტორიო მხატვრობისათვის, სახელ-
ლობრ: ეკლესიების კედლებზე და ხელნაწერებში შენახული ძველი სურათები-

სათვის. ვახუშტის უდიდესი ღვაწლი მეცნიერების ამ დარგშია ციმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება ჩაცმის კულტურას, რომელიც ეთნოგრაფიაში ერთ მნიშვნელოვან და საგულისხმეო საკითხად ითვლება. „ამ საქმეშია, — ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — ვახუშტმა თაოსნობა გამოიჩინა, ამ შემთხვევაშია პირველობა მას ეკუთვნის. მას ჯერ მოკლედ, მაგრამ მაინც მკაფიოდ და ნათლად ქართველთა თავის-დროინდელი ჩაცმულობა აქვს აღწერილი, შემდეგ ძველებური საბურავ-ტანსაცმელ-ფეხსაცმელი აქვს დახასიათებული“ („ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, გვ. 348).

ვახუშტის მიერ საქართველოს მოსახლეობის აღწერა, — რომელსაც აქამდე გავეცანით, ეხება ზოგადად მთელ საქართველოს, მაგრამ ავტორი სრულიად სწორ მეთოდს იღებს და როგორც გეოგრაფიის სხვა საკითხებს, ისე მოსახლეობასაც, მისი ზოგადი დახასიათების შემდეგ განიხილავს რეგიონალური თვალსაზრისითაც. რეგიონალურ ნაწილში ავტორი მოსახლეობას იხილავს ჯერ რომელიმე პროვინციის მასშტაბით ზოგადად, ხოლო შემდეგ ამ პროვინციაში შემავალი ხეობებისა თუ სხვა დასახლებული ადგილების მიხედვით.

ქართლის აღწერაში სურამის-წყლის მოსახლეობის შესახებ ნათქვამია: „კაცნი არიან ჰაეროვანი, ამაყნი, მხნენი, შემმართებელნი, მზიარულნი, უხენი, სტუმართმოყვარენი, ქალნი ეგრეთვე, ვითარცა სხვანი დავსწერენით. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი მრავალნი“ (გვ. 82). ამ თავში ასევე აღწერილია აგრეთვე სომხითის (გვ. 36), ტაშირის (გვ. 38), აბოცის (გვ. 38), თრიალეთის (გვ. 43), მდ. ალგეთის (გვ. 48), გარეჯის მთის (გვ. 51), გუჯარეთის (გვ. 60), ხევის (გვ. 68), ქსნის ხევის (გვ. 69), ლიახვის (გვ. 70), დიდი ლიახვის (გვ. 78) და სხვა ადგილების მოსახლეობა.

შემდეგ თავში — „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“ მოსახლეობაზე ზოგადად ნათქვამია: „კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანი და მსგავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ ლალნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმოქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა“ (გვ. 88). ამ თავში თუშეთის მოსახლეობაზე შემდეგია ნათქვამი: „...არისა ბრძოლისა შემმართებელნი, მხნენი, ძლიერნი, მხედარნი... რამეთუ, ოდეს შობს დედაკაცი, არავინ მიეახლებს, არამედ განუტევებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ დღეთა მოიყვანებენ შობილითურთ... სარწმუნოებით ან ენით არიან ქართულითა... ხოლო რომელნი არიან მხარეთა ქისტთა და დიდილეთა, უწყიან ენანი უფროს მათნი... არა იქმნების მათ შინა სიძვა ანუ მრუშობა და, უკეთუ მძლავროს ვინმე და შეეყოს მის თანა, მოიკლავს თავს დედაკაცი იგი, და კაცსა მას მოჰკულენ თემნი, და მცნობი არა ილტვის სხვათა ქვეყანასა“ (გვ. 105). ამავე თავში აღწერილია აგრეთვე ფშავის (გვ. 92), ყარაღაჯისა და ქისიყის (გვ. 79, 98), პანკისის (გვ. 102), დიდოეთის (გვ. 103) მოსახლეობა.

თავში „აღწერა აწინდელისა ოგსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“ დაწვრილებით აღწერილია ოსები — ანთროპოლოგიურად, ზნე-ჩვეულებისა და ჩაც-

ეულობის მიხედვით (გვ. გვ. 109, 110, 111, 112). ამავე თავში ავტორის მიერ განხილულია თრუსოს (გვ. 115), დიგორის (გვ. 116) და ლლიღვთა (გვ. 118) მოსახლეობა.

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის შესახებ ვკითხულობთ: „კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს წილად ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი, არამედ აწ, მოჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყუნენ წლისამდე ქრისტიანისა ჩქვე, ქართულისა ტიდ-მდე სრულიად ქრისტიანები. ქართველთა თანა და სამწყოსნი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი,... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული“ (გვ. 123).

ავტორი ამ თავში ისრბის მოსახლეობაზე გადმოგვცემს: „კაცნი იუწყე მგზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა“ (გვ. 140).

ქანეთის მოსახლეობაზე შემდეგ ცნობას იძლევა: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენეებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიბოვებიან ქრისტიანენი, არამედ იციან კვალად ქართულ(ი) ენა ვიეთამდე“ (გვ. 142). ამ თავში ავტორი იძლევა აგრეთვე ჭავჭავთის (გვ. 129, 131), კოლის (გვ. 133), აჰარის (გვ. 134), შავშეთის (გვ. 135) მოსახლეობის დახასიათებას. სამცხე-საათაბაგოს აღწერის დასასრულს ავტორი ამბობს, რომ „არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და ეგრეთვე ყოველთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღწერენი“ (გვ. 142, 143). ეგრესის, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა აღწერაში ვახუშტი იმერეთის მოსახლეობას ასე ახასიათებს: „კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთცა იუწყე, გარნა უშვენიერესადაცა და უუპეროვნესადცა, ვინადგან გლეხთაცა შვილნი მიგეანან წარჩინებულთა შვილთა. სულთანნი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა, და საქურველთა; ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი, და არა სულგრძელნი მას შინა და სხვათა შინაცა... დღეისის მძიებელნი, ზვალისის არა გამომკითხველნი, მომღერალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი, და უმეტესნი კეთილ-ხმოვანნი... სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსარებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი“ (გვ. 146).

ოდიშის აღწერაში ვკითხულობთ: „არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, არამედ იმერთაებრ არა ტანოვანნი, ხორციანნი და მწითურნი,... სარწმუნოებითა, რჯულითა, და წესითა, და ქცევითა იმერთათა... ენით არიან—დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თვისიცა ენა, გარნა წამხდარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი—ღორი, ჩემი—ჩქიმი, და აქუსთ წიგნი ქართულნივე და არა სხვა“ (გვ. 170).

ამავე თავში აფხაზეთზე ნათქვამია: „კაცნი მგვანენი ძეგრელთა და უმეტეს ცქვიტნი და ტანოვანნი, წერწეტნი,... უწყიან ნათე-

საოხა, ცოლი ერთი, ... არა იქნებიან მათ შორის სიძვა, მრუშობა, რამეთუ დასწვენ შემცოდეთა. უყვართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად. ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული. სხდებიან სკამთა ზედა და სქამენ ტაბლასა ზედა“ (გვ. 172).

სევანების შესახებ ავტორი შემდეგს გვაცნობს: „არიან კაცნი დიდ-ტანოვანი, ახოვანნი, დიდი მძლედ მუშაკნი, ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართველნი, მათთა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, ... სარწმუნოებიდ არიან იმერთა თანა ქართულითა და უმეცარნი აწ მისნიცა. ენა თვისი აქეთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“ (გვ. 173).

გურიის მოსახლეობის შესახებ ვახუშტი ასეთ დახასიათებას იძლევა: „კაცი-ნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითაცა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ევრეთვე და შვენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართველნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უჭურდალნი, უავაზაკონი; ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყვარენი და კეთილად შემწყნარენ, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მწეიდნი, არამედ მყის გულ-მწყარალნი“ (გვ. 176). თავში—„აღწერა ეგრისის ქვეყანისა“, ზემოთ განხილული მოსახლეობის გარდა, აღწერილია აგრეთვე ლეჩხუმის (გვ. 148), რაქის (გვ. 162), არგვეთის (გვ. 163), ეაკის (გვ. 164), ოკრიბის (გვ. 165) და სხვა ადგილების მოსახლეობაც.

ასე აგვიწერა ვახუშტიმ ორასიწლის წინ ქართველი ტომები. ამ ხნის მანძილზე, ხალხის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში მომხდარ მეტად ღრმა ცვლილებების მიუხედავად, ბევრი რამ საქართველოს მოსახლეობის დახასიათებიდან დღესაც ისე წარმოგვიდგება, როგორც ეს ვახუშტის აქვს დახასიათებული; იმ დროისათვის ხომ ეს დახასიათება მაშინდელი ეთნოგრაფიის უტყუარი სარკე იქნებოდა. მოსახლეობის ზოგად დახასიათებასთან ერთად, რომელიც შრომის საერთო ნაწილში მოგვცა ავტორმა თითოეული ტომის, უფრო მეტი, თითოეული ხეობის მოსახლეობის ანთროპოლოგიური ნიშნების, ხასიათის, ზნეჩვეულებების, ჩაცმულობისა და სხვა მხარეთა ასეთი ზუსტი შესწავლა ღრმა დაკვირვების, დიდი ცოდნის და საოცარი გონებაგამჭრიახობის შედეგია.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მეტად საყურადღებო დახასიათება საქართველოს მოსახლეობის კულტურული მხარის, რომელსაც ხაზგასმით აღნიშნავს ვახუშტი თავის აღწერის დასასრულს: „ხოლო რაოდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დაესწერენით—მათთა, ბართა ანუ კაცასთა შინანი—საქართველოსანი, გარნა თუ აქეთ ზოგთა ენა სხვა, თვისნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქუს, თვინიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“ (გვ. 176).

ვახუშტი მოსახლეობის საკითხების განხილვისას აღწერს აგრეთვე დასახლებულ ადგილებს: ქალაქებს, დაბებს, ციხე-სიმაგრეებს და სხვ. ავტორი ქალაქის აღწერისას განიხილავს მისი წარმოშობის ისტორიას, მის გეოგრაფიულ პირობებს: მდებარეობას, კლიმატურ პირობებს და სხვა, აგრეთვე მის მნიშვნე-

ლობას ადამიანის ცხოვრებისათვის, მოსახლეობას და მის ეროვნულ შემადგენლობას, საქმიანობას და სხვ. სანიმუშოდ განვიხილოთ რამდენიმე ქალაქის აღწერა, რითაც ამავე დროს გავიგებთ ამ ქალაქების ეკონომიურ და კულტურულ დონეს ვახუშტის პერიოდისათვის.

თბილისის შესახებ, რომლის გეგმას ცალკე ასახავს ვახუშტი 1735 წლის თავის გეოგრაფიულ ატლასში, მოცემულია შემდეგი აღწერილობა: „...ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოთ-აღმოსავლეთით, ტფილისს ჩრდილოთ და ისნს—დასავლეთით და სამხრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალაღაკის წყალი, რომელი გამოსდის წავეცისსა და კოჭრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლეთ უდის კალას და დასავლით ტფილისს. არამედ პირველი იყო დაბა. კჳ მეფის ვარზაბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურის-ციხე მცხეთისათვის ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად გორგასალ დაღვა საფუძველი, დაიძმ, ლდ მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა, და მურვან ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა და აღაშენა ამირ აგარიანმა. შემდგომად შემციირებასა მცხეთისასა და აზრობისა მისისასა, უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატიონთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი, და დიდშენნი, ავაზიანნი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი. აქ, თაბორს, ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსრვილი არს. აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“ (გვ. 52). ამის შემდეგ მიდის კალას, ისნის ისტორიული წარსული. ავტორი განაგრძობს: „ხოლო აწ უწოდებენ თხზთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას—ტფილისსა, ტფილისს—სეიდაბათს და ისნს—ავლაბარს და გარეთ-უბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, აქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და ვალესილი ვაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვიტკირისანი არიან. ჰავითა არს მშენი და მხიარული, ერნი შვენიერნი და მშვიდნი. ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარუმო ქალაქისა წალოკნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლისა ხილითა და ყვავილითა სავეს, გარნა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი, ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს ფრინველთა და ნადირთა“ (გვ. 54) და ა. შ.

საინტერესოა, სხვები როგორ აგვიწერენ იმდროინდელ ტფილისს. ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც თბილისში იყო 1671 წელს, ამ ქალაქის შესახებ ამბობს: „ტფილისი... ერთი ულამაზესი ქალაქია... ქალაქს არტყია მშვენიერი და ლამაზი კედლები. . . ტფილისში ბევრი ეკლესიაა. მათი რიცხვი 12 აღწევს. ეს რიცხვი დიდად უნდა ჩაითვალოს ისეთი ქვეყნისათვის, სადაც რელიგიური გრძნობები სუსტად არის განვითარებული. . . ტფილისში არის საუცხოო საზოგადო შენობები, ბაზრები, ე. ი. სავაჭრო ადგილები, ფართოა, აგებულია ქვისაგან და კარგადაა მოვლილი, ესევე შეიძლება ითქვას ქარვასლებზე, იმ სად-

გომებზე, სადაც უცხოელები ჩერდებიან. აბანო თვით ქალაქში ცოტაა, რადგან: ყველა დადის ცხელ-წყლიან აბანოებში, რომლებიც ციხეშია. ტფილისის მიდამოებში მრავალი ვილა და საუცხოო ბაღია... ხეხილი ნაკლებად არის, სამაგიეროდ ბევრი ხეა დარგული ბაღის დასამშენებლად, რომელნიც ჩრდილსა და სივრილეს იძლევიან. ქალაქი ტფილისი მჭიდროდ არის დასახლებული. აქ უცხოელთა ისეთი სიჭრელეა, როგორსაც სხვაგან კაცი ვერსად ვერ შეხვდება. აქ დიდი ვაჭრობაა... (ამოღებულია: პროფ. მ. პოლიექტოვისა და პროფ. გ. ნათაძის „ძველი ტფილისი“-დან, სახელგამი, 1930 წ. გვ. 14, 15, 18, 19, 20).

ბ. დელაბორტი, რომელიც თბილისის ესტუმრა 1868 წელს, ასეთ ცნობას იძლევა: „ტფილისი დიდი, არ არის, მაგრამ ლამაზია, მასში ბევრია კარგი საზოგადოებრივი და სახელმწიფო შენობები, ვებდავ ვთქვა: პალატები. ბაზრები გაშენებულია ქვით და შენახულია სუფთად... საფრანგეთში პირიქით აღმგზავსებენ დიდ და მთავარ ქალაქებს. აბანოები ქალაქში მცირერიცხოვანია. ქართველები ოჯახში საკმაოდ სუფთანი არიან“ (ვახუშტი—„საქართველ. გეოგრაფია“, გამოც. მ. ჭანაშვილის რედ., გვ. 59, 1904 წ.).

მოგვყავს XVIII ს. რუსი აკადემიკოსის გიულდენშტედტის აღწერა თბილისისა: „ახლანდელი ქალაქი წარმოადგენს თითქმის ბლაგვ სამკუთხედს და მტკვარამდე შემოვლებულია ავურის კედლით... სახლები აგებულია ავურისა და ფიქალისაგან თიხნარი კირით, ერთსართულიანია, სიმაღლით 15 ფუტამდე, ბრტყელი სახურავით, რომელიც დატყეპნილია თიხით... შენობები ხელდახელ არის აგებული, არა მკვიდრად, უხეიროდ და თვალს ვერ იზიდავს... ასეთი პატარა სივრცეზე, სადაც ისედაც 20.000-მდე მოსახლეა თავმოყრილი, ბევრი ადგილი უჭირავს ეკლესიებსა და სასაფლაოებს. მოსახლეობის ასეთი სიმჭიდროვე, დაქანებული ადგილმდებარეობა ქალაქისა, თიხნარი ნიადაგი, რომელიც წვიმის დროს წყალს არ უშვებს და ტალახად იქცევა ხოლმე, ცუდი პოლიცია, რომელიც არ ეურჩება ქუჩების განაგვიანებას—ყოველივე ეს შხამავს ჰაერს; აქედან მუდმივი დიზენტერია და ავი ციებ-ცხელება, ხშირი ეპიდემიები და ზოგჯერ შავი ჭირიც“ (ამოღებულია პროფ. პოლიექტოვისა და პროფ. ნათაძის „ძველი ტფილისი“-დან, სახელგამი, 1930 წ. გვ. 39, 40).

ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსი მოგზაური ტურნეფორიც თბილისის შესახებ დაახლოებით ამნაირსავე აღწერილობას იძლევა, თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს დასახლებულ პირთა მიერ არასწორ და ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებსაც.

უფრო ზუსტი და ვრცელი აღწერა XVIII საუკ. შუა ხანის თბილისისა, როგორც დავინახეთ, ჩვენს სახელოვან მეცნიერს ვახუშტის ეკუთვნის.

ქ. გორს ვახუშტი ასე აგვიწერს: „ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლიხვის მდინარის კიდესა ზედა... არამედ არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ, გარნა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო და ჰყო საფლველად საგანძურთა“. არს გორასა ზე-

და ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი, ჩატანილი ლიახვამდე, ქვიტკირისა. ამის გარმოხვეული ლიახვიდამ ლიახვამდე ქალაქი“ (გვ. 73-74). შემდეგ მიდის ქალაქის მოკლე ისტორიული დახასიათება და განაგრძობს ავტორი: „არს ადგილი ჰავითა შვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქნან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი. ზაფხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი; სანადირო მოუტლებელი ფრინველითა, თევზითა და სხვითაცა. ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი. მსაზღობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანი, ტანოვანი, შვენიერი, ამაყნი და დიდის მთქმელნი“ (გვ. 74).

მსგავსად განხილული ქალაქებისა, ვახუშტი ავციწერს საქართველოს დანარჩენ დიდსა და მცირე ქალაქებსაც. ყველა ქალაქზე, ცხადია, ერთნაირი მოკლელობით არ ჩერდება ავტორი, რაც დამოკიდებულია თვით ქალაქთა სიდიდესა და მნიშვნელობაზე.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ავტორი მოკლედ, მაგრამ ასევე ავციწერს დაბებს, ციხე-კოშკებს, ეკლესიებს და სხვ. შრომაში მათი რიცხვი ძალიან ბევრია და ვემაყოფილებით მხოლოდ ორიოდ ნიმუშის მოყვანით, მაგალითად: „არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, ადვისილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჭვართა და წიგნებითა, ძველადვე ხიზნულნი. კვალად გლოლის-ხევის შესართავს ზეით რიონის სამხრეთ არს ჭიორა დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდლოვან ამას ზეით. ჩრდილოთ კერძოდ, დაბა არს დები, ეგრეთვე ნაშენი (გვ. 161). „ახპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძის ზეით, ჩრდილოთ. კერძოთ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი“ (გვ. 127).

„ამ ტბის დასავლით არს კუშისი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლეღვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი. ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი ბრინჯ-ბანბას გარდა“ (გვ. 48).

ინტერესს მოკლებული არ იქნება ის გარემოება, რომ მთელ შრომაში იშვიათია ისეთი დასახელებული ადგილის აღწერა, ქალაქი იქნება თუ სოფელი, რომელსაც არ ჰქონდეს ციხე-სიმაგრე, ხოლო ქალაქს გალაგანიც. გარეშე და შინაური ზტრებისაგან მუდმივი თავდასხმების დროს მოსახლეობის თავდაცვის საქმეში ეს ციხე-სიმაგრენი დიდ როლს ასრულებდნენ; ქალაქები ნამდვილ ციხე-ქალაქებს წარმოადგენდნენ. ამიტომ დასახლების ადგილის შერჩევას დროსაც მდებარეობის სტრატეგიულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთ ადგილებად უმეტესად ხეობები იყო გამოყენებული. დასახლების ასეთი ტიპი უაღრესად დამახასიათებელი იყო მაშინდელი საქართველოსთვის. ვახუშტის ციხე-სიმაგრეთა შენება ქართველი ადამიანის ზნეობის ერთ დამახასიათებელ თვისებად მიიჩნია.

„ზნენი აქუნდათ პირმტკიცეობა. . . . ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება“ და სხვ. (გვ. 12), ხოლო იმავე თავში „წესთათვის“ მას ნათქვამი აქვს: „. . . მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი, და თენიერ ამისა იარა ისახელებოდა მთავრად,

ხოლო აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მათა ანუ ბართა. . . თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ (გვ. 14).

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტის განხილულ შრომაში საქართველოს მოსახლეობა და მისი დასახლების ადგილები გაშუქებულია მრავალმხრივ და გასაოცარი სიღრმით და, თუ ამასთანავე გავიხსენებთ ასევე დაწვრილებით და ცოცხალ დახასიათებებს საქართველოს ბუნების სხვა ობიექტებისა და მოვლენებისასაც, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ აღნიშნული შრომა წარმოადგენს ვახუშტის მიერ საქართველოს საფუძვლიანი შესწავლისა და დაკვირვების ნაყოფს, იგი გვიხატავს საქართველოს ბუნების პირობების, მის საწარმოო ძალთა და მოსახლეობის საქმიანობის ცოცხალ და ზუსტ სურათს XVIII საუკუნისას და ნაწილობრივ წინა დროებისაც, და ამიტომ ვახუშტის შრომა მეტად ძვირფას საგანძურს წარმოადგენს მთელი ქართული კულტურის საუნჯეში და, აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი და არას დროს მნიშვნელობა არ დაეკარგება“.

ს. ცხაკაია

ზახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიული ატლასები

ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს გეოგრაფ ვახუშტის მიერ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილი საქართველოს რუკების დაპირისპირება ამავე დროის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კარტოგრაფიულ ნაწარმოებთან. თავის მხრივ ამ დაპირისპირების მიზანია გამოვლენა, თუ რამდენად შეეფერება ვახუშტის ნაშრომები კარტოგრაფიის იმდროინდელი განვითარების დონეს ამ ქვეყნებში.

ვინაიდან მეცნიერულ საფუძვლებზე კარტოგრაფიის განვითარებას სავსებით ახასიათებს ასტრონომიის, გეოდეზიისა და ტოპოგრაფიის განვითარების დონე, საჭიროა წინასწარ მოკლედ შევეხოთ ამ მეცნიერებათა მდგომარეობას ზემო ხსენებულ პერიოდში.

ასტრონომიული დაკვირვებანი. ასტრონომიული წესით გეოგრაფიული კოორდინატების (განსაკუთრებით გრძედის) განსაზღვრა 'მეტისმეტად ნულა ვითარდებოდა. ამათ, სხვათა შორის, ადასტურებს შემდეგი ორი მაგალითი.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილის გეოგრაფიული განედისა და გრძედის განსაზღვრისათვის ჯერ კიდევ 1500 წელს დაიწყო ასტრონომიის გამოყენება, XVII საუკუნის დასაწყისამდე ხმელთაშუა ზღვის განედნილობას გრძელით თვლიდნენ 52° , ნაცვლად $41^{\circ} 41'$, ე. ი. ამ ზღვის სიგრძე გადიდებული იყო რუკებზე $10^{\circ} 19'$ -ით (დაახლოებით 942 კმ).

ზღვაოსნობისათვის უდიდესი მნიშვნელობის კარტოგრაფიულ პროექციას, XVI საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერული კარტოგრაფიის ფუძემდებელ მერკატორის მიერ გამოგონებულს, რომლის შემცველი სხვა პროექცია აქამდინაც არ გამოგონებულა, XVII საუკუნის ბოლომდე არ იყენებდნენ საზღვაო რუკების შესადგენად, რადგანაც რუკები არ იყო უზრუნველყოფილი ასტრონომიული პუნქტებით. ამიტომაც მეზღვაურები იყენებდნენ მხოლოდ მხოლოდ პრაქტიკულ კომპასურ რუკებს, რომელთა შედგენის ხერხი დაახლოებით XI საუკუნეშია დამუშავებული.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ფრანგმა მეცნიერმა პიკარმა გამოიყენა პარიზის მერიდიანის რკალის ვაზომვაში გეოგრაფიული გრძედის განსაზღვრის უახლესი და ზუსტი ხერხი, მაგრამ გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრას საფრანგეთში მაინც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ბოლომდე არ მიუღია კარტოგრაფიისთვის საჭირო გავრცელება.

ტრიანგულაცია. ტრიანგულაციის გამოგონება და მისი პირველად გამოყენება მერიდიანის რკალის ზუსტ ვაზომვაში (XVII საუკუნის დასაწყისში)

ეკუთვნის პოლანდიელ მეცნიერ **სნელიუსს**. მაგრამ ტრიანგულაციის მნიშვნელობა კარტოგრაფიისათვის პირველად აღიარებულია მხოლოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში (საფრანგეთში).

საზოგადოდ, XVIII საუკუნეა გარდატეხის ხანა მსოფლიო კარტოგრაფიის განვითარებაში; ეს გარდატეხა მოხდა საფრანგეთში, რომელსაც მეცნიერული კარტოგრაფიის საფუძვლების განმტკიცებაში პირველი ადგილი უკავია მთელი XVIII საუკუნის მანძილზე.

პარიზის ობსერვატორიის დირექტორმა, სახელოვანმა მეცნიერმა **ცეზარ კასინიმ** გაითვალისწინა ტრიანგულაციის დიდი მნიშვნელობა მეცნიერული კარტოგრაფიისათვისაც და ამ მიზნით 1748 წ. ტრიანგულაციით დაფარა მთელი საფრანგეთი.

ტოპოგრაფიული აგეგმვა. მტკიცე მეცნიერულ საფუძვლებზე ტოპოგრაფიის დაყენება XVIII საუკუნეში დაიწყო. ამ საქმეშიც პირველობა საფრანგეთს ეკუთვნის; ამასთანავე XVIII საუკუნის პირველი და მეორე ნახევრები მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან ტოპოგრაფიის განვითარების დონის მხრივ, სახელობრ:

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ტოპოგრაფიის სუსტი მეცნიერული საფუძვლები ახასიათებდა. წარმოებდა მცირე და დაცალკეებულ უზნებად აგეგმვა მარტივი გეომეტრიული ტრიანგულაციის საფუძველზე; ამ უკანასკნელს არის შემდეგში მდგომარეობდა: თითოეულ უბანს ყოფდნენ სამკუთხედებად კვადრანტის საშუალებით და ზომავდნენ ერთ ბაზისს ხის უბრალო კვერთხით; სამკუთხედების გამოთვლის შედეგად მათი წვეროები აღინიშნებოდა მინუთლის პლანშეტზე; სავიზირო ხელსაწყოს შეადგენდა დიობტრებიანი შიმშია; გზების გაყოლებით აგეგმვა ტარდებოდა კომპასით; თუმცა XVIII საუკუნის დასაწყისში გვხვდება წყლისა და ჭოგრიანი ნიველირებით სიმაღლეების გაზომვის მეთოდის აღწერა, ტოპოგრაფიულ აგეგმვაში სიმაღლეების განსაზღვრას ადგილი არ ჰქონია. საზოგადოდ, ამ დროის რუკებზე სიმაღლის ნიშნებს ადგილის მეტად მნიშვნელოვანი წერტილებისათვისაც კი ვერ ვხვდებით, ტოპოგრაფიულ გეგმებზე არ უჩვენებდნენ მათ გეოგრაფიულ მდებარეობას.

საფრანგეთში მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ტოპოგრაფია უკვე ფართოდ იყენებს გეოგრაფიული კოორდინატებით განსაზღვრულ დასასაყრდნობ პუნქტებს.

საფრანგეთის ტოპოგრაფიული ნამუშევრები ცნობილი იყო როგორც სანიმუშო სხვა ქვეყნებისათვისაც. მაგრამ თანამედროვე ტოპოგრაფიის თვალსაზრისით ამ ნამუშევრებს მაინც არ ჰქონდა სრულყოფილი სახე: ტოპოგრაფიულ გეგმებზე არ არის მოცემული დასახლებული პუნქტების (გარდა ქალაქებისა) კონფიგურაცია, ისინი გამოსახულია პერსპექტიული ნახატებით; გარდა ამისა, ტოპოგრაფიული გეგმები სავსებით მოკლებულია ადგილის წერტილების სიმაღლეებს.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში რუკებზე არეღიფს გამოსახავდნენ ბორცვების მწკრივებით და ამასვე ვხედავთ ვახუშ-

ტის რუკებზე. XVIII საუკუნის ბოლოში ლემანის მიერ გამოგონებულ შტრიხების მეთოდს და დიუკარლას მიერ დამუშავებულ იზოპიფსების მეთოდს ფართოდ იყენებენ მხოლოდ XIX საუკუნის პირველი წლებიდან.

XVIII საუკუნის დასაწყისისა და მისი პირველი ნახევრის დამლევის რუსული კარტოგრაფიის მდგომარეობა კარგად არის წარმოდგენილი შემდეგ კარტოგრაფიულ შრომებში: 1. ციმბირის ატლასი **სემიონ რემეზოვისა**, 2. რუსეთის იმპერიის ატლასი **ივან კირილოვისა** და 3. რუსეთის იმპერიის ატლასი მეცნიერებათა აკადემიისა. მთავრობის განკარგულებით ციმბირის ატლასის შედგენა დაიწყო 1695 წ. და დამთავრდა 1701 წ. შედგენას ხელმძღვანელობდა ციმბირის მემკვიდრე **სემიონ რემეზოვი**. ატლასი შედგება 23 რუკისაგან; მათ შორის: ციმბირის საერთო რუკა, ცალკე მაზრების რუკები, ევროპული რუსეთის ჩრდილო ნაწილის რუკა, ციმბირის ეთნოგრაფიული რუკა.

რემეზოვის ატლასის რუკები გაგნებულია კომპასით და ამასთან უკუღმა: ქვემოთ ჩრდილოეთითა და ზემოთ სამხრეთით. რუკებზე არ არის აღნიშნული გრადუსთა ბადე. რუკების შედგენისას გრადუსთა ბადის ნაცვლად სარგებლობდნენ ჰიდროგრაფიული ქსელით; შედგენა ხდებოდა მდინარეთა აუზების მიხედვით, რომელთა საშუალებით აერთებდნენ აგეგმვის ცალკე ნახაზებს; იქ, სადაც მდინარეთა აუზები გაწყვეტილი იყო, ფართოდ იყენებდნენ გამოკითხვიერ მიღებულ ცნობებს.

ატლასის 23 რუკიდან თვითონ რემეზოვმა შეადგინა 7 რუკა ახალი აგეგმვის ნახაზების საფუძველზე; დანარჩენი რუკების შესადგენად გამოყენებულია ძველი აგეგმვის ნახაზები. რაც შეეხება აგეგმვის ნახაზებს, რაც საფუძველად დაედო რემეზოვის რუკებს, მათი შექმნა ხდებოდა მამულების აღწერების საფუძველზე; მამულების აღწერას, მთავრობის ინსტრუქციის თანახმად, თანსდევდა მიწების გაზომვა, რისთვისაც მაშინ ცნობილი იყო ერთადერთი ხელსაწყო—თოკი, მიწის ნაკვეთის კუთხეები არ იზომებოდა, რადგანაც კუთხსაზომ ხელსაწყოს, უმარტივესსაც კი, მიწისმზომელები არ იცნობდნენ; მანძილებს ძალიან ხშირად საზღვრავდნენ მათი გავლის დროის გაანგარიშების მიხედვით. მიწისმზომელებმა არ იცოდნენ კომპასით ადგილის ხაზების მიმართულებების განსაზღვრა; კომპასს ხმარობდნენ მხოლოდ ჰორიზონტის ოთხი მთავარი მხარის გასაგებად.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ რემეზოვის რუკები, შედგენილი ამგვარი მიწისმზომლობით შექმნილი მასალების საფუძველზე, ცნობილია როგორც პრიმიტიული ნახაზები და არა გეოგრაფიული რუკები¹.

რუსეთის იმპერიის ატლასი ი. კირილოვისა, გამოცემული 1754 წ. კირილოვის ატლასი შედგენილია XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში (პეტრეს ეპოქა), როცა რუსეთში პირველად ჩაისახა მეცნიერული კარტოგრაფია. პეტრეს დროს და მის შემდეგ ხმარებულ ღონისძიებათა შედეგად რუსული კარტო-

¹ К. А. Салищев.—Основы Картоведения, 1943.

გრაფია გამოვიდა საუკუნობრივი ჩამორჩენილობიდან და მოკლე ვადაში საპატიო ადგილი დაიკავა მოწინავე ქვეყნების რიგში.

ამ ღონისძიებებს შეადგენდა: 1. გეოდეზისტების (აგეგმავების) კადრების მომზადება, 2. ტოპოგრაფიული აგეგმვის ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაში ცნობილ მეცნიერულ საფუძვლებზე და მისი სისტემატური ჩატარება, 3. რუსეთის საერთო რუკის შედგენის მოწყობა, 4. რუსეთში რუკათა გამოცემის ორგანიზაცია.

XVIII საუკუნის თითქმის მთელი პირველი მეოთხედი მოხმარდა ზღვების პიდროგრაფიულ აგეგმვებს, რასაც ნაწილობრივ ასრულებდნენ ახლადმოშადებული რუსი მეზღვაურები.

ტოპოგრაფიული აგეგმვები პირველად დაიწყო 1717 წ. ახალგაზრდა რუს გეოდეზისტთა მონაწილეობით, რომელთა რიცხვი 1721 წ. 34 აღწევდა. აგეგმვა წარმოებდა სენატში დამუშავებული სპეციალური ინსტრუქციით, სადაც ჩამოთვლილია აგეგმვის მარტივი ხერხები: კომპასის გამოყენება, ხაზების გაზომვა, კუთხეების გაზომვა ასტროლაბით (რუსეთში პირველად), უმარტივესი ასტრონომიული დაკვირვებანი; აქ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი ასტრონომიული დაკვირვება არ უზრუნველყოფდა ადგილის გეოგრაფიული გრძედის რამდენადმე ზუსტ განსაზღვრას.

ამავე ინსტრუქციაში მოცემული იყო აგეგმვის შემდეგი თაღარიგი¹:

1. ყოველ ქალაქში ადგილის გეოგრაფიული განედის განსაზღვრა კვადრანტიტით; ქალაქიდან მაზრის მიჯნამდე სვლა გზით და მისი მიმართულების აღება კომპასით და მანძილის გაზომვა; გზადაგზა მანძილის გაზომვა სოფლიდან სოფლამდე, სოფლიდან მაზრის მიჯნამდე და ამ უკანასკნელის გეოგრაფიული განედის განსაზღვრა; გზიდან განზე მდებარე სოფლების მდებარეობის განსაზღვრა ორი დგომის წერტილიდან.

2. რუკაზე განედების გრადუსების წარწერები კვადრანტიტით განსაზღვრის მიხედვით, ხოლო გრძედების გრადუსების წარწერები ევროპელების მიერ შედგენილი რუსეთის ძველი რუკებიდან (კანარის კუნძულებიდან).

3. რუკაზე აღნიშვნა: ყველა ქალაქისა და სოფლის, მდინარეების, ტბების, დიდი გზების, ზოგიერთი სასოფლო გზის, არხების, დიდი მთების, ქაობების, მინდვრების, ტრამალების, ტყეების...

გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ მასალებს თავს უყრიდნენ სენატში, სადაც ამ ნაწილს განაგებდა სენატის მდივანი ივანე კირილოვი, კარტოგრაფიის დიდი მოყვარე, მაგრამ ამ საქმის უცოდინარი, პატრიოტი და დიდი ენერჯის მქონე.

კირილოვს მიენდო რუსეთის ატლასის შედგენა. ამავე დროს პეტრე ითვალისწინებდა, რომ კირილოვი, როგორც სპეციალურ ცოდნას მოკლებული, ვერ შესძლებდა რუსული კარტოგრაფიის დაყენებას შესაფერ სიმადლეზე. ამიტომ

¹ П. И. Иванов.—Обзорение Геодез. работы в России со времен Петра Великого до 1746 г. „Зап. Геогр. О-ва“, кн. IX, 1853.

პეტრეს მოწვევით რუსეთში ჩამოვიდა 1726 წ. ფრანგი ასტრონომი-კარტოგრაფი იოსებ დელილი. იმ დროის დიდი მეცნიერი დელილი დაინიშნა რუსეთის აკადემიის წევრად.

რაც შეეხება ატლასის შედგენას, რასაც კირილოვი შეუდგა 1722 წ., ეს უნდა ყოფილიყო დელილის ხელმძღვანელობით. მაგრამ დელილი, როგორც ცნობილი სპეციალისტი, თავს იკავებდა ატლასის ასეთი დაჩქარებით შედგენაზე ამისათვის საჭირო სანდო მასალების უქონლობის პირობებში. დელილის გეგმით მასალების შექმნა (ასტრონომიული და ტრიგონომეტრიული ქსელების შექმნა, ტოპოგრაფიული აგეგმვის ფართოდ გამოლა და ძველი მასალების შემოწმება) დიდ დროს მოითხოვდა. თავის მხრივ კირილოვს გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნდა რუკების შედგენა სულ მოკლე ვადაში, არსებული მასალების საფუძველზე. ამ წინააღმდეგობამ გამოიწვია ის, რომ პარალელურად მიდიოდა ორი ატლასის შედგენა: კირილოვისა და მეცნიერებათა აკადემიისა.

კირილოვის გეგმით ატლასი უნდა ყოფილიყო 300 რუკისაგან შემდგარი, მაგრამ 1722-1734 წ. მან შესძლო მხოლოდ 15 რუკის შედგენა. ამით დამთავრდა ატლასის შედგენა (კირილოვის გარდაცვალების გამო). ამ რუკებიდან ერთია რუსეთის იმპერიის საერთო რუკა. რუკები აგებულია დელილის კონუსურ პროექციაში, გრადუსთა ბადე აღნიშნულია არა ყველა რუკაზე.

ატლასის შესადგენად კირილოვმა გამოიყენა: 1. ახალი ტოპოგრაფიული მასალა, რაც შეადგენდა ატლასისათვის საჭირო მასალების უმნიშვნელო ნაწილს, ვინაიდან რუსეთის ტოპოგრაფიული აგეგმვა, დაწყებული 1717 წ., მხოლოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში დამთავრდა; 2. დიდი რაოდენობა ყოველგვარი ძველი რუკებისა, რაც არსებითად მხოლოდ პრიმიტიულ ნახაზებს წარმოადგენდა და 3. ზოგან ახლადგანასხვრული ასტრონომიული პუნქტები.

რუკების საერთო შინაარსი და საგნების პირობითი აღნიშვნები შეთანხმებულია სენატის ზემოხსენებულ ინსტრუქციასთან. რელიეფი ნაჩვენებია, როგორც წინანდელ რუკებზე, ბორცვების პერსპექტიული გამოხატულებით.

რაც შეეხება რუკების სისწორეს, ამის საერთო წარმოდგენისათვის საკმარისი იქნება მოვიყვანოთ ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი: გენერალურ რუკაზე რუსეთის ტერიტორია აღმოსავლეთში თავდება 175° მერიდიანზე (კუნძულ დაგოდან), ხოლო უნდა იყოს 168°, ე.წ. ტერიტორიის განფენილობა გრძედით გადიდებულია 7°-ით, სივანედით კი ციმბირის ტერიტორია შეკუმშულია სხვადასხვანაირად—1°-დან 3°-მდე.

რუსეთის ატლასი მეცნიერებათა აკადემიისა, გამოცემული 1745 წ. ატლასი შეიცავს: ევროპული რუსეთის 13 რუკას, აზიური რუსეთის 6 რუკას და მთელი რუსეთის 1 რუკას ორ ფურცელზე. ამ ატლასის შედგენის ძირითადი ხელმძღვანელი იყო ზემოხსენებული ასტრონომ-კარტოგრაფი იოსებ დელილი. მან ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის კარტოგრაფიის მეცნიერულ მიღწევათა ჩანერგვას რუსულ კარტოგრაფიაში. რუსეთში ჩამოსვლისთანავე დელილმა მეცნიერებათა აკადემიაში წარადგინა თავისი გეგმა, დაკავშირებული ატლასის შედგენასა-

თან. ეს გეგმა ძირითადად შეიცავდა ასტრონომიულ დაკვირვებათა და ტრინგულაციის დაწყებისა და მათ ფართოდ გაშლის აუცილებელ საკითხებს, რადგანაც უამისოდ არ შეიძლებოდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი და საჭირო სიზუსტეს მოკლებული უამრავი ტოპოგრაფიული მასალის მართებულად გამოყენება ატლასის რუკათა შედგენისათვის.

დელილის გეგმის განხორციელება, უთუოდ, დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ აკადემიის გავლენიან წრეში მან ვერ ჰპოვა სრული თანაგრძობა. დელილმა მაინც სცადა ამ მიმართულებით მოქმედება: მისი ინიციატივით რუსეთის ჩრდილოეთსა და ციმბირში ასტრონომიულ სამუშაოზე გაიგზავნა მისი ძმა, ასტრონომი **ლუდვიგ კრუაიერი**. საბოლოო ჯამში ატლასის შედგენის დაწყებიდან (1727 წ.) მის დამთავრებამდე (1745) მთელ რუსეთში სულ 62 პუნქტის გეოგრაფიული კოორდინატები იყო განსაზღვრული. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საკმარისი უკიდურესად დაცალკეებული არსებული კარტოგრაფიული მასალების სწორად შეერთებისათვის. ასტრონომიული პუნქტების ნაკლებობის შედეგი კიდევ ემჩნევა ატლასის რუკებს; მაგალითად, რუსეთის საერთო რუკის აღმოსავლეთ ნაწილში ადგილი აქვს შემდეგ ფაქტებს:

1. რუკაზე კამჩატკის სამხრეთი კონცხი და პენესის ყურის ჩრდილო ბოლო ნაჩვენებია ერთსა და იმავე მერიდიანზე; სინამდვილეში კონცხი მდებარეობს $6,5^{\circ}$ (500 კმ) ყურის დასავლეთით.

2. მდინარე ინდიგირკას შესართავი და ქალაქი ოხოტსკი ნაჩვენებია ერთსა და იმავე მერიდიანზე; სინამდვილეში მდინარის შესართავი $3,5^{\circ}$ -ით უნდა იყოს ოხოტსკის აღმოსავლეთით.

3. რუკაზე მდ. ანადირის დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულების განფენილობა უდრის $17,5^{\circ}$, უნდა იყოს 10° ; მდინარის ამ ნაწილის სიგრძე გადიდებულია 350 კმ-ით.

4. მდ. ვილუის განფენილობა გრძელდით რუკაზე უდრის 15° , უნდა იყოს 22° ; მაშასადამე, მდინარის განფენილობა დამოკლებულია 450 კმ-ით.

ეს მაგალითები რუკიდან აღებულია ამოურჩევლად; მაშასადამე, ამის ნსგავსი მაგალითები, უთუოდ, მოსალოდნელია რუკის სხვა ადგილებშიც.

მიუხედავად ამისა, ევროპის მეცნიერებმა რუსეთის ატლასის რუკები ძალიან მოიწონეს—მათი შეხედულებით, ევროპის არც ერთ ქვეყანას, საფრანგეთის გარდა, არ გააჩნია ამისთანა რუკები.

რემეზოვის, კირილოვისა და მეცნიერებათა აკადემიის ატლასებს, როგორც პირველ რუსულ ატლასებს, დიდად საპატიო ადგილზე უკავიათ რუსული კარტოგრაფიის ისტორიაში. თითოეული მათგანი წარმოადგენს რუს მეცნიერთა ხანგრძლივი და შეუპოვარი მუშაობის შედეგს, რუსულ კარტოგრაფიას ამ ატლასებით მიეცა მეცნიერულ საფუძველზე განვითარების სრულიად გარკვეული გეზი.

ვახუშტი ბაგრატიონის სამართხლოს ვიოგრაფიული ატლასები

ვახუშტის შედგენილი აქვს ორი ატლასი. პირველის „დახაზვის“ თარიღად ავტორი ასახელებს 1735 წ., ხოლო მეორე ატლასი უთარიღოა; შეიძლება ვივა-

რაუდოთ, სხვადასხვა მაჩვენებლის საფუძველზე, რომ ის შედგენილია არა უგვიანეს 1744 წ.; ორივე ატლასის ორიგინალი, ვახუშტის ხელით შესრულებული, თბილისის არქივებში ინახება—პირველი ატლასი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია, ხოლო მეორე—სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

ვახუშტის ეპოქისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის კარტოგრაფიულ ნაშრომებს. ჩვენი ცდის საგანს უმთავრესად შეადგენს უფრო ადრინდელი, პირველი ატლასი (1735 წ.), ვინაიდან ვახუშტის ამ ატლასის რუკები აქვს აღებული ძირითად მასალად მეორე ატლასისათვის. ეს უკანასკნელი აგებულია პირველთან შედარებით უფრო წვრილ მასშტაბში.

პირველი ატლასი. ამ ატლასის თავფურცელზე ავტორს 8 რუკა აქვს ჩამოთვლილი, მაგრამ ატლასში მხოლოდ 5 რუკა აღმოჩნდა; აკლია ავტორის მიერ დასახელებული 3 რუკა (სომხეთისა). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ატლასში არ ემჩნევა ამ სამი რუკის ამოღების რაიმე კვალი.

ატლასი შედგება შემდეგი რუკებისაგან.

1. **საქართველოს საერთო რუკა.** ფორმატი— 72×51 სმ; პროექცია ცილინდრული; მასშტაბი: 1 სმ—22,7 კმ.; მოიცავს ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდილო-კავკასიის, თურქეთისა და სომხეთის მოსაზღვრე ნაწილებს. რუკაზე აღნიშნულია მარშრუტი ჭულფა-ვანი-ბითლისი. რუკაზე შეფერადებულია პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დანაყოფები. რუკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე დახატულია ფერებით შემკული საქართველოს დროშები: ქართლის, კახეთის, იმერეთის, აფხაზეთის, სამეგრელოს, ოდიშის, სვანეთის, გურიის, სამცხე-საათაბაგოსი, სომხეთის, ოსეთის, რანის, შირვანისა და დაღისტანისა.

2. **ქართლის რუკა:** სამცხე-საათაბეგო ანუ ზემო-ქართლი. ფორმატი— 72×51 სმ; მასშტაბი: მერიდიანების მიმართულებით—1 სმ—9 კმ; პარალელების—1 სმ—6 კმ. კარტოგრაფიული ბადის სიხშირე— 1° .

3. **ქართლის რუკა** (აღმოსავლეთ ქართლი). ფორმატი— 72 სმ \times 51 სმ; მასშტაბი მერიდიანების მიმართულებით—1 სმ—9 კმ, ხოლო პარალელების მიმართულებით—1 სმ—6 კმ. რუკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მოთავსებულია შეფერადებული გეგმა თბილისისა.

4. **კახეთის რუკა:** კუხეთი, ჰერეთი, თუმ-ფშავ-ხევსურეთი. ფორმატი 72 სმ \times 51 სმ; მასშტაბი: მერიდიანების მიმართულებით 1 სმ—7,4 კმ, პარალელების მიმართულებით 1 სმ—6 კმ; ბადის სიხშირე— 1° .

5. **შირვანის რუკა.** ფორმატი— 36 სმ \times 51 სმ; მასშტაბი: 1 სმ—7,8 კმ.; საქართველოს საერთო რუკის ჩარჩოს ხაზებზე მოცემულია 5-მინუტიანი და ერთმინუტიანი დანაყოფები. ყველა 5 რუკაზე ფერებით გამოყოფილია ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულები. თითოეულ რუკაზე ვახუშტი აღნიშნავს მათი მოხაზვის თარიღს: 1735 წლის იანვრის სხვადასხვა რიცხვს.

რუკების მათემატიკური და სხვა მონაცემები

კარტოგრაფიული პროექცია. საქართველოს და შირვანის რუკისათვის კარტოგრაფიული ბადე აგებულია მართკუთხა ცილინდრულ პროექციაში. ბადის

გამოთვლასა და აგებაში შესრულებულია ამ პროექციის პირობები. რა თქმა უნდა, არსებითად უმჯობესი იქნებოდა კონუსური პროექციის გამოყენება, მაგრამ საქართველოს ტერიტორიისათვის, რომლის განფენილობა მერიდიანული მიმართულებით მცირეა, მართკუთხა ცილინდრული პროექციაც პრაქტიკულად საესებით მისაღებია. ვახუშტის მიერ ამ პროექციის აღება აიხსნება მისი გამოთვლისა და აგების სიმარტივით.

ვახუშტი ფავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იხსენიებს „სპარსული მათემატიკის“ გამოყენებას და აგრეთვე ასახელებს ფელეს, რომლის მიერ „ახალს პოვნისს მენაკთა“ საფუძველზე ვახუშტიმ „მოხაზა“ თავისი რუკები. სწორედ ამ ცნობის თანახმად მერიდიანის 1⁰-ანი რკალის სიგრძედ აღებული აქვს 105 ვერსი = 15 გერმ. მილი = 112 კმ., ახლანდელი 111 კმ.

რაც შეეხება დანარჩენ რუკებს, მათი ბაღე, შემდგარი ურთიერთპერპენდიკულარი სწორხაზოვანი მერიდიანებითა და პარალელებით, საზოგადოდ არ ეთანხმება კარტოგრაფიული პროექციების პირობებს. ამ პრიმიტიულ ბაღეში მერიდიანების სიგრძე ეთანხმება სინამდვილეს, ხოლო პარალელების სიგრძე მერიდიანების სიგრძესთან შედარებით მეტისმეტად გადიდებულია; ეს გადიდება ხელოვნურია. ამის შედეგად პარალელების გაყოლებით მდებარე საგნების სიგრძე გადიდებულია, ხოლო მერიდიანების გაყოლებით ინარჩუნებენ ნამდვილ სიგრძეს.

გაუგებარია, თუ რა მოსაზრებით არ გამოიყენა ვახუშტიმ ამ რუკებისათვის ბადის აგების ის მეცნიერული ხერხი, რომელიც მას გამოყენებული აქვს საქართველოს საერთო რუკაზე და შირვანის რუკაზეც.

საზოვანი მასშტაბი წინამდებარე ატლასის რუკებზე არ არის მოცემული, მაგრამ მასშტაბზე ერთგვარ მითითებას მაინც ვხვდებით ყოველ რუკაზე, სახელდობრ: რუკის ჩაირჩოს ოთხივე ხაზის (მერიდიანები და პარალელები) 1⁰-ანი ნაწილები (105 ვერსი, ანუ 17,5 ეჯი) დაყოფილია ორნაირ მცირე ნაწილებად შემდეგი წარწერებით: 6, 12, 18 105 ვერსი, ან 3, 6, 9 17,5 ეჯი. საზოგადოდ, სიგრძის ზომის ერთეულებად ვახუშტი ასახელებს რუსულ ვერსს, გერმანულ მილს და სპარსულ ეკს-ფარსანგს-ალაქს.

რიცხვითი მასშტაბი ატლასის რუკებზე არ არის მოყვანილი, რადგანაც, საზოგადოდ, რიცხვითი მასშტაბები რუკებზე გამოჩნდა მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევს¹.

საწყისი მერიდიანი. პტოლომეს მიმდევარნი, XVI და XVII საუკუნეების კარტოგრაფები, საწყისად იღებდნენ აზორის კუნძულების მერიდიანს. ამ კუნძულებიდან მერკატორმა აირჩია (1541 წ.) კუნძული **კორვო**. ფრანგმა ასტრონომებმა აირჩიეს (1634 წ.) კანარის კუნძულებიდან კუნძული **ფერო**. მაგრამ ევროპის ბევრ ქვეყანაში XIX საუკუნის დასაწყისამდე მიღებული იყო კორვოს მერიდიანი, რაც საწყისად მიიღო ვახუშტიმ.

¹ К. С а л и ш е в.—Картоведение, ч. II (Историческая), 1944 г.

რუკის გაგნება ჩრდილოეთით შემოღებულია XIV ს. იტალიელ მეზღვაურთა მიერ, რომელნიც სარგებლობდნენ კომპასური რუკებით, მაგრამ სამხრეთით გაგნებაც არა იშვიათი იყო XVII ს. დამლევამდე, მაგალითად, რუსეთის რუკა (1701 წ.) რემეზოვისა. ვახუშტიმ თავისი რუკებისათვის ჩრდილოეთით გაგნება ამჯობინა.

ასტრონომიული პუნქტები. ცნობილია, რომ XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედშიც ევროპულ ქვეყნებში, ჩვეულებრივ, რუკის მასალას შეადგენდა ამა თუ იმ მარტივი ხერხით ჩატარებული ტოპოგრაფიული აგეგმვის შედეგად მიღებული, სიზუსტეს მოკლებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნახაზები. რუკის ბაღეში ამგვარი მასალების რამდენადმე ზუსტად დალაგების საშუალებას წარმოადგენდნენ ასტრონომიული პუნქტები.

ასტრონომიული პუნქტების საჭიროება, რა თქმა უნდა, ვახუშტისათვის ცნობილი იყო; ამას მოწმობენ მისი რუკებიც; მაგრამ არავითარი ცნობა არ გავაჩნია, თუ რომელ და რა ღირსების ასტრონომიულ პუნქტებზეა დაყრდნობილი ვახუშტის რუკები.

ამ საკითხის ასე თუ ისე გადასაწყვეტად ჩვენთვის ერთადერთ საშუალებას შეადგენდა ვახუშტის ატლასის „საქართველოს საერთო რუკა“, სადაც მოცემულია მოსაზღვრე ქვეყნების ნაწილებიც.

ამ რუკის გამოკვლევის შედეგად გამომქლავნდა შემდეგი: 1. საქართველოს ფარგლებში არც ერთი ასტრონომიული პუნქტი ვახუშტის არ ჰქონია; 2. მას გამოუყენებია საქართველოდან ძლიერ დაშორებული სამი პუნქტი: **ასტრახანი, ბაქო და ბითლისი.**

ვფიქრობთ, ამგვარი დასკვნა უახლოვდება სინამდვილეს, რადგანაც საქართველოს საერთო რუკის ბაღეს (პრაქტიკული სიზუსტის ფარგლებში) მხოლოდ ამ სამი პუნქტის მდებარეობა უდგება. ამ დასკვნას რამდენადმე ადასტურებს რუკაზე შემჩნეული შემდეგი მოვლენაც: აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ საგნების დაშორებასთან მატულობს რუკის ბაღეში მათი მდებარეობის გადაზრა როგორც გრძედით, ისე განედითაც.

საბოლოო ჯამში „საქართველოს საერთო რუკაზე“ (ცხადია, სხვა რუკებზეც) საგნების გეოგრაფიულ მდებარეობას ახასიათებს დიდი გადახრები ნამდვილი მდებარეობიდან, რაც ხშირად აღწევს 1⁰-სა და კიდევ მეტსაც. მაგალითად, კიდური პუნქტების ბაღეში ტლანქი მდებარეობის გამო მანძილი ბათომი-ბაქო გადიდებულია თითქმის 2 გრადუსით. უნდა აღინიშნოს, რომ ამის მსგავსი მოვლენები ახასიათებს განხილული ეპოქის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ყველა რუკას.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პუნქტების ესოდენა გადახრების მიზეზია არა მარტო დაბალი ღირსების კარტოგრაფიული მასალები, არა მარტო ზემოხსენებული დასაყრდნობი სამი ასტრონომიული პუნქტის დიდი სიშორე, არამედ ამ სამი პუნქტის ტლანქი კოორდინატებიც.

ამასთან დასაშვებია ის აზრიც, რომ ამ სამი პუნქტის (ასტრახანი, ბაქო და ბითლისი) კოორდინატები მიღებულია არა ასტრონომიული დაკვირვებების შედეგად, არამედ რომელიმე რუკიდან ამოწერით, ალბათ ირანული რუკიდან, რადგანაც, ჩვენი გამოკვლევით, ევროპელების მიერ გამოცემული რუსეთის ორი უკანასკნელი რუკა (წერილ მასშტაბში), სადაც მოცემულია კავკასია, ოსმალეთი და სპარსეთი, ვახუშტის მიერ არ ყოფილა გამოყენებული. ეს რუკებია: 1. მოსკოვის სახელმწიფო რუკა, შედგენილი ჰესელ გერარდის მიერ; გამოცემულია 1614 წ. ჰოლანდიაში. რუკისათვის გამოყენებულია რუსეთის ცნობილი „დიდი ნახაზი“.

2. „მოსკოვის სახელმწიფო რუკა“ (უფრო ზუსტი), შედგენილი ვიტზენის მიერ და გამოცემული ჰოლანდიაში 1697 წ.

კარტოგრაფიული მასალები. ვახუშტის პირველი ატლასის რუკები, როგორც ამას თვით რუკები მოწმობენ, შედგენილია სხვადასხვა სიზუსტისა და სისრულის მასალებით. ამ მასალების შექმნის წესებისა და თარიღის შესახებ საჭირო ცნობათა სრული უქონლობის გამო, ჩვენთვის შეუძლებელია თვით რუკების ღირსეულად შეფასება. ყოველ შემთხვევაში რუკების ზერელე დაკვირვებაც საკმარისია იმისათვის, რომ მასალების უდიდესი ნაწილი ჩავთვალოთ ადგილზე შესრულებული ტოპოგრაფიული აგეგმვის შედეგად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც ტოპოგრაფიული აგეგმვის ხერხები ხასიათდება დიდი სიმარტივით და მასთან დაბალი სიზუსტით. ცალ-ცალკე ნამუშევრების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით აგეგმვა წარმოებდა გზებისა და მდინარეების გაყოლებით. გზისა თუ მდინარის გვერდზე მდებარე საგნებს საზღვრავდნენ თვალზომით; იგრეთვე ხშირად მიმართავდნენ ადგილის მცოდნე პირთა გამოკითხვას. მანძილის განსაზღვრა ხდებოდა თოკით, ნაბიჯით, მოძრაობის ხანგრძლიობის გაანგარიშებით; მიმართულებები იზომებოდა კომპასით.

ვახუშტის მსხვილმასშტაბიან რუკებს, რა თქმა უნდა, საფუძვლად უდევს დიდძალი დეტალური ტოპოგრაფიული მასალა. ამოდენა მასალის შექმნა შესაძლებელი იყო მთელი რიგი წლების მანძილზე ბევრი სპეციალისტის მუშაობით; ესეც საქართველოს საკუთარი ძალების მუშაობით და არა უცხოელთა გამოყენების გზით. ექვს ვარეშეა, რომ საქართველოს ჰყავდა საკუთარი ძალები. ამას ასაბუთებს შემდეგი ცნობა¹.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობასთან ერთად კულტურული ურთიერთობაც განახლდა. ამ დროიდან XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მიწურულამდე განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო საქართველოში ჩამოსული კათოლიკე მისიონერების კულტურული მოღვაწეობა. მათ მიერ გახსნილ (თბილისში და სხვადასხვა ქალაქში) ოთხწლიან სკოლებში მოღვაწეობ-

¹ ვახუშტი — «აღწერა სამეფოსა საქართველოსა», 1941 წ. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. XV.

დნენ სხვადასხვა „საერო“ ცოდნით აღჭურვილი პირები, მათ შორის ინჟინერები, გეოგრაფები და ასტრონომები. ეს სკოლები არსებობდა 50 წლის განმავლობაში. უეჭველია, რომ ამ სკოლებში არა ერთ ქართველს მიუღია საკმაო ცოდნა გეოგრაფიაში და მასთან დაკავშირებულ ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, სხენებული წლების მანძილზე მარტო-თბილისის სკოლაში ნასწავლთა რიცხვი 500-ს აღწევს.

საქართველოს რუკების შესადგენად ძირითადად გამოყენებულია სხვადასხვა სიზუსტის კომპასური აგეგმვის ნახაზები. ამასთან, როგორც ატლასის რუკებზე ჩანს, საკმაო სიზუსტითა და დაწვრილებით გადაღებულია ქართლი, კახეთი და იმერეთი.

გაცილებით დაბალი ღირსებისაა სიზუსტისა და სისრულის მხრივ კარტოგრაფიული მასალები აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, გურიისა და სამცხე-საათაბაგოსი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ გამოყენებულია ზოგან კომპასური აგეგმვის უმარტავესი ხერხი და ზოგან რომელიმე ძველი სქემატური წვრილ-მასშტაბიანი რუკა და გამოკითხვის საშუალებაც.

ვახუშტი იხსენიებს რაღაც ძველ „შემოკლებულ რუკებს“, რომლებითაც, ალბათ, მან ისარგებლა. სხვათა შორის, რა თქმა უნდა, ის „მამულების აღწერასთან“ დაკავშირებით შედგენილ ტოპოგრაფიულ ნახაზებსაც გამოიყენებდა.

ატლასის რუკებზე მოცემულია დასახლებული პუნქტები—ქალაქები, მცირე ქალაქები, დიდი დაბები, დაბები, ოსის დაბები, თათრის დაბები, საეპისკოპოები, მონასტრები, ეკლესიები, სასახლეები—მეფის, თავადების, მთავრების, აზნაურების; ციხეები, დიდი მდინარეები, ხევის მდინარეები, ტბები, წყაროები, თოვლიანი მთები, ბაღები, ტყეები, ხიდეები, გზები, საზღვრები, საღროშოები. ყველა რუკაზე ქედები აღნიშნულია გორაკების პერსპექტიული მწკრივებით, როგორც ეს მიღებული იყო XVII საუკ. და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.

ვახუშტის ატლასის პირველსახე. წინამდებარე ატლასის (5 რუკა) თითოეულ რუკაზე ვახუშტი წერს: „აწ ახალი დახაზული“ და იძლევა თარიღს—1735 წლის იანვარს. მართლაც, აქ იგულისხმება რუკების დახაზვა და არა შედგენა. უეჭველია, არსებობდა ამ ატლასის პირველსახე, ე. ი. იმავე ზომის, მასშტაბისა და შინაარსისა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლებოდა საკმარისად რთული 5 რუკის გაფორმება (მოხაზვა) ზოგი შესწორებებითა და დამატებით იმ მოკლე ვადაში (ერთი თვე), რომელსაც ვახუშტი ასახელებს.

ვახუშტის მეორე ატლასი. მეორე ატლასისათვის პირველწყაროდ აღებულია შემოგანხილული პირველი ატლასი. ამ უკანასკნელის საფუძველზე შედგენილია 19 რუკა. ატლასის ორი ფურცელი უკავია მეფეების საგვარტომო წესსახს. დასაშვებია ვარაუდი, რომ ატლასი შედგენილია 1736—1744 წ.

პირველთან შედარებით ეს ატლასი შესამჩნევად გაუმჯობესებულია: კარტოგრაფიული ბაღე (კონუსური პროექცია) აგებულია უფრო ზუსტად; მოცემულია ზაზოვანი მასშტაბები ვერსებისა და აღაჯების საფუძველზე; შესწორებულია კასპის ზღვის სანაპირო ხაზი; საქართველოს საერთო რუკაზე შეს-

წორებული და შეესებულება ჩრდილო კავკასიის ნაწილი. ამ შესწორებების დროს ახალი, მაგრამ მეტად მცდარი ცნობების გამო, უკიდურესად დამახინჯებულია აფხაზეთი და სვანეთი: მდინარე ბზიფი გაჭიმულია მდ. ენგურის სათავემდე; ბზიფის ქედი შეერთებულია სამეგრელოს ქედთან, საიდანაც გამოყვანილია ენგური. ამგვარად სვანეთი მოექცა ბზიფის ზემო წელში.

რაც შეეხება სავანების გეოგრაფიულ მდებარეობას ბაღეში, აქაც თითქმის იმგვარ გადახრებს აქვს ადგილი, რაც პირველ ატლასშია.

ამ მეორე ატლასის შედგენის დროს ვახუშტის უთუოდ ჰქონდა კავშირი ასტრონომ უზზეფ დელილთან, რომელიც მეცნიერებათა აკადემიაში ხელმძღვანელობდა რუსეთის ატლასის შედგენას. ამ ატლასის რუკებისათვის საწყისად დელილმა აირჩია კუნძულ დაგოს მერიდიანი. მიუხედავად ამისა, ვახუშტიმ სამართლიანად არჩია თავის ატლასისათვის კუნძულ ფეროს მერიდიანი, როგორც დასავლეთ ევროპაში ხმარებულს.

ბანხილადი ატლასი შედგება შემდეგი რუკებისაგან

1. საქართველოს საერთო რუკა (კავკასიის რუკა). ფორმატი—36 სმ×28 სმ, მასშტაბი—1 სმ—28 კმ (დაახლ.), მერიდიანები და პარალელები 1°-იანი ინტერვალით.

2. ქართლის ნაწილის რუკა. ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი—1 სმ—10 კმ (დაახლ.), მერიდიანები და პარალელები—1°-იანი ინტერვალით.

3. საქართველოს ანუ იბერიის რუკა: გაყოფილი ათ საერისთარდ; ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი—1 სმ—14 კმ (დაახლ.); ბაღე 1°-ნი ინტერვალით.

4. საქართველოს რუკა. ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—22 კმ; (დაახლ.); ბაღე 1°-ნი ინტერვალით.

5. რუკა ქართლისა და მისი ვარემოსი: იმერეთი, კახეთი, სამცხე, ჭავჭავეთი, ერეგნის ადგილი და ყაზახი; ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—6 კმ; ბაღე 1°-ნი ინტერვალით.

6. რუკა ქართლისა. მტკვრის ჩრდილოეთისა, მუხრანისა და ზემო ქართლისა. ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—4 კმ (დაახლ.); ბაღე 1°-ნი ინტერვალით.

7. რუკა აწინდელი ქართლისა, ძველად შიდაქართლისა. ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—4 კმ (დაახლ.); ბაღე 1°-ნი სიხშირით.

8. რუკა ქართლისა: ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—4 კმ (დაახლ.).

9. რუკა ძველად იორის საერისთაოხი: წუნარი, სამშვილდე, კახეთი, ყაზახი, სამხრეთი ერეგანი; ფორმატი—36×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—4 კმ (დაახლ.); ბაღე 1°-იანი სიხშირით.

10. რუკა ქართლის წილისა. ფორმატი—36 სმ×28 სმ, მასშტაბი: 1 სმ—3,7 კმ (დაახლ.).

11. რუკა ქართლისა მტკვრის სამხრეთისა. ფორმატი 36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—4,7 კმ (დაახლ.); ბაღე 1°-ნი ინტერვალით.

12. რუკა საბარათიანოხა და საციციანოხი. ფორმატი—36 სმ×28 სმ, მასშტაბი: 1 სმ—4კმ (დაახლ.).

13. რუკა კახეთისა, კუხეთისა და შერეთისა. ფორმატი — 36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—7 კმ (დაახლ.).

14. რუკა აწინდელი ოსეთისა. ფორმატი 36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—2,7 კმ (დაახლ.).

15. რუკა ზემო ქართლისა და კლარჯეთისა, ანუ სამცხე-საათაბაგოსი. ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—6 კმ (დაახლ.); ბადე 1°-ნი ინტერვალით.

16. რუკა იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა. ფორმატი—36 სმ×28 სმ, მასშტაბი: 1 სმ—6 კმ (დაახლ.); ბადე 1°-ნი ინტერვალით.

17. რუკა იმერეთსა: ოკრიბა, საჯავახო, საჩინო, ფორმატი—36 სმ×28 სმ, მასშტაბი: 1 სმ—3,7 კმ (დაახლ.).

18. რუკა აფხაზეთისა, რომელიც განიყოფა იმერეთად, გურიად და ოდიშად; ფორმატი—36 სმ×28 სმ; მასშტაბი: 1 სმ—9 კმ (დაახლ.).

19. რუკა ოდიშისა: ფორმატი—36 სმ×28 სმ, მასშტაბი 1 სმ—6 კმ (დაახლ.). ამ რუკაზე ყველაფერი სქემატურად არის მოცემული.

სახელოვანი ვახუშტის რუკები, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი სახითაც, შეადგენენ დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში ხსენებული ეპოქის კარტოგრაფიის დონის ნამდვილ გამოხატულებას.

უტყუარია, რომ ეს რუკები წარმოადგენენ სწორედ იმდროინდელი ქართული კარტოგრაფიული კულტურის საბოლოო შედეგს. საჭირო ცნობების უქონლობის გამო, ჩვენი ცდა ქართული კარტოგრაფიის გაცნობის მხრივ მხოლოდ რუკების შესწავლით განისაზღვრა. ამგვარად, ჯერ კიდევ ხელუხლებელი რჩება ქართული კარტოგრაფიის მდგომარეობის სხვა ძირითადი მაჩვენებელი — ესაა წინამდებარე რუკების შედგენის მეთოდების და მათთვის გამოყენებული მასალების შექმნის წესების საკითხები. დასაშვებია ვარაუდი, რომ ამ საკითხების საპასუხო ცნობები მოაპოვებული იქნება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის (საიდანაც 1925 წ. ჩამოტანილ იქნა ვახუშტის მეორე ატლასი) ან მოსკოვის არქივებში.

XIX საუკუნის თითქმის მეორე ნახევრამდე ვახუშტის რუკები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ კავკასიისა და საქართველოს შესწავლის საქმეში; ეს იყო პირველი მსხვილმასშტაბიანი რუკები, რომელნიც იძლეოდნენ მდინარეთა ქსელის, რელიეფის, დასახლებული პუნქტებისა და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფის სწორ წარმოდგენას.

ამიტომაც თითქმის 100 წლის მანძილზე (დაახლ. 1740—1830 წ.) მხოლოდ ამ რუკების საფუძველზე ადგენდნენ კავკასიის რუკებს როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაშიც. ამისათვის ხმარებაში იყო ვახუშტის მეორე ატლასის რუკები.

ამ რუკების გამოყენების შესახებ მოგვყავს ზოგიერთი შემთხვევა. მეცნიერებათა აკადემიის „რუსეთის იმპერიის ატლასში“ (გამოც. 1745 წ.) გამოყენებულია ვახუშტის რუკები; ეს ატლასი ინახება საქართველოს მუზეუმში, სადაც ჩვენ შევადარეთ რუსეთის ეს ატლასი ვახუშტის რუკებთან.

იმავე ხანებში ვახუშტის მთელი მეორე ატლასი გადახაზულია და გაფორმებულია რუსულ ენაზე.

აკადემიკოსი ბროსე, რომელიც ვახუშტის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პირველი გამოცემელია (1842 წ.) ქართულ და ფრანგულ ენებზე (ერთად), გადმოგვცემს, რომ ვახუშტის რუკების ასლები ფრანგულ ენაზე დაუმუშავებია ასტრონომ ჟოზეფ დელილს XVIII საუკუნის 40-იან წლებში.

ცნობილია აგრეთვე¹, რომ 1766 წ. ამავე დელილმა (პარიზში) კავკასიის რუკების შედგენაში ვახუშტის რუკებით ისარგებლა.

პირველად 1801 წლის დამლევს პეტერბურგიდან ამიერკავკასიაში იგზავნება ორი სამხედრო ტოპოგრაფი—როზიე და დრენიაკინი კავკასიის გამოსაკვლევად. 1802 წ. მათ შეადგინეს საქართველოს ორფურცლიანი რუკა 5-ვერსიან მასშტაბში; რა თქმა უნდა, ასეთ მოკლე ვადაში ამ რუკის შედგენა შეიძლებოდა მხოლოდ უკვე არსებული კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. ამ მასალას იმ დროს მხოლოდ ვახუშტის რუკები შეადგენდა.

¹ „Исторические записки о странах, лежащих между морями Черн. и Каспийск.“, С-Петербург. 1810 г.



მ. გიხტვაანი

XVIII საუკუნის გამოჩენილი რუსი და ქართველი გეოგრაფები:
მ. ვ. ლომონოსოვი, ვ. ნ. ტატიშჩევი, ვახუშტი ბაგრატიონი და
სულხან-საბა ორბელიანი

XVIII საუკუნეში რუსეთში იყვნენ როგორც რუსი, ისე უცხოელი გამოჩენილი მეცნიერები, რომლებმაც თავისი საქმიანობით ღრმა კვალი დატოვეს გეოგრაფიულ მეცნიერებაში; დავსახელოთ ციმბირის დიდი ექსპედიციის მონაწილენი, როგორც მაგალითად, მილერი, უფროსი გმელინი, ფიშერი, სტელერი, კრაშენინიკოვი და სხვ., შემდეგ მოვიგონოთ მ. ვ. ლომონოსოვის, ვ. ნ. ტატიშჩევის (1768—1774 წ. წ.), აკადემიური ექსპედიციის მონაწილეთა—პალასის, გულდენშტედტის, უმცროსი გმელინის, ლეპეხინის, ოზერეცკოვსკის, გეორგისა და სხვათა მოღვაწეობა. დასახელებული პირების შრომები მოწმობს, რომ მაშინდელ რუსეთში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი ცოდნის ადამიანები და XVIII საუკუნის მოწინავე მსოფლიო მეცნიერების ნამდვილი წარმომადგენლები.

ამ მოკლე „მიმოხილვაში“ შესაძლებლობა არა გვაქვს დავახასიათოთ ყველა ზემოჩამოთვლილი მეცნიერის მოღვაწეობა გეოგრაფიის დარგში. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ **მ. ვ. ლომონოსოვისა** (1711—1765 წ.წ.) და **ვ. ნ. ტატიშჩევის** (1686—1750 წ. წ.) გეოგრაფიულ შეხედულებებზე.

ლომონოსოვი 1757 წ. დაინიშნა მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული გეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელად, რის გამო მან შესძლო მოეგვარებინა მუშაობა რუსეთის შედარებით სწორი და ზუსტი რუკების დამზადების საქმეში; მან მაშინვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი გეოგრაფიულ პრობლემებს და გეოგრაფია, პროფ. მ. ბოდნარსკის მშვენიერი გამოთქმის თანახმად, შეიქმნა „იმ საგნად, რომლისკენაც მუდმივ იყო მიმართული მისი გულითადი ფიქრები“.

„გეოგრაფიულმა დეპარტამენტმა დიდი როლი ითამაშა რუსეთში გეოგრაფიული დისციპლინების განვითარების საქმეში. მისი მუშაობის ირგვლივ ორგანიზდებოდა და ჩამოყალიბდა მეცნიერული გეოგრაფიული აზრი და დაისახა მეცნიერული გამოცალკეება აღწერილობითი გეოგრაფიისა ფიზიკური და მათემატიკური გეოგრაფიისაგან. არა ნაკლებ საყურადღებოა მისი მნიშვნელობა როგორც ისეთი ცენტრისა, რომელიც თავისკენ იზიდავდა ყოველივეს, რაც იმ ხანებში რუსეთის გეოგრაფიული შესწავლის

საქმეს ემსახურებოდა. ჩვენამდე მოღწეულ გეოგრაფიულ დეპარტამენტის საარქივო მასალებში ვპოულობთ პლენისნერის ჩანაწერებს მდინარე ანდორის შესახებ და შენიშვნებს კავკასიის შესახებ, ყაზანის გუბერნიის ტყეებისა და დასახლებული ადგილების აღწერას, ოხოტის ზღვაში მოგზაურობის დღიურს და სხვ. ასეთი მისწრაფება მასალების შეგროვებისადმი, რაც დაყვანილია რუსეთის შორეული რაიონების ცნობებამდე, ადგილებზეც აღვიძებდა სურვილს, და ამ შემთხვევაში გეოგრაფიულ დეპარტამენტს, აკადემიურ ექსპედიციებთან ერთად, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება“ (В. Ф. Гнучева. „Географический департамент Академии Наук XVIII в.“, „Известия Всесоюзного Географического общества“, ტ. 73; в. 2-й, გვ. 230). გეოგრაფიული დეპარტამენტის მუშაობის მიზანშეწონილ ორგანიზაციაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის მ. ლომონოსოვს.

მ. ვ. ლომონოსოვმა დატოვა მთელი რიგი შრომები, რომლებშიც მას გამოთქმული აქვს საუცხოო მოსაზრებანი და შეხედულებანი გეოგრაფიულ საკითხებზე; ასე, მაგალითად, მის შრომაში „Рассуждение о большой точности жорского пути“ (1759 г.)¹ ის ამბობს მოწმენდილ და მოღრუბლულ ამინდში სიგრძელისა და სივანელის მოძებნის შესახებ, აგრეთვე მეცნიერული ხასიათის ნაოსნობის შესახებ და სხვა. თავის შრომაში „Слово о явлениях воздушных, от электрической силы происходящих“² ის გამოთქვამს მეტად საინტერესო მოსაზრებებს მეტეოროლოგიურ საკითხებზე; მასვე ეკუთვნის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა მეტეოროლოგიის დარგში, სახელდობრ, მოძღვრება ჰაერის ვერტიკალურ დენათა შესახებ (ჰაერის კონვექციურ დენათა შესახებ). ლომონოსოვის ამ დიად აღმოჩენას თავის დროზე არც დასავლეთ ევროპაში და არც რუსეთში არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება. „მეცნიერის მოძღვრება ჰაერის კონვექციურ დენათა შესახებ მისაწვდომი შეიქნა მეცნიერებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი ა. ჰუმბოლტმა და არაგომ“³. ლომონოსოვს ეკუთვნის აგრეთვე მეტად საინტერესო ახსნა ნამის, ნისლისა და სეტყვის წარმოშობის შესახებ; მასვე ეკუთვნის სრულიად სწორი მსჯელობა თოვლის ხაზის განლაგების შესახებ. მ. ლომონოსოვი დიდ ყურადღებას აქცევდა ვულკანური და სეისმური მოვლენების საკითხებს და ვულკანების გეოგრაფიულ განლაგებას დედამიწაზე. ლომონოსოვის თეორია დედამიწის ვულკანური ქმედობის შესახებ ორიგინალურია და საინტერესო იმით, რომ ბევრად გაუსწრო თავის დროს. ის გარკვეულად ამტკიცებდა დედამიწის ქერქის ნელი რყევის არსებობას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამას არ სცნობდნენ

¹ „Полное собрание сочинений Михайла Васильевича Ломоносова...“; часть третья; третьим тиснением. В Санкт-Петербурге. Изданием... Академии Наук. 1803 г.; 88. 88. 179—236.

² „Полн. собр. соч.“; ч. 3.; 83. 83. 31—104.

³ Проф. Болнарский. „Ломоносов как географ“; статья в журн. „Землеведение“; 1912 წ.; წიგნი I—II.

არც გერმანიის, არც საფრანგეთის და არც ინგლისის მეცნიერნი და მხოლოდ შვეციის მკვლევარებმა, როგორც იყვენ ჰეირნე, სვედენბორგი, ცელზი და ლინეი, მოახდინეს დაკვირვება ამ მოვლენებზე, მაგრამ გარკვეულ დასკვნებამდე ჭერ კიდევ ვერ მივიდნენ.

თავისი შეხედულებანი ოროგრაფიასა, ჰიდროგრაფიასა და კლიმატოლოგიაში ლომონოსოვმა უმათერესად შემდეგ შრომებში გადმოგვცა: „Первые основания металлургии“ მეორე დამატების პირველ თავში,¹ „Краткое описание разных путешествий по северным морям и показания возможного проходу Сибирским океаном в Восточную Индию“ მესამე თავში, „Слово о рождении металлов от трясения земли“², „Инструкции Чичагову“ და „Слово о явлениях воздушных от элекрической силы происходящих“.

მ. ვ. ლომონოსოვი ამტკიცებდა, რომ კლიმატი არ არის რაღაც მუდმივი და უცვლელი, არამედ იგი იცვლება დედამიწაზე ჩვენი პლანეტის კოსმიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების სხვადასხვა ცვლილებასთან ერთად. „ემყარებოდა რა ბუნების მუდმივი ცვალებადობის იდეას, მათ რიცხვში ჩვენი დედამიწის ცვალებადობასაც, ლომონოსოვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კლიმატი და დედამიწის ზედაპირზე მოთავსებული ცოცხალი ორგანიზმები მუდმივ იცვლებიან. ის ცდილობდა კლიმატის ცვლილებით აეხსნა ყინულოვან ოკეანესთან მდებარე გეოლოგიურ შრეებში ტროპიკული ქვეყნების ცხოველთა და მცენარეთა ნაშთების არსებობა. ლომონოსოვი ამტკიცებდა, რომ დედამიწის ღერძის მზის მიმართ დახრის ცვლილების გამო, ხდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეცვლა ჩვენი პლანეტის კლიმატისაც. იქ, სადაც ახლა ცივი პრლარული კლიმატია, ოდესღაც იყო ცხელი, ტროპიკული კლიმატი. ლომონოსოვმა..... ამ საკითხში წინასწარ განჭვრიტა საერთო ფორმებში ის, რაც მეცნიერებმა შემდგომ ყოველმხრივ დაასაბუთეს“ (იხ. Г. Васецкий и М. Иовчук. „Очерки по истории русского материализма XVIII и XIX в. в.“ О. Г. З. М. 1942 წ., გვ. 24).

გარდა ზოგადი ცნობებისა კლიმატოლოგიიდან, ლომონოსოვის თხზულებაში ჩვენ ვპოულობთ საერთოდ იმ დროს ისე მცირედ ცნობილი ქვეყნების საკმაოდ კარგ კლიმატოლოგიურ დახასიათებას, როგორცაა—ტიბეტი, კვიტი, კანადა და რუსეთის ზოგიერთი ევროპული და აზიური ნაწილი.

მ. ვ. ლომონოსოვს ეკუთვნის აგრეთვე ჩრდილო პოლარული ზღვების ყინულების პირველი კლასიფიკაცია. ყინულის მთები (აისბერგები), მისი შეხედულებით, ეს არის დიდი ლოდები „ბადუნ“, რომელიც მოსწყდა კონტინენტურ ყინულს, რომლითაც დაფარულია სანაპირო ციცაბო კლდეები, და დაეშვა ზღვაში.

¹ „Полное собр. соч.“; т. 4-ая; гл. гл. 168—185.

² Ibid. т. 3-ья; гл. гл. 143—178.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლომონოსოვის ყურადღებას იპყრობდა ჩრდილო აღმოსავლეთის გზა ინდოეთისაკენ და ამ ნაოსნობის ორგანიზაცია ჩრდილო ყინულოვან ოკეანეთში ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით წყნარ ოკეანეში გასასვლელად. 1763 წლის სექტემბერში მან მიუძღვნა ვენერალ-ადმირალს, ცხრა წლის დიდ თავადს პავლე პეტრეს-ძეს, თავისი შრომა შემდეგი სათაურით: «Краткое описание разных путешествий по северным морям и показание возможного проходу Сибирским океаном в Восточную Индию». ეს აღწერა საინტერესოა ამ შრომისათვის თანდართული პოლარული ქვეყნების რუკითაც, საიდანაც ჩანს, თუ როგორ მტირედ იცნობდნენ იმ ხანებში ამერიკისა და აზიის ჩრდილო ნაპირებს. ლომონოსოვის პროექტის თანახმად, 1765 და 1766 წ. წ. მოეწყო ექსპედიციები ვ. ი. ჩიხაგოვის მეთაურობით ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელის გამოსაკვლეად. ორივე ექსპედიცია მარცხით დამთავრდა.

ლომონოსოვმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ კონტინენტების მოხაზულობებში ემჩნევა ერთგვარი ანალოგები. აი რას წერს ის ამ საკითხის შესახებ: „განვიხილავთ რა მთელი დედამიწის სფეროს, გაკვირვებით ვამჩნევთ ზღვაში და წყალში ერთგვარ ანალოგიურ ურთიერთარსებულ მდგომარეობას, თითქმის განგებ დაწესებულს“.

ლომონოსოვის მიხედვით, ორ მატერიკულ მასას, სახელდობრ ძველი და ახალი ქვეყნის ნაწილს, მგზავსი მოხაზულობა აქვს, განსაკუთრებით თავიანთ სამხრეთ ბოლოებში. ორივე კონტინენტის სამხრეთი ბოლოები 1) თავისი ფიგურით მოგვაგონებს სამკუთხედს, 2) მათი ნაპირები ნაკლებად დანაწევრებულია, 3) გარსშემორტყმული არიან მცირე რაოდენობის კუნძულებით, 4) ისინი ვიწრო ყელით უერთდებიან ჩრდილო ნაწილებს, 5) გარდა ამისა, ძველი ქვეყნის მწვენივ კონცხი შეესაბამება ბრაზილიის კონცხს (წმ. როკის ან ბრანკოს კონცხს), მექსიკის უბე—ხმელთაშუა ზღვას, კუნძულები კვიპროსი, კრეტა, სიცილია და სხვა ემგზავსება კუბას, ჰაიტისდა სხვა კუნძულებს; მადაგასკარი—ციცხლოვან მიწას. ორივე კონტინენტის ჩრდილო ნაწილებში ერთმანეთს შეესაბამება ატლანტის ოკეანის ნაპირებზე: ბალტიის ზღვა—ჰუდსონის უბეს, ბოტნის უბე—ბაფინისას, ინგლისი—ნიუფაუნდლენდის, გრენლანდია—სკანდინავიის ნახევარკუნძულს (ლომონოსოვის დროში გრენლანდია ჩრდილო-ამერიკის ნახევარკუნძულად ითვლებოდა; გრენლანდიის ჩრდილო ბოლო აღმოჩენილ იქნა მხოლოდ 1901 წ. ცნობილი პოლარული მკვლევარი პირის მიერ), ახალი მიწა—შპიტბერგენს (ანალოგია არ არის მოხდენილი, რადგან ნოვაია ზემლია და შპიტბერგენი ძველ ქვეყანას ეკუთვნის) და სხვ.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ლომონოსოვი დანიშნულ იქნა 1757 წ. მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული გეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელად; ეს დეპარტამენტი 1739 წ. დაარსდა „რუსეთის გეოგრაფიული შესწავლისათვის“. ამ დეპარტამენტის მთავარ ამოცანას შეადგენდა რუსეთის სწორი რუკების შედგენა, მათი მუდმივი შემოწმება, შესწორებისა და დამატების შეტანა დეპარტამენტში შემოსული ახალი ცნობების საფუძველზე. იოსებ ნიკოლოზის-ძე დელილის, ეილერისა, ჰეინზიუსის და ვინცკემის მოღვაწეობით

1745 წ. გეოგრაფიულმა დეპარტამენტმა დაბეჭდა რუსულად ატლასი ასეთი სათაურით: „Атлас Российской, состоящей из девятнадцати специальных карт, представляющих Всероссийскую империю с пограничными землями, сочиненной по правилам Географическим и новейшим обсервариям с приложенною притом Генеральною картою Великих Сия Империи, старанием и трудами... Академии Наук“.¹

ეს „ატლასი“ თავისი დროისათვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა, და ცნობილი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ეილერი მის შესახებ სიამაყით სწერდა შუმბერს, რომ „რუსეთის მიწის გეოგრაფია ჩენი და პროფესორ პეინზიუსის შრომის შედეგად უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე გერმანიის მიწის გეოგრაფია“ (იხ. „Материалы для Истории Академии Наук“; ტ. VIII, გვ. 74; 97)- უფრო გვიან აღმოჩნდა, რომ ამ ატლასის რუკები მეტწილად არ იყო სწორი, თორმეტი წლის განმავლობაში ატლასის რუკების შესწორების საქმეში არაფერი იყო გაკეთებული და მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მ. ვ. ლომონოსოვი ჩაუდგა სათავეში გეოგრაფიულ დეპარტამენტს, იქ შესაძლებელი გახდა მოწესრიგებულიყო მუშაობა შექმნილებისადაგვარად რუსეთის სწორი რუკების დამზადებისათვის.

მ. ვ. ლომონოსოვის პროექტის თანახმად, რათა მიეღოთ უფრო ზუსტი და დაწვრილებითი გეოგრაფიული და ეკონომიური ცნობები, შედგენილ იქნა „შეკითხვის ფურცლები“ (ანკეტები), რომლებიც შედგებოდა 30 მუხლისაგან: 1759 წლის ბოლოსა და 1760 წელს, სენატის საშუალებით, ეს ანკეტები გაეგზავნა ყველა ქალაქს, რომელთაც სასწრაფოდ უნდა მიეცათ პასუხი. ეს ეკონომიურ-გეოგრაფიული ხასიათის ანკეტა შეიცავდა შემდეგ კითხვებს: „ქალაქის სიდიდე, ქვისა და ხის სახლების რიცხვი, რომელ მდინარესთან ან ტბასთან მდებარეობს ქალაქი, როდის იმართება ხოლმე იქ ბაზრობა, რა და რა სახელოსნოები და სარეწაოებია, რა და რა ფაბრიკები, ქარხნები, წისქვილები, სავარგულო მიწები; მდინარის რომელ ნაპირზე მდებარეობს მისი მალალი ნაწილი, სად არის ნავმისადგომები, როდის თავისუფლდება ყინულისაგან და როდის იყინება მდინარე; რა მანძილზეა მისგან მეზობელი ქალაქები; სად არის მალალი და ცნობილი მთები; რა ჭიშის პურეული ითესება უფრო ხშირად და რომელი უფრო მოსავლიანია“ და მთელი რიგი სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხები.

¹ უფრო ადრე, სახელდობრ 1734 წ. „სრულიად რუსეთის იმპერიის ატლასი“ პირველად გამოიცა. ეს ატლასი შედგენილია ივანე კირილოვის მიერ. ავტორის განზრახვით იგი უნდა ყოფილიყო სამ ტომად 360 რუკით. კირილოვის სიკვდილმა შესწყვიტა ეს გაბედული და ღირსშესანიშნავი წამოწყება. პირველი გამოცემა შეიცავდა 15 რუკას, მათ რიცხვში რუსეთის გენერალურ რუკას. 1737 წელს მეცნიერებათა აკადემიის მიერ იყო გამოცემული „Атлас, сочиненный к пользе и употреблению юношества и всех читателей ведомостей и исторических книг“. ატლასი საერთოდ არ იყო დაპაკეყოფილებული, როგორც შინაარსით, ისე გაფორმებით, მაგრამ იგი საინტერესოა, როგორც პირველი ცდა რუსეთის სასწავლო ატლასისა და მსოფლიო ატლასის შედგენისა.

გარდა ამისა, კამერკოლეგიიდან მოთხოვნილი იყო ოცნობები თითოეული სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ „სხვაობისა და სიდიდის გასაგებად, რომ ატლასში არ ყოფილიყო გამოჩენილი დიდი და შეტანილი მცირე, და რომ ამით არ დარღვეულიყო პროპორციულობა“. ანკეტებს უპასუხეს, და პასუხების გაცნობა მიანდეს სტუდენტ ილია ავრამოვს. ეს პასუხები დაასისტემეს, დაამუშავეს და გამოსცეს მხოლოდ ლომონოსოვის სიკვდილის შემდეგ, 1772—1774 წ.წ., შემდეგი სათაურით: „Топографические известия, служащие для полного топографического описания Российской империи“.

ლომონოსოვი ერთ-ერთ თავის წერილში, რომელშიც ჩამოთვლილია მისი მუშაობის თემები, პირველად ხმარობს ტერმინს ეკონომიურ გეოგრაფიას, რომელიც მხოლოდ ჩვენ დროშია მიღებული გეოგრაფიულ და ეკონომიურ მეცნიერებათა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების აღსანიშნავად.

გეოგრაფია, მ. ვ. ლომონოსოვის მიხედვით, არის სინთეტიკური მეცნიერება. გეოგრაფისაგან ის მოითხოვდა მრავალმხრივ ცოდნას, სახელდობრ მათემატიკის, ასტრონომიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ისტორიისა და კარტოგრაფიის ცოდნას. ის შიუთითებდა გეოგრაფიული მეცნიერების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. „რა უფრო სასარგებლოა, — იძლევა კითხვას ლომონოსოვი, — კაცობრიობის ურთიერთობისათვის, წყლითა და ხმელეთზე მოგზაურთათვის? ამათ ყველას ესაჭიროება იცოდნენ ადგილის მდებარეობა, მდინარეთა მიმართულება, მანძილი ქალაქებს შორის, ქალაქების სიდიდე, მიწის სიხვე, მეზობელი ქვეყნების ცოდნა, ზნე-ჩვეულებანი და სხვადასხვა ქვეყნის მმართველობა“. ამ შეკითხვაზე დიდი მეცნიერი შემდეგს უპასუხებს: „ამას ყოველთვის! გვასწავლის გეოგრაფია, რომელიც მთელ მსოფლიოს ადამიანის თვალთახედვას უქვემდებარებს“.

ლომონოსოვის ზოგმა ძირითადმა შეხედულებამ გეოგრაფიული მეცნიერების დარგიდან გამოძახილი და გავრცელება ჰპოვა მაშინდელი რუსეთის განათლებული საზოგადოების წარმომადგენელთა შორის.

არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ XVIII საუკუნის ისეთ დიდ მეცნიერს, როგორცაა ვ. ნ. ტატიშჩევი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული პეტრი I-ის „ბუდიანი“. ტატიშჩევი იყო გამოჩენილი ისტორიკოსი, გეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, დაუღალავი და ცოდნისმოყვარე მკვლევარი, რომელმაც დატოვა ღირსშესანიშნავი შრომები, განსაკუთრებით რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიაში. ყველგან სადაც კი გადაისროლიდა ტატიშჩევის სამსახური ან აუცილებლობა, „ის გულდასმით აგროვებდა ხელნაწერებს, ... ხალხურ სიმღერებს, ხალხურ გადმოცემებს; ძველ ლანდკარტებს; და თავისი ხშირი მოგზაურობის დროს. . . . ის არ კარგავდა არც ერთ მოხერხებულ შემთხვევას შეესწავლა რაიმე... ორენბურგის ასესორის რიჩკოვის საშუალებით ის აწარმოებს მაჰმადიან მეცნიერების გამოკითხვას ზღვისიქითური (საზღვარგარეთული) ხალხების

სახელწოდებების შესახებ; პასუხი მათ წერილობით მიაწოდეს ტატიშჩევსა. საუბრობს ქართველ ბატონიშვილ ბაქართან მეთოდე პატრელის წიგნის შესახებ... ყაბარდინელი უზდენები უამბობენ მას კავკასიის მთიულეთის შესახებ გადმოცემებს... ის აკვირდება მზის დაბნელებებს, ინიშნავს თავისთვის წლებს, როდის იყო ჩრდილოეთის ციალი, როდის ჩნდებოდნენ მეტეორები“ (Нил Попов. „В. Н. Татишев и его время“. Изд. К. Солдатенкова и Н. Щепкина. М. 1861 г.; გვ. 434—435).

ტატიშჩევმა თავისი ცოდნისმოყვარეობისა და განათლების შემაჯობით შესძლო შეეგროვებინა მასალები რუსეთის სრული გეოგრაფიის დასაწერად; ასეთი შრომის შედეგნას იგი უკვე შეუდგა და შემდეგნაირად დაასათაურა: “Введение к историческому и географическому описанию Великороссийской империи“ (часть I-ая). გვემის თანახმად, ეს შრომა 14 თავისაგან უნდა შემდგარიყო; პირველ თავში ლაპარაკი იყო: „ამ დიდი სახელმწიფოს სახელწოდების შესახებ და მისი ძველი დაყოფის შესახებ; მეორეში—სრულიად რუსეთის იმპერიის საზღვრებისა და მისი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ; მესამეში—იმპერიის სიდიდის შესახებ; მეოთხეში—წყლების შესახებ; მეხუთეში—უმნიშვნელოვანესი მთების შესახებ; მეექვსეში—დედამიწის წიაღის შესახებ (ზინაგან აგებულებაზე); მეშვიდეში—მცენარეებისა და მიწის ნაყოფის შესახებ (ხეხილზე); მერვეში—ცხოველების შესახებ; მეცხრეში იმპერიის მოსახლეობის შესახებ; მეათეში—სამხედრო ძლიერების შესახებ; მეთერთმეტეში—სახელმწიფოს შემოსავლის შესახებ; მეთორმეტეში—ქარხნების, ფაბრიკებისა და მანუფაქტურის შესახებ; მეცამეტეში—აკადემიებისა და სასწავლებლების შესახებ; მეთოთხმეტეში—სასულიერო და პოლიტიკური მმართველობის შესახებ და ეპარქიული და საგუბერნიო დაყოფის შესახებ.

ყველა ეს ცნობა გადმოცემულია მოკლედ; მხოლოდ ციმბირის აღწერა განიხილვა ერთგვარი სისრულით. უნდა აღინიშნოს, რომ ტატიშჩევმა ვერ შესძლო შეექმნა მეცნიერულ-სისტემატური შრომა რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიაში.

მის მიერ სამ ტომად გამოცემული „გეოგრაფიული ლექსიკონი“ (С. П. Б. 1793 წ.) შესრულებულია მხოლოდ ასო „კ“-მდე.

როგორია ტატიშჩევის შეხედულება გეოგრაფიულ მეცნიერებაზე? გეოგრაფიის არსსა და მნიშვნელობაზე ის შემდეგს ამბობს: „დედამიწის აღწერა ანუ გეოგრაფია გვიჩვენებს არა მარტო ადგილის მდებარეობას, რათა ომისა და სხვათა შემთხვევებში ვიცოდეთ ყველა სიმაგრე, გასასვლელების გამოყენების შესაძლებლობანი და შეუძლებლობა, არამედ აგრეთვე უნდა ვიცოდეთ ხალხთა ზნე-ჩვეულებანი, ჰაერისა და წყლის ბუნებრივი მდგომარეობა, მოსავლიანობის საკმარისობა, სიჭარბე თუ ნაკლებობა სხვადასხვა საგნებისა და სხვა“. მისი აზრით, ჯერ უნდა იცნობდეს სამშობლოს, ხოლო შემდეგ მოსახლდრე ქვეყნებს, „რათა სახელმწიფოს მმართველობაში საჭიროა ყველაფერი სისწორით ვიცო-

დეთ და არ ვიმსჯელოთ ისე, როგორც ბრამმ ფერების შესახებ“. (К. Бестужев-Рюмин. „Биографии и характеристики“. С. П. Б. 1882 г. გვ. 123).

ვ. ნ. ტატიშჩევს რომ ფართო შეხედულებები ჰქონდა გეოგრაფიის საგანსა და შინაარსზე, ამას მოწმობს მისი იმ დროისათვის შესანიშნავი „წინადადება რუსეთის გეოგრაფიისა და ისტორიის თხზულების შედგენის შესახებ“. ამ „წინადადებას“... რომელიც წარმოდგენილი იყო 1737 წელს მეცნიერებათა აკადემიაში, მისცეს ოფიციალური მნიშვნელობა და დაუგზავნეს საოლქო მმართველებს და კანცელარიებს. იგი შედგებოდა ორი განყოფილებისა და 198 კითხვისაგან და წარმოადგენდა ვრცელ პროგრამას ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად.

პირველი განყოფილება გეოგრაფიული ხასიათისა იყო, მეორე—ეთნოგრაფიული; პირველ განყოფილებაში მოთავსებულა შემდეგი ძირითადი საკითხები: 1) სახელწოდებებზე (de nominibus), 2) საზღვრებზე (de limitibus), 3) ჰაერის თვისებისა და მოქმედების შესახებ (de natura et actu aëris), 4) წყლების შესახებ (de aqua), 5) მიწის ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ (de natura terrae), 6) მიწისქვეშა მდგომარეობის შესახებ (de mineralibus), 7) მოსახლეობის შესახებ (de incolis), და 8) საცხოვრებელთა შესახებ (de habitationibus). (Полный текст „Предложения о сочинении истории и географии Российской“ დაბეჭდილია ნ. ა. პოპოვის ზემოდასახელებულ თხზულებაში; გვ. 633—696).

აკადემიკოს ა. ნ. პიპინის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, ტატიშჩევის „წინადადება... მთელი ვრცელი პროგრამაა კითხვებისა ისტორიისა და გეოგრაფიის საგნებში და ხალხთა ზნე-ჩვეულების შესწავლის საქმეში, აგრეთვე ამოცანაა მთელი რიგი ექსპედიციებისათვის (როგორც იყო შემდგომი დროის აკადემიური ექსპედიციები), და მეცნიერთა მთელი თაობის შრომებისათვის; კითხვები არ იყო უსაფუძვლო, მათ წინ უძღოდა ახსნა-განმარტება ისტორიული და გეოგრაფიული ცოდნის დიდი მნიშვნელობის შესახებ სახელმწიფოს მიზნებისათვის და ყველა განათლებული ადამიანისათვის; კითხვებს თან ახლდა ოვით ცნობების შეკრების ხერხის ახსნა, მაგ., ხალხში... არ იყო დავიწყებული ისეთი საგნები, რომლებიც ამჟამად არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზრუნავ საგანს წარმოადგენს...“ (А. Н. Пыпин. „История русской этнографии“: т. I; С. П. Б., 1890 წ., გვ. 139—140).

ტატიშჩევის მეცნიერული მოღვაწეობის ზემომოყვანილი მოკლე მიმოხილვიდან ცხადია, რომ მისი სახით XVIII საუკუნეში რუსეთის გეოგრაფიას ჰყავდა ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, რომლის შრომა და მოღვაწეობა ცნობილი იყო მაშინდელი ინტელიგენციისათვის.

არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ გეოგრაფიული ხასიათის ზოგ საცნობარო შრომებს; მაგალითად, თვედორე პოლუნინს ეკუთვნის „რუსეთის სახელმწიფოს გეოგრაფიული ლექსიკონი“, აკადემიკოს მილერის დამატებითა და გამოცემით (1773 წ.); იმავე საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოვიდა რუსეთის სა...

ზელმწიფოს „ახალი და სრული გეოგრაფიული ლექსიკონი, შეგროვილი ლ. მაქსიმოვიჩის მიერ ათ. შჩეკატოვთან ერთად“. (6 ნაწილი. M. 1788—1789 წწ.). უკვე სპეციალური გეოგრაფიული ლექსიკონების არსებობა მოწმობს იმას, რომ XVIII საუკუნის რუს მკიანველ საზოგადოებას ასეთი წიგნების მოთხოვნილება ჰქონდა და, მავსადაამე, საქმაოდ დიდი ინტერესი არსებობდა გეოგრაფიული საკითხებისადმი.

XVIII საუკუნეში მოსკოვში იყო შედარებით დიდი კოლონია ქართველებისა, რომლებიც გადახვეწილნი იყვნენ თავიანთი სამშობლოდან. ემიგრანტთა შორის იყვნენ საქართველოს მეფის ოჯახისა და ზოგ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებიც. ასე, მაგალითად, 1724 წ. მოსკოვში გადასახლდა საქართველოს ყოფილი მეფე ვახტანგ VI თავისი შვილებით და შინამსახურებითა და შინაპირებით.¹ ვახტანგ VI, მისი შვილი ვახუშტი, სულხან-საბა ორბელიანი და ზოგი სხვებიც თავისი დროისათვის მეტად განათლებული ადამიანები იყვნენ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ რუსეთში, ზემოდსახელებული პირების გარდა, ცხოვრობდნენ: საქართველოს ყოფილი მეფე არჩილი, ბატონიშვილი ბაქარი და უფრო გვიან—ცნობილი თეიმურაზ ბატონიშვილი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, იოანე ბატონიშვილი² და სხვები. ამ დასახელებულმა პირებმა კარგად იცოდნენ უცხო ენები (სპარსული, ფრანგული, რუსული, არაბული და სხვა), მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობაში და, როგორც მათი შრომებიდან ჩანს, კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპის, რუსეთისა და აღმოსავლეთის ხალხების (განსაკუთრებით ირანის) მეცნიერებასა და ლიტერატურას. ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ბატონიშვილი იოანე და მოსკოვის და პეტერბურგის ქართველთა კოლონიის სხვა წევრები დაინტერესებული იყვნენ არა მარტო ზოგადმეცნიერული საკითხებით, არამედ გეოგრაფიული პრობლემებითაც, რაც ნათელია იმ ფაქტიდან, რომ ვახუშტი, როგორც ცნობილია, ავტორია თავის დროისათვის შესანიშნავი ორიგინალური შრომისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“; სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის ცნობილი „ქართული ლექსიკონი“, რომელშიც, სხვათა შორის, მოცემულია ასტრონომიული მოვლენების, გეოგრაფიული ტერმინებისა და მოვლენების ახსნა-განმარტებანი, მასვე ეკუთვნის თხზულება „მოგზაურობა ევროპაში“. ვახუშტი ბატონიშვილი ცნობილია აგრეთვე, როგორც კარგი კარტოგრაფი და დიდი ისტორიკოსი. ამ პირებს ურთიერთობა ჰქონდათ მაშინდელი რუსეთის მეცნიერული აზროვნების წარმომადგენ-

¹ ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწის და მისი იქ ყოფნის შესახებ იხილეთ პოემა „ვახტანგიანი“; ამ პოემის შინაარსი და ანალიზი მოცემულია აკადემიკოს კ. კეკელიძის შრომაში: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1941 წ., გვ. 483—491.

² იოანე ბატონიშვილი (1772—1839 წწ.) მაღალი კულტურის მქონე ადამიანია. მას ეკუთვნის მთელი რიგი შრომები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს „კალმასობა“; ეს არის XVIII საუკუნის დროინდელი ქართული საზოგადოების მეცნიერული ცოდნის კოდექსი.

ლებთან. მოვიგონოთ ვ. ნ. ტატიშჩევის საუბარი ბაქარ ბატონიშვილთან მეთოდ-
 დი პატრელის შესახებ.

ამის გარდა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სხვა ქართველი
 ემიგრანტებიც მუშაობდნენ გეოგრაფიის დარგში; ასე, მაგ., **ვახტანგ გელოვან-**
მა, კათოლიკური მისიონერების გაზრდილმა საქართველოში, რომელიც ახლად
 ვახტანგ VI მოსკოვში, რუსულიდან თარგმნა ქალაქების მოკლე გეოგრაფიუ-
 ლი სიტყვარი. იმავე XVIII საუკუნის ბოლოს **ზაალ ანდრონიკაშვილმა**, რომელ-
 მაც განათლება რუსეთში მიიღო, შეადგინა სახელმძღვანელო გეოგრაფიაში;
 იმავე პერიოდში **იოანე ქართველიშვილმა** გადათარგმნა დელაპორტის მოგზაუ-
 რობა. 1721 წელს თბილისში გამოიცა სპარსულიდან ნათარგმნი წიგნი ასტრო-
 ნომიული ხასიათისა „აიათი“, დაბეჭდილი საქართველოს სამეფოს ფულით;—
 სპარსულისაგან თარგმნილი გეოგრაფიული თხზულება ვახტანგ მეფისა, დაბეჭ-
 დილი ტფილისში¹.

ყოველივე ეს უდავოდ იმას მოწმობს, რომ XVIII საუკუნის ქართული
 კულტურული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში გავრცელებული იყო ზო-
 ვადი გეოგრაფიული წარმოდგენანი და შედარებით დიდი ცოდნა ქვეყანათ-
 მცოდნეობაში.

ამ შეხედულებების დასადასტურებლად მკითხველის ყურადღებას შევაჩე-
 რებ ვახუშტი ბაგრატიონის და სულხან-საბა-ორბელიანის გეოგრაფიული
 შრომების ზოგად დახასიათებაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1784 წ.წ.), გამოჩენილი ისტორიკოსი გეო-
 გრაფი, კარტოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე, თავისი დროისათვის ძალიან
 კულტურული და განათლებული ადამიანის ვახტანგ VI-ის შვილი იყო.

ვახუშტიმ, რომელიც იზრდებოდა თავისი მამის გავლენის ქვეშ, ადრე, გამო-
 ამყვანა დიდი ნიჭი. პირველდაწყებითი სწავლა მან მიიღო თბილისის სიონის
 ტაძრის სკოლაში, შემდეგ ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა დავით-გარე-
 ჯის მონასტრის სკოლაში. თბილისში დაბრუნების შემდეგ ვახუშტი რამდენიმე
 ხანს განაგრძობდა სწავლას კათოლიკე მისიონერებთან, რომლებიც მაშინდელ
 ზოგიერთ ქართულ საზოგადოებრივ წრეში დიდი პოპულარობით სარგებლობ-
 დნენ იმის გამო, რომ ისინი მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწყევდნენ,
 და აგრეთვე იმიტომ, რომ თავიანთ სკოლებში ქართველი ახალგაზრდობის სწავ-
 ლების საქმე კარგად ჰქონდათ დაყენებული. ამ სკოლებში ასწავლიდნენ: წე-
 რა-კითხვას, არითმეტიკას, გრამატიკას, გეოგრაფიას, გეომეტრიას, დაწყებითი
 რჯულის მოძღვრებას, ქართულს, ლათინურსა და იტალიურ ენებსა და სხვას.
 მისიონერების სკოლები, გარდა თბილისისა, გახსნილი იყო აგრეთვე გორსა და
 ქუთაისში. არის ცნობები იმის შესახებ, რომ დიდი ფეოდალების ზოგიერთ

¹ „აიათის“ მოკლე დახასიათება იხ. პროფ. პ. გუგუშვილის თხზულებაში „ქართუ-
 ლი წიგნი“ 1629—1929 (პროფ. ფ. გოგოჩაიაშვილის რედაქციით. სახელგამო, 1929 წ.,
 გვ. 58—61).

ოჯახში (ორბელიანის, მესხეთის ათაბეგის, გურიელის) ცხოვრობდნენ კათოლიკური მისიონერები; ისინი ხშირად იყვნენ მასწავლებლები მათი შვილებისა, რომელთაც ასწავლიდნენ უცხო ენებსა და სხვადასხვა საგანს; მათთანვე სწავლობდნენ ხანდახან მეფის შვილებიც და მეფის ოჯახის წევრები; ასე, მაგ., ვახუშტი სწავლობდა მათგან ლათინურსა და ფრანგულ ენებს, მათემატიკასა და გეოგრაფიას; მეფე ვახტანგ VI სწავლობდა მათთან ასტრონომიას და ფიზიკურ გეოგრაფიას. საქართველოს გამოჩენილი პოეტი აკაკი წერეთელი თავის წიგნში „ჩემი თავგადასავალი“ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „...იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ ოჯახში, გურიელის სასახლეშიაც თითქმის შინააკაცებად ითვლებოდნენ პატრები და გავლენაც ჰქონდათ ოჯახებზე. ამ ევროპულად განათლებულმა და გონებაგანათლებულმა მეცნიერებმა დედაჩემზე დიდი გავლენა იქონიეს: მათი მეოხებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათა შორის, ექიმობა და მეურნეობა“... (აკაკი წერეთელი. „ჩემი თავგადასავალი“. სახელგამი, თბილისი, 1937 წ., გვ. 19).

მისიონერების ასეთი გავლენით ვახუშტი ბატონიშვილს თითქოს სურდა კათოლიკური სარწმუნოება მიედო და რომში ემოგზაურა, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა. მამის დავალებით ის გაემგზავრა ირანში, სადაც სამი წელი დაჰყო. ირანში მან კარგად შეისწავლა სპარსული და სომხური ენები. სამშობლოში დაბრუნებისას ვახუშტი დიდი ენერგიით შეუდგა თავის სამშობლოს ისტორიისა და გეოგრაფიის მასალების შეგროვებასა და შესწავლას, ამავე დროს ის ითვისებდა რუსულ ენასა და მწერლობას; ძალიან დიდ დროს ანდომებს იგი რუკების შესწავლას, რომლებიც მზადდებოდა ირანსა, დას. ევროპასა და რუსეთში. 1717 წ. ვახუშტი აწყობს მთელ რიგ მოგზაურობებს საქართველოში და პირადად ეცნობა მის მრავალ რაიონს; ასე, მან იმოგზაურა ქართლში, კახეთში, მთიულეთში, ფშავ-ხევსურეთში; შემდეგ ინახულა იმერეთი და გურია; შეაგროვა მასალები აფხაზეთის გეოგრაფიისა; აქედან ის გაემგზავრა მესხეთსა და ჭავჭავთში. თავისი მოგზაურობის დროს ვახუშტიმ შეაგროვა უამრავი ისტორიული და გეოგრაფიული მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო მის საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას. არაა საეჭვო ისიც, რომ თავისი ისტორიული და გეოგრაფიული შრომის შედგენისათვის ვახუშტიმ გამოიყენა „სახელმწიფო საბუთები“, საარქივო მასალები და ავრეთვე თანამედროვეთა ცნობები, რომლებიც შეგროვილი იყო პირადად მათ მიერ საქართველოს სხვადასხვა ნაწილში ყოფნის დროს¹.

1728 წ. (ბროფ. მ. გ. ჯანაშვილის მონაცემებით—1724 წელს) ვახუშტი ვახტანგ VI ერთად წავიდა ემიგრაციაში რუსეთში და დასახლდა მოსკოვში, სადაც ის განაგრძობდა თავის მეცნიერულ მუშაობას საერთოდ, კერძოდ საქართვე-

¹ ა. ს. ხანანაშვილის აზრით, ვახუშტიმ, სხვათა შორის ისარგებლა ვახტანგ მეფის შრომითაც „საქართველოს საზღვრების აღწერა“. (იხ. А. С. Хаханов. „Очерки по истории грузинской словесности“. ნაწ. III, М. 1931 წ. გვ. 289, შენიშვნა 4).

ლოს ისტორიასა და გეოგრაფიაში. თავის შესანიშნავ წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვახუშტიმ, ქართულ ისტორიკოს დ. ბაქრაძის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, მოგვცა თითქმის მთელი თავისი ქვეყნის აღწერა; განსაკუთრებით დაწვრილებითა და კარგად არის აღწერილი მის მიერ აღმოსავლეთი საქართველო (ქართლი, კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, სომხეთი და სხვ.) და უფრო მოკლედ—დასავლეთ საქართველოს რაიონები (გურია, სამეგრელო, ჩმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი და სხვ.), კიდევ უფრო მოკლედ აქვს აღწერილი მას სამხრეთი საქართველო (ჯავახეთი და მესხეთი).

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს სამეფოს აღწერა“ უნაკლებო არ არის, რასაც აღნიშნავდნენ თავის დროზე ე. ს. თაყაიშვილ¹ და ი. ა. ჯავახიშვილ², ვახუშტის ეს შრომა იძლევა საქართველოს გეოგრაფიული სახის სწორ გამოხატულებას XVIII საუკუნეში.

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ თანდართული 22 რუკით (მასშტაბით დაახლოებით 10 ვერსი დუიმში) წარმოადგენს თავისი დროისათვის მნიშვნელოვან მოვლენას გეოგრაფიულ ლიტერატურაში. რუსეთის გეოდეზისტის და კარტოგრაფის სტებნიცკი, რომელიც მრავალი წელი მუშაობდა კავკასიაში შემდგენიარად ახასიათებს ვახუშტის მიერ შედგენილ რუკებს: „გლებულობთ რა მხედველობაში, რომ ვახუშტის რუკები შედგენილია არა აგეგმვით, სიზუსტის მიხედვით ისინი უნდა მივიღოთ საკმაოდ დამაკმაყოფილებლად და მეტად გულმოდგინედ შედგენილად“. (И. О. Стебницкий. «Картографическое обозрение Кавказа и Закавказья» в «Трудах III съезда ориенталистов.» С. П. Б., 1879—1880 წ.წ. გვ. 363). ვახუშტის რუკები საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის რუკას, რომელიც შედგენილი იქნა 1738 წ. პეტერბურგში ასტრონომ იოსებ-ნიკოლოზ დელილის მიერ.

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, აღწერს რა მთელ რიგ გეოგრაფიულ მოვლენებს, ფაქტებსა და პროცესებს, ამასთან ერთად თვით აღწერაში იძლევა მათ ახსნას. ვახუშტის შრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ობიექტურ შეფასებას მკითხველი იპოვის განსვენებულ აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის შრომაში. ის ზემოდასახელებულ თხზულებაში წერს: „ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა ვრცლად და შინაარსიანად არის შედგენილი...“

თავისი შრომის სხვადასხვა ნაწილში ვახუშტი ლაპარაკობს ბუნებრივი მცენარეული ნედლეულის მდიდარ მარაგზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს თავისი საქირებისათვის. გარდა ამისა, იგი მიგვითითებს იმ რაიონებზე, რომლებიც იმ დროს უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი საძოვრებითა და სათიბებით; ამ რაიონებში მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოშენება). ამის შემდეგ ვახუშ-

¹ Материалы по археологии Кавказа, вып. XII, под ред. Уваровой, М. 1909. გვ. 57—59, 69.

² ი. ჯავახიშვილი ი. ისტორიის მიხანი... წიგნი I „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (V—XVIII სს.), 1926 წ., გვ. 286 და 1945 წ. გვ. 330.

ტის მოჰყავს მეტად მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში მეფრინველეობის, მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის, მებოსტნეობა-მებაღეობის, მეხილეობისა და მევენახეობის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ. ახასიათებს რა ქვეყნის დაბლობების, წინამთების და მთიანი რაიონების კლიმატურ პირობებს, ვახუშტი გვაცნობს მოცემული რაიონის კლიმატურ, ბოტანიკურ, ზოოლოგიურ და ნიადაგების თავისებურებებს. მის „გეოგრაფიაში“ დაინტერესებული პირი იპოვნის აგრეთვე საკამოდ უხვ ოროგრაფიულ, ჰიდროგრაფიულ და მეტეოროლოგიურ მასალებს და ამასთან ერთად პირადად ავტორის მიერ დაკვირვებულ და შესწავლილ მიზეზობრივ კავშირს ფიზიკურ-გეოგრაფიულ მოვლენათა შორის; ასე მაგ., ვახუშტი ამბობს: „ორნი ესე მთანი (მთა სარკინეთისა და მთა კუხეთისა) პირისპირ მდებარენი და მერმე იაღონად წოდებული ამისთვის, რამეთუ, თუმცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი“. როგორც ორასი წლის წინათ, ისე ახლაც თბილისისა და 15—20 კმ. რადიუსით მისი მიდამოების თითოეულ მოქალაქეს შეუძლია შეამჩნიოს ვახუშტის მიერ მითითებული მოვლენა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ვახუშტი გვაწვდის ფრიად საინტერესო ცნობებს მინერალური და სამკურნალო წყაროების შესახებ და სასარგებლო მთამადნეულის საბადოების განლაგებას საქართველოს სხვადასხვა ნაწილში. ამ ცნობებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვერც ერთი თანამედროვე მკვლევარი, რომელიც მუშაობს საქართველოს გეოგრაფიის სხვადასხვა დარგში, გვერდს ვერ აუხვევს ვახუშტის შრომას.

ვახუშტის თხზულება უდავოდ მოწმობს იმას, რომ მისი ავტორი ძალიან მცოდნე და კულტურული ადამიანი იყო. საქართველოს გამოჩენილი ისტორიკოსი, საქართველოს სიძველეთა მცოდნე მ. გ. ჯანაშვილი წერს, რომ ვახუშტის შრომები გვისურათებს თვით მას „როგორც ადამიანს განათლებულს, ისტორიკოს-გეოგრაფს, მრავლის მცოდნე, მეტად პატიოსან და ბეჯით მშრომელს, განსაკუთრებული ტალანტის მქონე მკვლევარს“. (იხ. Царевич Вахушти „География Грузии“; введение. перевод и примечание М. Г. Джанашвили. Т., 1904 г. „Записки Кавказского Отдела Русского Географического Общества“, книжка XXIV; вып. 5-й стр. XXIV).

ვახუშტის შრომას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის როგორც წარსულში, ისე ამჟამად; თამამად შეიძლება XVIII საუკუნის მცხოვანი ქართველი მეცნიერის ეს შრომა, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, მიეკუთვნოს ისტორიულ, ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიაში გამოჩენილ შრომათა რიცხვს.

მკირეოდენ ფილოლოგიურ განმარტებებს და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნას, რომელიც მოჰყავს ვახუშტის, დიდი სიფრთხილით უნდა მივყვი-

დოთ, რადგან ეს ზოგჯერ სინამდვილეს არ შეეფერება (მაგ. იხ. ასსნა სახელწოდებათა: „რაქა“, „ღებედა“, „მაშავერი“, „რანი“, „დვალეთი“ და სხვა). მაგრამ ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამცირებს ვახუშტის მნიშვნელოვან შრომის დადებით ღირსებას.

1752 წ. ვახუშტიმ გადათარგმნა შემოკლებით, ცვლილებათა და დამატებათა შეტანილ „Краткое руководство к географии в пользу учащегося при гимназии юношества в С. Петербурге“ (1742 г.). მთარგმნელმა გამოტოვა თავი „მომზადება“ („Приготовление“), რომელშიაც მოცემულია პასუხი შემდეგ კითხვებზე: „რა არის გეოგრაფია.— როგორ შეიძლება გეოგრაფიის შესწავლა.— როგორ უნდა დასდო შენს წინ ლანდკარტი“ და სხვ. არ არის ნათარგმნი აგრეთვე განყოფილება „ზოგადი გეოგრაფია“. ვახუშტიმ თარგმნა მხოლოდ შემდეგი ნაწილი: „Краткая политическая география к изъяснению изданного на российском языке небольшого атласа сочинения для употребления гимназии при Академии Наук в С. Петербурге. 1745 г. მთარგმნელის დამატებანი შეეხება სპარსეთს, თურქეთს, საქართველოს... მთარგმნელი უფრო ზუსტად განსაზღვრავს საქართველოს ნაწილების საზღვრებს, მის მდებარეობას, კლიმატს, მნიშვნელოვან ადგილებს და მმართველობის ხასიათს“. (А. С. Хаханов, ზემოდასახელებული თხზულება, გვ. 290).

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქართულ ენაზე რამდენიმეჯერ გამოიცა. უძველეს ნაბეჭდ გამოცემად ითვლება 1842 წ. აკადემიკოს მ. ბროსეს გამოცემა ქართული ტექსტის ფრანგული თარგმანით. ვახუშტის შედგენილი 22 რუკიდან ბროსემ მხოლოდ ექვსი გამოსცა.

1904 წ. ქ. თბილისში გამოვიდა ვახუშტის შრომა მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით; მასვე ეკუთვნის ამ შრომის რუსული თარგმანი საფუძვლიანი შესავლითა და შენიშვნებით, გამოცემული „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ მიერ.

1941 წ. საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ დაბეჭდა იგივე შრომა კარგი გაფორმებით პროფ. ნ. ბერძენიშვილისა და დოცენტ თ. ლომოურის ვრცელი შენიშვნებით, ბიბლიოგრაფიითა და პირთა სახელის, გეოგრაფიული სახელების და საგნობრივი საძიებლებით, აგრეთვე ძველი სიტყვებისა და ტერმინების განმარტებითი ლექსიკონით. ამ საზოგადოების პრეზიდიუმმა მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ შესძლო, სამწუხაროდ, გამოეცა ვახუშტის მიერ შედგენილი რუკები.

ვახუშტის უფროსი თანამედროვე სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წ. წ.), საქართველოს გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე, უდიდესი სწავლული, ლიტერატორი, ლექსიკოგრაფი და მოგზაური ირანსა და ევროპაში, რომელმაც თავის დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო, ვახუშტის მამასთან (ვახტანგ VI) ერთად რუსეთში გადასახლდა, სადაც ის ვანაგარძობდა თავის მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. სულხან-საბა ორბელიანის შრომები მოწმობენ იმას, რომ მან რამდენიმე უცხო ენა იცოდა (იტალიური, ფრანგული, რუსული, სპარსული, სომხური) და დიდი მეცნიერული

ერუდიციის პატრონი იყო. თავის შესანიშნავ „ქართულ ლექსიკონში“ ის, სხვათა შორის, ცოდნას იჩენს კოსმოგრაფიულ, ასტრონომიულ და გეოგრაფიულ საკითხებში; ის იძლევა მეტად საგულისხმოდ მეცნიერულ ახსნებსა და განმარტებებს, მაგალითად, შემდეგი სიტყვებისას: ცა, მზე, ვარსკვლავი, ცთომილი, კლდე, წვიმა, თოვლი, ცისარტყელა, ქუეყანა, ჰაერი, ზოდიაქო, მთოვარე, მთა, ქარი და სხვ. გარდა ამისა, ლექსიკონში მოყვანილია ქვეყნებისა და ქალაქების გეოგრაფიული სახელწოდებანი, თანაც თითქმის ყოველთვის მითითებულია ქალაქების კოორდინატები.

სულხან-საბა ორბელიანის მეორე თხზულება, სახელდობრ „მოგზაურობა ევროპაში“ აგრეთვე მოწმობს ავტორის კულტურას და დაკვირვების დიდ უნარს. სულხან-საბა ორბელიანმა ევროპაში იმოგზაურა (1713 წ.) კათოლიკე მისიონერ რიშართან ერთად. იტალიაში „მოგზაურობისას“ ინახულა რომი, სადაც მან დიდი ყურადღებითა და ინტერესით დაათვალიერა „მარადიული ქალაქის“ ღირს-შესანიშნაობანი, როგორცაა ანტიკური პერიოდისა და ქრისტიანობის ძეგლები, ვატიკანი და მისი ბიბლიოთეკა, სკოლები, საავადმყოფოები, თავშესაფრები, მწირთამიმღები სახლები და სხვა. ქალაქების გარდა, ის დაინტერესებული იყო ქვეყნის ბუნებით. ის აღტაცებაში მოდიოდა რომის, ფლორენციისა და ტოლეტინოს მიდამოების პეიზაჟით, ხოლო ნეაპოლის მიდამოებით ორბელიანი მოიხიბლა. დაკვირვებული მოგზაური ლაპარაკობს პალერმოზე, მესინაზე, ეტნასა, გენუასა, ნიცასა, მონაკოსა, სავოიასა, ლივორნოსა და მალტაზე. პარიზში მას ყველაფერი აინტერესებდა—ხალხი, ზნე-ჩვეულება, არქიტექტურის ძეგლები, საფრანგეთის დედაქალაქის მიდამოები—ვერსალი თავისი პარკებითა და ბაღებით, ხელოვნების ძეგლები, საეკლესიო და პოლიტიკური საკითხები. სულხან-საბა ორბელიანი თავის მკითხველს აცნობს, თუმცა გაკვრით, ალყირსა და მაროკოსაც.

უკან დაბრუნებისას მან ინახულა კუნძული ევბეა, მითილენი, კრიტოსი, ბითლიმი, გაიარა დარდანელი და ინახულა კონსტანტინოპოლი, ხოლო შემდეგ ტრაპიზონი და ჰანეთი; ჰანებმა ორბელიანი მიიყვანეს ქობულეთში, საიდანაც ის სამშობლოში დაბრუნდა.

იმის შესახებ, თუ როგორ ეხერხებოდა საბა-სულხან ორბელიანს ლაკონიური და მასთან ერთად გამომხატველი აღწერა მის მიერ ნახული ადგილებისა, მკითხველს შეუძლია იმსჯელოს მისი კუნძულ მალტის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათების გაცნობის შემდეგ. აი რას ამბობს ორბელიანი ამ კუნძულის შესახებ: „მალტა, დიად, თბილი ადგილია. დეკემბერში იასამანი და ყვავილები ჰყვავოდა. ლედვს გასცვივდა ფურცელი, თვარა ვენახს ისევ ესხა, არც თოვლი, არც რთვილი, არც ყინვა არ იცის იქაურ ზამთარ. რა ჩრდილოს ქარი აქროლდება ცოტა რამ სიცივე შეიქმნება. ზაფხულ მეტად ცხელს ამბობენ. სულ კლდეა, ვაკე და ყორე. მრავალი გველი და ვერას ავენებს კაცსა. უნაყოფო. სადაც წალკოტია, ნარინჯ-თურინჯი დგა, თვარა უწალკოტოთ ხე არსად არის. ზამთარი სულ მწვანეა. ბალახი ზაფხულ არ იქნება სიცხისაგან.“ (სულხან-საბა ორბელიანი „მოგზაურობა ევროპაში“, ს. იორდანიშვილის რედა-

ქციით, „ფედერაცია“, 1940 წ., ტფილისი, გვ. 141). როგორც მკითხველი ხედავს, ავტორი იძლევა ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი კუთხის მშვენიერ დახასიათებას მთელი მისი გეოგრაფიული თავისებურებით.

ვახუშტისა და სულხან-საბა ორბელიანის შოლვაწეობის ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ საქართველოს XVIII საუკუნის განათლებული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, თავისი კულტურით, განვითარებითა და ცოდნით საერთოდ და კერძოდ გეოგრაფიაში, იმავე XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის განათლებული საზოგადოების წარმომადგენლებზე დაბლა არ იდგნენ.



76/57

ფაბი 15 მან.

